

კვირის პალიტრა

რეპორტაჟი  
სოსუმიდან

# პეპა

№19 (413) 27-14V.2008  
ფასი 60 თეთრი

**როგორ  
დააბრუნა  
ინგა  
გრიგოლიაშ  
ქონება**

**ვის უნიანსნარკვევებებს  
გელანამყვანი არჩევნებში გამარჯვებას**



**„აფხაზეთში რძი  
უკვე დაიწყო, უბრალოდ  
შეგვებენ არ დაწყებულა“...**



**ზურა ხაჩიკა დავუბათოვას  
და გორჯოგოში ოჯახით  
გადასახლებას გეგმავს**



**უარი საკუთარ  
სისლსა და  
სორსზე**

**ვინ ზრდის სხვის  
შვილებს....**



**უსსოვლანებელები და  
ამჟვეყნად 595-ედ მოსული  
ქართული ქალბატონი**




**ინგლისელ-  
ქართველი,  
როგელგან  
„ვეფხისტყაოსანი“  
მსურად  
ინსაველა**

**თუ თქვენი რჩეულის ცხოვრებაში სხვა ქალი გამოჩნდა....**



# იტალ - დეკორი

კანდელაკის ქ. 65 ტელ: 381240 : 384433



დეკორატიული საღებავები  
და გათქაშები იტალიიდან

**Decor**

D I V I S I O N

ბOIKOS

**Paint**

D I V I S I O N

ბOIKOS

**Facade**

D I V I S I O N


ბOIKOS



# OIKOS

# რამ დააბნია ხეობილი „რესპუბლიკელი“

ყველაზე მეტჯერ ფეოდორ დოსტოევსკის „ემმაკანი“ აქვს წაკითხული. ამბობს, რომ ამ მანერე ჩვევისკენ მიდრეკილება არ აქვს და წიგნი არასდროს მოუპარავს. ლიგერატორული პერსონაჟებიდან მეგობრად ერთერთის დასახელება უჭირს...



20

# როგორ აღმოჩნდა კანა სპანიკა სტივენ ლოიდი...



გადაწყვიტა, ინგლისის მოქალაქე გამხდარიყო და თხოვნა და საბუთები წარადგინა ბრიტანეთის თესციკის სამინისტროში. პასუხის მოლოდინში კახა ლონდონის პოლიციამ დააპატიმრა, საბუთების გაყალბებისა და თავისი ნამდვილი გვარის დამალვისათვის.

72

# მგსტ ვნიღლები




ღეჭე: „მენი ღეღაც!“

დახვრიღებში ხეჩიღში ნახე.



სიღაჩრა



სიღაჩრა



ფობობასობ

39-70



№19 (413)  
8 - 14 მაისი, 2008 წ.  
ფასი 80 თეთრი

## მინიატიურები

ინენსაარჩენო პოლიტსანაულაბი ანუ 80-პროსანგინი დემოკრატიკი საბარულად 5

## არჩენაბი

„ნოზას მსოლოდ საღკაული პირაბი იმსახურაბან“... 6

## კოფელიპის ზონა

„აფსაზითში მში უკვე დანიყო, უბრალოდ, შაბაბაბი არ დანყაბულა“ 8

## კოლეა

იღლიში, რომელიმ ინაბ გრიგოლიას პირდაპირ ეთარში მოუვიღა 10

## შარნალინისის როლი

ზურა ხაჩიკა დეაუბაბობას და ბორჯომში მოჯახით გადასახლბას ბეგბავს 12

## კანდიდაბი

„პრაპტიკულად მოჯაროვნე პოლიტიკოსი უფრო მომავლისკან იყურაბა“... 14

## დაიჯნაბი

პოლიტიკური კინო ხელიწულბანის პარტიკალი სოფალ დურაკოვოში 18

## არედობი

ვისთან მემოგრობის სვრვილი აქვს ირაკლი ბატიკაშვილს 20

## ანგიღარასანაბი

ნარმაბაბა ნოდიკო ბაბიშვილი „აზიის აღმოჩენა“ ბასდა 22

## შაუსმოხალი

იკოლა, ნიკოლა და მათი მემოგრაბი... 24

## ნემღვილი ამბაბი

„ღამა“ ჯვარი აღამიანი, რომელიმ არასოდეს დამაიწყდაბა... აუთიკაბი ბაბუა, მისტიკური შეხვედრა მყინვარზე და პოლიგლობი მადორა 27

## თამა

სხვისი შვიღაბი 29

სამ დღეს გაუბლო ერისთავმა მეომართა და ასისტავთა ჩურჩულს. მერე თავად ეახლა უფლისწულს კარაფში. ნიანიბც იქ იყო მამინ.

– ფსალმუნთა კითხვა არ იგებს ომს, ბატონო. მარგო ლესვით ფსა დაიღევა და როცა მოსაქნევი გახდება, ვედარ გაჭრის. დაიქანცა ჯარი. ბრძოლაში გახვლას ითხოვს, – ჩვეული პირდაპირობით ბრძანა ერისთავმა. გაუღება დავითს.



დიღობრის სავა ფჩინდა ის ახარი

82

- **მრავალქვენი!**  
მრავალქვენიანი ოჯახის გადნევი ყოფა და მარცხიანი ქრონა – ქირით 32
- **თინეიჯერული პრობლემა**  
„კახს ანათო სიყვარული თუ შედეგად, არ მემონა“ 35
- **ჯანმრთელობა**
  - ✓ მარცხის შემდგომი სიღრმეობა 37
  - ✓ მარცხი ნონა სიღრმეობის სიღრმეობა 37
  - ✓ პლანეტარული ოჯახისთვის პარკის შემთხვევითი 38
- **ქართული ქართული**  
გზავნილება 39-70
- **თანამშრომლები**  
უხსოვრის სის ქვეა 71
- **სადაცაა საღ ნიყვანა**  
როგორ აღმოჩნდა ქახ სვანიძე სვიპე ლოიდი... 72
- **რომანი**  
სვაბა ქარახსელია. ქარის სიღრმეობა (გაგრძელება) 74
- **გაიმ-აუბი** 78
- **საქითხავი ქალბატონის**
  - ✓ თუ თქვენი რჩეულის სმორებათი სხვა ქალი გამოჩნდა 80
  - ✓ ინტელექტუალები არ ყვირიან 81
- **ისტორიული რომანი**  
გორა მანელიძე. დიდგორის საზე ფრანდა ის ჯვარი (გაგრძელება) 82
- **წიგნები**  
ღვთის ვადრებათი ამაღლა ზნადა თამარ მეფის წიგნი სული 86
- **მეცხმთავარი**  
„სტუმრად პატრიარქთან“ ანუ ფილმი, რომელსაც ქრიტიკული თვლით არ უნდა შეხედოთ 88
- **პარსკვლავები**
  - ✓ გომ ქარხის ქოვანია ახალი ჯანმრთეობის გრილარის გადსაღებად ემზადება 90
  - ✓ უღვაწისი ქვიშ პადსონი 90
  - ✓ ამერიკა რამგონ სიქვილინს ინილავს 90
- **ოსტაბი**  
რკოში გასომსებაული ქახნები და მეზღარევი ჩასახლებული დიდი გავივი 92
- **ქალი**  
ზაალ ქიქოძე – დონორი, არქეოლოგი, მთავსვლელი... 93
- **ბელადი**  
მხადრეთმთავარი სტალინი (გაგრძელება) 96
- **ქრიტიკული**  
„პარკიდან პირადად შეხვედებით და ამ სემეს ასე არ ღვეთვებით“ 98
- **ასპარეზი**  
არქელაქის გამოსათსოვარი შეხვედრათი თბილისის უხსოვრი პარსკვლავები ეწვივნენ 101
- **საოტრული მოვანიქა** 102
- **ავტო** 103
- **სქანორდი** 104
- **ბასტი** 105
- **პროგნოზი** 106

**გარეკანზე: ირმა ლიპარტიანი კოლაჟი**

საქმობალომბრიკ-პოლიტიკური ჟურნალი „გზა“ გამოდის კვირაში ერთხელ, სუთვაბათობით გახვით „კვირის პალიტრის“ ღამატება

ჟურნალი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით. რედაქციის აზრი შესაძლოა არ ემთხვეოდეს მასალის ავტორის აზრს. მთავარი რედაქტორი: ზურაბ აბაშიძე

მთ. რედაქტორის მონადელები: ლალი ფაცია, ლიკა ქავია

მენეჯერი: მათე კბილაძე

მისამართი: თბილისი, იოსებძის ქ. №49  
 ტელ: 38-84-44, ფაქსი: 38-08-63. email: gza@kvrispalitra.com  
 რეკლამა „გზაში“: 37-78-07; 38-78-70.


## თუ თქვენი რჩეულის სმორებათი სხვა ქალი გამოჩნდა



თუ თქვენ ღალატის შემდეგ უფრო თბილი, ყურადღებიანი, აღერსიანი – ერთი სიტყვით, აღრინდელზე უკეთესი გახდებით, ქმარი იფიქრებს, რომ ერთდროულად ორი კურდღელი დაიჭირა და უფრო ღალად გაშლის ფრთებს.

80

## „ღამ“ ჯვარი



– რაა სიძინ ქა! მე შენ ბებოქმეს დახატვა გითხარი თუ „ღამ“ ჯვარის?! მოკლედ, იქ აბბავე დაგრიადღა! ქალაქში კარგა ხანს ეყოთ საქილიკოდ. საწყალ ღალდუმას კი დელამისის ჭინჭრით ნაცემის სიმწარეც გადააფიქვა და ამჯერად, ცოცხლებთან ერთად მკვდრების ხატვამეც სამუღამოდ ააღებინა ხელი.

26

## ნედიკო ტატიშვილი „აზიის აღმოჩენა“ გახდა



შანხაის საერთაშორისო კონკურსზე ის „აზიის აღმოჩენა“ გახდა და პრიზი – „მაკაცის საუკეთესო ხმისთვის“ გადაეცა. კონკურსზე ის „უბაიე ღაინს პროდაქშენის“ პაგრონაჟით გაემგზავრა.

22



– მგარია, – ნათიამ ვაშლი ჩაკბიჩა, – საერთოდ არ მიყვარს დაღევა, მგვრამ ეს მესამოვე ნა აქვს შენს ქმარს გემოვნება.

– უკაცრავად! გემოვნება ისეთი აქვს, იცოცხლებ! სხვას რომ ყველაფერს თავი დაანებო, ჩემნაირი ცოლი ჰყავს, გენაცვალე – გაიპრანჭა გიმელა.

– ისე, მართლა, რა საოცარი იყო თქვენი გაცნობა რომ მახსენდება, სიამოვნება მეუფლება ხოლმე შენ იცო, სოფიო, როგორ დაქორწინდნენ ესენი? – ნათიამ შემომხედა.

– არა, არ ვიცი სიამართლე გითხრა, გიმელას ქმარი თუ ჰყავდა, ისიც არ ვიცოდი.

74



# წინასწარჩევნო პოლიცსასწაულები ახუ 80-პროცენწიანი დემოკრაწია წაგერულად

ახალი წლის ღამეს რომ ათასი სასწაული შეიძლება მოხდეს, ეს ყველამ იცის, ყოველ შემთხვევაში, ასეა ნათქვამი, მაგრამ რომელი ახალი წელი შეედრება იმ სასწაულებს, რაც ჩვენს ქვეყანაში არჩევნებზე ხდება. უფრო სწორად, არჩევნებამდე ითქმება, არჩევნების შემდეგ კი ან ახდება, ან მორიგ დაპირებად დარჩება.

სტატისტიკურად, ყველაზე მეტი სასწაული ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში, ამომრჩეველთა სიების შედგენისას ხდება. ამომრჩეველთა ზუსტი აღრიცხვა მართლაც ურთულესი საქმეა, მაგრამ განა სასწაული არ არის, რომ 10-12 წლის წინ გარდაცვლილი ბაბუა ისევ სიაშია და „ჯიუტად ხაზავს“ ბიულეტენზე ხუთიანს? ახლა კიდევ, ისეთი დარღვევები აღმოაჩინეს, 11 წლის ბავშვი ამომრჩეველად რომ გვევლინება სიაში — რას იზამ, ალბათ, ადრე დაკაცდა. რა სწრაფად გარბის დრო! არადა, გუშინ ვნახე, სკოლიდან მოდიოდა...

ქართველები რომ სტუმართმოყვარე ხალხი ვართ, ამას რა სჯობია, მაგრამ როცა 48 ადამიანი შენს მისამართზეა დარეგისტრირებული და 48-ვე უცხო, ეს მეტისმეტია. ამდენ სულს ან რა უნდა აჭამო, ან სად უნდა მოასვენო, მე არ ვიცი. მოკლედ, სიების დასაზუსტებლად 3 დღით გააგრძელა ცესკომ ვადა და რაღაცები ალბათ გასწორდება, მაგრამ 21-ში მკვდარი ცოცხალიც ბევრი იქნება და ცოცხალიც მკვდარიც...

ეს კიდევ არაფერი, მთავარი ის სასწაულებია, ხელისუფლებაში მოსვლის მსურველი პარტიების ლიდერები რომ გვპირდებიან.

ნეტავ, ყველა მათგანი მოხვდებოდეს პარლამენტში, რომ დაპირებული სასწაულები საკუთარი თვალით ვიხილოთ. მაგალითად, გაერთიანებული ოპოზიციის ლიდერი კოპერფილდისეულ ფოკუსს გვპირდება: 21 მაისს სააკაშვილს გავაქრობ ქართული პოლიტიკიდანო! 30 წელია, ზურა ვადაჭკორია ილუზიონისტობს და რკინის ლარინზე მეტის გაქრობა ჯერ ვერ შეძლო და ეს მართლაც სერიოზული განაცხადია — ესუბრებით თქვენ, მეორე ვადით ახლადარჩეული პრეზიდენტის გაქრობას?!

არანაკლებ საოცრებას გვპირდება ქრისტიან-დემოკრატიული მოძრაობის ლიდერი, რომელსაც ჯერ „ამაღლორმინებელი დეუტატობის“ და შემდეგ „დროების“ წამყვანობის დროს იმხელა ცოდნა-გამოცდილება დაუგროვდა, რომ მხოლოდ წყლის ექსპორტით ქვეყნის ბიუჯეტის გასამმაგებას გვპირდება. საქართველოში რომ ბევრი და კარგი წყალია, ეს ჩვენც კარგად ვიცოდით, მაგრამ თუ იმდენის და იმ ფასად გაყიდვა შეეცოდი, რომ სამჯერ უფრო მდიდარი ქვეყანა გახდეთ, აქამდე სად ვიყავით?! ჩვენ მიერ მოხმარებულ წყალსაც დავზოგავთ, ორი ჭიქის ნაცვლად, ერთ ჭიქას დავლევთ, არც ბანაობის დროსაა აუცილებელი ორჯერ გაქაფვა,

ერთხელ გავიქაფოთ და დაზოგილი წყალი ოქროდ ვაქციოთ. როგორ გინდა ახლა, ასეთ კაცს ხმა არ მისცე? წყალს ოქროდ აქცევს და რაიმე უფრო ფასეული პროდუქტით ხომ ელდორადოდ ჩამოგვაყალიბებს — არის თუ არა ეს სასწაული?!

ქართული დამოუკიდებელი პოლიტიკის ერთ-ერთი უძველესი წარმომადგენელი და ტრადიციონალისტა ლიდერი ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის ახალი მოდელით იწონებს თავს და ბალაფშის გულის მოგებასა და შემორიგებას ქვეყნის სახელწოდების შეცვლით აპირებს. ოღონდ აფხაზეთი დავიბრუნოთ და კი, ბატონო, ერქვას „საქართველო-აფხაზეთის გაერთიანებული რესპუბლიკა“. რით არის ცუდი ფოკუსი? ცვლი ქვეყნის სახელს და რუს სამშვიდობოებს საკუთარი

ხელით გადარეკავენ აფხაზეთი ფსოუს გადაღმა... ახლა, სამხრეთ ოსეთის დაბრუნებაც ხომ გვინდა? ე.ი. ჩვენს ქვეყანას უნდა დაერქვას „საქართველო-აფხაზეთ-სამხრეთ ოსეთის გაერთიანებული რესპუბლიკა“. ნეტავ, მიტინგებზე ან სტადიონზე როგორ უნდა ისკანდრო ამხელა სახელი?... თუ სასწაული მოხდება, ამასაც მოვახერხებთ, რა პრობლემაა...

და ბოლოს, სახელისუფლებო სასწაული, რომელმაც სერიოზულად შეარყია მმართველი პარტიის სუპერდემოკრატიული იმიჯი: როცა პრეზიდენტი ყველას მუწოდებს გამჭვირვალობისკენ და მერ-გამგებლებს „ატორმუზებს“, — საარჩევნო კამპანიაში აქტიურად არ ჩაერთოთ, — ცაგ-

ერის მაჟორიტარობის „ნაციონალმა“ კანდიდატმა „კოვზით მოგროვებული“ სახელი კასრით გადააქცია...

შე კაი დედამამიშვილო, ათასჯერ გითხრა შენმა პარტიულმა ლიდერმა, — საქმე ლაპარაკის ნაცვლადო, — ანუ არ ილაპარაკო, შენ კი მიიდე ყურთან ტელეფონი და მთელი ლეჩხუმის მთავრობა და პოლიცია შეაწრიალე, 80%-ს თუ ვერ ავიღებთ, სამსახურის გარეშე დაგტოვებთო!.. „საქმე ლაპარაკის ნაცვლად“ იმას ნიშნავს, რომ საქმე არ ისმინება და ლაპარაკი ისმინება. ახლა ხომ მართლა სასწაული უნდა მოხდეს, რომ შენს რაიონში შენმა პარტიამ გაიმარჯვოს?! თუმცა სასწაულებიც ხდება... ასე რომ, 21 მაისი ძალიან ბევრ „ფოკუს-მოკუსს“ გვიჩვენებს...

*P.S. თამადის სადღეგრძელო:*  
— მოდით, ამ სასმისით, ჩვენი ბებებისა და ბაბუების, ჩვენი დიდი წინაპრების არდავიწყება იყოს. ისინი ჩვენს გულებში მუდამ ცოცხლობენ და ყოველ არჩევნებზე ჩვენთან არიან!..

**პროვოკატორი**




# „ნოქსი მხოლოდ ხალხური პირები იმსახურებენ“ ...

## „არჩევნებზე ნაკლებად და ყველა პარტიას გადავხაზავ“

საპარლამენტო არჩევნების მოახლოებასთან ერთად, საზოგადოება პოლიტიკაში მიმდინარე ცვლილებებს განსაკუთრებული ყურადღებით აკვირდება და ცდილობს, შესაბამისი დასკვნები გამოიტანოს. როგორც აღმოჩნდა, ხალხის დიდ ნაწილს არჩევნების დემოკრატიულად ჩატარების იმედი არა აქვს და ახალი რეფორმაციისათვის ემზადება. ინტელიგენცია კი, როგორც ყოველთვის, უფრო თავშეკავებულია და ცდილობს, გარკვეული პოზიტივი ამ რთულ ვითარებაშიც დაინახოს. ჩვენ იმ ადამიანების მოსაზრებებს შემოგთავაზებთ, ვინც ჩვენთან საუბარი მოინდომა და საკუთარი აზრის დაფიქსირებას არ მოერიდა.

### ხათუნა ბახტურიძე



**ნოდარ ნათაქა,**  
„სახალხო ფრონტის“  
თავმჯდომარე:


— მე უყოყმანოდ მივცემ ხმას გაერთიანებულ ოპოზიციას, იმიტომ, რომ იქ არიან: გია თორთლაძე, კოკო გამსახურდია... ყველაზე მეტად ის მამოთებს, რომ სააკაშვილი (რადგანაც იცის, რომ თვითონ ვერ მიიღებს ორ მესამედს ანუ კონსტიტუციურ უმრავლესობას,

თუნდაც გაყალბებით) უმრავლესობის შექმნას „რესპუბლიკელებთან“ და „ახალგაზრდებს“, გიორგი თარგამაძის პარტიასთან ერთად ამირებს. ეს იქნება ანტიქართული უმრავლესობა, რომელიც აუარებელ გამოუსწორებელ შეცდომას ჩაიდენს. „რესპუბლიკელები“ რუსეთის აგენტები არიან. მაგათ, რუსეთის შეკვეთით, ისეთ დოკუმენტებზე აქვთ ხელი მოწერილი, რომ სხვას ვერაფერს იფიქრებთ. თქვენ შეგიძლიათ, ჩემთან მობრძანდეთ და ყველაფერს გაჩვენებთ. ძალიან მეშინია, ამ ხელისუფლებამ თავისი უპასუხისმგებლო ნაბიჯებით, რეფორმაცია არ გამოიწვიოს. საქართველოში აჯანყება არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება. ეს იგივეა, ჩიტის მოსაკლავად — რომელიც სასახლის თავზე ზის, სასახლე ააფეთქო. ეს სისულელეა.

**ჯანსუღ ჩარაქვიანი,**  
პოეტი:

— ვინც ამ საპარლამენტო არჩევნებში მონაწილეობს არ მიიღებს, საკუთარ თავსაც უნდა დააბრალოს, რომ მისი ქვეყანა კარგ დღეში არ აღმოჩნდება. მე ხმას ოპოზიციას მივცემ, აი, იმას კი ვერ დაგიკონკრეტებთ, ჩემი ფავორიტი

რომელი პარტიაა. შემძლია გითხრათ, რომ უპირატესობას მივანიჭებ იმ ხალხს, ვისაც საქართველო უყვარს, ცხოვრობს წარსულით, აწყობთ და მომავლით. მე კაცად არ მიმაჩნია ადამიანი, რომელიც საკუთარი ქვეყნის წარსულს პატივს არ სცემს. თუ არჩევნები ისევე გაყალბდება და ახალგაზრდები ქუჩაში გამოვლენ, მეც მათთან ერთად დავდგები. უკვე 76 წლის კაცი ვარ, შეიძლება, ქუჩაში გამოსვლა ფიზიკურად ვეღარ მოვახერხო, მაგრამ ჩემი ლიტერატურული მოღვაწეობით მათ გვერდით ვიქნები.



**გივი ზარიკაშვილი,** მსახიობი:

— არჩევნებში მონაწილეობას აუცილებლად მივიღებ. ფავორიტი პარტია მყავს, მაგრამ ვინაიდან არჩევნები ფარულია, მაგ საიდუმლოს ვერ გაგიხვალთ. ძალიან ბევრ პოლიტიკოსს პატივს ვცემ, ბევრი ძალიან არ მიყვარს, მაგრამ ვერც მათ სახელებსა და გვარებს დაგიკონკრეტებთ. არჩევნების დღეს ყველაფერს ნათელი მოეფინება. თუ ხელისუფლება ჭკვიანად არ მოიქცევა, ხალხი თავის სიტყვას იტყვის.



**ეთერ კაკულია,** მომღერალი:

— არჩევნებში მონაწილეობას აუცილებლად მივიღებ და ხმას „ნაციონალურ პარტიას“ მივცემ. ძალიან კარგები არიან, ყველაზე მეტად კი ჩემი პრეზიდენტი მამონს. დარწმუნებული ვარ, ამ საპარლამენტო არჩევნების შემდეგ მშვიდ ცხოვრებას ველირებთ.

**მიხეილ ცაგარელი,** ასტროლოგი:

— არჩევნებში მონაწილეობას მივიღებ და ვეცდები, უარესიდან უკეთესი ავირჩიო... დღეს საქართველოში არ არსებობს ძალა, რომელიც ქვეყანას აღმავლობისაკენ წაიყვანს. არიან პოლიტიკური ძალები, რომლებიც ახლა სწავლობენ პოლიტიკას და დიპლომატიას. კარგი, ჩამოყალიბებული, პროფესიონალი პოლიტიკოსები ჩვენ არ გვყავს, ამიტომ, ქართველები ვირჩევთ იმათ, ვისი პოლიტიკურად განვითარებაც შესაძლებელია უახლოეს მომავალში. რაც საქართველოში არჩევნები დაიწყო, სულ იმედგაცრუებული ვარ, იმიტომ, რომ ქვეყანა მიდის უკან — სოციალური, კულტურული და ეკონომიკური თვალსაზრისით. ამის მიუხედავად, იმედს არ ვკარგავ. საქართველოს აღმშენებლობის პერიოდი აუცილებლად დაიწყება, ოღონდ — ცოტა მოგვიანებით. ჩვენ ახლა გარკვეული კოსმოსური გამოცდების გზებს გავდივართ, საბოლოოდ, როგორც ჩამოყალიბებული, ძლიერი და პრესტიჟული ქვეყნის მოქალაქეები 2020 წლისთვის გავხდებით. ხალხი უახლოეს პერიოდში სულ უკმაყოფილო იქნება,



**„მინს ამ საპარლამენტო არჩევნებში მონაწილეობს არ მიიღებს, საკუთარ თავსაც უნდა დააბრალოს“ ...**

მაგრამ ამ არჩევნებზე ცოტა უკეთესი პერსპექტივები გვესახება. შეცდომებს, რასაკვირველია, კიდევ დაუშვებენ, მაგრამ სასიკეთო ცვლილებებიც მოხდება; შეიცვლება საკაპიული და რაც მთავარია, პარლამენტი დაკომპლექტდება სერიოზული ხალხით. სიმართლე რომ გითხრათ, დღეს ჩემს ნდობას მხოლოდ ცალკეული პირები იმსახურებენ — უმრავლესობიდან, თავისი პოტენციალით, დავით ბაქრაძე მომწონს, მას შანსი აქვს, გახდეს ძლიერი პოლიტიკოსი. რაც შეეხება ოპოზიციას, — მათ შორის, ჩემი აზრით, დავით უსუფაშვილს ყველა ის თვისება და შესაძლებლობა აქვს, რომელიც ძლიერი პოლიტიკოსის ჩამოყალიბებისთვისაა საჭირო.



**ნინა ნახვაშვილი, მომღერალი:**

— „ნაციონალების“ მიერ წარმოებულ ტურნეში ვმონაწილეობ, ამით ალბათ, ყველაფერი ნათქვამია. ამ თემაზე დეტალურად საუბარი არ მინდა, იმიტომ, რომ საზოგადოების მხრიდან ჩემ მიმართ დიდი აგრესია წამოვა...

**ლევან ჩოხელი, სტუდენტი:**

— ხმას ლევან გაჩეჩილაძის პარტიას ვაძლევ, მაგარი კაცია. ეტყობა, რომ საქმისათვის თავის განირგვა შეუძლია. თან, ამბიციური არ არის და რასაც ამბობს, იმის შემსრულებელია. დარწმუნდები, რომ მოვიდეს ხელისუფლებაში, გაუნათლებელი ადამიანები ხელისუფლებაში ვეღარ „იმარიაფებენ“.



ნეტული ვარ, მისი პარტია რომ მოვიდეს ხელისუფლებაში, გაუნათლებელი ადამიანები ხელისუფლებაში ვეღარ „იმარიაფებენ“. ზოგი ჩემი ტოლია, უმაღლესიც არ აქვს დამთავრებული და უკვე მინისტრია, მხოლოდ იმიტომ, რომ სააკაშვილთან დაახლოებული პირია. გული მწყდება, რომ ოპოზიციამ გაერთიანება ვერ მოახერხა და გადამწყვეტ მომენტში „რესპუბლიკელები“ განზე გადგნენ. ნათელაშვილისგან ყველაფერი „მოსულა“, მაგრამ ამას ბერძენიშვილისგან ან ხიდაშვილისგან ნამდვილად არ ველოდი... ისე, ძიძიგური რა მაგარი კაცია, არა? ჯერ მარტო იმიტომ ვცემ პატივს, რომ ჩოხით დადის. აშკარად ეტყობა, რომ ვაჟკაცი კაცია. პარლამენტის წინ გონის დაკარგვამდე იზიმშილა. ასეთები რომ გვყავდნენ ხელისუფლებაში, ჩვენი საქმე უფრო კარგად იქნებოდა. ამის მაგივრად, კირკიტაძე და სამყურაშვილი უნდა იყვნენ ხალხის მმართველები?!. თუ გაერთიანებული ოპოზიციის მოითხოვს, ქუჩაშიც გამოვალთ და რევოლუციასაც მოვახდენთ. მთავარია, ზოგიერთები ისევ არ შეშინდნენ და სახლებში წასვლისკენ არ მოგვიწოდონ.

**ვაკა ჭაჭიბაძე, ექთანი:**

— არჩევნებზე მისვლას არავითარი აზრი არა აქვს. ჯობია, ოპოზიციამ პირდაპირ სახალხო აჯანყებაზე იზრუნოს. თუ ვინმეს ეჭვი ეპარება, რომ ეს ხელისუფლება არჩევნებს ისევე გააყალბებს, ნამეტანი გულუბრყვილო ყოფილა. ასეთი მატყუარა და ფლიდი ხელისუფლება არაფერში გვჭირდება. მაგათ იდიოტები სომ არ ვგონივართ?! ძალიან კარგად ვხვდებით, რომ გზებსა და უმნიშვნელო წვრილმანებს პიარისათვის აკეთებენ. სინამდვილეში, საკუთარი ჯიბის გასქელების გარდა, არაფერი ადარდებთ. ამიტომ, ნებით თუ არ მიდიან, ძალით უნდა მივაბრძანოთ აქედან.

**რაზო ბურნაძე, მშენებელი:**

— არჩევნებში მონაწილეობას არ ვაპირებ. ეს ჩვენი ოპოზიციაც უსუსური აღმოჩნდა — ერთ დღეს გამოვლენ, დაიმუქრე-

ბიან, გიორგი სააკაშვებად მოგვაჩვენებენ თავს, მეორე დღეს კი სოროებში გარბიან, თან ისეთი ამბიციურები არიან, ჯერ ხელისუფლებაში არ მოსულან და ადგილები ვერ გადაუნაწილებიათ. ეგენი რომ კანცელარიაში შეუშვა, სულ გაცოფდებიან. „ნაციონალებს“ კი ჩემი ნებით ხმას არ მივცემ და ტყვიას თუ დამახლიან, არ ვიცი. მათმა ლიდერმა და ქვეყნის პრეზიდენტმა ქვეყანა მგლის ხახაში ჩააგდო, ამდენი ხანია, ხელისუფლებაშია და ეს დამპალი რუსები ვერ მოგვაშორა! თუ ეგეც არ შეეძლო, რას დაფრინავდა წინ და უკან?! ამდენი ფული შეჭამეს და ჯერ მაგათი გაკეთებული საქმე არ მინახავს. 40 წლის წინ ჩაყრილ საკანალიზაციო მილებს რომ გამოცვლიან, მაგარი ვაჟკაცობა ჰგონიათ?! თბილისში რომ გავივლი, ხომ სულ გული მისკდება: ნითელ, ყვითელ და ლურჯ ფერებად აუჭრელებიათ ყველაფერი. თუ თავად არა აქვთ გემოვნება, სხვებისთვის მაინც ეკუთხათ. ბოკერიას და ნადირაძის მოშორებით, ეგენი ხალხის გულს ვერ მოიგებენ. ჯერ კიდევ ეგეც საკითხავია, მოიშორეს თუ არა. ისე, მე პოლიტიკოსებს სულ სხვა სახელს დავარქმევდი, მაგალითად — „სიაფანდებს“.

**ნათელა გულიაშვილი, დიასახლისი:**

— არჩევნებზე ნავალ და ყველა პარტიას გადავხაზავ. აღარავის მიჯერა. ეს „ნაციონალები“ ხომ სულ დაღუპული ხალხია, მაგათ თავიანთი ცოდვები საიქიოში მოვეითებენ. მაგრამ ეს ოპოზიციაც რაებს აკეთებს?! ნათელაშვილი, თავისი გუგავითი და ძაგანითი, სულ ასათიანზე წასაყვანები არიან. მე იმის მემწინია, ჩვენი არეულობით და შეუთანხმებლობით მტერმა არ ისარგებლოს და რაც შემოგვრჩა, ის ტერიტორიებიც არ წაგვართვას. ჩვენმა შვილებმა დამოუკიდებლობის მოსაპოვებლად თავი გასწირეს, ეს „ახალგაზრდობა“, უცხოეთში კოლეჯდამთავრებული ბიჭები კი მომჯდარან ქვეყნის სათავეში და ისე იქცვიან, თითქოს საქართველო მაგათი მამის დუქანი იყოს.

**ბარინა საბაშვილი, მკერავი:**

— ხმას „ნაციონალურ პარტიას“ მივცემ. მათი წყალობით მიდგას პირში სული. ჩემი შვილი დიდიდან საღამომდე „ბირჟაზე“ იდგა, ხან დაჭრილი მოდიოდა სახლში და ხან — ნაცემი. ახლა ჯარისკაცია, რეჟიმით ცხოვრობს, სოლიდურ ხელფასსაც იღებს და სასიათიც შეეცვალა. იმედი მაქვს, მალე დაქორწინდება. ადრე ხან ვინ უყვარდა, ხან — ვინ, მაგრამ ოჯახის შექმნას ვერ ბედავდა: ეშინოდა, ცოლ-შვილი მშოერ-მწყურვალნი არ ჰყოლიოდა. ახლა თავისი ფული აქვს და მშობლებსაც გვეხმარება.

**დიტო ბაძრაძე, ხელოსანი:**

— არ ვიცი, ხმას ვის მივცემ. საპრეზიდენტო არჩევნებზე გაჩეჩილაძეს დაუჭირე მხარი, მაგრამ თავისი ხმების დაცვა ვერ მოახერხა. ახლა რალაცები კი შეიცვალა, მაგრამ კარგად არ ვიცი, ქვეყანაში რა ხდება: ორი კვირა რეზერვში ვიყავი, ტყის მეტი არაფერი მინახავს და ავტომატების კაკანის გარდა, არაფერი გამიგონია. ცოტა ხანს მივიხედავ-მოვიხედავ და რალაც გადანყვებილებას მივიღებ. ისე, დათო გამყრელიძე მაგარი ტიპია. შეეცდა, საპრეზიდენტო არჩევნებში მაგას რომ არ მიეცემოდა, მაგრამ აზრი ალბათ მაინც არ ექნებოდა. ძალიან მინდა, საპარლამენტო უმრავლესობაში ისეთი ძალა მოვიდეს, საქართველოს ჯარის გაძლიერებაზე რომ იზრუნებს. ძალიან მიკვირს, ამ რეზერვისტებს რატომ გვახარჯავენ ამდენ ფულს, იქ მნიშვნელოვანს არაფერს ვსწავლობთ. კარგად „გვაძუნძულებენ“, ფუჭ ტყვიებს გვასროლინებენ და მერე მთელი დღე „ჯოკერს“ ვთამაშობთ. ისე, რაც მართალია, მართალია, — კარგად გვკვებენ. მაგრამ ოჯახის საქმეს რომ მაცდენენ, სულ ტყუილად, ეს არ მომწონს.

„საჩინვენიში მონაწილეობას მივიღებ და ვესვლი, უარსიდან უკეთესი სპირიტი...“

# „აფხაზეთში ომი უკვე დაიწყო, უბრალოდ, შეტყეობი არ დაწყებულა“



სამხედრო მობილიზაცია, რუსების მიერ სანახევროდ გათხრილი სანგრები, გალის რაიონში გამოცხადებული კომენდანტის საათი და თითქმის საომარ რეჟიმზე გადასული მოსახლეობა — ასეთია დღევანდელი აფხაზეთის სურათი, რაც სანგრძლივი, მიზანმიმართული მუშაობის შედეგად რუსეთის დამსახურებაა. საქართველოს კონფლიქტურ რეგიონში მოსკოვის მიერ ვითარების ხელოვნურად გამწვავების შედეგად, აფხაზეთში ყოველდღე ომს ელოდებიან. რუსეთი კი თავგამოდებით ირწმუნება, რომ დამატებითი სამშვიდობო ტექნიკის შეყვანა ქართული მხრიდან მომდინარე საფრთხემ განაპირობა და თავის მოქალაქეებს, საჭიროების შემთხვევაში, თბილისის აგრესიისგან დაცვას პპირდება. არადა, საქმე ის არის, რომ აფხაზეთის მოსახლეობის საკმაოდ დიდი ნაწილი რუს ჯარისკაცებს უსაფრთხოების გარანტიად არ აღიქვამს. მიუხედავად იმისა, რომ ქართული მხრიდან თავდასხმის შიში მართლაც აქვთ, არც იმას მალავენ, რომ რუსეთის ჯარის შემოსვლა, აფხაზეთში ომის დაწყებას ნიშნავს.

## „მამაჩემის ნაწვალეხ სახლში „ბაირამობის“ უფლებას არავის მივცემ!“

### ლალი პაპასკირი

#### სუზანა მიკოიანი:

— როცა სოხუმში დამატებითი რუსული საბრძოლო ტექნიკა შემოიყვანეს, მე იქ ვიყავი... დღემდე ყურებში მიდგას ის საშინელი ხმა, რომელიც ორ საათზე მეტხანს გაგრძელდა. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ომი დაიწყო, უბრალოდ, შეტყევები არ დაწყებულა... ახლობელ აფხაზს სოხუმში, ბაგრამიანის(?) ქუჩაზე პატარა ჯიხური აქვს გახსნილი და იქ ვმუშაობ... ქუჩის მცხოვრებლებთან ერთად, მუხლებმოკვეთილები ვისხედით და ვუცქერდით ამ საშინელ სურათს. იცით, რა გამახსენდა? 1989 წლის 9 აპრილს თბილისში მომინია ყოფნამ, შვილი მყავდა რესპუბლიკურ საავადმყოფოში და სწორედ ასეთი „შავი ნაკადი“ იყო მაშინაც... მართალია, ქართველებს და აფხაზებს ჰგონიათ, რომ თავს არხეინად ვგრძნობთ, მაგრამ ასე არ არის. აქ ჩემი ოჯახი, ახლობლები და ნათესავები ცხოვრობენ და დესტაბილიზაციის შემთხვევაში, ნებისმიერ ადამიანს შეექმნება საფრთხე — სომეხი იქნება, რუსი თუ ბერძენი. ქართველები და აფხაზები პანიკაში არიან, მაგრამ ცდილობენ, წლების წინ დაშვებული შეცდომა არ გაიმეორონ, ერთმანეთს უფრთხილდებიან და ლამის ჩვენ გადაგვყოლონ ერთმანეთს.

— რატომ? თქვენ მიმართ აგრესიას გამოხატავენ?

— უკვე დაუფარავად და ეს ყველაფერში ეტყობათ — საუბარში, ყოველდღიურ ურთიერთობაში, მეზობლებიც კი ამრებით მიყურებენ... ამას წინათ ახლობელმა აფხაზმა მითხრა, — სომეხებს რა გეღარდებათ? მარტო ერთ კონტინენტზე მილიარდს აჭარბებთ და თავს ყველგან მასპინძლებად გრძნობთ, აფხაზებმა ვიკითხოთ, 17 ათასიც კი არ ვართ დარჩენილიო... თითქოს 90-იანი წლების მოვლენებში ჩვენ ვიყავით დამნაშავე და არა მათი და ქართველების ამბიციები. დღემდე უცხოებად გვთვლიან — ეს აფხაზური ფსიქოლოგიაა. ჩემი თვალით მაქვს ნანახი, რაც მაშინ აფხაზეთში

ქნიკის ნაკადი არ წყდებოდა, აივანზე გამოსული აფხაზები ცრემლს ვერ იკავებდნენ, ყველა ერთსა და იმავეს ამბობდა, — ნეტავ, ოდესმე თუ დავადგება საშველი და მშვიდად ცხოვრებას თუ შევძლებთ?! როგორც ჩანს, ეს არ გვეღირსება. ხალხი ომის შემდგომ აფხაზეთში ცხოვრებას ძლივს შეეგუა, ახლა კი ყველაფერი თავიდან იწყება... მართალია, მშვიდად და უსაფრთხოდ არც ერთი დღე არ გაგვთენებია, ავტომატის ხმას შეჩვეულები ვიყავით, მაგრამ ახლა უკვე არ ვიცი, რა მოხდება, რუსეთი ამდენ ტანკსა და ჯავშანტრანსპორტიორს უბრალოდ არ შემოიყვანდა. სხვა თუ არაფერი,

როცა სოხუმში შემოსული, რუსული სამხედრო ტექნიკის ნაკადი არ წყდებოდა, აივანზე გამოსული აფხაზები ცრემლს ვერ იკავებდნენ

ხდებოდა და რომ დამპირდნენ, — კიდევ ერთი ომის შემდეგ უკვე სამოთხეში იცხოვრებთო, — მაინც უარს ვიტყვი...

— თქვენს აზრს აფხაზებიც იზიარებენ?

— დიას, ასეა. როცა სოხუმში შემოსული, რუსული სამხედრო ტე-

ისეთი განწყობილებაა, ზუსტად ვიცი: თუ აფხაზებმა თქვეს უარი ქართველებთან საომარი მოქმედების განახლებაზე, რუსები რაიმე მიზეზს გამოიხატავენ და აფხაზებს ამოუწყავენ... არადა, ეს ყველაფერი საკურორტო სეზონის დაწყებამდე ხდება. ტურისტების ჩამოსვლამდე

თვეზე ნაკლები დრო რჩება და კიდევაც რომ დაწყნარდეს ვითარება, აფხაზეთი ისედაც არასტაბილურ რეგიონად მიიჩნეოდა და აწი საერთოდ, ვინ გაბედავს ჩამოსვლას?! ადრეც ის ხალხი ჩამოდიოდა, ვისაც უკეთეს პირობებში დასვენების საშუალება არ ჰქონდა. გამოდის, წელს ზღვის სეზონი პრაქტიკულად, ჩავარდნილია, მაგრამ ოღონდაც ომი არ დაიწყოს, მაგას ვინ ჩივის?! ამას კი რუსეთი თავის სასარგებლოდ

დიდი ძალისხმევით შედეგად, აფხაზეთში უკვე ამოქმედებული პარტიზანული მოძრაობის წევრის პოზიციაზე შევიტყვე. როგორც მან ჩემთან ტელეფონით საუბრისას აღნიშნა, პარტიზანული მოძრაობა აფხაზეთში მანამდე დარჩება, სანამ იმ ტერიტორიას ე.წ. რუსი სამშვიდობოები არ დატოვებენ:

— პირველ რიგში, დავიწყებ იმით, რომ რამდენიც არ უნდა ამტკიცოს რუსეთმა და აფხაზეთის სეპარატის-

დაგვიჯდეს, სპეცდანიშნულების რაზმის, „ვოსტოკის“ ოფიცრებს ქართველების ნასახლარში არ ვაცხოვრებთ! ბოლომდე გვესმის საქართველოს ხელისუფლების, რომელიც ყველანაირად ცდილობს, რუსების პროვოკაციას არ წამოეგოს, მაგრამ პარტიზანული მოძრაობა არავის მიერ არ არის მართული და ვერც ვერავის შევუთანხმებთ გეგმებს... ჩვენი ხალხისა და მიწის დასაცავად, ყველაფერს გავაკეთებთ და ვერავის შევპირდები, რომ რიგითი მოქალაქეების დაწიკვებას გულგრილად ვუყურებთ... სოხუმის სოფელ შრომაში მქონდა სახლი და ახლა რომ ჩავედი, ვერ ვიცანი, ისე ჰქონდათ გადაკეთებული. ჩემი ხელით ნაფუკიდე ცეცხლი იქაურობას, რადგან მამაჩემის ნაწვალზე სახლში „ბაირამობის“ უფლებას არავის მივცემ; მე თუ ვერ ვიცხოვრე იქ, არც სხვას ვაცხოვრებ. ადრე არ მომეცა ამის გაკეთების საშუალება, თორემ იმავეს ვიზამდი...

— ადგილობრივი მოსახლეობა პანიკაშია?

— რა თქმა უნდა! ქართველებს და აფხაზებს ერთნაირად ეშინიათ. ომი ერთნაირად არ უნდათ, ქართველებსაც და აფხაზებსაც... დაბალი ზონის მოსახლეობა განსაკუთრებული წნეხის ქვეშ მყავთ: საზღვრისპირა რაიონი არისო და ცდილობენ, ქართული მხარე მოთმინებიდან გამოიყვანონ. ბალაფშმა კარგად იცის, თუ რა ძალა აქვს პარტიზანულ მოძრაობას და ნუ გაამწარებს უბრალო ხალხს, თორემ ძალიან მალე ცუდად მიუბრუნდება უკან!..

**სიცოცხლის ფასადაც რომ დაგვიჯდეს, სპეცდანიშნულების რაზმის, „ვოსტოკის“ ოფიცრებს ქართველების ნასახლარში არ ვაცხოვრებთ!**

გამოიყენებს, იტყვის, — ხომ ხედავთ, ქართველებმა სადამდე მიგიყვანეს, ჩვენ ყველანაირად ხელს გინცობთ, მაგრამ იმათ თქვენი განადგურება უნდათო. ერთი შეხედვით, მართლაც ასე ჩანს. საქართველოსა და რუსეთს შორის ვითარება ასე რომც არ გამწვავებულიყო, პარტიზანები მაინც აპირებდნენ მოძრაობის განახლებას... ერთი ქართული გამოთქმისა არ იყოს, აფხაზეთის მოსახლეობას ისე გვჭირს, საითაც გავიქეცი, იქით წავიქეციო...

— გალის რაიონში რუსი სამშვიდობოებისა და ჩეჩნების მხრიდან ძალადობის ფაქტებზე ლაპარაკობდნენ...

— მსგავსი არაფერი გამიგონია, თუმცა აუცილებლად უნდა გითხრათ, რომ თავის დროზე, ასეთი არასწორი ინფორმაციების გავრცელებამ და ტყუილით სპეკულაციამ მისცა ბიძგი 90-იანი წლების მოვლენებს. როგორც ჩანს, ქართული მხარე ახლაც აქტიურობს და ამიტომ, თუ სიმართლეს გეტყვით, ნუ გეწყინებათ, — ყველაფერში რუსეთის დადანაშაულება უსამართლობა იქნება, ქართული მხარეც კარგად სცოდავს... განა რამდენს უხდებიან იმ ჟურნალისტებს იმაში, რომ ასეთი საზიზღარი ტყუილი გაავრცელონ?! მე არც ქართველების ქომაგი ვარ და არც აფხაზების, ზუსტად ვიცი, რომ აქ ქართველების დაბრუნების შემთხვევაშიც, ორივე მხარისთვის, სომეხი ვიქნები, რომელსაც ბოლომდე არასდროს ენდობიან, მაგრამ ჩემი აზრი მაინც უნდა გითხრათ: ქართული მხარეც ბევრს აშავებს და ხშირ შემთხვევაში, თქვენი კოლეგები არაკორექტულად იქცევიან.

ტულმა ხელმძღვანელობამ, — ერთი და იგივე პოზიცია გვაქვსო, — ასე არ არის. ისინი ძალიან ბევრ მნიშვნელოვან საკითხში ვერ თანხმდებიან. მოსკოვს უნდა, ქართველების ნასახლარები უსასყიდლოდ გადასცეს ჩეჩნებსა და კაზაკებს, რასაც აფხაზები აპროტესტებენ. იმიტომ კი არა, რომ ისინი ქართველების დაბრუნებას ელოდებიან, უბრალოდ, ის მათთვის შემოსავლის წყაროა, ტურისტებზე აქირავებენ და ფულს იღებენ. რუსეთს ვპირდებით, რომ ჩანაფიქრის სისრულში მოყვანის საშუალებას არ მივცემთ. რაც უნდა პარადოქსული იყოს, ამაში აფხაზების მხარდაჭერაც გვაქვს. სიცოცხლის ფასადაც რომ

**ქალაქოსკოვი**

**ჯორჯ ბუზის თაყვანისმცემლის ჯანმრთელობას ფსიქიატრები შეისწავლიან**

რამდენიმე თვის წინ, 63 წლის ბრიტანელი მორის კირკი, მეორე მსოფლიო ომისდროინდელი თვითმფრინავით მსოფლიოს გარშემო მოგზაურობის დროს, კარიბის ზღვის რაიონში იძულებით დაეშვა მიწაზე და შემდეგ, ამერიკის სანაპირო დაცვამ უპატირონა. რამდენიმე დღის წინ კი, კირკი ასევე საკუთარი თვითმფრინავით, ჯორჯ ბუზის რანჩოს მახლობლად დაეშვა და გეზი რანჩოს ალაყაფისკენ აიღო, რათა პრეზიდენტისთვის მადლობის წერილი გადაეცა. გულისხმიერი მოგზაური პოლიციელებმა დააკავეს, რომლებმაც იფიქრეს, რომ ის მთვრალი იყო. მამაცი პილოტის მუუღლე განმარტავს, რომ მის ქმარს ართრიტის გამო სწორ ხაზზე სიარული არ შეუძლია. მოგვიანებით ჩატარებულმა ტესტებმა დაადასტურა, რომ კირკი სრულად ფხიზელი იყო. პილოტი უახლოეს საავადმყოფოში მოათავსეს. ფსიქიატრიული გამოკვლევის დასრულების შემდეგ, კირკს ცენტრალური სადაზვერუო სამმართველოსა და გამოძიების ფედერალური ბიუროს თანამშრომლებთან გასაუბრება მოუწევს...





ღეა ცუხერიძე

ინგა, ფაქტია, რომ რესპონდენტებს საკმაოდ თამამ კითხვებს უსვამთ ხოლმე. ამას წინათ, დავით ბაქრაძეს პასუხისმგებლობის თაობაზე ჰკითხეთ. მოდი, ჩვენც პასუხისმგებლობაზე ვისაუბროთ — ამ შემთხვევაში, ჟურნალისტის პასუხისმგებლობაზე...

პასუხისმგებლობა გამოცდილებაასთან და წლებთან ერთად მოდის. უფრო სწორად, წლებს პასუხისმგებლობის გაცნობიერება მოაქვს. როდესაც კარიერას ვინწყებდი, მაშინ ამაზე მეტად, სიახლის სურვილით, პოპულარობისკენ სწრაფვით ვიყავი შეპყრობილი. წლები გავიდა და ახლა, როდესაც კითხვას ვსვამ, დარწმუნებული უნდა ვიყო, რომ ფაქტები არ მეშლება. თამამ კითხვებს სვამთო, მეუბნებით, მაგრამ ჩემი კარიერის დასაწყისში კიდევ უფრო თამამი ვიყავი და არ ვერიდებოდი

# „მიღირს ჩემი თავი იხად, რომ გემოდეს გულადი ხელფასი“

მას განსაკუთრებული წარდგენა არ სჭირდება, რადგან მისი სახელისა და გვარის წარმოთქმა გულგრილს არავის ტოვებს. ის, როგორც ჟურნალისტი, გამუდმებით პოლიტიკურ ბატალიებშია ჩაბმული და სშირად იშველიებს სიტყვებს: ხალხს აინტერესებს, ხალხს აქვს კითხვა! მის მიერ ბოლო დროს დასმული კითხვებიდან ყველაზე მწვავე მაინც, ალბათ ეს იყო: როგორ ფიქრობთ — იქნება ომი?..

## იალიში, რომელიც ინგა გრიგორიას პირდაპირ ეთარგი მოუვიდა

ქალბატონმა ხათუნამ ხომ თავად მიმითითა!.. არავისზე არ გადამაქვს ჩემი წილი პასუხისმგებლობა, მაგრამ მაინც მინდა ვთქვა, რომ ამ გადაცემას მართო ინგა გრიგორია არ ამზადებს. ამ შემთხვევაში, ის ადამიანები შეცდნენ, რომლებიც ჩვენთან პრესის ანალიზს აკეთებენ. მაგრამ როდესაც ინტერვიუ მიგყავს და ეკრანზე ჩანხარ, ეს იმას ნიშნავს, რომ მთელ პასუხისმგებლობას საკუთარ თავზე იღებ. მეერ, როგორც იქნა, გამოვძვერი სიტუაციიდან... საერთოდ, ვცდილობ, კატეგორიული ფორმით არაფერი ვთქვა... ხშირად მადანაშაულებენ იმაში, რომ ვილაცის მხარეს ვარ, მაგრამ ეს ასე არ არის, რადგან გადაცემის მსვლელობისას ვცდილობ, არავის მხარეს არ ვიყო. ისე კი, პიროვნული სიმპათიები ამა თუ იმ ადამიანის მიმართ ნებისმიერს შეიძლება ჰქონდეს, მათ შორის — ჟურნალისტსაც. იმასაც გეტყვით, რომ ხელისუფლებაშიც არიან ისეთი ადამიანები, რომლებსაც პატივს ვცემ, და ოპოზიციაშიც. გადაცემაში ვცდილობ, ზომიერების ზღვარი არ გადავ-

დავიცვა. ამას წინათ, რამაზ საყვარელიძემ იგივე მირჩია: შეეცადე, გულგრილად, ცოტა ღიმილითა და იუმორით უყურო პრობლემებს, თორემ პოლიტიკას გადაჰყვებიო.

როგორ ატყობთ — გამოგდით, რაც გინდათ, ზომიერების ზღვარს არ სცილდებით?

იმისთვის, რომ გადაცემა გადარჩეს, მაყურებელიც არ დაკარგო და პარალელურად, არც ერთმა მხარემ არ მისცეს თავს უფლება, დაგადანაშაულოს მიკერძოებაში, მაქსიმალურად განონასწორებული უნდა იყო. როგორც აღვნიშნე, ამას ვცდილობ. ცოტა ხნის წინ, ბაზარში ერთმა ქალბატონმა მკითხა: ძალიან მაინტერესებს, ვისკენ ხარ და არჩევნებში ვის უწინასწარმეტყველებ გამარჯვებასო?.. გამიხარდა. თუ ეს კითხვა გაჩნდა, ესე იგი, გამომდის!..

პასუხისმგებლობა, მცირე დოზით, არ მინდა, ვთქვა — შიშმითქ, მაგრამ ლელვის მომენტს ნამდვილად შეიცავს. გაქვთ ეს განცდა, როდესაც სტუდიაში შედინართ, თუ გადაცემა თქვენთვის, ჩვეულებრივ მოვლენად იქცა?

ყოველ ახალ პროექტზე მუშაობისას, ნერვიულობით ვკვდები. მახსოვს, ერთხელ გიორგი თარგამაძეს ვუთხარი: ნეტავ, რამდენი ხანი უნდა ვიმუშაო ტელევიზიაში, რომ გადაცემის დაწყების წინ აღარ ვინერვიულომეთქი?.. გიორგიმ მიპასუხა: შენი საქმე ცუდად მაშინ იქნება, როცა აღარ ინერვიულებო... რა თქმა უნდა, ვნერვიულობ — როგორი გამოვა გადაცემა, როგორ მოვახერხებ მის გაძლოლას, როგორ მიიღებს მას მაყურებელი?.. ჟურნალისტობა ჩემთვის, ყველაზე ძვირფასი პროფესიაა. ბევრჯერ მქონდა საშუალება, უფრო კომფორტულ, მშვიდ სამსახურში გადავსულიყავი, მაგრამ ეს ვერ შევქელი. თუ რაიმე სხვა მიზეზის (ჯანმრთელობის ან პოლიტიკური სიტუაციის) გამო არ მომიხდა ტელევიზიის დატოვება, მას ჩემი ნებით არ დავტოვებ...  
რაც არ უნდა ვთქვათ, ფაქტია, რომ თქვენს გადაცემას მაყურებელი არასდროს აკლია.

## ბაზარში ერთმა ქალბატონმა მკითხა: ძალიან მაინტერესებს, ვისკენ ხარ და არჩევნებში ვის უწინასწარმეტყველებ გამარჯვებასო?..

ისეთი კითხვის დასმასაც კი, რომლის მართებულობაზეც თავად, სანახევროდ ვიყავი დარწმუნებული. სხვათა შორის, ამას წინათ, დიდი იაღლიში მომივიდა, როდესაც სტუდიაში „ნაციონალების“ მთელი გუნდი მყავდა მოწვეული. მეგონა, რომ ხათუნა ოჩიაურის საგაზეთო ინტერვიუდან ამონარიდს ვკითხულობდი. გაირკვა, რომ რაც მე წავიკითხე, ის მისი მამის — გოგი ოჩიაურის ინტერვიუს ნაწყვეტი იყო... გულახდლილად შემიძლია გითხრათ, რომ ასე დიდი ხანია, აღარ მინერვიულია ჩემს შეცდომაზე, პირდაპირ ეთერში,

ლახო. ეს ჩემი პასუხისმგებლობაა. კიდევ დიდხანს მინდა დავრჩე ჟურნალისტიკაში და თუ ამ პასუხისმგებლობის გრძნობას დავკარგავ, ამ შანსსაც ავტომატურად დავკარგავ... ეკრანიდან ნათქვამი ნებისმიერი ფრაზა ყოველთვის ინვევს ამა თუ იმ მხარის პროტესტს. ამიტომ, მიზნად დავისახე, მაქსიმალურად მშრალად და „დანურულად“ გამოვხატო ჩემი პოზიცია. პირდაპირ ვიტყვი: როდესაც მათ („ოპოზიციასაც“ და ოპოზიციასაც) რაღაც არ მოსწონთ, ორივეს ერთნაირი ისტერიკა ემართება. მე ამისგან ჩემი გადაცემა უნდა

— კი, მაგრამ ეს მაინც არ ნიშნავს იმას, რომ მე ყველას ვუყვარვარ. ვიცი, რომ ყველას არ შეიძლება უყვარდე... თავმდაბლობა რომ გვერდზე გადავდოთ, არ მისხენდება გადაცემა — დანყებული „ღამის მოამბიდან“ დღემდე, — რომელსაც მაღალი რეიტინგი არ ჰქონდა. ამას უკავშირდება ხოლმე, მითქმა-მოთქმის საგნად ქცეული ჩემი ხელფასიც, რომლის შესახებაც ხშირად მითურ ამბებს ჰყვებიან.

— **მითები თქვენი ხელფასის შესახებ მეც არაერთხელ მსმენია... ბუნებრივია, კითხვას ხელფასის შესახებ არ დაგისვამთ, მაგრამ რადგანაც ამაზე თავად ჩამოაგდეთ სიტყვა, როგორც ჩანს, ეს თემა შემანუხებელი გახდა თქვენთვის.**

— დასამალი ნამდვილად არ არის, რომ ამ წლების განმავლობაში ყოველთვის მიქმნიდნენ კომფორტს, ყოველთვის მქონდა ძალიან მაღალი სახელფასო შემოთავაზებები. ეს ბუნებრივია, რადგან ჩემი გადაცემები რეიტინგებში მუდამ ლიდერობდა. როდესაც ჩემს პასუხისმგებლობაზე ლაპარაკი, მე ამ შემთხვევაში, იმ კომპანიის პასუხისმგებლობაზე ვლაპარაკობ, რომელშიც ვმუშაობ. მე მილირს ჩემი თავი იმად, რომ მქონდეს მაღალი ანაზღაურება! თუმცა, ეს მითური ციფრები და ხელფასის შესახებ გავრცელებული ლეგენდები, რა თქმა უნდა, გაზვიადებულია. მასსოვს, როდესაც ბინა ვიყიდე კრედიტით, მაშინ თქვეს, რომ ის ბადრი პატარკაციშვილმა მაჩუქა. როდესაც პირველად კარგი ავტომანქანა შევიძინე, მაშინაც იმავე ჭორს მოგვარი ყური. არადა, ამ ქონების შეძენის საშუალება ჩემმა კარგმა ხელფასმა მომცა... ყოველთვის ვიყავი და ვარ ჭორების ობიექტი, მაგრამ როდესაც შენზე ლაპარაკობენ, ცუდი არ არის — ეს ხომ რეკლამაა?! საერ-



ყოველთვის მიქმნიდნენ კომფორტს, ყოველთვის მქონდა ძალიან მაღალი სახელფასო შემოთავაზებები

თოდ, ვისურვებდი, რომ საქართველოში, ბოლოს და ბოლოს, მართლაც დაფასდეს შრომა და ჩვენი ხელფასები განუვლი შრომის ადეკვატური იყოს.

**პოლიტიკოსები სწორად, თვალში ნაცარს გვაყრიან. ალბათ, გქონათ შემთხვევა, როდესაც რესპონდენტი გასაოცარ ტყუილს ამბობდა და ცდილობდა, ამაში თქვენც დაეჯერებინათ.**

— როგორ არა! ყოფილა შემთხვევა, როდესაც წინა სალამოს ამ რესპონდენტს, ჩემთან კერძო საუბრისას, სხვა რაღაც ულაპარაკო და კამერების წინ — სხვა. მქონია ასეთი შემთხვევა: ვიცი, რომ ძალიან კარგი ადამიანია, მაგრამ ნადირალას როლს თამაშობს...

— **საქართველოში პოლიტიკას ძირითადად, მამაკაცები ქმნიან. ხოლო ნინო ბურჯანაძის გადანყევტილებების შემდეგ გამოიღის, რომ პოლიტიკური ასპარეზი თითქმის მთლიანად მათ ეკუთვნის...**

— უფრო ძლიერი პიროვნება მეგონა ნინო ბურჯანაძე. ჩემთვის ის ყოველთვის გამორჩეული პოლიტიკური ფიგურა იყო. ის არ ჰგავდა ქალებს, რომლებიც პატარ-პატარა წარმატებების გამო კაპასდებიან და ამბიციურები ხდებიან. ნინო ბურჯანაძე არასდროს ყოფილა მათი ნადირაძის მსგავსი პოლიტიკოსი, რომლის მიმართაც, ჩემი გამოკვეთილი დამოკიდებულება მაქვს: ქალბატონი მათი ძალიან კარგი პოლიტიკოსი იყო უმრავლესობაში მოსვლაზე, მაგრამ იქ მისვლის შემდეგ დაიწყო მისი ცინიკური გამოსვლები. ცოტა აგრესიული და აგდებული დამოკიდებულება გაუჩნდა ჟურნალისტების მიმართ; ხოლო ოპოზიციის მისამართით ნათქვამმა ფრაზამ — „ხელისუფლებაში ახლა ჩვენ ვართ, რასაც გვინდა, იმას გადავკეთებთ, როცა იქნებით თქვენ, გადავკეთებთ იმას, რაც გინდათ“ — „ნაციონალური მოძრაობის“ იმიჯს სერიოზული ზიანი მიაყენა. არადა, მას ჰქონდა შანსი, ხალხს ჰყვარებოდა. ახლა, როცა ის საარჩევნო სიამი აღარ არის, ვერაფერს შემიძლება, რომ სუბიექტური ვარ... ნინო ბურჯანაძე კი ჩემთვის, ყოველთვის იყო და დღემდე არის სრულიად გამორჩეული პოლიტიკური ფიგურა. ვიცი, როგორ პატივს სცემენ მას საერთაშორისო ორგანიზაციები, მას აქვს ძალიან მაღალი რეიტინგი... ის ბოლო დროს, არაერთხელ იქცა სერიოზული დარტყმის ობიექტად და ხანდახან მეცოდებოდა კიდეც, იმიტომ, რომ მთელი პასუხისმგებლობა მასზე გადადიოდა. როდესაც ქალბატონმა ნინომ განცხადება გააკეთა, დაფურეკე და ვუთხარი, რომ ეს ჩემთვის მოულოდნელობა იყო და იმ სალამოს გადაცემაში მოვიწვიე. გადაცემის დაწყებამდე, მისმა პრესცენტრმა მაცნობა, რომ ის პრეზიდენტის განცხადებას ელოდებოდა. როდესაც პრეზიდენტი გამ-

ოვიდა და ცუდი არაფერი თქვა ქალბატონ ნინოზე, მაცნობეს, რომ ის გადაცემაში ვეღარ მოვიდოდა... თითქოს ცივი წყალი გადამასხეს: მინდოდა, ბურჯანაძე მოსულიყო. იმიტომ არა, რომ ეს ჩემს გადაცემას სჭირდებოდა, უბრალოდ, სურვილი მქონდა, რომ იმ სალამოს მას თავისი გადანყევტილება აეხსნა, სათქმელი ეთქვა. ყოველთვის მესმოდა მისი, რადგან ის ქვეყანაში მეორე პირი იყო... სხვათა შორის, ძალიან უხდებოდა, როდესაც პირველი პირის მოვალეობას ასრულებდა... ერთსაც გეტყვით: მეგონა, რომ მას ასეთი განცხადება შეიძლებოდა, 7 ნოემბრის შემდეგაც გაეკეთებინა... იქნებ ასეთ შემთხვევაში, მთელი ოპოზიციის ლიდერად ქცეულიყო. ახლა მისმა განცხადებამ დაბნეულობა გამოიწვია. მაგრამ ეტყობა, მას თავისი გათვლები აქვს. მიუხედავად ყველაფრისა, მინდა, ქალბატონ ნინოს წარმატებები ვუსურვო...

— **არჩევნებამდე ძალიან მცირედროა დარჩენილი. რას უნდა ელოდეს „პრაიმტიმის“ ეთერის მაყურებელი არჩევნებამდე და არჩევნების შემდეგ?**

— ხუთშაბათს ანუ იმ დღეს, როდესაც თქვენი ჟურნალი გამოვა, ბოლო წინასაარჩევნო პარტიული პრეზენტაცია მექნება. „საზოგადოებრივი მაუწყებლისგან“ განსხვავებით, ვალდებული არ ვართ, ყველა მოვიწვიოთ, მაგრამ მეტ-ნაკლებად ძლიერ პოლიტიკურ ორგანიზაციებს მაინც მინდა მივცე ტელევიზიით გამოსვლის შანსი. შემდეგ მექნება ორი გადაცემა, სამ-სამი ბლოკით, და დეპუტები დარბაზის გარეშე. ბოლო გადაცემა მთლიანად ლიდერებს დაეთმობათ. გაკვეთდება პროგრამები. ამას ვგეგმავთ, მაგრამ რა იქნება 22 მაისიდან, — ეს უკვე აღარ ვიცი...

— **ხალხს აინტერესებს, ხალხი პასუხს ელის... როგორ ფიქრობთ, რა უნდა და რა აინტერესებს ხალხს რეალურად? ნუთუ მხოლოდ პოლიტიკური ბატალიები, რომელსაც ასე ყურადღებით ადევნებს თვალყურს? იქნებ ხალხს მხოლოდ სიმშვიდე უნდა?**

— მოდი, შევთანხმდეთ იმაზე, რომ ჩვენს ხალხს პოლიტიკა უყვარს. თუმცა ნებისმიერ ადამიანს ამ საკითხისადმი თავისებური მიდგომა და მოთხოვნები აქვს. ნებისმიერი ყველაფერს საკუთარი სოციალური მდგომარეობის პოზიციიდან უყურებს...

— **როცა აცხადებენ, რომ ნოემბერში ხალხი ქუჩაში სოციალური პრობლემების გამო არ გამოსულა, ეს ჩემთვის გასაგებია, მაგრამ მაინტერესებს, ასეც რომ იყოს, ეს სორცხილია? სოციალური პრობლემები, მლელვარებისთვის უმნიშვნელო მიზეზია?**

გაგრძელება იხ. გვ. 18



ლალი შაცია

ქართლისტი — ხათუნა ქორღანია  
რესპონდენტები — ზურა ხაჩიძე

— ზურა, ვიცი, ყველას: შენს ახლობელს, გულშემოტიკივარს, მომხრესა თუ მონინალმდევგეს, აინტერესებს, რატომ გადაწყვიტე პოლიტიკაში გადაბარება?

— მე ხელოვანი ვარ... წლების მანძილზე, ჩემი სიმღერით მოკრძალებული წვლილი შემქონდა სფეროში, რომელსაც შოუბიზნესი ჰქვია. მსმენელი, რომელიც მე მისმენდა, ჩემი ხალხია! მუდმივად ხალხთან ვიდექი და კვლავაც ვიქნები იქ, სადაც ჩემი ხალხი იქნება. როდესაც გაერთიანებულმა ოპოზიციამ შემომთავაზა, მაჟორიტარ დეპუტატად კენჭი ჩემს მშობლიურ ბორჯომში მეყარა და ვყოფილიყავი მათი მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატი, დავფიქრდი და ცივი გონებით მივიღე გადაწყვეტილება: როდესაც მეძლევა შანსი, გამოვადგე ჩემს ქვეყანას, კერძოდ კი ჩემს მშობლიურ ბორჯომს, სადაც დავიბადე და გავიზარდე, სადაც უამრავი ჩემი საყვარელი ადამიანი ცხოვრობს — რატომაც არა?

— როგორ ფიქრობ, ადვილია შოუბიზნესიდან პოლიტიკაში გადანაცვლება?

— შოუბიზნესიდან ჩემი პოლიტიკაში გადაბარება, არ არის განსაკუთრებული შემთხვევა. მიმაჩნია, რომ პოლიტიკაში კი არ მივდივარ, არამედ აქტიურად ვებმები ჩემი ქვეყნისა და ხალხის სამსახურში, რაც ფიქრობ, თითოეული ქართველის ვალია.

— საკმარისი დრო გქონდა, შესვენდროდი და გასაუბრებოდი ხალხს. ძირითადად, რა სახის პრობლემები გხვდება?

ზურა ხაჩიძე ლაუბათობას

მას გაერთიანებულმა ოპოზიციამ შესთავაზა, კენჭი ბორჯომის მაჟორიტარ დეპუტატად ეყარა. ის შეთავაზებას გარკვეული ფიქრისა და ყველაფრის კარგად ანონდანონის შემდეგ დათანხმდა. თქვა: ბორჯომის მკვიდრს, ვითომ რატომ არ უნდა მქონდეს იმის სურვილი, თანაქალაქელებს ვემსახურო?! — და წინასაარჩევნო მარათონში ჩაერთო... ცოტა ხნის წინ, ოჯახით ბორჯომში გადასახლდა და აქტიურ წინასაარჩევნო კამპანიას შეუერთდა. ლაბარაკი ჯგუფ „ქუჩის ბიჭების“ ლიდერ, ზურა ხაჩიძეზე, რომელმაც შოუბიზნესიდან პოლიტიკურ სარბიელზე გადაბარება განიზრახა. თუმცა დღეს ასეთი ნაბიჯი ხელოვნების სფეროს წარმომადგენლებთან უკვე სიახლე აღარ არის — შოუბიზნესისა თუ თეატრის ცნობილი სახეები მასობრივად იმ სფეროსკენ დაიძრნენ, რასაც პოლიტიკა ჰქვია, ვინაიდან მიაჩნიათ, რომ ჩვენს სინამდვილეში ხელოვნებას გასაქანი მაინცდამაინც აღარ აქვს... ამჯერად „ქართლისტის როლი“ ერთმანეთს სწორედ ზურა ხაჩიძე და მისი მეუღლე ხათუნა ქორღანია შეახვედრეთ, სადაც მკითხველისთვის რამდენიმე საინტერესო შეკითხვაც თავადვე დასვებს და რუბრიკის სპეციფიკიდან გამომდინარე, თავადვე უპასუხებს.



და ზორჯომში გადასახლას გეგმავს

— პირველ რიგში, ეს არის — შელახული ღირსება, უსამართლობის განცდა, უმუშევრობა... შეიძლება XXI საუკუნეში ადამიანებს არ ჰქონდეთ გაზი, წყალი, შეშა — სახლის გასათბობად?! პრობლემათა ნუსხაში ერთ-ერთი ყველაზე დიდი პრობლემა — მინებია, რომელიც მოსახლეობას ეკუთვნის და მთავრობა მათ არ უკანონებს...

— რას გაუკეთებ გამარჯვების შემთხვევაში ბორჯომის რაიონს?

— ადამიანებს სწამდვით ვერ შევპირდები, რომ ოქროს კოშკებს ავუშენებ. ვაპირებ ვიყო, მაჟორიტარი დეპუტატი, რომელიც ცხრაკლიტულში არ გამოიკეტება. ვიძლევი პირობას, რომ იმ თანხიდან, რომელიც გამოყოფილი იქნება ბორჯომის რაიონზე, თითოეული თეთრი მიზნობრივად მიაღწევს ყველა იმ სოფლამდე და ყველა იმ ადამიანამდე, ვისაც ეს თანხა

ეკუთვნის. რაც მთავარია, ვიქნები ძლიერი და საყრდენი ხიდი მოსახლეობასა და მთავრობას შორის. ვაპირებ, შემოვიკრიბო ყველა ის პროფესიონალი, განურჩევლად ასაკისა, ჩემი თუ სხვისი მომხრეებისა, რომლებთან ერთადაც დავიწყებ ყველა სიძნელესთან შერკინებას.

— გამარჯვების როგორი შანსები გაქვს?

— დარწმუნებულ ვარ, რომ უფლის შეწევნის გარეშე არაფერი ხდება; ისიც ვიცი, რომ ძალიან ბევრი უნდა ვიშრომო. ვგრძნობ ჩემში დიდ ძალასა და ენერჯიას, ასევე — ჩემ მიმართ მოსახლეობის დიდ სიყვარულსაც. ამიტომ, ღვთის ნებით, გამარჯვების ძალიან დიდი იმედი მაქვს.

— პირველი, რასაც გამარჯვების შემთხვევაში გააკეთებ...

— ხელახლა მოვივლი ბორჯომის რაიონის კუთხე-კუწჭულებს, მადლობას გადავუხდი ყველას ნდობის გამოცხადებისთვის და ვეტყვი, რომ ამიერიდან, ჩვენ ერთი ოჯახი ვართ!.. ყველას ექნება საშუალება, ნებისმიერ დროს დამიკავშირდეს და ოჯახში მესტუმროს.

— მეგონა, თბილისში დაბრუნებას აპირებდი, და შენ თურმე აქ აპირებ დარჩენას...



დაბრუნებას კი არა, მთელი ოჯახით აქეთ გადმოსახლებას ვაპირებ და ის დროა, ამას შეეგუო

— დაბრუნებას კი არა, მთელი ოჯახით აქეთ გადმოსახლებას ვაპირებ და ის დროა, ამას შეეგუო.

**— და ბოლოს, რას ეტყვი ბორჯომის მოსახლეობას?**

— ლუკას „სახარებაში“ წერია: „არაფერია დაფარული, რომელიც არა გაცხადდეს, და იდუმალი, რომელიც არ შეიცნოს“... ყველას მოუსმინეთ, დაფიქრდით და ისე გააკეთეთ არჩევანი. თუ კი მომცემენ შანსს, რომ გავხდეთ დეპუტატი, მზად ვარ, ჩავდგე ხალხის სამსახურში და ბოლომდე დავიხარჯო, რათა ჩემი მშობლიური რაიონი, რომელსაც ამხელა შესაძლებლობები აქვს, ერთხელ და სამუდამოდ წელში გამართული ვიხილოთ, ხალხი კი — გალალეული და მოღიმარი.

**ქართლისტი — გურა ხაჩიძე რესპონდენტი — ხათუნა ქორღანი**

**— ხათუნა, მითხარო, რატომ შეგეშინდა, როდესაც ჩემი გადამწყვეტილების შესახებ გაცნობე?**

— იმიტომ, რომ დარწმუნებული ვიყავი და ვარ, რომ ხელს შეგიშლიან, თანაბარ პირობებში აწარმოო წინასაარჩევნო კამპანია. რატომღაც მგონია, რომ შენი გადამწყვეტილებით, საფრთხეს უქმნი საკუთარ თავსა და შენს ოჯახს. ამასთან, არჩევნების გაყალბების საშიშროებაც არსებობს. ვფიქრობ, ხალხს დააშინებენ და მოსახლეობაზე ზეწოლას მოახდენენ. ამ ყველაფერს მე უკვე ვგრძნობ. და ბოლოს, გამარჯვების შემთხვევაში, შენს მხრებზე ძალიან დიდი პასუხისმგებლობის აღება მოგიწევს.

**— გიჭირს ბორჯომში ცხოვრება?**

— არა, მაგრამ აქ ბავშვების გარეშე ყოფნა კი ნამდვილად მიჭირს. რაც ანასტასია ჩამოვიყვანე, ცოტა შემიმსუბუქდა მდგომარეობა. თუმცა ნინის გარეშე მაინც ძალიან მიჭირს...

**— რა მოგნონს და რა არ მოგნონს ბორჯომში?**

— მომწონს ადამიანები, რომლებიც ერთგულად გვერდში გიდგანან. მომწონს ბუნება, აქ იმდენი ლამაზი ადგილი ვნახე, რომელსაც ალბათ, ვერასდროს ვნახავდი. მომწონს, რომ ეკლესიას ძალიან დიდი მრევლი ჰყავს, რაც მეუფე სერაფიმეს დიდი დამსახურებაა. მომწონს ადამიანების გულწრფელობა და პირდაპირობა... მოკლედ, ბევრი რამ მომწონს... ახლა გეტყვი, რა არ მომწონს: —

ის, რომ ხალხს აშინებენ და ატერორებენ; ის, რომ ხალხი ძალიან გაჭირვებულია; ის, რომ ბორჯომში ამდენი შეურაცხყოფილი ადამიანი მხვდება...

**— რალაც, ვატყობ, რომ ბორჯომის ჰაერი შენ უფრო მოგიხდა, ვიდრე ჩვენს შვილს.**

— მართალი ხარ. მადას არ ვუჩივი. თუ დიდხანს დავრჩით ბორჯომში, შეიძლება, ისე მოვიმატო, რომ მანქანაში ვეღარ ჩამტო (იცინის).

**— ანასტასია თბილისიდან კარგად მომზადებული ჩამოვიყვანია...**

— კი, ნინიმ კარგად შეასწავლა, როგორ უნდა მოგესმაროს... დადის ბორჯომის ქუჩებში, გულზე სამკერდე ნიშანი უკეთია, რომელსაც „გაერთიანებული ოპოზიცია“ აწერია და მთელ ხმაზე მღერის: „ჩემი მამიკო ზულა, ყველაზე მაგალიააა!“ მეტი რა გინდა, მთელი ოჯახი ვმუშაობთ შენს გამარჯვებაზე...



თუ კი მომცემენ შანსს, რომ გავხდეთ დეპუტატი, მზად ვარ, ჩავდგე ხალხის სამსახურში

**— როგორ ეგუები იმას, რომ ამიერიდან ბორჯომში მომიწევს სწორად ყოფნა?**

— როდესაც ცოლად მოგყვებოდი, დამლაღე იმის ლაპარაკით, ბორჯომელი ვარო; სულ ამას გაიძახოდი. ასე რომ, უკვე დიდი ხნის წინ შევეგუე იმას, რომ „ბორჯომ-თბილისის ტრასაზე ვიქნებოდი გადებული“... სანამ ერთმანეთს გხვდებოდით, ღამით ჩამოგყავდი ხოლმე აქ, გინდა თუ არა, ბორჯომის ჰაერი ჩაისუნთქე, ნახე, აქ რა სხვანაირი ჰაერიაო... დიდხანს გიყი მეგონე, მერე კი მივხვდი, ისე გიყვარდა აქაურობა, რომ ცდილობდი, ჩემთვისაც შეგეყვარებინა ბორჯომი. ასე რომ, ყველაფრისთვის მზად ვარ, რადგანაც ვიცი, როგორ გულით გინდა, სიკეთე გაუკეთო შენს რაიონს.

**— ბოლოს, რას მეტყვი მე და რას ეტყვი ყველა ჩემს მომხრესა თუ მოწინააღმდეგეს?**

— პირადად შენ, გისურვებ ღვთის წყალობასა და გამარჯვებას! ხოლო ყველა იმ ადამიანს, ვინც ამ ინტერვიუს ნაიკითხავს, ვუსურვებ სიკეთეს და კეთილდღეობას... არჩევნებზე კი საარჩევნო ყუთთან რომ მივლენ, კარგად დაფიქრდნენ და სწორი არჩევანი გააკეთონ: ისევ ასე ურჩევნიათ ცხოვრება, თუ უნდათ, ოდესმე რაიმე შეიცვალოს მათი და მათი შვილების საკეთილდღეობა...

**ნიკა არაბიძე, შოუმენი:**

— „გზის“ #17-ში ჩემ მიერ გამოთქმულ მოსახრებას თქვენს ჟურნალზე, რომლის აქტიური მკითხველიც გახლავართ, თურმე გაულიხიანებია „გზავნილების“ მგზავნელები და ჩემ მიმართ პრეტენზიაც გამოუთქვამთ. არადა, მე მათთვის შეურაცხყოფა არ მიმიყენებია. ვისაც სურვილი აქვს, იკითხოს მესიკები... უბრალოდ, ის აღვნიშნე, რომ მე არ ვკითხულობ და ეს სფერო არ მიზიდავს-მეთქი. მგონი, ნებისმიერ ადამიანს აქვს საკუთარი აზრის გამოთქმის უფლება. ისე, უმჯობესი იქნებოდა, მათთვის, ვინც ჩემი ნათქვამით ძალიან გაღიზიანდა, პასუხი არა საჯაროდ, არამედ პირადად გამეცა, მაგრამ რაკი თქვენ ასე ინებეთ, იყოს ასე... თუმცა, დრო რომ მქონოდა, შეიძლება, მეც კი გამეზავნა ჟურნალში მესიკები და მერე მათი კითხვაც შემყვარებოდა... ჯერჯერობით მესიკებითა და წერილებით არავინ გამიცნია. ვნახოთ, ეტყოფა, ყველაფერი წინ მაქვს: აგვისტოში სამსახურისგან თავისუფალი ვარ და შეიძლება, კი მოვსინჯო ეს საქმე, მაგრამ იმნაირი ბედი მაქვს, რავარც კი გავიცნობ ვინმეს, ზუსტად ვიცი — გოგო კი არა, ბიჭი აღმოჩნდება...



# „პრაქტიკულად მოაზროვნე პოლიტიკოსი უფრო მომავლისკენ იყურება“ ...

კარს მომდგარმა საპარლამენტო არჩევნებმა ხალხსაც ბევრი საზრუნავი გაუჩინა და თავად, დეპუტატობის კანდიდატებსაც. წინასწარჩევნო პერიოდი სწორედ ის დროა, როდესაც მომავალი პარლამენტარები მუდმივად სვდებიან საზოგადოებას და თავ-თავიანთი პროგრამების პრეზენტაციას ახდენენ. სწორედ ასეთ შესვენებებს შორის შუალედში მოვახერხე ყოფილი დიპლომატის, ან უკვე დეპუტატობის კანდიდატ ლაშა ჭვანთაძის ინტერვიუს ჩანერა. როგორც ცნობილია, ისრაელში საქართველოს ყოფილი ელჩი, ჩუღურეთის რაიონში, როგორც „ნაციონალური მოძრაობის“ წარმომადგენელი, მაჟორიტარობის კანდიდატი იყრის კენჭს. ბატონ ლაშას მიაჩნია, რომ მისი პროგრამა უფრო საინტერესოა, ვიდრე მისი ოპონენტების...

## მორენა ჭვანთაძე

— თუ თქვენ შეგიძლიათ წარმოგიდგინოთ ოპოზიციური პარტიის კანდიდატი, რომელსაც კარგად ჩამოყალიბებული პროექტი აქვს, მაშინ მეც მივესალმები მას. მაგრამ სამწუხაროდ, ასეთი რამ არ გააჩნიათ. ვერავინ სთავაზობს თავის ამომრჩევლს ისეთ საინტერესო პროგრამას, როგორც მე წარმოვუდგინე საზოგადოებას. ვფიქრობ, ბევრი რამის გაკეთება შემიძლია ჩუღურეთის რაიონში, გასაკეთებელი კი ნამდვილად ბევრია. რომ არაფერი ვთქვათ უმუშევრობასა და იმ სოციალურ პრობლემებზე, რომელიც ჩვენდა სამწუხაროდ, ჯერ ისევ წინა პლანზე რჩება ჩვენს ქვეყანაში, პრობლემატურია თუნდაც ამდენი ამორტივებული სახლი, დანგრეული ქუჩები და სხვა მრავალი. ამ პრობლემების გადაჭრის სხევეზე უკეთესი გზა შემოიძლია შევთავაზო ჩემს ამომრჩევლს. გარდა ამისა, პროექტი, რომელიც მე წარმოვადგინე, უკვე კარგად ამოპირებულია ისრაელში და ვიცი, რომ ნამდვილად გაამართლებს.

### — იქნებ უფრო დანერგვით გამართვით პროექტის არს?

— ის ითვალისწინებს უცხოელი ინვესტორების მოზიდვას ჩვენს ქვეყანაში, რაც რეალურად და საზოგადოებისთვის სასარგებლო პირობებით უნდა მოხდეს. სხვათა შორის, თავის დროზე მსგავსი პროექტის გატარებით, ისრაელში დაახლოებით 3 მილიონი ადამიანი დასაქმდა. ახლაც, როდესაც ვლადიმერ პუტინის მოზიდვაზე საქართველოში, ამ შემთხვევაში კი კონკრეტულად, თუნდაც ჩუღურეთის რაიონში, მიზანი მაქვს, რომ ჩემი რაიონი განახლებული ვიხილო. ძველი, ნახევრად დანგრეული ნაგებობების ადგილზე უნდა დაიწყოს ახალი სახლების მშენებლობა, რა თქმა უნდა — მოსახლეობასთან შეთანხმებით. რაც ინვესტორებთან დაკავშირებულ პროექტში ყველაზე მნიშვნელოვნად მიმაჩნია, ეს გახლავთ ის, რომ ჩვენი მოთხოვნის ან უფრო, შეთანხმების თანახმად, სამშენებლო საქმიანობაში 50% მაინც ჩუღურეთის რაიონის მცხოვრები ჩავაბათ. სოციალურ პრობლემებს შორის, ყველაზე მნიშვნელოვანი, ჩემი აზრით, სა-



მუშაო ადგილების შექმნა, რომელიც თითოეულ მოქალაქეს საშუალებას მისცემს, თავად იზრუნოს საკუთარ თავზე. საერთოდაც, მიმაჩნია, რომ უმუშევრობის პრობლემას ჩვენ ჯერ კიდევ ვერ ვაწარმოებთ მთელი სისრულით. მომავალში მისგან მიღებული შედეგები გაცილებით მძიმე იქნება, ვიდრე გვგონია. სამწუხაროდ, სოციალური თუ ფსიქოლოგიური თვალსაზრისით, ამ განსაკუთრებულად რთულ პერიოდში უწევთ ჩვენს შვილებს ცხოვრება და პიროვნებად ჩამოყალიბება, რაც წლების შემდეგ მათ ფსიქიკაზე აისახება. თუ ეს გარემო არ გამოვასწორებთ, ღმერთმა უწყის, რა შედეგებს მივიღებთ. როდესაც მშობლები იძულებული არიან, მათგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო, მხოლოდ იმაზე იფიქრონ, თუ რა აქამონ ან რა ჩააცვან მათ, ამაზე უარესი, მომავალი თაობებისთვის, აღარაფერი შეიძლება იყოს. იმ სოციალური ფონის ნიადაგზე, როდესაც მშობელს არ შეუძლია, შვილს მისცეს ის განათლება, რომელსაც მისთვის ისურვებდა, შეიძლება, მომავალი თაობების დეგრადაცია მოხდეს. ბავშვის განვითარებისთვის აუცილებელია მუდმივი აქტიურობა, სხვადასხვა სასწავლო პროცესში ჩართვა, რაც გარკვეული თანხები ჯდება. საზღვარგარეთ მეტ-ნაკლებად არსებობს ამის შესაძლებლობა და ჩვენ გვინდა, რომ ეს ჩვენშიც ხელმისაწვდომი იყოს ყველასთვის. ამიტომაც ვაკეთებთ აქცენტს დასაქმებაზე. სტაბილურ პირობებ-

ში მშობელს შეუძლია, შვილი კარგ გარემოში აღზარდოს და ასეთ შემთხვევაში, როგორც სოციალური, ასევე კულტურული ფონი კიდევ უფრო გაუმჯობესდება.

— ახალი სამუშაო ადგილების შექმნაზე საუბრობას უნდა გავიხსენოთ: „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ დაწესებულებებში ძირითადად, შემცირებები ხორციელდებოდა, თანაც ხშირად, ასაკობრივი პრინციპით...

— გეთანხმებით, რომ ეს იყო ჩვენი ერთ-ერთი შეცდომა, როდესაც წინა პლანზე ახალგაზრდების წამოწევა, თითქოს საშუალო ასაკის ადამიანები თავიდან მოვიცილეთ. შედეგმა დაგვანახვა, რომ ეს არ იყო სწორი მიდგომა, პირიქით — უფრო გამოცდილი და ასე ვთქვათ, დაღვინებული ხალხი საჭირო მთელი რიგი საკითხის გადასაჭრელად. დააკვირდით — კერძო სტრუქტურებიც კი, როდესაც ვაკანსიას აცხადებენ, აუცილებლად მიუთითებენ, რომ კანდიდატი 18-დან 35 წლამდე ასაკის უნდა იყოს და ზოგჯერ ამას მეტ მნიშვნელობას ანიჭებენ, ვიდრე პროფესიონალიზმს. რა დააშავა თუნდაც 36 წლის ადამიანი, რომელსაც შესაძლოა, სხვაზე ბევრად უკეთ შეუძლია შესარულოს მასზე დაკისრებული მოვალეობა? ამიტომ, ეს ხალხი უკან უნდა დავაბრუნოთ და სასწრაფოდ ჩავერთოთ აქტიურ საზოგადოებრივ ცხოვრებაში. სხვათა შორის, ისრაელში ჩვეთან საელჩოში ძირითადად, საშუალო ასაკის ადამიანები მუშაობდნენ.

— შეგიძლია ვიფიქროთ, რომ საზოგადოების იმ ფენას, რომელიც აქამდე, ხელისუფლებისგან მივიწყებულია გრძნობდა თავს, თქვენ გუნდის გამარჯვების შემთხვევაში, კვლავ მიეცემა საკუთარი თავის რეალიზების საშუალება. რამდენად რეალურად მიგაჩნიათ ამის შესრულება?

— კიდევ ერთხელ გიმეორებთ, რომ ჩემი გეგმები ამ საზოგადოების და მისი პრობლემების მოგვარების ზრუნვას ისახავს მიზნად, რაშიც გუნდის მხარდაჭერაც მაქვს. მე შევძლებ გავაკეთო იმის მაქსიმუმი, რისი გაკეთებაც საერთოდაა შესაძლებელი. როდესაც ხალხის დასაქმებაზე ვლადიმერ პუტინთან, გასათვალისწინებელია საპენსიო ასაკის ადამიანებიც, რომლებიც მუშაობას ვერ შეძლებენ. სამწუხაროდ, წინა მონვევის პარლამენტში, თვალსა და ხელს შუა გაიპარა კანონი გრადაციის გაუქმების თაობაზე. მე მიმაჩნია (და არა მარტო მე), რომ ეს საკითხი დღის წესრიგში დგას. უნდა მოხდეს გარკვეული პრივილეგიების აღდგენა, თანაც — გაუმჯობესებული პირობებითაც კი. აუცილებელია, პენსიების გაცემის დროს, ნამსახურობისა და დამსახურების გათვალისწინება. სერიოზული ყურადღება უნდა მიექცეს პირველი და

მეორე ჯგუფის ინვალიდებსაც, რომელთა პრივილეგიების გაუქმებაც შეცდომა გახლდათ. თითოეული მოქალაქე იმსახურებს იმას, რომ მიიღოს სახელმწიფოსგან ის, რაც ეკუთვნის. ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ფენა კი ამ მხრივ, მაინც მრავალშვილიანი ოჯახებია, რომელთაც ყველანიარად სჭირდებათ ხელშეწყობა მომავალი, ჯანსაღი თაობების გასაზრდელად.

— როგორც თქვენი საუბრიდან იკვეთება, ძირითადი აქცენტი მაინც სოციალურ პრობლემებზე გაქვთ გაკეთებული. რატომ? წინასაარჩევნოდ უფრო მომგებიანია?

— ვერ დაგეთანხმებით, რომ მარტო სოციალურ პრობლემებზეა აქცენტი და მით უმეტეს — მხოლოდ წინასაარჩევნოდ. არის უამრავი სხვა საკითხი, რომელზეც ასევე ვფიქრობ. უბრალოდ, სოციალური თემა პრიორიტეტულია. მაგრამ არანაკლებ მნიშვნელოვანია თუნდაც განათლების რეფორმა. ამ მხრივაც არის ძალიან ბევრი ლაფსუსი დაშვებული და ვერ ვიტყვი, რომ იდეალური მდგომარეობა გვაქვს. ამ სისტემაზე დამოკიდებული ჩვენი შვილების, მომავალი თაობების ცნობიერების ჩამოყალიბება. ამიტომაც, აქ ძალზე ფაქიზი მიდგომა უნდა გამოვიჩინოთ. გამოცდილ პედაგოგებთან დიალოგია საჭირო. მნიშვნელოვანია იმ ადამიანების აზრი, რომლებმაც წლები შეაღიეს მოზარდებთან ურთიერთობას და უკეთ იციან, თუ რა არის მათთვის საჭირო.

— გამოდის, რომ ხელისუფლებაში, რომელიცაა ოპოზიციის ყველაფრის საზოგადოების იგნორირებაში სდებდა ბრალს, ხალხის მოსმენა დაინკო?

— რატომ? ვერ ვიტყვი, რომ ის ამას არასოდეს აკეთებდა. ნებისმიერ საზოგადოებაში ხდება ისე, რომ ხელისუფლება შესაძლოა, უფრო ცუდ მდგომარეობაში აღმოჩნდეს, ვიდრე ოპოზიცია. ეს საერთოდ, არ არის გასაკვირი და არც მარტო ჩვენს თავს ხდება. მაგრამ საქმე ისაა, რომ ჩვენში ოპოზიციას არ გააჩნია ჩარჩოები. აქ არავითარ კონსტრუქტივიზმზე არ არის ლაპარაკი. მე არ ვამბობ, რომ ჩვენთვის თვითმიზანია — პარლამენტში მხოლოდ მმართველი პარტიის წარმომადგენლები მოხვდნენ. მოხარული ვიქნები, თუკი კონსტრუქციულ ოპოზიციასთან მექნება საქმე. მაგრამ პრაქტიკულად, მათ რაიმე მნიშვნელოვანი პოზიცია არ გააჩნიათ, გარდა იმისა, რომ ხელისუფლების შეცდომებზე გამუდმებით ილაპარაკონ. საერთოდ, წარსულში მუდმივად ქექვა და წარამარა ამაზე ლაპარაკი პოლიტოლოგის ან უსაქმური პოლიტიკოსის საქმეა. პრაქტიკულად მოაზროვნე პოლიტიკოსი უფრო მომავლისკენ იყურება. მომცეს დღევანდელმა ოპოზიციამ სერიოზული ოპონირების საფუძველი და მზად ვარ დიალოგზე. მაგრამ ისინი წინასაარჩევნოდ პრაქტიკულად, მხოლოდ ცარიელ ფურცლებს გვთავაზობენ.

— ოთხი წლის წინ, როდესაც პარლამენტის არჩევა ხდებოდა, საზოგადოებამ ნდობა გამოუცხადა „ნა-

ციონალურ მოძრაობას“. მაშინაც ის-მოდა სამუშაო ადგილების, სოციალური პრობლემების, ბიზნესის ხელშეწყობისა და სხვა საკითხების გადაჭრის დაპირებები, რომლებზეც დღეს საუბრობთ. საზოგადოების ერთი ნაწილი მიიჩნევს, რომ იმედი გაუტყრუვდა და სასიკეთოდ არაფერი შეცვლილა. ამ ფონზე, მაინც რა გაძლევთ საფუძველს იფიქროთ, რომ ხალხი კვლავ ნდობას გამოგიცხადებთ?

— საერთოდ, ნდობის საკითხი საკმაოდ რთულია, რაც გამუდმებით, სასწორზე დევს, განსაკუთრებით — ხელისუფლებასთან მიმართებაში. მხოლოდ ერთი მხარის დადანაშაულება შეცდომა იქნება. თავის მხრივ, საზოგადოებამაც შეუწყო ხელი მთელ ამ პროცესებს, ხელისუფლებაზე ხომ სწორედ ამ საზოგადოების ერთი ნაწილია. არც ოპოზიცია დგას სათანადო სიმაღლეზე. მდგომარეობის არშეცვლაში თუ გულისხმობთ იმას, რომ პენსიებმა არ მოიმატა, ხელფასები არ გაიზარდა, არ მოისპო კორუფცია, განსაკუთრებით პოლიციაში — მაშინ, ნამდვილად, ვერ დაგეთანხმებით. მართალია, ცხოვრებაც ძვირდება და გაზრდილი ხელფასებიც ვერ ეწევა სამომხმარებლო კალათას, მაგრამ სწორედ ამიტომაც გვჭირდება დრო, რომ ბოლოს და ბოლოს, ეს ყველაფერი მოვაგვაროთ. ოთხი წელი არ არის საკმარისი ყველაფრის იდეალურად მოსაგვარებლად, მაგრამ ისიც არასწორი იქნება, თუ ვიტყვით, რომ ქვეყანაში წინსვლა არ იგრძნობა და ამ ხნის განმავლობაში არაფერი შეცვლილა. გასაკუთრებელიც უამრავია. მოსახლეობას ჯერ კიდევ საკმაოდ მძიმე პირობებში უწევს ცხოვრება და როგორმე ამ მდგომარეობიდან უნდა გამოვიყვანოთ — იმ კონკრეტული წინადადებებისა და პროექტების განხორციელებით, რომლებსაც მე ვთავაზობ ჩემს ამომრჩევებს.

— წინასაარჩევნოდ, თითქოს მოდად იქცა: მმართველი პარტიის კანდიდატა უმრავლესობა სახელისუფლებო შეცდომებზე ალაპარაკდა. რა არის ეს, პოპულარული თემით მანიპულირება თუ მოვლენების რეალურად შეფასება?

— საერთოდ, შეცდომებს მხოლოდ მიცვალებულები არ უშვებენ. ამისგან დაზღვეული არავინაა. მთავარია, შეცდომა არ იყოს საბედისწერო. ადამიანი თუ მოკალი, ველარ გაცოცხლებ, თორემ სხვა ყველაფრის გამოსწორება შეიძლება. გადაიდა რაღაც ნაბიჯები, რომლებიც სხვაგვარ მიდგომას მოითხოვდა და ეს საზოგადოების რეაქციამ დაგვანახვა. ამის დანახვა და მის გამოსწორებაზე ფიქრი რომ შეგვიძლია, ჩვენი მხრიდან ვფიქრობ, პოპულიზმი კი არა, ქვეყნის კეთილდღეობისაკენ მიმართული, სწორედ რომ სერიოზული მიდგომაა. მით უმეტეს, რომ ისეთი საბედისწერო შეცდომა, რომლის გამოსწორებაც შეუძლებელი იქნება, ნამდვილად არ დაგვიშვია.

— სწორად აღნიშნავთ იმას, რომ გადებულია შენისთვის, მუდმივად გექნებათ კავშირი საზოგადოებასთან და არ იქნებით ჩაკტილი პოლიტიკოსი...

— ბევრჯერ მითქვამს და კიდევ ვიმეორებ: არ შეიძლება, იყო ჩაკტილი პოლიტიკოსი. ჩვენ ხომ ხალხის, საზოგადოების წარმომადგენლები ვართ და ფაქტობრივად, ამომრჩევლებისგან ვიღებთ გარკვეულ შეკვეთებს. ამიტომაც, აუცილებელია, მუდმივად გვექონდეს მათთან კონტაქტი. მსმენია, რომ ადრე ცოტა სხვანაირად იყო ჩუღურეთის რაიონში, რაც თავისთავად, არ არის კარგი, თუმცა ახლა ამაზე ნაკლებად ვილაპარაკებ... საერთოდ, ამომრჩევლი არჩევანს ვინმეს გარეგნობის მიხედვით კი არ აკეთებს, არც იმის გამო, რომ ვილაცას კარგი პიჯაკი აცვია და კარგი მანქანა ჰყავს. მისთვის მნიშვნელოვანია აქვს იმას, თუ რას სთავაზობენ, რას მოვლის და რამდენად აქვს თავისი კანდიდატის ნდობა. შენ თუ ამას უღალატე და საზოგადოების ინტერესები გვერდზე გადადე, — ეს უკვე დანაშაულია. ხალხთან ურთიერთობა და ამ ურთიერთობის სათანადოდ მოფრთხილება — პოლიტიკოსის პირდაპირი მოვალეობაა. ყველაფერი, რასაც ვაკეთებთ, საზოგადოების პროგრესისთვის უნდა იყოს მიმართული, სწორედ ამისთვის გვჭირდება მეზობლებთან კარგი ურთიერთობები და თუნდაც იმავე ნატოში შესვლაც...



განსაკუთრებულად რთულ პერიოდში უწევთ ჩვენს შვილებს ცხოვრება და პიროვნებად ჩამოყალიბება

# ოკუპაცია „ნაჰასია“

## რუსეთის ბალახიზიის პირველმა არხმა „ქვეყნის მტრები“ აღმოაჩინა

ცოტა ხნის წინ, რუსეთის ტელევიზიის პირველმა არხმა ჟურნალისტ ანტონ ვერნიცკის ფილმი — „ოპერაცია კავკასია“ უჩვენა, რომლის თემა, რუსეთის დანაწევრებისა და მისგან ჩეჩნეთის მოწყვეტის მიზნით უცხოური სპეცსამსახურების შეთქმულება გახლავთ. ფილმის ავტორები ირწმუნებიან, რომ საფრანგეთი მემბოხე რესპუბლიკისთვის პასპორტებს, გერმანია კი — ახალ ვალუტას ბეჭდავდა, ხოლო ამერიკა, როგორც ყოველთვის, ყველასა და ყველაფერს „დირიჟორობდა“.

ჟურნალისტი ანდრეი ბაბიციკი მიიჩნევს: „პოლიტიკური პლაკატის ჟანრში გაკეთებულ ამ ფილმში არსებითად, სამსჯელო არაფერია. რაც შეეხება რეალობასთან სიახლოვეს, — რამდენიმე დეტალი მართლაც, საკმაოდ დამაჯერე-

სამყაროს, როგორც ბოროტი განზრახვის მქონე ისეთი ძალის წარმოჩენა, რომელიც რუსეთის გაყოფას ანდა სულაც, მის საბოლოო განადგურებას ცდილობს. აქედან გამომდინარე, ჩეჩნეთი, როგორც მართლაც ერთ-ერთი ყველაზე მტკივნეული თემა, როგორც უახლესი ისტორიის ერთ-ერთი ყველაზე დრამატული სიტუაცია, მსგავსი არგუმენტების მოსაძიებლად უმდიდრეს წყაროს წარმოადგენს“.

ფილმის მთავარი გმირი, თურქეთში დაბადებულ-გაზრდილი ბერკან იაშარი, რომლის ნამდვილი სახელიც, ფილმის ავტორის აზრით, აზუბაქარია, რადიო „თავისუფლებში“ მუშაობდა, შემდეგ კი სტაჟირებაზე ამერიკაში გაემგზავრა. და — ისევ ფილმის ავტორის მტკიცებით — სწორედ იქ მიაქციეს მას ყურადღება ამერიკის სპეცსამსახურებმა.

როგორც ანდრეი ბაბიციკი გვიამბობს, ამ ადამიანს რადიო „თავისუფლების“ ყველაზე სტაჟიანი თანამშრომლებშიც კი ძლივს იხსენებენ და არც იმის ზუსტად განსაზღვრა შეუძლიათ, სტაჟიორი იყო თუ შტაბიანი თანამშრომელი. „ასე იყო თუ ისე, რადიოში ის ცოტა ხანს თანამშრომლობდა. ის, რომ ვინმე ბერკან იაშარი ერთხანს მართლაც მუშაობდა რადიო „თავისუფლებში“, ფილმის ავტორისთვის იმის უცილობელი მტკიცებულებაა, რომ ის ამერიკულ სპეცსამსახურებთანაც მჭიდროდ თანამშრომლობდა. ხოლო რადგან ამის შემდეგ სტაჟირებასაც ამერიკაში გადიოდა, საგანგებო ყურადღებაც მიაქციეს და მოგვიანებით, გადაიბირეს კიდევ. კი, მაგრამ მტკიცებულებები სადღაა? ის კი არა და, თავად ბერკანიც კი მთელი ფილმის მანძილზე, პირდაპირ ერთხელაც კი არსად ამბობს, რომ ის ამერიკული სპეცსამსახურების დავალებებს ასრულებდა.

ერთადერთი „მტკიცებულება“, ფილმის ავტორის ინტერვიუა, ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს თანამშრომელთან, რომელიც მოსკოვში ამერიკის საელჩოში 90-იანი წლების დასაწყისში მუშაობდა. ეს ადამიანი მართლაც ამბობს, რომ ჩეჩნეთში ხშირად ჩადიოდა და ჯოხარ დუდაევისკა მრავალგზის შეხვედრია. მაგრამ მისივე თქმით, „მასთან (დუდაევისკან) საუბრების შინაარსი ყოველთვის იმ ერთადერთ აზრამდე დადიოდა, რომ

დამოუკიდებლობის დეკლარაციის მიღება არ უნდა ეჩქარა, რომ მისი მხრიდან ეს წინდაუხედავი ნაბიჯი იქნებოდა და მხოლოდ ურთიერთობის გაართულებამდე და შეიძლება, ომამდეც კი მიიყვანდა“. ჯოხარ დუდაევი მის სიტყვებს ყურადღებას არ აქცევდა...

ამ განცხადების შემდეგ კი ფილმის ავტორი რატომღაც დასძინს, რომ მისი ინტერვიუერი უბრალოდ, თვალთმაქცობს და რომ ყველაფერი სრულიად საპირისპიროდ იყო. ერთი სიტყვით, თუ ფილმის ავტორს თავისი რესპონდენტების ნათქვამი არ მოსწონს, უმაღლესად, რომ ისინი უბრალოდ, ცრუობენ.

ავტორის ვერსიით, ბერკან იაშარი თურქეთის ხელისუფლებასთან კავშირებს რუსეთის წინააღმდეგ დასავლეთის შეთქმულების ანუ კავკასიაში და პირველ რიგში, ჩეჩნეთში სეპარატისტული განწყობილების გაღვივების იდეის განსახორციელებლად იყენებდა. კერძოდ, ის გროზნოს აეროპორტის გავლით, ბრილიანტების კონტრაბანდის ორგანიზებაში მონაწილეობდა, გარეული იყო იარაღის კონტრაბანდშიც და შეერთებული შტატების დახმარებით, ადგილობრივი ბაზარი ყალბი ფილმების შექმნაზეც ააგსო.

აი, რა თქვა ფილმის შესახებ თურქეთში ჩეჩენი სეპარატისტების წარმომადგენელმა მეთედ ონლუმ: „როცა ჯოხარ დუდაევი ჩეჩნეთის დამოუკიდებლობის დეკლარირებას ახდენდა, ბერკან იაშარი მათ შორის იყო, ვინც ჩვენ თურქეთში გვიჭერდა მხარს. მაგრამ მას შემდეგ, იაშარმა რუსებთან ძალზე მჭიდრო კავშირები გააბა, რასაც ეს ფილმიც ადასტურებს“.

ბაბიციკის აზრით, „საეჭვოა, ჩვეულებრივმა მაყურებელმა ფაქტების შეჯერებითა და გადამოწმებით შეინუხოს თავი. ფილმი უჩვენებს. ის მილიონობით ადამიანმა ნახა და ისიც დაიჯერა, რომ დასავლეთის სპეცსამსახურებს მხოლოდ რუსეთის დაშლა-დაქუცმაცება ელანდება; რომ ისინი ამას ადრეც აკეთებდნენ, ახლაც აკეთებენ და აშკარაა, რომ მოზავალშიც უჭკველად გააკეთებენ. დღევანდელი რუსული პროპაგანდა იმ საბჭოთა ნიმუშებით სარგებლობს, რომლებიც თავის დროზე, ასევე უხეშად ითითხნებოდა. რუსულ ჟურნალისტიკაში იყო შესანიშნავი ჟურნალისტური გამოძიებების პერიოდი, როცა გარკვეულ მესიჯებს საზოგადოებას საკმაოდ პროფესიონალურად აწვდიდნენ. იძებნებოდა და მოიპოვებოდა მტკიცებულებებიც. და თუ ჭეშმარიტება მაინც მახინჯად დგება, ეს დახვეწილად მაინც კეთდებოდა. ამ ფილმში კი მხოლოდ უროს თუ იყენებენ, რომელსაც მაყურებელს თავში მხოლოდ იმის სათქმელად უბაგუნებენ, რომ ამერიკა რუსეთს აფეთქებს“.



ბელა, მაგრამ საერთო ჯამში, ისინი მაინც, მხოლოდ იმ, აბსოლუტურად მითური კონცეფციის დასამტკიცებლად საჭირო, თითქოს რუსეთის დაყოფაში გარკვეული ქვეყნების სპეცსამსახურები მონაწილეობენ. ეს პუტინის ეპოქისთვის საკმაოდ ტიპური და სულ სხვადასხვა სფეროში გამოყენებული, შეთქმულების თეორიაა. სინამდვილეში, ფილმი რუსეთის სახელმწიფოს შერყევაში მსოფლიოს ნაწილის ფარულ მონაწილეობას ეძღვნება. ჩეჩნეთს კი ამ შემთხვევაში, მხოლოდ ერთ-ერთ არგუმენტად იყენებენ“...

ჩეჩნეთი ასე თუ ისე, დამოშინებულა. და ამიტომაც, ბოლო წლებში ტელეკრანებზე მას მხოლოდ გამარჯვების ამსახველი რეპორტაჟები და პატაკები ეძღვნება. მაშ, აქვს კი აზრი ამ მტკივნეული თემისადმი ხელახლა მიბრუნებას?

ბაბიციკი მიიჩნევს, რომ აქვს. „ნები-სმიერი ისტორიული ფაქტის გამართლება შეიძლება ისე, რომ ის ამა თუ იმ კონცეფციის სასარგებლო მტკიცებულებად იქცეს. ახლა მიღებულია გარე

მომზადა რუსულან ლეპანიძემ



— არა, სირცხვილი ნამდვილად, არ არის. ხალხს ნამდვილად, ძალიან უჭირს. დღე ისე არ გადის, რომ ვი-ლაცისთვის ჩემი საკუთარი ჯიბიდან დახმარების განწევა არ მომიხდეს. მაგრამ ნოემბრის აქციების მიზეზი ეს არ იყო. მიზეზი მხოლოდ ის გახლდათ, რომ ხელისუფლება გიემიჯნა ხალხს. ხალხმა პასუხები ვერ მიიღო შეკითხვებზე. დათო ბაქრაძე იყო იმ დღეს ჩემს გადაცემაში. ის ძალიან განონასწორებულად, თან ხალისიანად სცემდა კითხვებზე პასუხს. ხომ შეიძლებოდა, იმ კითხვებზე, რომლებსაც მათი მმართველობის მიწურულს სცემენ პასუხს, წელიწად-ნახევრის წინ ეპასუხათ?! ასე რომ ყოფილიყო, 7 ნოემბერი არ მოხდებოდა.

**— ეს მეტამორფოზაა?..**  
 — სააკაშვილის მეტამორფოზა 7 ნოემბრის შემდეგ მთავრდა. საუბრის ტონალობაც კი შეიცვალა. ინტერვიუს დროს ვეღარ ვიცანი. ერთ-ერთი რეკლამის დროს ვუთხარი კიდეც, — იუსტიციის მინისტრი და ფრაქციის თავმჯდომარე რომ იყავით, ისევ ისეთი მიშა ხართ-მეთქი... ხელისუფლებას ემნარა 7 ნოემბერი! მათ იმიჯს რა უქნა ამ დღემ? — გამცამტყვრა! ისინი ახლა ამბობენ, რომ ადამიანი შეცდომებზე სწავლობს, მაგრამ ეს მათთვის ძალიან მიიმე გამოცდილება იყო. არა ვარ სკეპტიკოსი და ვერ ვიტყვი, მაინცდამაინც, ვინმე იტყუება-მეთქი. ამბობს პრეზიდენტი, რომ რალაც შეეშალა, — ვაშუქებთ; თუ საპირისპიროს იტყვის — საპირისპიროს გამოვაცხადებთ...

**— მიშაო, — თქვით. არ გიჩნდებათ სურვილი, რომ საქართველოს პრეზიდენტი ასე მოიხსენიოთ — მისი აღმატებულება საქართველოს პრეზიდენტი?**

— იცით, მასთან საკმაოდ ახლოს ვიყავი. წლების განმავლობაში, ჩვენ ჟურნალისტებად ვიზრდებოდით, ისინი კი — პოლიტიკოსებად ყალიბდებოდნენ. ერთი თაობა ვართ. თავიდან ძალიან მიჭირდა, მაგრამ ახლა ვერაფრით მივცემ თავს უფლებას, რომ მას სახელით მივმართო, — ის ჩემი ქვეყნის პრეზიდენტი! ბატონი პრეზიდენტი და არა — მიშა.

**— წინ არჩევნები და „პრაიმტიმის“ გეგმებიც მანამდე განვირლირას ისურვებდით საარჩევნოდ?**

— მინდა ვისურვო, რომ ვინც არ უნდა გაიმარჯვოს, ამას მშვიდად შევხედეთ. ერთი რამ აშკარად ისწავლა ჩვენმა ხალხმა და პოლიტიკოსებმაც — თავზე გადავლას არავინ აღარავის აბატიებს. ასეთ პოზიციაზე უნდა იყოს ჟურნალისტიც: შენს თავს არ უნდა მისცე უფლება, რომ „ენკავედეს“ წევრად იქცე. ასევე უნდა მოიქცეს პოლიტიკოსიც. იმ სიმშვიდეს, რომელზეც წელან ლაპარაკობდით, მხოლოდ ასე მიაღწევს ქვეყანა.

# ხელისუფლების ვერბიხალი სოფელ ღურაოვოში

BBCRussian-ის ცნობით, შვეიცარიის ქალაქ ნონში გამართულ, დოკუმენტური კინოს საერთაშორისო ფესტივალზე — Visions du Reel — განსაკუთრებული ყურადღება რუსეთზე შექმნილ ფილმებს მიექცა. კინოდათვალიერებაზე წარმოდგენილი ერთ-ერთი ყველაზე შთამბეჭდავი რუსულენოვანი სურათი კი — ნინო კირთაძის ფილმი — „Дураково“ გახლდათ, რომელიც წლეულს სანდესში ჩატარებულ, დამოუკიდებელი კინოს ფესტივალზე პრიზით აღინიშნა.

## რუსეთი და ავროპის შიგოფრენილი დამოკიდებულება

„მთელი ჩემი კომპანია აქ, დურაკოვოშია, ეს ღმერთის რჩეული ადამიანები არიან“, — აცხადებს კამერის წინ, 50-ოდე წლის მამაკაცი, რომელსაც ჯანინ კისერზე ჯვარი ჰკიდია, ხელში კი გამუდმებით მოწკრი-ალე, მობილური ტელეფონი უჭირავს.

მისი ნომერი იცინა: პოლიტიკოსებმა, უშიშროების ფედერალური სამსახურის თანამშრომლებმა და ყველა იმ ადამიანმა, რომელსაც მოსკოვის მახლობლად მდებარე, მამულ დურაკოვოსა და მის მეპატრონე მიხაილ მოროზოვზე რაიმე სმენია. დედები მოროზოვს იმის სათხოვნელად ურეკავენ, რომ დურაკოვოში მათი შვილებიც წაიყვანოს და ჭმუშარტების გზაზე დააყენოს. კაცი უარს არავის ეუბნება, თუმცა დურაკოვოში ცხოვრების პირობებსაც (გარე სამყაროსთან ყოველგვარი კავშირის განწყვეტა და მამულის პატრონის უსიტყვო მორჩილება) ხშირ-ხშირად ახსენებს.

ახალგაზრდები, რომლებიც ურიკებზე ნაკვლს ყრინან, ხუმრობანარევი კილოთი ჰყვებიან, რომ მათთან „სოფელში, ისევე, როგორც ტოლსტოისთან, შრომით თერაპიას“ იყენებენ. თავად მოროზოვი კი ამ შრომას მაინც არასაკმარისად ინტენსიურად მიიჩნევს და, აუზის პირას ტაატიტ მოსეირნე და კიტრის ხრამხარუშით გართული, დანარჩენებისგან უფრო მკვირცხლად შრომას მოითხოვს.

დურაკოვოში სუბორდინაცია ჯარზე ნაკლებად როდი იცავენ. ვერცხლისფერ „მერსედესში“ მოკალათებული მოროზოვი ქალაქში მხოლოდ მას შემდეგ მიემგზავრება, რაც მწყობრ რიგში სმენაზე მდგარი მუშა გოგონები, ბრძანების კვალდაკვალ, ერთხმად შესძახებენ: „ნახვამდის, ძვირფასო მიხაილ ფეოდოროვიჩ! ვაშა, ვაშა, ვაშა!“

უზარმაზარ ღობემყოფელ მამულში სამუშაო დღის დასრულების შემდეგ ტარდება კრებები, რომლებზეც მოროზოვი მორჩილებს ახალ-ახალ ინსტრუქციებს აძლევს და კითხვებზე პასუხებსაც სცემს.

დურაკოვოს ბინადარი მარტო მეურნეობით კი არა, პოლიტიკითაც ინტერესდებოდა. ერთ-ერთ საღამოზე მოროზოვს ჰკითხეს, თუ რამდენად მისაღებია რუსეთისთვის დემოკრატიის დასავლური მოდელები? „ცაში, ღმერთთან ყოფნისას, არავითარ დემოკრატიას არ შეიძლება ლაპარაკი, — უპასუხა მან, — ხოლო დედამიწაზე თანასწორობას ვერსად ნახ-



რეჟისორი ნინო კირთაძე

ავ, არსებობს მხოლოდ იერარქია და ხელისუფლების ვერტიკალი“.

## „ჩაკრაზოთ ფანჯარა ავროპაში“

მოსაზრებას იმის თაობაზე, რომ რუსეთის პოლიტიკური სისტემა, ისევე, როგორც მართლმადიდებლობა, ზემოდან წინასწარ განსაზღვრული ქვეყნის ბედია, მოროზოვი ეკრანთან პუტინის სადღეგრძელოს წარმოთქმისას კი იმასაც უსვამს ხაზს, რომ მონოდება — „სარწმუნოების, მეფისა და მამულისათვის“ — ყოველთვის მთავარი იყო რუსი მამაკაცისთვის, ოღონდ ახლა, მეფის ადგილი პრეზიდენტმა დაიკავა.

„ვისაც პუტინის დემოკრატია არ აძლევს ხელს, ჩაჯდეს მატარებელში და აქედან გამგზავროს, არავინ იჭერს. ან ამ სახლის კანონებს უნდა დაემორჩილო, ანდა აქედან უნდა ნახვიდე — ვფიქრობ, სავსებით გასაგებია“, — ამბობს „Дураково“-ს ერთ-ერთ ეპიზოდში მოროზოვი, რომლის სახლშიც პრეზიდენტის ფოტოები, ხატებისა და ნოვოსპასკის მონასტრის მეუფის პორტრეტის გვერდით კიდია.

ხელისუფლების ვერტიკალისადმი მორჩილების აუცილებლობას ფილმში მოროზოვის მშაკაცი, სახელმწიფო სათათბიროს ყოფილი ვიცე-სპიკერი (ამჟამად კი პატრიოტული მოძრაობა „ნაროდნი სოიუზის“ მეთაური) სერგეი ბაბურინიც ემხრობა. ბაბურინი დურაკოვოს — „რუსეთის პრობლემებისა და მისი აღორძინების სიმბო-

ლოს“ უნოდებს და ისიც ღრმად სწამს, რომ „ევროპის გამპრხნილი გავლენის“ მიუხედავად, ეს აღორძინება მინც იწყება.

„ევროპა განაპირა მხარეა, მაგრამ მინც ძალიან ბევრი რამის უფლებას აძლევს თავს. ბოლოს და ბოლოს, რას წარმოადგენს ევროპა, მთელ დედამიწასთან შედარებით?“ — ეკითხება, აბანოში მყოფი, მოთენთილი ბაბურინი დურაკოვის პატრონს.

„ევროპაში ფანჯარა კი გაჭრეს, მაგრამ მისი დაკეტვა დაავინყდათ. სწორედ მას შემდეგ და ამის გამოა ეს ორპირი ქარიც“, — კვერს უკრავს სტუმარს მოროზოვი.

მის მოსაზრებას, რომ რუსეთს მხოლოდ მტრები ახვევია გარს, დურაკოვის მცხოვრებნიც იზიარებენ და იმის გამოც ხშირად ჩივიან, რომ ქვეყანა „ათასნაირი აზერბაიჯანელით აივსო“ და „რუსეთში ყოველთვის ყველა, რუსების წინააღმდეგი იყო“.

„არავინ იცის, როდის წამოვა ჩვენზე მტერი. ამიტომ ყოველთვის მზად უნდა ვიყოთ“, — სერიოზულად ამბობს ათიოდე წლის ბიჭუნა, რომელიც მოროზოვთან მხოლოდ იმიტომ მოხვდა, რომ ეს მის მამიკოს მისმა უშუალო შვიკმა — რომელიც სპეცსამსახურის უფროსმა ურჩია.

### მეცხოვრების მცხოვრება

სანდესში გამართულ ფესტივალზე საუკეთესო უცხოური ფილმის პრიზით დაჯილდოებული „**Дураково**“, *Visions du Reel*-ის გახსნის საღამოზე უჩვენეს. ფესტივალის დირექტორმა ჟან პერემ სურათს თანამედროვე რუსეთის შეცნობის მცდელობა უწოდა.

რეჟისორ ნინო კირთაძის თქმით კი, მიუხედავად იმისა, რომ „**Дураково**“-ს გადაღება მთელი მისი კარიერის მანძილზე „ყველაზე დიდი საშინელება“ იყო, მსხ-

ვერპლი ამო მინც არ აღმოჩნდა და ფილმი მისთვის მნიშვნელოვან ცხოვრებისეულ გამოცდილებად იქცა. „ჩემთვის ეს ყველაფერი ძალიან ახლობელი იყო. ამ ფილმს სიძულვილით კი არ ვაკეთებდი, არამედ მართლა ბევრი რამის გარკვევა მსურდა. ბაბუაჩემი რუსი იყო, მეც რუსულ კულტურასა და ლიტერატურაზე გავიზარდე. ახლა კი ნამდვილად აღარ მესმის, ეს ყველაფერი ასე რატომ შემობრუნდა“, — განუცხადა რეჟისორმა BBC-ის კორესპონდენტს.

რომ რუსეთში ადამიანის უფლებები ფეხქვეშ ითელება, ზღვარგადასული სიმდიდრის გვერდით, უკიდურეს სიღატაკეს ნახავ და ეს სურათები დასავლეთისთვის დიდი ხანია, ცნობილია“, — აცხადებს იგი. რეჟისორის აზრით, ისიც საგვებით კანონზომიერია, რომ დასავლეთი სულ უფრო და უფრო ნაკლებად ეთანხმება იმას, რაც რუსეთში ხდება. „გაზისა და კიდევ რაღაც ბერკეტების გარდა, რომლებსაც კრემლი დასავლეთზე ზენოლისთვის იყენებს, არსებობს უამრავი სხვა ფაქტორიც, რომ-

## ის, რაც რუსეთში ხდება, გარკვეულწილად, დასავლეთსაც აძლევს ხელს...

დურაკოვსა და მის მცხოვრებთა ამბავი კირთაძემ იერარქიულად ნაშენი, რუსული საზოგადოების მინიატიურულ მოდელად აქცია. „ეს თავისებური მიკროკოსმოსია, რუსეთში ძალზე გავრცელებული, რომელიც საზოგადოებისა და მსოფლმხედველობის ნაზავს წარმოადგენს“, — აღნიშნავს რეჟისორი.

თუმცა კირთაძის „**Дураково**“, მარტო თანამედროვე რუსეთის ცხოვრების გამოგონილ ამბად კი არა, არამედ უნივერსალურ მეტაფორადაც აღიქმება. რეჟისორის თქმით, მის ფილმში საკუთარი ქვეყნის პრობლემები ამერიკელებმაც კი დაინახეს. ერთ-ერთმა მაყურებელმა რეჟისორს უთხრა, რომ „ჩვენთანაც იგივე ხდება — ანუ ნაციონალიზმი, ყველაზე მტრების ძიების“ პრინციპი და რელიგია“.

### დაშინებული ქრონა

ნინო კირთაძე აღიარებს, რომ მისი ფილმი შეიძლება, დასავლეთისთვის, რუსეთში რეალურად არსებულ სიტუაციასთან დაკავშირებულ გაფრთხილებად იქცეს. მისი აზრით, „ევროპას არ ესმის, ის ვერ ხედავს, რომ საქმე უკვე ასე სერიოზულადაა... რუსეთი პოლიტიკურად, იმაზე თამაშობს, რომ საკუთარი მოუხელთებლობით შეუძლია მეზობლების დაშინება. და ევროპასაც მართლა ესმინია, რადგან მოუხელთებლები არ უყვარს“, — დასძენს რეჟისორი.


აი, პარიზში მცხოვრები რუსი კინორეჟისორი დენის სნეგირიოვი კი (რომელმაც ნიონში უფლებადამცველ სტანისლავ დმიტრიევსკიზე გადაღებული სურათი — „24 საათი ქალაქ N-ში“ წარმოადგინა) მიიჩნევს, რომ რუსეთზე შექმნილი ფილმებით დასავლეთს ვეღარ დააშინებ. მისი აზრით, „დასავლეთს რუსეთის ბნელი მხარეების ან უკვე ისედაც ესმინია, ანდა ამით საერთოდ, ვეღარ შეაშინებ. იმიტომ, რომ დასავლეთში ისედაც დიდი ხანია, ყველამ იცის,

ლის ზეგავლენითაც დასავლელი პოლიტიკოსები რუსეთში მიმდინარე პროცესებით აღშფოთებას სულ უფრო ნაკლებად გამოხატავენ. ასევე არსებობს ინერციის ეფექტიც. თავიდან დასავლეთში, როგორც ჩეჩნეთის პირველი, ისე მეორე ომის, **HTB**-სა და ხოდორკოვსკის გამოც აყვირდნენ. მაგრამ განა რამდენ ხანს შეძლებ ყვირილს?! რუსეთში ეს ყველაფერი ხომ უკვე მთელი მ წელი გრძელდება და ასევე ყველაფერი ისე ძველებურადაა. გარდა ამისა, ის, რაც რუსეთში ხდება, გარკვეულწილად, დასავლეთსაც აძლევს ხელს, ოღონდ, მხოლოდ მანამ, სანამ დასავლელ ბიზნესმენებს რუსეთის ეკონომიკაში ინვესტირების საშუალება აქვთ“, — მიაჩნია რეჟისორს.

*Visions du Reel*-ზე მიწვეული, ჟენევის უნივერსიტეტის საპატიო პროფესორი და ერთ-ერთი გავლენიანი დასავლელი სლავისტი ჟორჟ ნივა შეგვაცხენებს, რომ რუსეთისადმი დასავლეთის წინააღმდეგობრივ დამოკიდებულებას ისტორიული ფესვები აქვს. „დასავლეთს რუსეთთან შიზოფრენიული დამოკიდებულება აქვს. ასე იყო ოდიტგან, XVIII საუკუნიდან, როცა სამეფო ტახტზე მჯდომი ფილოსოფოსი ევანგელინე დიდიც უყვარდათ და იმავდროულად, თვითმპყრობელობით შეძრწუნებულნიც იყვნენ. დასავლეთს უყვარს, როცა აშინებენ. მას ძალიან უნდა, ირწმუნოს, რომ ის სათნოებისა და ადამიანის უფლებათა დაცვის იდეის შემართვამ გამოხატულებას წარმოადგენს. და ჩვენც, დასავლეთს, „წრიულად“, ყველას ჭკუის სწავლება დაავინყდათ, — განაცხადა პროფესორმა.

ნივის აზრით, მაშინაც კი, თუ თვით რუსეთში ბევრი არაფერი შეიცვლება, ევროპამ თავის მეზობელზე აზრი მინც უნდა შეიცვალოს. „ჩვენ რუსეთზე უფრო საღი შეხედულება უნდა გვქონდეს. იმიტომ, რომ რუსეთზე ჩვენს შიზოფრენიულ შეხედულებას, რომლის გამოც, ხან ყველაფერი წარმოუდგენლად ცუდად გვეჩვენება, ხან კი რუსულ სულზე ყურებადმდეც კი ვართ შეყვარებული, ჩვენი ურთიერთობები პირდაპირ ჩისში შეჰყავს“.

მოამზადა რუსუან ლეონიძე



დურაკოვის თავიანთი მხარე მოროზოვი



დაბის ბინადართ ევროპის გავლენისაგან მაღალი კედელი იცავს

# ჩხიანძლეების სიმკვრივე იმყოფება მათი მშობლების

რას ვერ იხსენებს და რამ დაახნია ცნობილი „რესპუბლიკალი“

როდესაც „რესპუბლიკელ“ ირბალი ბათიაშვილს დაფურეკე და „ერუდიტი“ ჩანერა ვთხოვე, მითხრა: „გზა“ იმდენად მიყვარს, შეხვედრებზე უარს როგორ გეტყვითო და შინ მიმიპატიჟა. აღმოჩნდა, რომ იგი მხატვრულ თუ ფილოსოფიურ ლიტერატურასა და დრამატურგიას ერთნაირი ინტერესით კითხულობს. „ვეფხისტყაოსანი“, „ალუდა ქეთელაური“, „სტუმარ-მასპინძელი“, „რჩარდ III“ — ეს ნაწარმოებები ყოველი გადაკითხვის დროს, მისთვის ალტაცების მომგვრელია. ძალიან უყვარს შექსპირის, თომას მანის, ბორნესის ნაწარმოებები და ფროდოს ნიცშეს — „ასე ამბობდა ზარატუსტრა“. ყველაზე მეტჯერ ფეოდორ დოსტოევსკის „ემშაკნი“ აქვს წაკითხული. ამბობს, რომ ამ მანვე ჩვევსკენ მიდრეკილება არ აქვს და წიგნი არასდროს მოუპარავს. ლიტერატურული პერსონაჟებიდან მეგობრად ერთ-ერთის დასახელება უჭირს; მთხოვს, რომ 3 პერსონაჟის დასახელების უფლება მივცე ამის შემდეგ არჩევანს ავთანდილზე, ალუდა ქეთელაურსა და რჩარდ III-ზე აკეთებს.



## თამუნა კვინიკაძე

- დიპლომატიურ ენაზე ვის უწოდებენ პერსონა გრატას?
- სასურველ პირს.
- გერმანია, დანია, ესპანეთი, საფრანგეთი — ამთვან რომელი ქვეყნის ჰიმნს არ გააჩნია ტექსტი?
- ტექსტი გერმანიის და საფრანგეთის ჰიმნებს რომ აქვს, ვიცი, მაგრამ დანიასა და ესპანეთზე რა გითხრათ.
- აქედან ერთ-ერთი უნდა დაასახელოთ.
- ესპანეთი. სწორად გიპასუხეთ?
- დიახ. რისი საცავია ფონოთეკა, სამთავრობო დოკუმენტების, პოლიგრაფიული გამოცემების თუ ხმის ჩანაწერების?
- ხმის ჩანაწერების.
- მდებარეობითი სქესის რამდენი მეფე ჰყავდა საქართველოს?
- თამარი, რუსუდანი და... (ფიქრობს) 2 მეფე.
- ავლაბარი, დიდუბე, საბურთალო, ჩუღურეთი
- ამ რაიონებიდან რომელი მდებარეობს მტკვრის მარჯვენა სანაპიროზე?
- დიდუბე.
- ბატონო ირაკლი, დაფიქრდით.
- თუ შეიძლება, კითხვა გამიმეორეთ. (გამეორების შემდეგ). საბურთალო (იცინის). დიდუბე რამ მათქმევინა.
- ვინ ასრულებს ბიჭიკოს როლს ფილმში „ჭრიჭინა“?
- არ მახსოვს.
- დოდო აბაშიძე. სად დაარსდა მსოფლიოში პირველი ბოტანიკური ბაღი — ინგლისში, იტალიაში, საფრანგეთსა თუ გერმანიაში?
- მგონი, ინგლისში, პასუხში დარწმუნებული არ ვარ.
- ცდებით, პირველი ბოტანიკური ბაღი იტალიაში დაარსდა. ადამიანის რომელ გრძნობას უწოდებ შექსპირმა „მწვანეთვალეობა ურჩხული“ — შურს, ეჭვიანობას, მრისხანებას თუ სიყვარულს?
- ეჭვიანობას.
- 1457 წელს ბურგუნდიის სასამართლომ რომელ ცხოველს მიუსაჯა ჩამოსწრაობა 5 წლის ბავშვის მკვლელობისთვის?
- არ ვიცი.
- ლორს. რომელ სახელმწიფოშია ავიაშემნებელი კონცერნი — „ბონიგი“?
- ამერიკაში.
- საქართველოს რომელი მეფეა დაკრძალული ყუმში, შაჰ-აბასის გვერდით?
- ვერ ვიხსენებ.

- როსტომი. რომელი ქვეყანაა ბაროკოს სამშობლო?
- იტალია.
- ამჟამად რომელი სახელმწიფოს ტერიტორიაზეა ქართული ხუროთმოძღვრების ძეგლი ოპოზა?
- თურქეთის.
- რომელ კუნძულზე მომხდარ აჯანყებას ეხება ქართული ფილმი „ჯვარცმული კუნძული“?
- ეს კუნძული პოლანდიას ეკუთვნის (ფიქრობს). ვიცი და სახელს ვერ ვიხსენებ, თუ შეიძლება, მოგვიანებით გიპასუხებთ.
- თქვენი ნებაა. რა ჰქვია უოლტ დისნეის მულტფილმების ერთ-ერთ გმირს — მფრინავ სპილოს?
- არ ვიცი.
- დამბო. ქართველთა „უგვირგვინო მეფე“, 700 წლის წინ წამებულ ქართველ გვირგვინოსანს თავის თხზულებაში შეასხა სოტბა, — რომელ ნაწარმოებზეა ლაპარაკი?
- (ფიქრობს) „უგვირგვინო მეფეში“, ალბათ, ილია ჭავჭავაძეს გულისხმობთ.
- დიახ. რომელ ნაწარმოებზეა ლაპარაკი?
- „დემეტრე თავდადებულზე“.
- დასახელებთ რუსი მწერალი, რომელიც 28-გზის მსოფლიო რეკორდსმენი იყო ძალისხმობაში.
- ვერ გეტყვით.
- იური ვლასოვი.
- სანამ მორიგ კითხვაზე გადახვალთ, „ჯვარცმულ კუნძულთან“ დაკავშირებით დასმულ კითხვაზე გიპასუხებთ. ეს ფილმი კუნძულ ტექსელზე მომხდარ აჯანყებას ეხება.
- კარგია, რომ გაიხსენეთ. არ ვიცი, იცით თუ არა, მაგრამ მალაის არქიპელაგის კუნძულის მცხოვრებლები ყოველწლიურად ახალგაზრდავდებიან, — რა არის ამის მიზეზი?
- ეს მართლა არ ვიცი (იცინის). საინტერესოა.
- მათთან ასაკის აღრიცხვა უკუღმა ხდება. რომელი კონტინენტი აღმოაჩინა 1820-21 წ.წ. რუსეთის ექსპედიციამ ბელინსკაუზუნისა და ლაზარევის მეთაურობით?
- ანტარქტიდა.
- ამ კონტინენტის უკიდურესი წერტილი ჩრდილოეთით ელ-აბიადის კონცხია, ხოლო სამხრეთით — კონცხი იგოლნი, — დასახელებთ ეს კონტინენტი.
- სამხრეთ ამერიკა. არა?

— ცდებით. ეს კონტინენცია აფრიკა. ჰიტლერი, მსგავსად პლატონისა, ამტკიცებდა, რომ ადამიანთა ბედი ვარსკვლავების განლაგებაზეა დამოკიდებული. მან თავის მთავარ კონსულტანტ-ასტროლოგს მათემ-ატიკურ, ასტრონომიულ და ფიზიკურ მეცნიერებათა სრული მფლობელის მანამდე გაუგონარი ტიტული უბოძა, — რა ტიტული ჰქონდა ჰიტლერის ას-ტროლოგს?

— რა ტიტული ჰქონდა, ვერ გეტყვით, მაგრამ ვიცი, რომ მისი თითქმის ყველა ასტროლოგიური წინასწარმეტყველება მცდარი აღმოჩნდა.

— მიუხედავად ამისა, მას ჰიტლერმა ფიურერის ტიტული უბოძა. ჰამბურგი, ბრემენი, დრეზდენი, ჰანოვერი — ამ ქალაქებიდან, რომელი არ შედიოდა გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის შემადგენ-ლობაში?

— დრეზდენი.

— ბერძნულ მითოლოგიაში ვინ იყო ომის ღმერთი?

— არესი.

— ნათლობის გარდა, კიდევ როდის სცხებენ მირონს ადამიანს, წესის აგებისას, ზიარებისას, მეფედ კურთხევისას თუ ჯვრისწერისას?

— მეფედ კურთხევის დროს.

— ტროის ხანძრით შთაგონებულმა რომელმა იმპერატორმა გადაწვა რომი?

— ნერონმა.

— რას მოიპოვებენ ლოპოტის საბადოზე?

— ვერ გეტყვით.

— მარმარილოს. რომელ სახელმწიფოშია ბაიკო-ნურის კოსმოდრომი?

— ყაზახეთში.

— რუსეთის იმპერიამ საქართველოში რომელი სამთავრო გააუქმა ყველაზე გვიან?

— აფხაზეთის.

— რომელი რაიონული ცენტრის ყოფილი სახ-ელეხია: „მისაილოვო“ და „სტალინისი“?

— არ ვიცი.

— ხაშურის. შუა საუკუნეების საფრანგეთში იერარქულად რომელი სათავადაზნაურო ტიტული იდგა ჰერცოგსა და გრაფს შორის?

— გეტყვით... (ფიქრობს) მარკიზი.

— 1492 წლის 16 ოქტომბერს, ქრისტეფორე კოლუმბის ექსპედიციის დროს, ესპანელებმა ბაჰამის კუნძულები აღმოაჩინეს. რამდენიმე ათეული წლის შემდეგ, კუნძულის მცხოვრებლები ევროპელებმა ამონ-ყვიტეს; დაგინყებულ იქნა ბაჰამელთა ენაც. შემორჩა მხოლოდ ერთი სიტყვა, რომელსაც აბორიგენი მოსახ-ლეობა სანოლის აღმნიშვნელ სიტყვად ხმარობდა. და ეს სიტყვაა...

— (იცინის) ბაჰამელთა ენა ნამდვილად არ ვიცი...

— ეს სიტყვაა ჰამაკი. ამ სახელმწიფოს ისტორია 301 წლიდან იწყება, როცა იგი რელიგიური დევნის გამო დაღმაცვიდან გამოქცეულმა ქრისტიანმა დააარ-სა. შემდეგ იგი წმინდანად შერაცხეს. X საუკუნიდან

მოყოლებული, ეს სახელმწიფო, დამაარსებელი წმინ-დანის სახელს ატარებს. მიპასუხეთ, რომელ სახელმ-წიფოზეა ლაპარაკი?

— ეს უნდა იყოს სან-მარინო.

— დიას. ახლა კი დაასახელეთ ქვეყანა, რომლის გერბზეც გამოსახულია ყინულზე შემდგარი მეომარი არწივი და ხარი.

— ისლანდია. იგი ყინულოვან ქვეყანას ნიშნავს.

— ჩვენთვის საცხებით ბუნებრივია, რომ კვირა 7 დღისგან შედგება, წელიწადი 12 თვედ იყოფა და საათში 60 წუთია, წრე კი 360 გრადუსია, — პირველად სად გამოიგონეს ეს სათვალავი?

— ეგვიპტეში.

— ცდებით, ძველ ბაბილონში. ერთ-ერთ საქველ-მოქმედო საღამოზე ბრუკ შილდს იდეა მოუვიდა, გაეყიდა „ის“, რისმა ფასმაც 45.000 დოლარს მიაღწია. როცა ვაჭრობა შეწყდა, ბრუკის საქმროს — ანდრე აგასის ნერვებმა უმტყუნა და ეჭვიანობისგან დაბოლმობმა სკანდალი ატეხა, — რა გაყიდა ბრუკ შილდსმა?

— არ ვიცი.

— კონცა.

— (იცინის) ახლა გამახსენდა. ამაზე ტელევიზიებმა სიუ-ჟეტებიც გააკეთეს.

— დაასახელეთ ბერძენი ტრაგიკოსი, რომელმაც კოლხი მედეა შვილების მკვლელად გამოიყვანა და რომლის საფასურადაც მან 30 ვერცხლი მიიღო.

— ევრიპიდე.

— მისი დაბადების თარიღად ჩვენი წელთაღ-რიცხვის 105 წელს მიიჩნევენ, როცა „მის“ შესახებ კონსულმა მარიუსმა კანონი გამოსცა. შედეგში „ის“ სახელმწიფოს სიმბოლიკად იქცა, — რაზეა ლაპარ-აკი?

— დროშაზე, არა?

— დიას. „გამოღმით მე ვარ, გაღმა — შენ, შუაზე მოდის მდინარე, ხიდი არ გვიძე წყალზედა...“ — (მანყვეტინებს) „...ფიქრი მკლავს მოუთმინარე“.

— ვინ არის ამ სტროფის ავტორი?

— ვაიმე! (ფიქრობს) ვინ არის?

— მიგანშნებთ, მისი ერთ-ერთი პერსონაჟი მე-გობრად აიჩრით?

— ალუდა ქეთელაური, რატომღაც დავიბენი. ამ სტრო-ფის ავტორი ვაჟა-ფშაველაა.

— რომელმა პოეტმა თქვა: „მე ცა მნიშნავს და ერი მზრდის, მიწიერი ზეციერსა, ღმერთთან მისთვის ვლაპარაკობ, რომ წარუძღვე წინა ერსა“?

— ილია ჭავჭავაძემ.

— სოპრანო და ტენორი — ორივე მაღალ სასიმღერო ხმას ნიშნავს, — რა განსხვავება მათ შორის?

— სოპრანო — ქალის ყველაზე მაღალი სასიმღერო ხმა, ტენორი — მამაკაცის.

— სად აქვს კბილები ხვლიკის მსგავს ძუძუმწო-ვარს პანგოლინს?

— (ფიქრობს) მგონი, კუჭში. ასეა?

— დიას. რომელ ენაზე ლაპარაკობს ყველაზე მეტი ადამიანი მსოფლი-ოში? ეს ენა მათთვის მშობლიურია.

— ე.ი. ინგლისური გამ-ოვრიცხოთ (ფიქრობს). ჩი-ნურზე.

— ბოლოს, დაასრუ-ლეთ გერმანული ანდაზა — „ვინც ბევრ საქმეს წამოიწყებს...“

— „...ბევრს ვერაფერს გააკეთებს“.

— დაახლოებით ეგრეა, ზუსტად კი — „...ცოტას დაასრულებს“.

**იკუდი +**

## ნარიყალის ციხის ლაგენდა

თბილისისკენ მომავალი მტერი ნარიყალის ციხის აღებას ყოველთვის ცდილობდა. გადმოცემის თანახმად, ერთ-ერთი შემოსევის დროს, ციხეში გამაგრებულ მეომრებს მანუჩარ დიღმელი სარდლობდა. მას უმშვენიერესი ასულიც თან ახლდა. 100 დღე და ღამე ებრძოდნენ ქართველები თათრებს. გამარჯვების იმედს არ კარგავდნენ. ბოლოს, დამპყრობლებს ციხისთვის წყალი გადაუკეცებთ და მეციხოვნეები ცუდ დღეში ჩაცვენილან. მანუჩარ დიღმელის ქალიშვილს ცისკენ სვლეტი ალუჯურია და ღმერთს ციხის სიმტკიცეს შეჰვედრებია. მლოცველი მზუთუნასავი თათართა ჯარის მეთაურს დაუნახავს და მისი სიყვარული გულში უკურნებელი სენივით ჩაფარდნია. ბევრი აღარ უფიქრია. ერთ მშვენიერ დღეს, ციხეში შეპარულა და თათართა ჯარის საიდუმლო გაუთქვამს. მანუჩარ დიღმელს გულზე ცეცხლი წაჰკიდებია: მოლაღატეს ქალს როგორ მივცემ. ვინც თავისი ქვეყნის ფასი არ იცის, მზის ყურების ღირსიც არ არის, ქართველებს გვჭუღს მოლაღატეებიო! ხმალი ამოუღია და ყბეფისთვის თავი წაუცლია. უმეთაუროდ დარჩენილი მოახლაღებები, შეშინებულები გაქცეულან.

ინფორმაციულ-მედიისეკონომიკა

ეონი დვალის უბის წიგნაკრები:

1. „თული“ და „ყაჩალი“ სინონიმებია.
2. სიტყვა „სტიგერი“ ქართულად ნე-სტარს ნიშნავს.
3. ელვაშესაყრავი 1893 წელს ჰენრი არონსმა გამოიგონა.
4. „ტიტანიკი“ ორსაათ-ნახევრის განმავლობაში იძირებოდა.
5. მსოფლიოში ყველაზე დიდ ლოკო-მოტივს „ბიგ ბოი“ ჰქვია.
6. ძვირფასი ქვებისთვის ხეხვით ნახნაგების გაკეთებას, თრამვა ეწოდება.
7. „თოხუმი“ სპარსული წარმოშობის სიტყვაა და შთამომავლობას, ჯილაგს ნიშნავს.
8. „დუბლიორები არა მყავს, შიში არა მაქვს, ტოლი არა მყავს“, — ამბობს ჯეკი ჩანი.
9. „აცალეთ მტერს, ნუ შეუშლით ხელს, დაუშვას შეცდომები“, — ამბობდა ნაპოლეონი.
10. მიუხედავად მრავალი მტრისა, მიქელანჯელო 9 პონტიფიკოსის უსაყვარლესი მოქანდაკე იყო.
11. მსოფლიო მასშტაბით, ადამიანები ყოველწლიურად 2500 ტონა ძხვ „სალიამის“ მიირთმევენ.
12. ევგენი ევსტიგნევი ახალგაზრდობაში ვირტუოზი დრამერი იყო და ჯაზ-ორკესტრშიც უკრავდა.
13. „ბრძოლაში ერთადერთი მონინააღმდეგე — შენი საკუთარი თავია“, — ამბობენ შაო-ლინელი ბერები.
14. დიდ ქალაქებში ჩამდინარე წყლების გამწმენდ მექანიზმებს დიდ პრობლემას უქმნის ნახშირი პრეზერვატივები.
15. ველურ ბუნებაში ბე-ჰემოთებთან მუშაობისას ზოოლოგები თითქმის არასდროს იყენებენ ტრანკვილიზატორებს. საძილე წამლით გატენილი თოფის სროლის შემდეგ, ცხოველი შესაძლოა, წყალში შევარდეს, იქ ჩაეძინოს და დაიხრჩოს.
16. იმპერატორი ტიბერიუსი, ყანა დ'არკი, ლეონარდო და ვინჩი, მიქელანჯელო, იულიუს კეისარი და კარლოს დიდი ცაცები იყვნენ.
17. სახელგანთქმული მომთვინიერებელი ქალის, მარგარიტა ნაზაროვას საყვარელ ვეფხვს პურნი ერქვა. ამ უზარმაზარმა მტაცებელმა 5 ვარსკვლავური როლი შეასრულა სხვადასხვა ფილმში და 10 წლის ასაკში დაიღუპა შაქრიანი დიაბეტით.
18. „პაჩემუ მადონნუ ვსეგდა რისუიუტ ს მალენკიმ მალჩიკომ ნა რუკას, ა ნე ს დევოჩკოი. ეტა დისკრიმინაცია!“ — აპოტესტებდა ერთ-ერთი გამოსვლის დროს კლარა ნოვიკოვა.
19. „ლიუბიტ ნინს ტიაჟოლი კრესტ, ა ტი პრეკრასნა ბუზ იზვილინ, ი პრელესტი ტოვიე სევრეტ, რაზგადკი ჟიზნი რავე-



ნოდია ცაციშვილი „ახლის აღმოჩენა“ ვახდა

რა ვერ გაიყვანს ნოდიაო ბაბიშვილმა და ჯაბა ქარსალაძემ მალაიზიაში



ამ ადამიანს შეიძლება, თამამად ვუწოდოთ რკინის ნერვების მქონე მომღერალი. ის წლეულს უკვე მესამედ წარდგა საერთაშორისო არენაზე და წარმატება მოიპოვა. ახალგაზრდა მომღერალი ნოდიაო ტატიშვილი შარშან სექტემბერში ყაზახეთის საერთაშორისო კონკურსის გრან-პრის მფლობელი გახდა. წლე-ვანდელ „იურმალის“ შიდა შესარჩევ კონკურსზე, როგორც ალექსანდრე ბასილაიას კვინტეტის ერთ-ერთმა წევრმა, მონაწილეობა მანაც მიიღო. ცოტა ხნის წინ კი შანხაის საერთა-შორისო კონკურსზე ის „ახლის აღმოჩენა“ გახდა და პროზა „მამაკაცის საუკეთესო ხმისთვის“ გადაეცა. კონკურსზე ის „ფაივ ლაინს პროდაქშენის“ პატრონაჟით გაემგზავრა. მისი საკონკურსო პროდიუსერი ამ კომპანიის ხელმძღვანელი მამუკა სააკაშვილი გახლავთ. თუ როგორ მოხვდა ნოდიაო შანხაის კონკურსზე და რა შთაბეჭდილებებით დაბ-რუნდა იგი სამშობლოში, — ამის შესახებ თავად გვამბობს:

მაია ლუნიშვილი

— სექტემბერში ყაზახეთის საერთა-შორისო კონკურსზე ყოფნის დროს, სა-დაც გრან-პრი მოვიპოვე, ძალიან ბევრი შემოთავაზება და სხვადასხვა კონკურსზე მინვევა მივიღე. ყაზახეთის კონკურსის დირექტორს დაუკავშირდნენ შანხაის კონკურსის ორგანიზატორები და გამარ-ჯვებული მონაწილის — ე.ი. ჩემი იქ მიე-ლინება სთხოვეს. რა თქმა უნდა, ისინი დაუკავშირდნენ ჩემს საკონკურსო პროდი-უსერს, მამუკა სააკაშვილს და ერთად გა-დავწყვიტეთ ამ კონკურსზე გამგზავრება. უკვე 10 წელია, რაც ეს ფესტივალი ტარ-დება; წლეულს, საიუბილეოდ, მისი ჩატარება მალაიზიაში გადაწყვიტეს, ამიტომ უწოდეს „პენანგ-შანხაის“ საერთაშორისო კონკურ-სი. პენანგი მალაიზიის კურორტია, სადაც კონკურსი ჩატარდა. მალაიზიაში ჩემთან და მამუკა სააკაშვილთან ერთად, საგულშე-მატკვიეროდ ჩემი მეგობარი — მომღერა-ლი ჯაბა ქარსელაძეც წამოვიდა, რომელ-

მაც ჩვენი თარჯიმნობაც შეითავსა. ამასთანავე, ის იქ ისე მოეწონათ, რომ ერთ კონცერტზე ამღერეს კიდევც.

— თუმცა იქაურებისთვის თქვენ ძმები იყავით, არა?

— ჰო, ეგ სახალისო ამბავია. მიუხედა-ვად იმისა, რომ ძალიან დიდ განცდებში ვიყავით, გასართობადაც გვჩნებოდა დრო. როდესაც მკითხეს, — მამუკა ვინ არისო? — ვუპასუხე, — ჩემი პროდიუსერია-მეთქი. ჯაბაზე რომ მკითხეს, არც დაფიქრებულ-ვარ, ისე მივუგე, — ჩემი ძმია-მეთქი. — როგორი ძმია? საერთოდ არ ჰგავხართ ერთმანეთს! კითხვა რომ შემოგვიბრუნეს, ჯაბამ მაშინვე უპასუხა, — დედით ერთნი ვართ და მამით — სხვადასხვა: მამაჩემი — ფრანგია, მამამისი — ქართველი, ამიტომაც არ ვგავართ ერთმანეთსო. მერე ეს იმდენად გავითავისეთ ორივემ, რომ ჩვენ თვითონაც დავიჯერეთ (იცინის)... იქ ყოფნისას კიდევ უფრო მეტად დავახლოვდით. ძალიან მგულშემატკვიერობდა, ჩემს გამოსვლებზე ისე ნერვიულობდა, რომ მგონი, საკუთარ გა-მოსვლებზე არ ნერვი-ულობს ხოლმე ასე. თუმცა იქ კინალამ ჩხუბიც კი მოგვივიდა (იცინის). ერთი გოგო მომეწონა, გადავწყ-ვიტე, გამეცნო. სანამ მივუახლოვდებოდი, დავინახე — ჯაბაც იმავე მხარეს მიდიო-და. ერთმანეთს ერთი და იგივე კითხვა და-ვუსვით: აქ რა გინ-და-თქო? აღმოჩნდა, რომ ორივეს ეს გოგო მოგვწონებია. მოკლედ,



— მამუკა ვინ არისო? — ვუპასუხე, — ჩემი პროდიუსერია-მეთქი. ჯაბაზე რომ მკითხეს, არც დაფიქრებულვარ, ისე მივუგე, — ჩემი ძმია-მეთქი

ამ გოგოს გულისთვის კინალამ ვიჩხუბეთ. ერთმანეთს ვუმტკიცებდით — არა, მე მოვე-  
ნონე და არა — მეო.

კონკურსზეც გვიამბე ცოტა  
რამ.

— კონკურსი ძალიან დახვეწილი და კარგად ორგანიზებული იყო. მასში 15 ქვეყ-  
ნის 23 მომღერალი მონაწილეობდა. ჩემსა და ორი ავსტრალიელი მომღერლის გარ-  
და, ყველა წვრილთვალეებიანი იყო, ისინი ძალიან მიმლიდნენ ნერვებს (იციან)... იქაუ-  
რები ძალიან თბილად დაგვხვდნენ. მთელ ქალაქში კონკურსანტთა ბილბორდები იყო განთავსებული. ჩემი სურათის ქვეშ — „ნოდოკო — ჯორჯია“ ეწერა. ამას რომ ვხედავდი, ძალიან ბედნიერი ვიყავი; ეს ხომ ჩვენი ქვეყნის სახელიც არის! კონკურსის პირველ დღეს ყაზახური ფოლკლორული სიმღერა შევასრულე, რომლითაც ყაზახეთის კონკურსზე გრან-პრი მოვიპოვე; მეორე დღეს — ალექსანდრე ბასილიას ახალი სიმღერა — „გაგი თავისე“... საკუთარი თავის მიმართ ძალიან კრიტიკული ვარ, მაგრამ ასე მგონია, რომ ამ კონკურსზე, ჩემი შესაძლებლობები მაქსიმალურად წარმოვაჩინე. მაინცდამაინც ობიექტური ყოფილი არ იყო, ამიტომ ვეცადე, საბაბი არ მიმეცა და ხელი არ შემეწყობო მისთვის, რომ „დაეწაგრა“. ყოფილი 8 წევრისგან შედგებოდა, მასში პროფესიონალი მუსიკოსები, კომპოზიტორები და პროდიუსერები შედიოდნენ. ყოფილი ყველა წევრს საკუთარი თანამემამულისთვის ჰქონდა გამიზნული პრიზი, ამიტომ ძალიან დიდი ვაჟაკობა იყო საჭირო, რომ მათთვის შენი სიძლიერე დაგემტკიცებინა. ალბათ ყველაზე დიდი წვლილი ჩემს გამარჯვებაში მაყურებელს მიუძღვის, რომელმაც დიდი ოვაციითა და აპლოდისმენტებით გამოხატა კმაყოფილება, როდესაც სიმღერებს ვასრულებდი. ამის შემდეგ, ყოფილი სხვა გამოსავალი უკვე აღარ რჩებოდა — უპრიზოდ ვერ დამტოვებდა. საბოლოო ჯამში, „აზიის ალმოჩენა“ გახდა და გადმომიცა პრიზი — „მამაკაცის საუკეთესო ხმისთვის“. კონკურსზე წასვლის წინ ყოველთვის ოპტიმისტურად ვარ განწყობილი, შემართული გახლავარ იმისთვის, რომ უკან გამარჯვებული დავბრუნდე, თუმცა მიმაჩნია, რომ ყველაზე მნიშვნელოვანი მაინც, მონაწილეობაა. ისე კი, როდესაც წარმატებული ბრუნდები, ამაზე დიდი ბედნიერება არაფერია.

როგორ კონკურსებზე გყავდა?

— კონკურსანტები ძალიან კარგად იყვნენ მომზადებული. რა თქმა უნდა, ჩემთვის მათი სიმღერები ძალიან ეგზოტიკურად ყლდრდა, თუმცა მელიოდირობა და პროფესიონალიზმი ნამდვილად იგრძნობოდა. როცა ამდენი კონკურსანტი, ლიდერობის მოპოვება რთულია. ამ ფაქტმა შემამინამეთქი, ვერ გეტყვი, პირიქით — უფრო საბრძოლო განწყობილებაზე დამაყენა. იმის შეგრძობებას, რომ ჩემ ზურგს უკან უდიდესი მუსიკალური ტრადიციის მქონე ქვეყანა დგას, არასოდეს ვკარგავ... კონკურსანტებს ერთმანეთთან არაჩვეულებრივი ურთიერ-

ობა გვექონდა. ძალიან კარგად იყვნენ ჩემ მიმართ განწყობილი. იქიდან გამომდინარე, რომ ინგლისური კარგად არ ვიცი, მათთან კონტაქტს ჯაბას მეშვეობით ვამყარებდი. მას ძალიან მოსწონდა ჩინელი კონკურსანტი და მისთვის უთქვამს, — ჩემი ძმის შემდეგ, შენ გგულშემატკივრობო. მეორე დღეს, კონცერტის შემდეგ მივიდა ეს კონკურსანტი ჯაბასთან და უთხრა, — გახსოვს, გუშინ რომ მითხარი, ჩემი ძმის შემდეგ შენ გგულშემატკივრობო?... ახლა, როდესაც მან ასე იმღერა, კიდევ მეტყვი კომპლიმენტს, რომ კარგად ვიმღერე?... მისმა ასეთმა გულახდილმა სიტყვებმა ძალიან აგვალღვავა. თანაც, ჩვენ ხომ მისთვის კონკურსებზე ვიყავით! ბუერი ამას არ იზამდა.

კონკურსებმა ძალიან გაგოტაცა, როგორც ჩანს, ეს შენი მიზანსწრაფული ხასიათის გამონათქვამებია, თან, წარმატებებითაც განებივრებული ხარ. როგორც ვიცი, ზაფხულში საერთაშორისო კონკურსზე — „სლავიანსკი ბაზარ“ — მიდიხარ.

— ახალგაზრდა მომღერალს ზრდის კონკურსები, ეს სერიოზული „ტრენინგია“... ნ ივლისის „სლავიანსკი ბაზარზე“ მივდივარ. ამ კონკურსის პირდაპირ ტრანსლაციას ერთ-ერთი არხი შემოგვთავაზებს. ასე რომ, ქართველ მაყურებელს საშუალება ექნება, მიგულშემატკივროს. თუ რას შევასრულებ — ჯერჯერობით გადაწყვეტილი



ამ გოგოს გულისთვის კინალამ ვიჩხუბეთ

არ გვაქვს, რეპერტუარის შერჩევაზე ახლა ვმუშაობთ. ძალიან კარგ სიმღერებს ვამზადებთ. კონკურსებზე ჩემს გამგზავრებას „ფაივ ლაინს ფროდაქშენი“ უზრუნველყოფს. ყაზახეთში, იმ საერთაშორისო კონკურსზე, საიდანაც შარშან გრან-პრი ჩამოვიტანე, წლეულს სპეციალურ სტუმრად ვარ მიწვეული. კონკურსანტად სალომე ბაკურაძე მიგვყავს. შანხაის კონკურსზე იყვნენ ყაზახეთის კონკურსის ორგანიზატორები, რომლებსაც ძალიან მოეწონათ ჯაბა და ის ინგლისურენოვან ნამყვანად მიიჩვიეს. კიდევ გვაქვს რამდენიმე შემოთავაზება სხვადასხვა კონკურსიდან. გადანაცვტილება ჯერჯერობით არ მიგვიღია. თუ სადმე გავემგზავრებით, ამას აუცილებლად შეგატყობინებთ.

ინფორმაციულ-ჟურნალისტური კოლაჟი

ეოჩა დვალის უბის წიგნაკოდან:

ნასილენ“, — ამ ლექსს მხატვრულ ფილმში — „სამსახურებრივი რომანი“ — მიაგოვი ალისა ფრეინდლის უკითხავს და არნშუნებს, ახალგაზრდობაში დავეწერეო. ფრეინდლის კი მშვიდად პასუხობს: „ვიდიმო, ვი ვ მოლოდოსტი ბილი გარაზდა ტალანტივევი, ნო ია ნე დუშალა, შტო ტვარილი პოდ პსევდონიმომ „პასტერნაკ“.

20. „და პუსკაი ბუ-დეტ უ ნიხ ეტატ მატრიარხატ, — ამბობს ევგენი პეტროსიანი ქალების შესახებ, — ანი შე ვსიო რეშიაიუტ, ნა ნიხ ი დეტი, ი სემიისტვო, ი ხაზიასტვო, ი სტრატეგია სემისტვა... სკემ დრუჟიმ, ვაკო ნენავიდიმ... ა ნამ ბი პროსტა დაროჟკუ პრატაპატ ოტ ტელევიზორა დო ხალადილიკა ი ობრატნო...“



21. ვენეციაში ებრაელები ქალაქის ბოლოში, ეგრეთ ნოდებულ გეტოში ცხოვრობდნენ. საღამოს ამ გეტოს კარი იკეტებოდა და მცხოვრებლებს გარეთ გამოსვლა ეკრძალებოდა. ლამდამობით გეტოს გუმარგი დარაჯობდა. ქალაქში გამოსული ებრაელები ვალდებულნი იყვნენ, ნითელი ქუდი ეტარებინათ, რათა ყველას შესძლებოდა ვენეციის მოქალაქეებისგან მათი გარჩევა.

22. ერთხელ შვილის ოთახში შესული გალაკტიონ ტაბიძის დედა, მაკრინე, უცნაურ სცენას შესწრნობა: გალაკტიონი ფანჯარასთან იდგა და მზის სხივებს კოცნიდა.

23. 14-30-50 — ეს გახლდათ ლენინ-გრაძელი ნადეჟდა შეველიოვას ტელეფონის ნომერი, მხატვრულ ფილმში „ბედის ირონია“. ამ ნომერზე დღესაც უამრავი ადამიანი რეკავს და ნადიასთან დალაპარაკებას ითხოვს. ბარბარა ბრილსკას ანებარი ფანატები სინამდვილეში, ერთ-ერთი დანსქებულების ადმინისტრატორთან ხვდებიან, რომელსაც უკვე ჩირის დღესავით სძულს ელდარ რიანანოვიცა და მისი ფილმიც.

24. ქალის მკერდის ხატვის უბადლო ოსტატი ხარო, ესუმრებოდა ლადო გუდიამვილს მხატვარი დაუბოქოქ მელიკოვი. ამ საუბრის შემდეგ დაუხატავს თურმე ლადოს თავისი ნახატი, სადაც ის და მელიკოვი ქალის მკერდს იყოფენ.

25. ჩილეში საუკეთესო წითელი ღვინო მოჰყავთ. ფერმერები შემოდგომაზე ვაზს ფოთლებს აცლიან, რომ მტევნებს მეტი მზე მოხვდეს და ნაყოფის შაქრიანობამ იმატოს. P.S. ჩილელები სად იყვნენ, სოფელ ხვანჭკარასა და მის მეზობლად მდებარე სოფლებში მევენახეები ალექსანდროლის მტევნებს ყუნწს რომ უგრეხდნენ, რათა ყურძენს ნიადაგიდან რაც შეიძლება ნაკლები წყალი მიეღო და მზის სხივებზე კარგად ჩაშაქრებულიყო?!

თიონა ოზანიძის ჩვეულებრივი ოჯახი აქვს; ორი შვილის დედაა. უფროსი, 12 წლის მარიამი გაცივანი კიდევ — ძალიან ლამაზი თვალები აქვს, სკოლაში დადის, განსაკუთრებით ასტრონომია ინტერესებს და ვიოლინოზე დაკვრასაც სწავლობს. თეონა თურმე საღამოს საკმაოდ ადრე — 9 საათზე იძინებს, დილით კი უთენია დგება. მიყვარს, მზის ამოსვლას რომ ვხედავო, — ამბობს. უცნაურ ფიგურებსა და ჩანაწერებსაც დილაობით აკეთებდა. ოღონდ ვერ ისწავლებს, ხატვის პარალელურად იწყებდა წერას თუ ნახატის დასრულების შემდეგ. ახლა აღარაფერს წერს და აღარც უცნაურ ფიგურებს ხატავს, თუმცა ფიქრობს, რომ ნებისმიერ დროს შეუძლია ამის გაკეთება და დასტურად, ჩვენ თვალწინ იწყებს იეროგლიფების წერას.



# იყოლა, ნიყოლა და მათი მეგობრები ანუ ქალბატონი, რომელიც 595-ედ არის ამქვეყნად მოსული...

## ირმა ხარშილაძე

— პირველი უცნაურობა, რომელიც საკუთარ თავს შენიშნეთ, ამ ფიგურების ხატვა და გაურკვეველი ჩანაწერების გაკეთება იყო?

— იცით, რა?.. მე პროფესიით მხატვარი ვარ, სამხატვრო აკადემიის გრაფიკის ფაკულტეტი მაქვს დამთავრებული. იქვე, 9 წლის განმავლობაში ფერწერასაც ვასწავლიდი. რექტორად გია ბუღაძის მოსვლის შემდეგ შემამციტეს. ამიტომ, მხატვრობა ჩემთვის უჩვეულო საქმიანობა არასდროს ყოფილა, მაგრამ... მყავს მეგობარი — ხათუნა აროხელიძე, რომელთანაც უცხოვლანეტელები ბინადრობენ. ალბათ გასმენიათ უფოლოგ თაღეს შონიას შესახებ. სამწუხაროდ, დღეს ის ადამიანი გარდაცვლილია... პატონმა თაღესმა ხათუნასა და უცხოვლანეტელთა ურთიერთობას „მეოთხე სტადიის კონტაქტი“ უწოდა.

### რას ნიშნავს?

— იმას, რომ მათ ვერ ხედავ, მაგრამ გრძნობ, რომ აქვე არიან — შეუძლიათ, ყავა დაგილიონ, ნამცხვარი შეგიჭამონ და ასე შემდეგ... ტელეპათიურად კონტაქტობენ შენთან, კითხულობ მათ აზრებს... ხათუნა დაახლოებით 1992 წელს გაცივანი. ხშირად ვურთიერთობდით, მით უმეტეს, რომ მეც მის მახლობლად, ჭავჭავაძის პროსპექტზე ვცხოვრობ. ასე, ორ წელიწადში უცნაურად წერა და ამ ფიგურების ხატვა დავიწყე. რასაც ვაკეთებდი, ყოველთვის ვუჩვენებდი ხათუნას. მან თაღეს შონიასთან მიმიყვანა.

### როგორც ვიცი, ხათუნამ მართლაც უფერად და უჩვეულოდ დაიწყო ხატვა...

— კი, უცხოვლანეტელებმა დაანებინეს, რადგან მანამდე საერთოდ არ ხატავდა... მოკლედ, ხათუნამ მითხრა, — ვხედავ, ერთ-ორ უცხოვლანეტელთან გაქვს კონტაქტი, ისინი შენს სახლშიც არიან ხოლმეო. მისი სიტყვები ასე, 95%-ით მჯეროდა, მაგრამ... ბოლომდე ძნელია, დაიჯერო ის, რასაც ვერ ხედავ. იმხანად ძალიან ცუდად ვიყავი, ვეგეტონევიროზის მაგვარი რამ დამემართა, სულ ცივი ოფლი მასხამდა, გულის წასვლის შეგრძნებაც მქონდა. აი, მაშინ ვწერ-

## „ყავა უცხოვლანეტელთა და მილიუს“...

დი ამ იეროგლიფებს. თითოეულის გამოყვანას ძალიან ბევრ დროს ვანდომებდი. მერე ავუჩქარე და დღეს მისი დანერა ქართულ ასოებზე სწრაფად შემიძლია. მაშინ თაღეს შონიას რომ ვუჩვენე, ნაწერები ნახატებიანად დაიტოვა. კარგა ხანს ჰქონდა. საერთოდ, ძალიან სიტყვაფუნქცი კაცი იყო. ის კი მითხრა, — შენს ნამუშევრებში ჩანს ბიოლოგიისა და ტექნოლოგიის სინთეზი, ოღონდ, ან ჯერ არგამოგონებული ტექნიკის, ან — მილიონი წლის წინ, მაღალგანვითარებული ცივილიზაციები რომ იყო — ატლანტიდა და ასე შემდეგ — იმის დანატოვარი, ამიტომ, აჯობებს, შეინახო ეს ყველაფერი და ჯერჯერობით ხალხს არ უჩვენო. იცით, მართალი იყო ის კაცი, რადგან ხალხის მასა ამ ნამუშევრებისა და ჩემი მონათხრობისას ვერაფერს გაიგებს და იფიქრებს, რომ ნორმალური არა ვარ.

### თქვენ რასაც წერთ, ამის შინაარსი თუ იცით?

— არა, წარმოადგენა არა მაქვს.

### საოცარი, იმდენად დახვეწილადაა გამოყვანილი თქვენ მიერ ეს იეროგლიფები, სტრიქონებიც კი დაცულია...

— ჩემზე სხვადასხვა გაზეთში არაერთი წერილი გამოქვეყნებულა; რუსულ გამოცემაშიც დაბეჭდეს რაღაც სტატია, მაგრამ ყველა თავის ვერსიას წერს, თუმცა სიმართლე რაც არის...

### რა არის სიმართლე?

— არ ვიცი, ეს ჩემთვის ამოუხსნელია. ხათუნამ რომ მითხრა, — შენთან ვხედავ უცხოვლანეტელებსო, მე მათ ვერ გრძნობდი, სახლში არანაირი ნიშანი არ დაუტოვებიათ. მაგალითად, მასსოვს, ხათუნასთან, პატარა ჭიქით ყავა გაცივანეთ მეორე ოთახში — სახლში მხოლოდ მე და ხათუნა ვიყავით, — ცოტა ხანში გავედით და ჭიქაში ყავა აღარ იყო...

### ანუ უცხოვლანეტელებმა დალიეს?

— ასე გამოდის. ოღონდ ამას ჩვენი თანდასწრებით არასდროს გააკეთებენ. ოთახიდან რომ გავედით, მერე დალიეს:

ხომ გითხარით — ადამიანებიდან, სახლში ჩემსა და ხათუნას გარდა, არავინ იყო! სხვათა შორის, უცხოვლანეტელებმა ხათუნას მხოლოდ ხატვა დაანებინეს, წერით კი არაფერს წერს. ძალიან კარგი ნახატები აქვს, არადა, ფაქტია — არსად შეუსწავლია ხატვა. მე კი, სიმართლე გითხრათ, ვერავის ზეგავლენას ვერ ვგრძნობ, თუმცა არც ასეთი უცნაური ფიგურები და იეროგლიფები გამიკეთებია მანამდე.

### ნუთუ თაღეს შონია ამას არ გისწინდით?

— ერთ რამეს გეტყვი: მასსოვს, მე და ხათუნამ მარტივი სპირიტისტული სეანსი ჩავატარეთ — თეფში დავატარიალეთ. მაშინ არც ერთს ოჯახი არ გვექონდა, ერთადაც ხშირად ვიყავით და გასართობადაც ბევრი დრო გვრჩებოდა. მეორე დღეს ჩემი ნამუშევრებით ნავედით თაღეს შონიასთან. ეს ამბავი აღარც გვახსოვდა. თაღესმა ბიოლოგიური ხელსაწყოთი ბიოველი გამისინჯა და მკითხა: სპირიტისტული სეანსი ხომ არ ჩაგიტარებიათ? ცოტა არ იყოს, დავიბენი, მაგრამ ხომ არ მოვატყუებდი და ვუპასუხე, — კი-მეთქი. — ეს აღარასოდეს გააკეთოთო, — გვითხრა, — დეფორმირებული ბიოველი გაქვთ და არ შეიძლებაო... ბევრმა ნახა ჩემი ნამუშევრები და ყველას სხვადასხვა აზრი ჰქონდა ამის შესახებ. ზოგიერთმა ისიც მითხრა, უწმინდური ძალისგან შეიძლება მოდიოდეს, ამიტომ, ლოცვა — „მამაო ჩვენო“ წაიკითხე და აბა, ნახე, მაშინ თუ დაწერო. ბევრჯერ წავიკითხე ლოცვა, მაგრამ მაინც ვწერდი.

### თქვენი დაკვირვებით, წერდით, როცა თავად გასურდათ ამის გაკეთება, თუ ვინმეს კარნახს გრძნობდით?

— ვერაფერს ვგრძნობდი. ერთადერთი — თაღესის რჩევით, გვერდებს ვნომრავდი. შემქლო, ერთბაშად, ერთი საათის განმავლობაში, ათი უფრცელი შემეგვსო ნაწერებითა და ნახატებით.

### ხათუნას არ სთხოვდით, უცხოვლანეტელები გაეცნოთ თქვენთვის?

— მათი ნახვა მართლა ძალიან მაინ-

ტერესებდა, მაგრამ მე კი არა, ხათუნასაც არ ენახებოდა. თუმცა ხათუნას დახატული ჰყავს იკოლა და ნიკოლა.

**როგორები არიან?**

— ქერები, ცისფერთვალნიანები. ადამიანის სახე აქვთ, ოღონდ ძალიან მაღლები არიან. ხათუნა ამბობს, ქრისტიანები არიანო, თუმცა ჩემთვის ეს ცოტა წარმოუდგენელია. ალფა პლანტიდან მოვიდნენო. სხვათა შორის, მათ ხომალდს გამოთენისას ვხედავ ხოლმე — ვაკის პარკის თავზე, მთებზე მაღლა, ცაზე აჩერებენ. იქ ლამით მოჩანს რაღაც, არაბუნებრივად დიდი ვარსკვლავი. ამ დილითაც ვნახე — ცაზე მის გარდა არაფერი ჩანდა, განსაკუთრებულად დიდად იყო გამოილი, გამიკვირდა კიდევ, — ნეტავ, რა დაემართათ-მეთქი?.. დიდი ბინოკლით კარგად დაინახავთ ხომალდის ოვალურ ფორმას და დიდ ფარებს.

**ხათუნას გაცნობამდე ვერ ხედავდით მაგ ხომალდს?**

— 27 წელია, ვაკის პარკის პირდაპირ, ამ სახლში ვცხოვრობ და ახლა რომ ვიხსენებ, ხომალდი ბავშვობაშიც შემიჩნევა, მაგრამ მაშინ ვარსკვლავად აღვიქვამდი და ყურადღებასაც არ ვაქცევდი. ისე, რომ არ დაგიმალოთ, დღეს აღარც მანქანებს მათი ამბები, მომბეზრდა მათ შესახებ ლაპარაკი. აი, რომ ეკონტაქტათ ჩემთან, სხვა იქნებოდა...

**რას ფიქრობთ, რატომ არ ისურვეს თქვენთან ურთიერთობა?**

— არ ვიცი. ხათუნას ოჯახიც თვითონ შეაჩრჩეს, მანამდე მის მეგობარ მავა მატაბელთან მისულან. ერთ მშვენიერ დღეს მავას სახლში თურმე ნივთები იცვლიდა ადგილმდებარეობას... მაღე ის სახლი მიატოვებს და ხათუნასთან დასახლდნენ. უწყინრად ცხოვრობენ, არაფერს მოიპარავენ, არავის არაფერს ავნიებენ.

**ხათუნამ მათი სახელები საიდან შეიტყო?**

— „მეოთხე სტადიის კონტაქტი“ — ტელეპათიურად გადასცეს სახელები. მე ორჯერ მომწერეს წერილი. ხათუნას სახლში რომ მივედი, ზემოდან დაკუჭული ქაღალდი ჩამოვარდა და იატაკზე ჩემ წინ დავარდა. ფსიქოლოგიურად ამისთვის მზად ვიყავი და არაფრის შემინებია. ქართულად ეწერა, ოღონდ ბავშვის ნაწერს ჰგავდა. პრიმიტიული წერილი იყო: ცენ კარგი გოგო ხარ და ვიმეგობროთო. მსგავსი რამ მეორედაც გამიკეთეს.

**შეგიძლიათ, ის წერილები მიჩვენოთ?**

— აღარ მაქვს, სადღაც დამეკარგა.

**იქნებ ხათუნამ ისროლა წერილი?..**

— ეჭვის საფუძველი არ მაქვს. ხათუნა გვერდით მომყვებოდა, წერილი კი ზემოდან ჩამოვარდა. სხვათა შორის, ჩემ წინ კალამიც დავარდა, მასთან ერთად. თავიდან ხათუნასთანაც წერილებით ურთიერთობდნენ, მერე და მერე ტელეპათიურად კონტაქტობდნენ.

**რა ასაკის იყვნენ, იცით?**

— მაშინ იკოლა 13 წლის იყო. მახსოვს, ხათუნას დაბადების დღეზე ფოტო გადა-

ვულე. ფირი რომ გავამყლავნე, ხათუნას უკან რაღაც, ჩრდილივით ჩანდა. იკოლას მივამსგავსე. არ ვიცი, შეიძლება, მომეჩვენა კიდევ; მაგრამ... არასდროს არაფერი მეჩვენება.

**მოკლედ, იკოლამ და ნიკოლამ თქვენს სახლში ცხოვრება არ ისურვეს და მხოლოდ ტექსტებს განერივნებდნენ და გახატვინებდნენ?**

— არა, მე მათთვის მხოლოდ ხათუნას მეგობარი, კარგი გოგო ვიყავი. ხათუნას თქმით, ჩემთან სულ სხვა პლანტიდან მოსულები ურთიერთობდნენ. მითხრა: შენთან ორი დავინახე, ოღონდ ისინი უცხოები არიანო. სხვათა შორის, ხათუნას ვაკითხვინე კიდევ იკოლასთვის: თქვენ მანერინებთ ამ ტექსტებს-მეთქი? — და უარყოფითად უპასუხეს.

**თუ იცით, რამდენი პლანტიდან „სტუმრობენ“ დედამიწას „უცხოები“?**



— ვიცი, რომ თალეს შონიას თორმეტცივილიზაციასთან ჰქონდა ურთიერთობა. სიმართლე გითხრათ, მეც ურწმუნო თომასავით ვარ — სანამ ჩემი თვალით არ ვნახავ მათ, ბოლომდე ვერ ვიჯერებ. თუმცა წარმოუდგენელია, ამხელა სამყაროში მარტო ჩვენ ვიყოთ.

**თქვენ ამბობთ, რომ მართლმადიდებელი ქრისტიანი ხართ...**

— ვარ და ისიც ვიცი, რომ ქრისტიანობა ამას უარყოფს, მაგრამ... ამბობენ, საქართველო განსაკუთრებით აინტერესებთ უცხოპლანეტელებსო.

**რატომ?**

— იმიტომ, რომ ღვთისმშობლის ნილხვედრი ქვეყანაა, ქართულ ენაში კი ბევრი საიდუმლოა დამარხული. ალაზნისპირელიც ხომ ამბობს, რომ ნუნისში უძველესი ცივილიზაციის ნიშნებია... იქნებ, იქ სახლობენ სხვა პლანტიდან მოსულები, რას გაიგებ?! აბა, რატომ ამერიკასა და ბრა-

ზილიაში არ არიან?

— **მინდა, თქვენს ნამუშევრებს დაეუბრუნდეთ. გარდა იეროგლიფებისა, აქ ძალიან ბევრი ციფრია მოცემული, რამდენიმე ძველი ქართული ასოც ამოვიკითხე 1(ლ) 2(ე) და ასე შემდეგ. ლათინური ასოებიც გაქვთ გამოყენებული. ნუთუ, სავარაუდოდ ვერსია მანაც არ გაქვთ?**

— თუ გაგიგონიათ ასტრონომი, რომელიც ბიოლოგაციის მეთოდს ასწავლის, — ილარიონ ბოსიკაშვილი? მასთანაც მივიტანე ჩემი ნამუშევრები. სხვათა შორის, მერე სპეციალური კურსიც გამატარა და მითხრა, რომ ჩემს ნაწერებში თურმე ზუსტად არის მოცემული რიცხვი, თუ რამდენით არის დაცვილებული დედამიწისგან ფაეტონის პლანეტა. მაგრამ მათგან ცუდი ენერგეტიკა მოდის (ის ბიოენერგოთერაპეტიც არის), თავი ამტკიცდა და ხელები დამიბუჟდაო, — დასძინა. როდესაც ასეთ უარყოფით ინფორმაციას ვიღებ, წერის სურვილი მიჭრება.

**თქვენ თვითონ, წერისას, გრძნობდით რაიმე უარყოფითს?**


— არა, მე ვერაფერს ვგრძნობდი... კიდევ, მიხილ ცაგარელთან ვიყავი, პირადი ჰოროსკოპის შედგენა ვთხოვე. მან მითხრა, — 595-ედ ხარ ამქვეყნად მოსული. ცოტა არ იყოს, მისი ნათქვამი დაუჯერებელი მეჩვენა. შეიძლება, ამდენჯერ არა, მაგრამ სამჯერ კი ვიყო ამქვეყნად ნამყოფი. საერთოდ, მართლმადიდებლები ამას უარყოფენ, მაგრამ რენეკარნაციის თეორიის მჯერა. ამბობენ, თითქოს ეს თეორია ოდესღაც ჩადებული იყო ჩვენს რელიგიაში. ერთმა რუსმა ექსტრასენსმა ჩემი ნამუშევრების გაცნობის შემდეგ ისიც დანერა ჟურნალ „ორაკულში“, თითქოს რომელიღაც წინა ცხოვრებაში პლანეტა მარსზე ვცხოვრობდი. ამაზე მეცინება. რა აბსურდია! ისიც კი მიფიქრია, ეს ყველაფერი ჩემი ფანტაზიის ნაყოფი ხომ არ არის-მეთქი, მაგრამ... აგერ, ყოველდღე ვხედავ უცხოპლანეტელების ხომალდს, არსებობს ჩემი ნაწერები და ნახატები... რა გითხრათ?..

**ის ხომალდი მინცდამანც ვაკის პარკის თავზე რომ ჩნდება, ეს, თქვენს საცხოვრებელ ადგილს ხომ არ უკავშირდება?**

— შეიძლება. მაგრამ ერთი ხომალდი კი არ არის, მეორე — ყიფშიძეზე, ხათუნას სახლის თავზე, ღრუბლებშია გაჩერებული, მესამეც — სადღაც ახლოს. ხათუნა იმასაც ამბობს, — იკოლა და ნიკოლა ჩვეულებრივ დაწესებულებებში მუშაობენ, ოღონდ ვერაგინ ხვდება, რომ უცხოპლანეტელები არიან, სამსახურიდან გამოუსვლები კი მაშინვე უჩინარდებიანო. ხათუნას ვუთხარი, — იკოლას და ნიკოლას სთხოვე, შენც გასწავლონ გაუჩინარება-მეთქი. უთხოვია, მაგრამ იმათ უთქვამთ, — არ გასწავლით, რადგან თქვენ ამას ცუდად გამოიყენებთ, იმიტომ, რომ ჯერ იმ დონეზე არა ხართ, რომ ეს უნარი კეთილსაქმეს მოახმაროთო... რასაც მე გიყვებით, ალბათ, ძნელი დასაჯერებელია, არა?..

— (უკომენტაროდ)...

# „ღამს“ ჭკარი



## მორანა ჭუმბურიძე

ბავშვობიდან ერთი მისწრაფება ჰქონდა ლადუშას, კალამი ჰქონოდა ხელში და ეხატა. ბევრს ეცადნენ მისი მშობლები, მაგრამ სხვა ინტერესი მაინც ვერ გაუჩინეს ერთადერთ ვაჟს. როგორ არ უშლიდნენ ამირანი და ვარა შვილს, გაუშვი მაგ ფანქარს ხელი და სხვა რამეს მოჰკიდებ ხელი, მაგით შენახული ოჯახი ვის უნახავსო, მაგრამ შედეგს ვერ მიაღწიეს. აძვრებოდა სხვენზე პატარა ლადუშა, აიტანდა ფანქარს და ფურცელს და ხატავდა ხან შიშველ და ხან ჩაცმულ გოგონებს. ხატვის რა გითხრათ, მაგრამ შიშველი ქალები-სადმი სიყვარული კი მამისგან ერგო მემკვიდრეობით. და ვინაიდან ჯერ ისევ იმ ასაკში იყო, რომ სხვას ვერაფერს ახერხებდა, ისევ ტიტლიკანა გოგონების ხატვით იქცევდა თავს.

ჯერ იყო და, ქმრის აქეთ-იქით ნან-ნალით გულშელონებულმა, მერე კი შვილის ამ უცნაური გატაცებით თავ-გაბეზრებულმა ვარამ აღარ იცოდა, რა შვ ნყალს მისცემოდა. ნაიკრავდა გაბრაზებული ქალი თავს და ქმარ-შვილს რომ ვერაფერს უხერხებდა, სარეცხს ისეთი გულმოდგინებით ჭეჭ-ყავდა, თითქოს შარვლების მაგივრად, ოჯახის მამაკაცებს უზელდა გვერდებს. თან ხელებს რიტმულად ააყოლებდა წყევლას:

— დაგაყარე მინა! ჩაგდე კუბოში! შენ მოუკვდი შენს პატრონოს!

და საბოლოოდ, შედეგი ის იყო, რომ მისნაირი კარგად გარეცხილი სარეცხი უბანში არავის ჰქონდა. ქალები ზურგს უკან ქირქილებდნენ კიდევ, გაბრაზებული ვარა „ბოშის“ სარეცხ მანქანასაც სჯობიაო.

ერთ დღეს კი საბოლოოდ გამოვი-და საბრალო ქალი წონასწორობიდან,

როდესაც ლადუშას რუსულის მასწავლებელმა ნელი გიორგოვანამ სკოლაში დაიბარა. კლასში რომ შევიდა, მასწავლებლის ერთიანად აჭარხლებულმა სახემ მიახვედრა, რომ საქმე მთლად კარგად ვერ იყო. მაგრამ იმას მაინც არ მოელოდა, რომ ანკეპილნარბებიანი, ოფოფივით შემართული ქალი წინ საკუთარ შიშველ პორტრეტს დაუდებდა. ჯერ

იყო და თვალებს არ უჯერებდა გაკვირებული ვარა, მერე კი — ყურებს, როცა გიორგოვანამ უთხრა, ამ „ფორმაში“ შენმა შვილმა დამხატაო. ათასი ბოდიში მოიხადა მინადასაყრელის დედამ, რამდენჯერმე სახეზეც შემოირტყა ხელი, — ეს როგორ გაბედა იმ უსინდისომო?! — მერე იმასაც დაჰპირდა, მამამისს ვეტყვი და უთუოდ მოკლავს მაგ სანყალსო. ბოლოს კი ლადუშას „შედეგს“ ხელი წამოავლო და სიბრაზისგან ჩაიდანით ერთიანად ათუხთუხებული, შინ დაბრუნდა.

ამირანმა დიდი ინტერესით შეათვალიერა ნახატი და ნელი გიორგოვანას ფუნთულა სხეულთა ნერწყვითმდგარმა უფრო კმაყოფილებით ჩაილაპარაკა, ვიდრე სიბრაზით:

— ისე, ნიჭი და გემოვნება კი ჰქონია მაგ მამაძალღს, რას ერჩი?!

ეს იყო ბოლო წვეთი, რომელიც ვარას მოთმინების ფილას აკლდა... ქალი უხმოდ გადავიდა ბოსტანში, ერთი დიდი კონა ჭინჭარი „გამოკრიფა“ და რადგან იცოდა, ქმარს ვერაფერს დააკლებდა, შვილს ისე დაუსუსხა ხელები, რომ საბრალო ბიჭი კარგა ხანს სახატავად კი არა, სანერადაც ვეღარ ეკარებოდა კალამს. ის იყო და ის, გამწარებულმა ლადუშამ ერთი კი დაიფიცა, — შიშველ ქალს კი არა, ცოცხალ ადამიანს საერთოდ აღარ დაეხატავო, — და მას მერე ფიცი აღარც დაურღვევია. რამდენჯერმე მადის აღმძვრელი ნატურების დანახვისას კინალამ ისევ წახსლია სულმა, მაგრამ მაშინვე რუსულის მასწავლებელი და რუმბივით დასივებული ხელები გაახსენდა და იმწამსვე უარყო ეს აზრი. ისე, ნელი გიორგოვანას ტიტლიკანად დახატვა საბრალო ბიჭს დაუჯდა ძვირი, თორემ შვილის „შემოქმედებით“ დაინტრიგებულმა ამირანმა მას მერე ბიჭთან სკოლაში სიარულსაც მოუხშირა და იმა-

შიც ბევრჯერ დარწმუნდა, რომ ლადუშას ფანტაზიები მასწავლებლის შიშველ ტანთან დაკავშირებით, რეალობასთან საკმაოდ ახლოს იდგა.

მართალია, ცოცხლებს აღარ ხატავდა ვერშემდგარი რუბენსი და ვერც დიდი მხატვარი გამოვიდა, მაგრამ სამაგიეროდ, მშობლების წინასწარმეტყველების მიუხედავად, თავს ხატვის ნიჭით ირჩენდა. როცა წამოიზარდა და ცოლიც შეირთო, საფლავის ქვებზე დაიწყო ხატვა და ამით კარგ შემოსავლასაც იღებდა. მართალია, აგული ერისთავის არ იყოს, სმირად საყვედურობდნენ მიცვალებულის პატრონები, — რა არის, ამას ცხვირი აქვს სხვანაირი, ამას — თვალები, ეს კიდევ, სულ არ ჰგავსო! — მაგრამ მის იქით გზა მაინც არ ჰქონდათ და სასაფლაოზე გასულ ლადუშასაც თავი პერსონალურ გამოფენაზე ეგონა ხოლმე.

მოკლედ, საწუნუნო არაფერი ჰქონდა. ასე იყო თუ ისე, საყვარელ საქმესაც აკეთებდა და ოჯახსაც შეძლებისდაგვარად არაფერს აკლებდა მანამ, ვიდრე ერთ დღეს უცნაური კლიენტები არ ეწვივნენ შინ. დაბურთულმინებიანი შავი „აუდი“ რომ გაჩერდა მის ჭიშკართან, გულმა მაშინვე რეჩხი უყო. კარგად იცოდა, ვისაც ეკუთვნოდა ეს მანქანა და ინტუიციით იმასაც კარგად მიხვდა, შავებში გამოწყობილი, წვერიანი, მოქუფრულსახიანი ბიჭები რა საქმეზეც უნდა ყოფილიყვნენ მასთან მისულები.

ორიოდე კვირის წინ ქალაქის ცენტრში საწყალ კატუშას მანქანა დაეჯახა და შემთხვევის ადგილზე ისე მიატოვა, არც გაჩერებულა. მწ წლის ქალი შოკისგან მაშინვე გარდაიცვალა. ნაშლის კაიფით ნირვანაში გადასული მისი შვილოშვილი გუგუნა ვერ იქნა და აზრზე ვერ მოიყვანეს ოჯახის წევრებმა, რომ ეს სამწუხარო ამბავი ეცნობებინათ. თუმცა მისი ფიცხი ხასიათისა და ფოცხვერივით აბრიალებული თვალბის შიშით, მაინცდამაინც შეწუხებაც ვერავინ გაუბედა. ის იყო, გუგუნა თეთრი ღრუბლებიდან ძირს დაეშვა, რომ ბებიაშისიც შემოასვენეს ეზოში და ჯერ ისევ გაბრუებულმა კაცმა ძლივს გაარკვია ამ ნივთი-კვილის მიზეზი. მერე თავადაც გულში ჩაიხუტა გამზრდელი და „ბავშვობაში ვაშლის გამოთლელი“ ბებია და დაიფიცა, ორმოცამდე უკან მოგაყოლებ იმას, ვინც შენი ჭალარა თავი წამართვაო!..

მაგრამ მიუხედავად იმისა, რომ გააფთრებული ეძებდა მთელ ქალაქში, ვერაფრით ვერც მანქანას მიაკვ-

# აუთიქაქი ააქა, მისტიქუქი შესქქქა შეინქქქქე და ჰომიქქქუქი შექქქე

ლია და ვერც მიძლოს. ისე იყო გაცოფებული იმით, რომ დანაქადს ვერ ასრულებდა, შიშისგან ყველა ერიდებოდა. გუგუნა და მისი ამფსონები რომ დაინახა, ლადუშასაც იმიტომ შეუნუხდა გული. იცოდა, რომ ბებიამისის სურათის დახატვას უბრძანებდა და რამე ისე რომ არ გამოსვლოდა, შესაძლოა, თავზე ხელაღებულ ნარკომანს უიღბლო მხატვარი ორმოცამდე მკვლელის მაგივრად დაეკლა ქათამივით საფლავზე.

მოლოდინი გაუმართლდა და გუგუნამ ცხონებული კატუშას ვინ იცის როდის გადაღებული სურათი დაუღო წინ. თან ნარბგაუხსენელად, მოკლედ გამოცრა კბილებში:

— მისმინე, სიმონ, მე ბევრს არ ვილაპარაკებ და დეისსომე. ქვაც საუკეთესო უნდა იყოს და სურათიც, თორემ ისეთს გაგხდი, იქით იყოს შენი სურათი დასახატი. ისიც გეითვალისწინე, სიმონ, რომ ბებიანქემი წმინდანი იყო და ჯვართან ერთად დახატე.

უარის თქმას როგორ გაბედავდა ლადუშა?! სიმონის ოფლი მოინწინდა და მუშაობას შეუდგა. რამდენიმე ლამე სახელოსნოში გაატარა. მაქსიმალურად ეცადა, რომ სურათიდან კატუშას ზუსტი ასლი გადაეღო, მარცხენა ზედა კუთხეში ჯვარიც გამოსახა შეკვეთისამებრ და დასაძინებლად დანვა, დამკვეთის მოლოდინში. დილით კიდევ ერთხელ გადაწვიტა, თავისი ნამუშევრისთვის თვალი შეეველო და მტრისას, იქ ამბავი დახვდა! კარი დარჩენოდა ღია და ლოთი ვალერას ძუნძღიანი ძაღლი შეპარულიყო, ქვა გადმოეყარავებინა და ძვირფასი ლაბრადორი ქვედა მარჯვენა კუთხეში შეუმჩნეველად, მაგრამ მაინც გაბზარულიყო. ლადუშამ, რომელმაც კარგად იცოდა, ამას რა მოჰყვებოდა, კიდევ ერთხელ შეიკურთხა დედის მისამართით, — რატომ მაშინ არ მცემე ჭინჭრით ისე, რომ აღარც მკვდრები მესატაო?! — და სანამ გუგუნა მოაკითხავდა ქვას, გაბზარულ კუთხეში სასწრაფოდ, მეორე ჯვარიც ამოაგვირისტა.

ამასობაში, „აუდი“ ისევ გაჩერდა ჭიშკართან და წვეროსნები ისევ შელაგდნენ სახელოსნოში. გუგუნა ამღვრულ თვალებს არ აცილებდა კატუშას პორტრეტს და ის იყო, ლადუშამ იფიქრა, — მგონი, გადავრჩიო, — რომ მთელი ხმით იღრიალა:

— რაა, სიმონ, ეს?! მე შენ ბებიანქემის დახატვა გითხარი თუ „დამა“ ჯვარის“?!

მოკლედ, იქ ამბავი დატრიალდა!.. ქალაქში კარგა ხანს ეყოთ საქილიკოდ. სანყალ ლადუშას კი დედამისის ჭინჭრით ნაცემის სიმნარეც გადაავიწყა და ამჯერად, ცოცხლებთან ერთად მკვდრების ხატვაზეც სამუდამოდ ააღებინა ხელი.

**ბატონი ჯანრი კაშია**  
იმ თაობას მიეკუთვნება, რომელმაც საზოგადოებრივ ასპარეზზე ბევრი საინტერესო პიროვნება გამოიყვანა. ისინი, ვისი სახელიც საქართველოს უახლეს ისტორიაში დიდი ასოებით შევიდა, ბატონი ჯანრის ახლოებულ-მეგობრებს შორისაც იყვნენ. მიუხედავად ამისა, ჩვენი რუბრიკისთვის მან ისეთი ადამიანები გაიხსენა, ვისაც ფართო საზოგადოება არ იცნობს, მაგრამ თავად რესპონდენტი მათთან შეხვედრას უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებს.



## ნა ბუნიავილი

— ჩემი ბიოგრაფია მდიდარია იმ ადამიანებთან ურთიერთობით, ვინც წარუშლელი კვალი დატოვა ჩემს გულსა და მესხიერებაში. მათ შორის იყვნენ ჩემი თაობის წარმომადგენლები, ჩემი მეგობრები, საქართველოს მოამაგე და პატრიოტი ხალხი. მაგრამ ამჯერად მინდა, იმ სამ პიროვნებაზე ვიამბოთ, ვისთან ურთიერთობამაც სწორ გზაზე დამაყენა, ცხოვრების მთავარი კარიბჭე გამისხნა. პირველ რიგში, ასეთი ადამიანი გახლდათ ბაბუანქემი — სევერიან თავართქილაძე, არაჩვეულებრივი პიროვნება, პროფესიით ფარმაცევტი, ძირძველი ბათუმელი და დედამამიშვილებით მდიდარი ადამიანი. ჩვენ ერთ დიდ ოჯახად ვცხოვრობდით, ბევრი ბავშვი ერთად ვიზრდებოდით, ბაბუის დებსა და ძმებს კი საკუთარ დეიდებად და ბიძებად მივიჩნევდით. სევერიანი ძაღზე კეთილი ადამიანი იყო და მთელი

გურიისა და აჭარის მკურნალს ეძახდნენ. მიყვარდა მის აფთიაქში ყოფნა, თვალყურის დევნება, თუ როგორ ამზადებდა წამლებსა და მიქსტურებს. წამლის დამზადების პროცესი ჯადოქრობას ჰგავს, ამიტომ ბაბუის აფთიაქში ყოფნა არ მბეზრდებოდა და იქ ბევრ დროს ვატარებდი. ხშირად სევერიანი აფთიაქში სხვადასხვა საქმესაც მავლებდა, წამლების დამზადებაში მეც ვესმარებოდი, ამიტომაც, კარგად ვისწავრებ მედიკამენტების ლათინური სახელები და რეცეპტს უშეცდომოდ ვკითხულობდი. ბაბუა ხშირად მესაუბრებოდა სერიოზულ თემებზე, მათ შორის — სიკვდილზეც. ამბობდა, — თუ შენს თავს სიკვდილის წინაშე არ აყენებ, მაშინ შენი ყოფიერება ფორმას ვერ შეიცნის და იქნები ასე, „აზელილი“, დროსა და სივრცეში... ასეთი საუბრებით ბაბუამ ჩემში სიკვდილის შიში ჩაკლა. მახსოვს, იმ დროს ბათუმში ბევრი საინტერესო ადამიანი ცხოვრობდა, მაღალი დონის საზოგადოება, რომელსაც საბჭოური რეპრესიები დაატყდა თავს. ერთხელ, შუალამისას ჩვენს მეზობლად მცხოვრებ ბერძნებთან მოვიდნენ „ჩეკისტები“, დახურული სამხედრო ავტომობილით. ეჭვგარეშე იყო, რომ გადასახლებას უპირებდნენ. ბაბუამ ნაჯახი მოიმარჯვა და ბერძნების წასაყვანად მოსულ „ჩეკისტებს“ მიეჭრა. შეიძლება გაგეცინოთ, მაგრამ მას მეც გავყვევი. გაუგონარი რამ მოხდა: ტყავის შავ ქურთუკეში ჩაცმული ადამიანები მანქანაში ჩასხდნენ და ბერძნების სახლს გაეცალნენ. რალაც პე-



ჩემი ბიოგრაფია მდიდარია იმ ადამიანებთან ურთიერთობით, ვინც წარუშლელი კვალი დატოვა ჩემს გულსა და მესხიერებაში

რიოდის შემდეგ, ბერძენი ცოლ-ქმარი მინც გადასახლეს, მაგრამ მათი ოჯახის ახალგაზრდა წევრებს რეპრესიები არ შეხებია. აქვე მინდა, ბაბუის ძმაზე — ნიკოლოზ თავართქილაძეზეც გიამბოთ. ნიკოლოზი პროფესიონალი სამხედრო გახლდათ, მეორე მსოფლიო ომის დროს გენერლობა მიანიჭეს. სწორედ მან შეკრა ცნობილი, სტალინგრადის ალყა. სწორედ ნიკოლოზ თავართქილაძემ აიყვანა ტყვედ ფელდმარშალი პაულიუსი. ომის დამთავრების შემდეგ კი მოხდა ისე, რომ პაულიუსი ბაბუის ძმას სამხედრო აკადემიაში უკითხავდა ლექციებს. პაულიუსმა თავის დამატყვევებელ გენერალ თავართქილაძეზე გულში ჯავრი არ ჩაიდო, პირიქით — როგორც წარჩინებულ სამხედროს, საკუთარი ავტომობილი აჩუქა თურმე... ბაბუაჩემი ადრეულ ასაკში სიმსივნით გარდაიცვალა, მაგრამ ყოველთვის დარჩება ჩემს გულში. გონებაში კი ახლაც ჩამესმის მისი სიტყვები: ცხოვრებაში ყველაზე მნიშ-



სწორედ ნიკოლოზ თავართქილაძემ აიყვანა ტყვედ ფელდმარშალი პაულიუსი

ვნელოვანი — სულიერი ღირებულებებია, როდესაც მოვა დრო და მთავარი კარიბჭის წინაშე წარდგები, ამ კარიბჭეში ვერც ავტომობილს შეიტან, ვერც სახლს და ვერც სხვა მატერიალურ სიმდიდრეს, ამიტომ დაფიქრდი, რას წაიღებ თანო.

**— კიდევ ვინ იყო ის ადამიანი, ვინც წარუშლელი კვალი დატოვა თქვენს ცხოვრებაში?**

— ამ ადამიანზე ბევრს ვერ ვილაპარაკებ და თავად მიხვდებით ჩემი სიტყვაძუნობის მიზეზს. ეს ამბავი სტუდენტობის პერიოდში შემემთხვა. ჩემი მეგობრები გეოლოგიურ ექსპედიციაში სვანეთში იმყოფებოდნენ და მეც გარკვეული პერიოდი მათთან გავატარე, რითიც შემეძლო, ვესმარებოდი. სხვათა შორის, ამ ჯგუფს ხელმძღვანელობდა ცნობილი ქართველი გეოლოგი — პეტრე გამყრელიძე, დავით გამყრელიძის ბაბუა. ბევრი რამ გავიგე მისგან, საქართველოს ნიაღისეულის შესახებ. დროდადრო გეოლოგთა ჯგუფს ვტოვებდი და სვანეთის მთებში მარტო დავბორიალებდი. ყოველი შემთხვევისთვის, თან თოფი დამქონდა და თუ რაიმეს მოვინადირებდი, ამით ვიკვებებოდი კიდევ ერთხელაც ადამიანს მყინვარზე გადავწყვიტე ასვლა. გზაში დამიღამდა და ღამის გასათევად, მოსახერხებელი ადგილის შერჩევა დავინყე. მოულოდნელად, საიდანაც კაცი გამოჩნდა. ჩვეულებრივი ადამიანი იყო, არაფრით ჰგავდა მისტიკურ არსებას. ის ღამე ერთად გავატარეთ, ბევრი ვისაუბრეთ სხვადასხვა თემაზე, დილით კი ის კაცი ისევ მოულოდნელად გაუჩინარდა, როგორც



ამ ჯგუფს ხელმძღვანელობდა ცნობილი ქართველი გეოლოგი — პეტრე გამყრელიძე, დავით გამყრელიძის ბაბუა

გამოჩნდა. იმ კაცის არც სახელი ვიცი, არც გვარი, მაგრამ როდესაც მელაპარაკებოდა, დარწმუნებული ვიყავი, რომ ჭეშმარიტებას ამბობდა. ეს კაცი თითქოს ბაბუაჩემის ხატების გაგრძელება იყო. მასთან შეხვედრამ ცხოვრებაში კიდევ ერთი კარიბჭე გამიხსნა, სწორ გზაზე დამაყენა.

**— შესაძლებელია დავუვინყვარი ადამიანი ვინ იყო?**

— ერთი მოხუცი მელორე, რომელსაც თეძამის ხეობაში ყოფნისას შევხვდები. საკურსოზე ვმუშაობდი და თეძამის ხეობაში მდებარე, უძველეს ეკლესიაში ხშირად მივდიოდი. ამ ეკლესიიდან სხვადასხვა მიმართულებით, სუთი ბილიკი მიდიოდა და სოფელში მოხვედრამ მხოლოდ ერთი მათგანით იყო შესაძლებელი. ერთ დღესაც გზა ამებნა და რამდენ ბილიკსაც დავადექი, იმდენჯერ შუაგულ ტყეში ამოვყავი თავი. ამასობაში დაღამდა კიდევ და მეც იქით გავემართე, სადაც სინათლე მოჩანდა. როდესაც ახლოს მივედი, ვნახე, რომ სინათლე პატარა ქოხში ბუჭტავდა, ხოლო სპეციფიკური სუნით მივხვდი, რომ ეს, სალორე უნდა ყოფილიყო. კარზე დავაკაკუნე და მოხუცის ხმამ შეგნით შემიპატიჟა. ჩემი მასპინძელი 100 წელს გადაცილებული მელორე აღმოჩნდა. შვილიშვილის მიტანილი ლობიოთი გამიმასპინძლა. არც მე დავრჩი ვალში და ჩემი ზურგჩანთიდან შავი პური, ხახვი და ერთი ბოთლი არაყი ამოვალაგე. როდესაც ცოტა დავენაყრდით, მე და მოხუცმა ერთმანეთის გაცნობა დავინყეთ. გაცნობილი დავრჩი, როდესაც მოხუცმა მელორემ ფრანგული, ინგლისური და იტალიური ენების უბადლო ცოდნა გამოავლინა. პირველი მსოფლიო ომის დროს, ევროპაში იბრძოდა თურმე, შემდეგ, დაჭრილი, ტყვედ ჩავარდნილა და 20 წლის განმავლობაში სამშობლოში დაბრუნებას ვერ ახერხებდა. ამ ხნის განმავლობაში მას ინგლისში, იტალიასა და საფრანგეთში უტყვოვრია. როდესაც ბოლოს და ბოლოს, სამშობლოში დაბრუნება გაუბედავს, საბჭოთა ხელისუფლებას, მთელი ათი წლით, ციმბირში გადაუსახლებია... მოხუცმა მელორემ უმრავი რამ მიაამო ევროპის უდიდესი ქვეყნების შესახებ და შეიძლება ითქვას, რომ მსოფლიოს კარიბჭე გამიხსნა...

**ქათი ყიფშიკა, მოღელი:**

— „გზას“ თითქმის ყოველ ხუთშაბათს ვკითხულობ. ის თავიდანვე მომწონდა თავისი შინაარსით. სხვა გამოცემებისგან იმით გამოირჩევა, რომ მუდმივად ახლო კონტაქტი აქვს მკითხველთან. ამასზე მეტყველებს მისი ჩანართი — „გზავნილები“, სადაც გულახდილი საუბარია გამართული მკითხველთან, იბეჭდება ადამიანური ამბები... მკითხველის მესიჯებში ბევრი საინტერესო ამბავი წამიკითხავს, რომელიც ხშირად ცნობილ ადამიანთან ჩაწერილ და უკვე არაერთხელ დაბეჭდილ ინტერვიუს სჯობია (თუნდაც ეს ცნობილი, მე ვიყო: „გზისთვის“ ხომ არაერთხელ მიმიცია ინტერვიუ...). სხვათა შორის, ერთხელ მეც ინკოგნიტოდ დავამესიჯე და ის ამბავი „გზავნილებში“ დაიბეჭდა, რაც ძალიან მესიამოვნა. თუმცა უნდა ვაღიარო, რომ ამ ბოლო დროს, ვრცელი მესიჯების ხარისხით ცოტათი დაეცა... სიამოვნებით ვკითხულობ რუბრიკას — „ანტიდებარესანტი“... გისურვებთ წარმატებას, ბევრ ძალიან საინტერესო მასალას, რესპონდენტებს, კარგად „შეფუთულ“ ინტრიგას, ისეთს, რომ არავინ დააზიანოს (ინტრიგა ყველა გამოცემას სჭირდება). და კიდევ: სიამოვნებით წავიკითხავდი იმაზე უფრო ვრცელ მასალებს მოდის ტენდენციებზე, ვიდრე ეს თქვენთან იბეჭდება...



# სსპისი უზიდაბი

ზოგჯერ, ბედის ირონიით, ადამიანები ცხოვრებას სხვის შვილებზე ზრუნვას უძღვნიან. ზოგჯერ, უშვილოდ დარჩენის შიში, კაცს სხვისი შვილის აყვანას აფიქრებინებს. სიყვარული და მზრუნველობა კი ის ძალაა, რომელიც სრულიად უცხო ხალხს ერთმანეთის ახლო ნათესაებად აქცევს და ასეთ შემთხვევაში, ნაკლებად მნიშვნელოვანია თუ დედა-შვილსა და მამა-შვილს შორის ბიოლოგიური კავშირი არ არსებობს. მაგრამ პირიქითაც ხდება: ადამიანები უარს ამბობენ საკუთარ სისხლსა და ხორცზე და რა გასაკვირია, თუ ნამდვილი მშობლის მიერ უარყოფილი შვილის ოჯახში შეყვანას, უცხო ადამიანი მოერიდება?!



## ემა ტუხიაშვილი

### გარემო ნაწყობია:

— მრავალწლიანი მკურნალობისა და დიაგნოსტიკების შემდეგ, ჟორდანიას სახელობის ინსტიტუტის ექიმებმა ჩემს მეუღლეს „განაჩენი გამოუტანეს“ — ის ვერასდროს შეძლებდა საკუთარი შვილები-ის ყოლას. ამის შემდეგ, დღის წესრიგში დადგა ხელოვნურად განაყოფიერების შესაძლებლობა, მაგრამ ჩემს მეუღლეს ამის გაგონებაც არ სურდა. ამბობდა: ვერაფრით შევეგუები იმას, რომ ჩემმა ცოლმა მუცლით ვილაცის შვილი გამოზარდოსო. ხელოვნურ განაყოფიერებას ის ღალატს უტოლებდა და იმის გაგონებაც კი არ სურდა, რომ თავისი სიჯიუტით, მეც მართმევედა ღვიძლი შვილის ყოლის შესაძლებლობას... ამ საკითხის ირგვლივ წარმოქმნილმა დავამ ლამის განქორწინებამდე მიგვიყვანა, მაგრამ ნათესაებმა ყველაფერი გააკეთეს იმისათვის, რომ ათი წლის ნაშენები ოჯახი არ დაგვეგრია. როდესაც უსიამოვნება ნელ-ნელა დაიწყებას მიეცა, მე და მეუღლემ დაიწყეთ იმაზე ფიქრი, თუ როგორ შეგვევსო ჩვენს ოჯახში ბავშვის არყოფნით გამოწვეული სიცარიელე. გადაწყვიტეთ, ბავშვი გვეშვილებინა და თბილისის რამდენიმე მიუსაფარ ბავშვთა სახლს ვესტუმრეთ. ღმერთმა შემინდოს, თუ ვცოდავ, მაგრამ იმის წარმოდგენაც კი მიჭირდა, როგორ უნდა გამეზარდა სხვისი შვილი, როგორ უნდა მოვეყრებოდი მას, როგორ დამეძახა მისთვის — „შვილო“ და როგორ შეგვუბოდი იმას, რომ ის „დედას“ დამიძახებდა. საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე რამდენიმე თვე ვყოყმანობდი. ამ ხნის განმავლობაში მე და ჩემი მეუღლე სისტემატურად ვსტუმრობდით ბავშვთა სახლს, პატარებთან ურთიერთობას ვსწავლობდით, ვეგუებოდით იმ პატარებს, ვინც სავარაუდოდ, ჩვენი ოჯახის წევრი უნდა გამხდარიყო... როდესაც ყველა საბუთი მოვანუსერივეთ და ბავშვის შვილად ასაყვანად მხოლოდ ჩემი და ჩემი მეუღლის ხელმოწერა იყო საჭირო, შიშმა შემიპყრო. რა არ წარმოვიდგინე, ახლა ამის

გახსენებაც კი მრცხვენია და ბოლო წუთს პატარას შვილად აყვანაზე უარი ვთქვი. ეს, ოჯახში კიდევ ერთი უსიამოვნების მიზეზი გახდა, საქმე ისევ განქორწინებამდე მივიდოდა, რომ არა ერთი უჩვეულო შემთხვევა. სამსახურიდან სახლში სამარშრუტო ტაქსით ვბრუნდებოდი. გაჩერებაზე ახალგაზრდა ქალი ამოვიდა, გვერდით დამიჯდა და თავი ხელებში ჩარგო. ქალს მხრები უტახცახებდა, მივხვდი — ტიროდა. დახმარება შევთავაზე, მაგრამ ხმა არ გამცა. მეორედ კითხვა ველარ გავუბედე, ჩანთიდან ცხვირსახოცი ამოვიღე და გაუწოდე. არც კი შემოუხედავს, ცხვირსახოცი გამომართა და სახე შეიმშრალა. ცოტა ხანში გოგონამ მძლოლს მანქანის გაჩერება მოსთხოვა, მეც თან გავეყვი. საერთოდ, ძალიან მორცხვი და მორიდებული ადამიანი ვარ, არც კი ვიცი, როგორ გავუბედე, უცხო ადამიანს გავეყოლოდი... ცოტა ხანში მე და ახალგაზრდა ქალი კივიდის ბაღში სკამზე ვისხედით და გულახდილად ვსაუბრობდით. ახალგაზრდობილი გოგო-

სტუდენტი გოგონა საყვარელი მამაკაცისგან შვილს ელოდა, მან კი შვიდი თვის ორსული ქალი ბედის ანაბარად მიატოვა, უარი თქვა შვილზეც და იმ სიყვარულზეც, რომლის გამოც ცოტა ხნის წინ მზად იყო, ცოლ-შვილიც კი მიეტოვებინა... გოგონამ მიაბო, რომ მისი მშობლები რაიონში ცხოვრობდნენ და მისი მდგომარეობის შესახებ არაფერი იცოდნენ. ქალი დარწმუნებული იყო, რომ მშობლები ამ საქციელს არ აპატიებდნენ და უარეს შემთხვევაში, მასაც მოკლავდნენ და ბავშვსაც. გოგონა მატერიალურადაც მშობლებზე იყო დამოკიდებული, ამიტომ, მშობლიანობისთვის საჭირო ფულის შოვნაც გაუჭირდებოდა და დამოუკიდებლად შვილის აღზრდაც. მხოლოდ მისი ნაამბობის შემდეგ შევინხე პატარა, გამოზურცული მუცელი. ამ დროს სხეულში სითბო ჩამეღვარა და თითქოს მუცელში დამიგუბდა. ისეთი გრძობა დამეუფლა, თითქოს მეც ბავშვს ვატარებდი მუცლით და უნებლიეთ, წლების განმავლობაში შვილის არყოფნით და-

## ბავშვის შვილად ასაყვანად მხოლოდ ჩემი და ჩემი მეუღლის ხელმოწერა იყო საჭირო, შიშმა შემიპყრო.

ნა სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის მეორე კურსის სტუდენტი აღმოჩნდა. როგორც მიაბო, თავისი ლექტორი შეჰყვარებია, არც მამაკაცი ყოფილა მის მიმართ გულგრილი და საქმე ფიზიკურ სიახლოვემდე მისულა. გოგონამ იცოდა, რომ მასზე ასაკით უფროს მამაკაცს ცოლიც ჰყავდა და შვილებიც, მაგრამ საყვარელი არწმუნებდა, რომ მზად იყო, მათი სიყვარულის გამო, უარი ეთქვა ოჯახზე. საქმე იქამდე მივიდა, რომ

გროვილი ტკივილი ცრემლებად გამომეღვარა. ვქვითინებდი და ისე ვუყვებოდი ქალს ჩემს ამბავს. ახლა უკვე მე ველავადი, ის კი მშვიდად იჯდა და მისმენდა. მოულოდნელად გოგონა მომეხვია და ისე მაგრად ჩამეხუტა, რომ მისი გამოზურცული მუცელი ჩემს სხეულს მიეკრა. დედის სხეულში მოკალათებული ჩვილი ამოდრავდა და მეც ვიგრძენი მისი მსუბუქი დარტყმა. ჩვენ აღარაფერი გვითქვამს ერთმანეთისთვის,

ყველაფერი ღვთის ნებად მივიღეთ. გოგონა ჩემთან სახლში წავიყვანე და ორი თვის თავზე პატარა ვაჟკაცი შეგვეძინა. შუთახსებებისამებრ, ბავშვის ბიოლოგიური დედა სამშობიაროდან გამონერის შემდეგ აღარ გვინახავს. მეტი სანდოობისთვის, ნოტარიუსთან შევადგინეთ ხელწერილის მსგავსი დოკუმენტი, სადაც დედა ხელმწიფით ადასტურებდა, რომ შვილზე დედობრივ უფლებას აღარ მოითხოვდა. პატარა თომა ჩვენი ცხოვრების ნაწილი გახდა. საოცარი ბავშვია, ძალიან გონიერი და ცელქი ბიჭია. უნდა ვაღიარო, რომ ამ ექვსი წლის განმავლობაში ყოველთვის მეშინოდა, დედამისი არ მოგვედგომოდა კარს შვილის წასაყვანად, მაგრამ ჩემი შიში უსაფუძვლო აღმოჩნდა. ერთ დღეს მე და თომა მეტროთი ვმგზავრობდით. ერთ-ერთ სადგურზე მატარებელში ბევრი მგზავრი შემოვიდა. ჩვენ წინ მჯდომმა ახალგაზრდა მამაკაცმა ბავშვიან ქალს დაუთმო ადგილი. როდესაც ჩემ წინ მჯდომი ქალის სახე დავინახე, მეგონა, გული გამისკდებოდა, რადგან ის ჩემი შვილის, თომას ნამდვილი დედა იყო. ქალმაც მიცნო და მზერა თომაზე გადაიტანა. ისე უყურებდა, მეგონა, მივარდებოდა უცნობ შვილს და გულში ჩაიკრავდა. ახალგაზრდა ქალი არც კი განძრეულა, კალთაში მჯდომ პატარას ანანავებდა და ხან მე მიცქერდა, ხანაც — თომას. მინდოდა, ავმდგარიყავი და ბავშვთან ერთად, პირველსავე გაჩერებაზე ჩავსულიყავი, მაგრამ ვერ გავბედე: მეშინოდა, თომას დედაც არ გამომყოლოდა თან. რამდენიმე წუთის შემდეგ, ქალი მშვიდად ადგა და მგზავრებს შეერია... ამ შემთხვევის შემდეგ საბოლოოდ გადავწყვიტე, რომ არასდროს ვუაზებო თომას მისი ნამდვილი

მშობლების შესახებ. მე კი საბოლოოდ დავრწმუნდი, რომ დედობრივ ბედნიერებას მხოლოდ შვილის დაბადება კი არა, არამედ მასზე ზრუნვა და მისი სიყვარული გვანიჭებს.

**გაყვალა ალუბლიზილი:**

— 83 წლის ქალი ვარ, რომ იტყვიან, სიკვდილის პირას ვარ მისული და ყველაზე მეტად იმ ქვეყნად იმ ცოდვით გამგზავრება მიჭირს, რომელიც ახალგაზრდობაში სიყვარულმა ჩამადენინა. ჩვენს დროს ხალხი ურწმუნო იყო, ეკლესიაში იშვიათად დავდიოდით, ამიტომ ახლა მიჭირს, ჩემი ცოდვების შენდობა მოძღვარს ვთხოვო. როგორც წესი, ასეთ რამეს საქვეყნოდ არ ჰყვებიან, მაგრამ მე ვიტყვი, ვაღიარებ ჩემს შეცდომას — იმ იმედით, რომ უფრო მშვიდი სინდისით წარვდგები უზენაესის წინაშე... 15 წლის არც კი ვიყავი, როდესაც მეზობლის ბიჭმა მომიტაცა. მშობლებმა მოკრძალებული ქორწილი გადაგვიხადეს. წელიწადიც არ იყო გასული და ვაჟი შეგვეძინა, კიდევ რამდენიმე თვეში კი მოულოდნელად, ჩემი ქმარი გარდაიცვალა. სოფელში ბებიაქალის გარდა, ექიმი არ გვყავდა, ამიტომ მისი გარდაცვალების ზუსტი მიზეზიც ვერ დავადგინეთ. რამდენიმე კვირა ციება ჰქონდა, მაღალი ტემპერატურა, ამიტომ სოფელში ამბობდნენ: ფილტვები გადაწვეო. მოკლედ, 16 წლის, უკვე ქვრივი ვიყავი და დაობლებულ შვილს ვზრდიდი. ცოტა ხანში ჩვენი მეზობელი ყმანვილი დაბრუნდა ფრონტიდან. სადაც არ უნდა წავსულიყავი, ყველგან მის მზერას ვგრძნობდი. ყურადღება ყველა ქალს სიამოვნებს, ამიტომ, მეც გამოჩნდა მის მიმართ სიმპათია. კაცის თვალს რას გამოაპარებ?! როგორც კი გრიშამ „მისად“ დამიგულა, კაცი გა-


მომიგზავნა: ცოლად გამომყვესო. ბევრი არც მიფიქრია, ქვრივად დარჩენილს, დიდი არჩევანი არ მქონდა, ამიტომ მთხოვნელს თანხმობა ისე ვუთხარი, რომ შედეგებზე არც მიფიქრია. დედამთილ-მამამთილი ჩემს გადამწყვეტილებას გაგებით შეხვდა. შემომთავაზეს: მანამ, სანამ ახალდაქორწინებულები გქვიათ, ბავშვს ჩვენ მიგიხედავთო და თავიანთი პატარძალი მეზობლებს გადაულოცეს... რამდენიმე თვის შემდეგ, როდესაც მეუღლის ოჯახში ჩემი შვილის მიყვანაც გადაწყვიტე, გრიშამ წინააღმდეგობა გამიჩინა: მაგ ნაბიჭვარს ჩემს სახლში რა ესაქმება, სხვისი შვილი რატომ უნდა გავზარდოო?! ცოტა ხანში კი შვილის მონახულებაც ამიკრძალა: შეგეჩვევა და სულ აქ იხეტიალებსო. არადა, ბავშვს ძალიან ვენატრებოდი, გამოეპარებოდა ბებიას სახლიდან, დადგებოდა ჩვენი სახლის ჭიშკართან და მთელი ხმით მეძახდა. ქმრის შიშით, გარეთ როგორ გავიხედავდი?! ოთახის კუთხეში მივიკუნჭებოდი და ვეკითრებოდი. ჩემი შვილი კი ხმის ჩახლქამდე ყვიროდა — ყვიროდა მანამ, სანამ ჩემი ქმარი ქამრით არ გაუფარდებოდა და შემინებულ პატარას ჭიშკრიდან არ გააგდებდა... თითქმის წელიწადი გრძელდებოდა ასე, შემდეგ ბავშვი გადამეჩვია და შემთხვევით ქუჩაშიც რომ შევხვედროდი, ჩემკენ არც კი მოიხედავდა. ღვიძლი დედა-შვილი უცხოებენით ვიქცეოდით. ის უკვე სხვისი შვილი იყო, მე კი — სხვისი დედა. ჩვენში ამბობენ: ქვეყნად ცოდვა-მადლი ტრიალებს და განკითხვის დღე ყველას დაუდგებაო. ხალხი ბრძენია და ხშირად ღალატებს ჭეშმარიტებას. გრიშასთან მხოლოდ ერთი ქალიშვილი შემეძინა, რომელიც 18 წლის ასაკში სიმსივნისგან გარდაიცვალა. უბედური ქალი ვარ: ამ ქვეყნად, მხოლოდ მკვდარი შვილის საფლავი დამრჩა და — ჩემგან უარყოფილი ცოცხალი შვილი, რომლისთვისაც უკვე დიდი ხნის გარდაცვლილი ვარ.

**ნარბიზა კვიციანიძე:**

— ნათქვამია: ტყუილს მოკლე ფეხები აქვსო... ტყუილსა და სიცრუეში 30 წელი ვიცხოვრე და არა მგონია, ასე რამე ამძიმებდეს ადამიანის სულს. გაუთხოვარი გახლავართ, შინაბერა, როგორც ჩვენში ამბობენ. ყოველთვის კარგ თანამდებობაზე ვმუშაობდი, სოლიდური შემოსავალი მქონდა და ცხოვრებაც მოვიწყვე. ერთადერთი, რაც მაკლდა, პირადი ბედნიერება და ოჯახი იყო, მაგრამ ამას საშველი არა და არ დაადაგა. რომელიმე ევროპულ ქვეყანაში რომ მეცხოვრა, შვილს მაინც გავაჩენდი, მაგრამ წლების წინ საქართველოში ამის ჩამდენს როსკიპად შერაცხავდნენ, ქორწინების გარეშე დაბადებულ შვილს კი სამუდამოდ ნაბუშარის დამლა ექნებოდა... მოკლედ, ისე მომეპარა სიბერე, რომ არც ქმარი მეღირსა და არც შვილი. სამაგიეროდ, ჩემმა

**კალენდოსკოპი**

**აბრაამ ლინკოლნი – ჰილარი ჯლინტონის ოცნების მამახაცი**



ჟურნალმა „ფიფლ“ ამერიკის ყოფილ პირველ ლედის და ამჟამად, პრეზიდენტობის კანდიდატ ჰილარი კლინტონის ინტერვიუ ჩამოართვა და სხვა მრავალთან ერთად, ასეთი კითხვაც დაუსვა: რომელ ცნობილ ადამიანთან ერთად ივანშემებდა იგი, თუ მისი მეუღლე წინააღმდეგი არ იქნებოდა? ჰილარი კლინტონმა განაცხადა, რომ მისთვის იდეალური კომპანიონი ამერიკის მეთექვსმეტე პრეზიდენტი — აბრაამ ლინკოლნი იქნებოდა! რესპუბლიკელ აბრაამ ლინკოლნს აშშ-ის პრეზიდენტის პოსტი 1861-65 წლებში ეკავა, მისის კლინტონი კი მომავალ არჩევნებზე დემოკრატიულ პარტიას წარმოადგენს...

დამ შექმნა ბედნიერი ოჯახი და სამი შვილიც გააჩინა. ნაბოლარა დისშვილი გოგონა განსაკუთრებით მიყვარდა. ალბათ იმიტომ, რომ ხშირად მამსგავსებდნენ. ნათქვამიც კი მქონდა ჩემი დისთვის: რომ მოვკვდები, მთელ ჩემს ქონებას ლიანას ვუანდერძებ-მეთქი. როგორც კი სამსახურიდან გავთავისუფლდებოდი, ჩემი დის ოჯახში მივრბოდი, პატარა ლიანიკოს მოსანახულებლად და ვიდრე ბავშვს არ დააძინებდნენ, იქ ვრჩებოდი. ერთხელ მაცდუნებელმა აზრმა გამიელვა და გადავწყვიტე, ამის შესახებ ხმაბალა მეთქვა. სიმართლე გითხრათ, არ მეგონა, თუ ჩემს ნათქვამს და და სიძე სერიოზულად აღიქვამდნენ. ნახევრად ხუმრობით ვთხოვე, ჩემთვის ლიანიკო „ეჩუქებინათ“. ამით მე დიდ სიხარულს მომანიჭებდნენ, ლიანიკოს კი უზრუნველყოფილი ცხოვრება ექნებოდა. როგორც ჩანს, ჩემს დასა და სიძეს ამაზე მანამდეც ჰქონდათ ნაფიქრი, ერთმანეთს გადახედეს, ცოტა ხნის დუმილის შემდეგ კი დამთანხმდნენ. როდესაც დისშვილი ვიშვილე, მხოლოდ ექვსი თვის იყო. პირველ ხანებში ჩემს დას ძალიან გაუჭირდა ლიანას გარეშე, დარდით კინალამ ლოგინად ჩავარდა, მაგრამ თანდათან ამას შეეგუა და როდესაც ლიანიკომ პირველად „დედა“ დამიძახა, ჩემთან ერთად გაიზიარა ეს სიხარული. ჩვენი ნათესაების, მეგობრებისა და მეზობლების უმრავლესობამ იცოდა, რომ ლიანიკო ჩემი ღვიძლი შვილი არ იყო, მაგრამ არასდროს არავის უთქვამს მისთვის ამის შესახებ. ყველაფერი ცოტა ხნის წინ გაცხადდა, როდესაც ჩემს დას ინფარქტი დაემართა და სიკვდილის პირას იმყოფებოდა. ავადმყოფობამ მას მეტყველების უნარი წაართვა, ამიტომ გარდაცვალებამდე ცოტა ხნით ადრე,

რაც დავრწმუნდი, რომ შვილი აღარ მეყოლებოდა, მეგობართან ერთად, ლენინგრადში გავემგზავრე. გადაწყვეტილი მქონდა, აუცილებლად გოგონა მეშვილებინა. ბავშვთა სახლის აღმზრდელი ბავშვთა ოთახში შეგვიძღვა. მახსოვს, ოთახში იატაკზე უამრავი სათამაშო ყვარა და ასე, ერთიდან ორ წლამდე ასაკის ოცამდე პატარა, ხალიჩაზე დაყრილი სათამაშოებით თამაშობდა. ახალგაზრდა რუსი აღმზრდელი თითოეული პატარის შესახებ მოკლე ცნობებს გვაწვდიდა. ზოგი მათგანი მშობლებს მის მიერ მიტოვებული იყო, ზოგიც — პოლიციის მიერ ქუჩაში ნაპოვნი. ყველაზე მეტად, ერთი პატარა ქერა გოგონა მომეწონა, საოცრად ლამაზი კულულებით. აღმზრდელმა მიაბო, რომ გოგონას დედა-მამა ავტოკატასტროფაში დაიღუპა, ნათესაებმა დაოხლებული ბავშვის მეურვეობაზე უარი თქვეს, რის შემდეგაც ის ბავშვთა სახლის ბინადარი გახდა. ამ გულისამაჩუყებელი ამბის მოსმენის შემდეგ, გადავწყვიტე, სწორედ ამ ქერაკულულებიანი გოგონას დედა გავმხდარიყავი. აღმზრდელი, ბავშვთა სახლის ხელმძღვანელთან შეგვიძღვა და ჩვენი არჩევანის შესახებ აუწყა. მკაცრი გარეგნობის ქალბატონმა კედელში ჩაშენებული კარადიდან პატარა სვეტლანას ისტორია გადმოიღო და ისე, რომ ჩვენთვის არც კი შემოუხედავს, იკითხა: იცით, რომ ამ პატარა გოგონას ტყუპისცალი ძმა ჰყავსო?! რა თქმა უნდა, ამის შესახებ არაფერი ვიცოდით. ბავშვთა სახ-

და ვერც კი წარმომიდგენია, მათ გარეშე რა აზრი ექნებოდა ჩემს არსებობას.

**ზაურ დავალიზილი:**

— ცოტა ხნის წინ 60 წელს გადავბიჯე და ამ ხნის განმავლობაში უკვე სამჯერ ვიყავი ქორწინებაში. არ ვიცი, რით დავიმსახურე ღვთის რისხვა, მაგრამ არც ერთ მეუღლესთან შვილი არ შემეძინა და სწორედ ეს იყო მათთან განქორწინების მთავარი მიზეზი. როდესაც მესამე ცდაც უშედეგო აღმოჩნდა, გადავწ-



**ვინ იცის, რამდენი ადამიანი ცხოვრობს დღეს საქართველოში, ვინც მშობლებმა თავის დროზე იმ ბავშვთა სახლში იშვილეს?!**

ყვიტე, შვილიანი ქალი შემერთო ცოლად, რომ მთლად უძიროდ და უშვილოდ არ წავსულიყავი ამ ქვეყნიდან. ვფიქრობდი: სხვის შვილს საკუთარივით მოუვლი, არაფერს მოვაკლებ და ისიც მამად მიმიღებს, სიბერეში მიპატრონებს-მეთქი. ნათქვამია — თავგმა თხარა-თხარაო... მეც ასე დამემართა: მაჭანკალმა ერთი კარგი, ქვრივი ქალი გამაცნო, თვალშიც მომივიდა, მაგრამ რად გინდა?! ერთის ნაცვლად, ოთხი შვილი არ ჰყოლია?! თანაც, ბედი არ გინდა? — ოთხივე — გოგო. ბევრი ვიფიქრე, ვისვენე-ვიოხრე და ბოლოს ვთქვი: ერთი, მაგათი დედაც ვატირე, თუ შვილებად არ ივარგებენ, დავათხოვებ და ეგ არის-მეთქი!.. მოკლედ, სოფელს ჩემი ამბავი მთელი წელი სალაპარაკოდ ჰქონდა: ეს რა ქნა ზაურამ, სხვისი ოთხი შვილი მოსავლელად აიკიდაო!.. მერე, როცა ჩემმა გოგოებმა კარ-მიდამო დაასუფთავეს, ბალ-ბოსტანი „დაანარნარეს“ და მეც, გამონკვილიმა დავინყე სიარული, ბევრი შემომნატროდა: ნეტავ, მეც ზაურასავით, სხვისი შვილისთვის მიმეხედა, ჩემს მუქთაბორაზე მეტად გამომადგებოდაო. ხომ გაგიგონიათ — მაღლი ქენი, ქვაზე დადე, გაიარე, წინ დაგხვდებაო. ღმერთმა სხვის ობლებზე ზრუნვა დამიფასა და ერთი წლის წინ მე და ჩემს მეუღლეს ვაჟაკი შეგვეძინა. ახლა ვამბობ, რომ ხუთი შვილი მყავს, ხუთივე ჩემია და გოგოები ასე იოლად გასათხოვებლად როდი მემეტება... ■

**ღვიძლი დედა-შვილი უცხოებივით გაქცეოდით. ის უკვე სხვისი შვილი იყო, მე კი — სხვისი დედა.**

ქალაქი და კალამი მოითხოვა, სადაც დაწერა: „ლიანიკო, მაპატიე, ჩემი შვილი იყავი და გაგასხვისე. ღმერთმა შემიწაღოს სასუფეველში!“

**თინათინი, 56 წლის:**

— საბჭოთა პერიოდში საკმაოდ ცნობილი იყო ლენინგრადის ჩვილ ბავშვთა სახლი. ჯერ ერთი, იქ შვილად აყვანის პროცედურა უფრო გამართიერებული იყო, მეორეც — ბევრი საქმის მოგვარება ფულითაც შეიძლებოდა და, კიდევ ერთი: ცნობილი იყო, რომ ამ ბავშვთა სახლში მიტოვებული ბავშვების „დიდი არჩევანი“ იყო. ვინ იცის, რამდენი ადამიანი ცხოვრობს დღეს საქართველოში, ვინც მშობლებმა თავის დროზე, იმ ბავშვთა სახლში იშვილეს?!. მოკლედ, მას შემდეგ,

ლის აღმზრდელს ამის თქმა დაავიწყდა, რადგან ბავშვთა სახლში ნათესაური კავშირები არ არსებობს, და-ძმებს ხშირად სხვადასხვა ოჯახში აშვილებენ. ჩვენ ისევ ბავშვთა ოთახში შევბრუნდით, აღმზრდელმა ახლა პატარა სერიოჟა დამანახვა. პატარა ბიჭსაც ისეთივე ქერა კულულები ჰქონდა, როგორც მის დას... ბევრი რომ აღარ გავაგრძელო, ბავშვთა სახლის დირექტორს ძალიან გაუკვირდა, როდესაც ტყუპის დაშორებაზე უარი ვთქვი და ერთის ნაცვლად, ორი ბავშვი წამოვიყვანე. რა თქმა უნდა, შვილად აყვანის შემდეგ, ბავშვებს ქართული სახელები დავარქვი და პატრიოტ ქართველებად აღვზარდე. სხვისი შვილები ჩემი ცხოვრების მთავარ საზრუნავად იქცნენ

# მრავალშემიარნი ოჯახის ზედნიევი ყოფა და მარხენალი ქროსა ~ მიჩით...



საქართველოში მრავალშვილიანობა სიღარიბესა და გაჭირვებასთან ასოცირდება; მაგრამ არიან გამონაკლისებიც. გელა ბარბაქაძე და ია ჩაჩანიძე 10 შვილს ზრდიან. მათ, დიდი შრომის ფასად, მიაღწიეს იმას, რომ ბავშვებს არაფერი აკლიათ. ამ ოჯახის ცქერისას მით უფრო გვეკუთმება გული, როცა ხვდები ასევე მრავალშვილიან ოჯახს, რომელიც მხოლოდ ერთი მენველი ძროხის იმედადაა დარჩენილი...

## მარუხ ჭონიშვილი

გელას და იას ლამაზი, გემოვნებით მოწყობილი სახლი აქვთ, სადაც ბევრი ბავშვი იზრდება, სითბო და სიყვარული სუფევს. იას ნახვისას გავოცდი, რადგან ახალგაზრდა და ენერგიით სავსე ქალბატონს შეხვდი, — 10 შვილის გაზრდა ხუმრობა ხომ არაა!

### გელა:

— მე და ჩემი მეუღლე, 10 შვილს ვზრდით: 8 გოგოსა (ნათია, თეონა და მარიამი — ტყუბი, ცირა, თამთა, ქეთი, ნინი და თიკო) და 2 ბიჭს (იოანე და ნიკა). უფროსი — ნათია 19 წლისაა, ნაბოლარა — თიკო კი — ორის. მრავალშვილიანობა ტვირთი არაა, პირიქით — ოჯახისათვის ღვთის მადლია.

— როგორ გაიცანით ერთმანეთი?

### ია:

— ბორჯომის რაიონიდან ვარ. გელა კი ხარაგაულის რაიონის სოფელ ბორითიდან გახლავთ. გარიგებით დავქორწინდით. ერთხელ გელა და მისი ახლობლები ოჯახში გვესტუმრნენ; პირველად, უარით გავისტუმრე, ვუთხარი, — ჯერ პატარა ვარ და ცოლად ვერ გამოგყვები-მეთქი. 2 კვირის შემდეგ ისევ ჩამომავითხა, სიყვარულში გამომიტყდა და გავიპარეთ კიდევ (იცინის). სახლში რომ არ მივედი, ჩემებმა ძებნა დაიწყეს. ბოლოს, გელას ოჯახშიც მივიდნენ, მაგრამ ჩვენი გადაწყვეტილების შესახებ იქაც არაფერი იცოდნენ. ჩემს მამამთილს ჩემი მშობლებისათვის უთქვამს: ეს თქვენი შვილი ორი კვირის წინ პატარა იყო, არ წამოგვყვა და ასე უცებ გაიზარდაო?!

— რამდენი წლის იყავით, როცა დაქორწინდით?

— მე 17 წლის ვიყავი, გელა — 26-ის.

— ბევრი შვილის გაჩენა თავიდანვე გადაწყვიტეთ?

— ბავშვები ყოველთვის მიყვარდა, მაგრამ დაგეგმვით არაფერი დაგვიგეგმავს. რამდენი შვილიც გვაჩუქა უფალმა, იმდენი გავაჩინეთ. სმირად უკითხავთ ჩემთვის — რა გაძლევდა იმის ძალას, ამდენი შვილი რომ გაზარდეთ? ვფიქრობ, სიცოცხლის ხელყოფა არ შეიძლება და მეც ღმერთის მოშიშობით გავექეცი

უდიდეს ცოდვას. მე და გელას ყოველთვის გააზრებული გვექონდა, რომ ბევრ შვილს ბევრი სჭირდება. ჰოდა, დავისახეთ მიზანი, რომ ჩვენს შვილებს არაფერი მოჰკლებოდათ და ამისათვის ბევრი ვიშრომეთ.

— რას საქმიანობთ?

გელა: — ერთ-ერთ სამშენებლო კომპანიაში ვმუშაობ, სადაც 22 ადამიანი მყავს დასაქმებული. ჩემი მეუღლე ოჯახის საქმეებით, ბავშვების აღზრდით იყო დაკავებული, მაგრამ ახლა, როცა ჩვენი უფროსი გოგონები წამოიზარდნენ, მათ გადააბარა ოჯახის საქმეები, თვითონ კი სახლთან ახლოს საცხოვრი გახსნა. მოკლედ, ორივენი ხელმედაკაპინებულენი ვიშრომობთ და მატერიალურად არ გვიჭირს, მაგრამ ჩვენი ყველაზე დიდი სიმდიდრე — შვილებია.

### ია:

— ადამიანს შრომა არ უნდა ეზარებოდეს და ყველაფერს მიაღწევს, მაგრამ იღბალიც საჭიროა. ერთხელ სადღაც ასეთი ფრაზა ამოვიკითხე და ძალიან მომეწონა: თუ კაცი მონიდომებს, მთელი სამყარო მის დასახმარებლად გამოვაო. მართლაც, ასეა. თავიდან, ერთოთახიან ბინაში ვცხოვრობდით, მაშინ 5 შვილი მყავდა. მაგრამ მოხდა სასწაული და კეთილი ადამიანის წყალობით, საცხოვრებლად ოთხოთახიან ბინაში გადავედით.

— ალბათ, ყოველდღე უამრავი საქმის კეთება გინევთ. მართლაც, როგორ აუღიხართ საქმეს?

### ია:

— ბევრჯერ მითქვამს, აღარ შემიძლია-მეთქი, მაგრამ თავისთვის ძალა დამიტანებია და დანაყებული საქმე მაინც ბოლომდე მიმიყვანია. პრობ-



მე, როგორც 10-შვილიან დედას, მაფასებდა...

ლემას და დალლას არ უნდა შეუშინდე, პირიქით — იქით უნდა მოერიო და დაამარცხო.

**გაღა:**

— 4 სარეცხი მანქანა გააფუჭა. ვეუბნები, — ია, გაჩერდი, არ დაილაღე-მეთქი? მკასუხოზს, — რა დროს გაჩერებაა, როცა კიდევ უამრავი საქმე მაქვს გასაკეთებელიო.

და, ქულები არ ეყო და ფასიანზე მოხვდა; განცხადების დანერა დავაპირე იმ მიზნით, იქნებ, რაიმე შეღავათი გაგვინიონ-მეთქი, მაგრამ არც კი მომისმინეს.

**ია:**

— სოციალური სამსახურიდან მოვიდნენ და რომ ნახეს, სახლში რემონტი გვექონდა გაკეთებული, მერე —

ზორიც და კარგი ცოლ-შვილიც მყავს-მეთქი!..

**ია:**

— ასეთი მაგალითი ჩვენს ცხოვრებაში ძალიან ბევრია და გულდასანყვეტია, ხალხი ასე რომ მსჯელობს. ექიმთან კონსულტაციაზე ვიყავი, ანკეტას ვავსებდი, ამ დროს ფოიეში ქალი მოლიმარი სახით შემოვიდა; ექთანმა ყურში ჩამჩურჩულა: ნეტავ, რა აცინებს ამ სანყალს, 6 შვილი ჰყავს და მეშვიდეს ელოდება! ვუთხარი: მერე, რა, მე მეცხრე ბავშვს ვაჩენ-მეთქი. დაიბნა, აღარ იცოდა, რა ეთქვა. ბოლოს, ძლივს ამოილულულა, — ღმერთმა გაგიზარდოსო!..

ამასობაში შინ ბავშვებიც მოვიდნენ: ზოგი — სკოლიდან, ზოგი — ბალიდან და სახლი ჟრიაშულით აივსო. იამ სიამაყით გადახედა ბავშვებს და სიცილით მითხრა: აბა, ნახეთ, რა კარგები არიან, დედა ენაცვალოთ! მათ სიმრავლეს სულ ვერ ვგრძნობ, სახლი, სადაც ბავშვების ჟრიაშულია, ყოველთვის დადებითი ენერგითაა სავსე; ჩემს შვილებს იმის საოცარი უნარი აქვთ, რომ ყველა უსიამოვნება, დარდი და დაღლა ერთ ნუთში დამავინწყონ. იცით, ამ ინტერვიუს რატომ გაძლევთ? იმიტომ, რომ მინდა, მრავალშვილიანობა გაჭირვებასა და სიღატაკესთან არ ასოცირდებოდეს.

— მაგრამ მრავალშვილიანი ოჯახების უმრავლესობას მართლაც, ძალიან ცუდ პირობებში უწევს ცხოვრება. ამის მაგალითად გამოდგება ჩემი რესპონდენტი, რომელსაც 5 შვილი ჰყავს

## განცხადებას არ დავწერდი, რადგან არ მიჭირს. მაგრამ ამით ვგრძნობდი, რომ სახელმწიფო ყურადღებას გვაქცევდა.

**ია:**

— დედამთილი და დედაჩემი მებმარებოდნენ. დილით ბავშვებს ვუვლიდი, საღამოს კი საოჯახო საქმეებს ვაკეთებდი. ბევრჯერ სარეცხის რეცხვაში დამთენებია თავზე.

— **ბავშვებს სწავლა ხომ არ ეზარებათ?**

**გაღა:**

— რას ამბობთ? ძალიან კარგი, ნესიერი და ბეჯითი ბავშვები არიან. უფროსი, შარშან სახელმწიფო უნივერსიტეტში ჩაირიცხა, დანარჩენებიც კარგად სწავლობენ. სხვათა შორის, თითქმის ყველას მუსიკალური ნიჭი აქვს. ქეთი ფორტეპიანოს ძლივს სწვდება, მაგრამ სიმღერებს დამოუკიდებლად აწყობს. იოანე კარგად ხატავს და მგონი, მომავალი მხატვარია...

**ია:**

— რაც მთავარია, ჯანმრთელები არიან. მუშაობაც არ ეზარებათ. სოფელში ბებია-ბაბუას ემარებიან. იყო დრო, როცა ერთი კვირა უნდებოდა ჩემი დედამთილი ვენახის მოვლას, ახლა, გოგონების დახმარებით, ერთ დღეს ანდომებს.

— **ბავშვებს მკაცრად ზრდით?**

— მკაცრი მშობლები არა ვართ, მაგრამ შვილებს კარგისა და ავის გარჩევას ვასწავლით. უკვე ერთი კვირაა, ნიკას სკოლის გაცდენა უნდა და ამის გამო, ხან თავის, ხან კი მუცლის ტკივილს იმიზეზებს. მე სკოლას არ ვაცდენინებ, არ მინდა, სიზარმაცეს მიეჩვიონ.

**გაღა:**

— ვცდილობთ, შვილები ისე აღვზარდოთ, რომ ისინი ჩვენც და სამშობლოსაც გამოადგნენ.

— **სახელმწიფო თუ გეზმარებათ?**

— საქართველოში მრავალშვილიანი ოჯახების მიმართ ყურადღება არ იგრძნობა, ყოველ შემთხვევაში, ჩვენ ამას ვერ ვგრძნობთ. როცა ჩვენი გოგონა უნივერსიტეტში აბარებ-

ტელევიზორი, კომპიუტერი და მანქანა ნახეს, ისე გავიდნენ და გაიხურეს კარი, რომ არაფერი უთქვამთ. როგორც მრავალშვილიანი დედა, 35 ლარს ვიღებდი და ისიც მომისხნეს. გამგობაში მივედი, იმის გასარკვევად, თუ რატომ არ გვაძლევდნენ კუთვნილს, მაგრამ პასუხი ვერ მივიღე. მხოლოდ ეს მითხრეს — განცხადება დანერე და აღნიშნე, რომ თქვენი მდგომარეობა გაუარესდა და გიჭირთო. ასეთ განცხადებას არ დავწერდი, რადგან არ მიჭირს. მართალია, ეს 35 ლარი ჩვენი ოჯახისთვის თითქმის არაფერს ნიშნავს, მაგრამ ამით ვგრძნობდი, რომ სახელმწიფო ყურადღებას გვაქცევდა და მე, როგორც 10-შვილიან დედას, მაფასებდა...

— **ალბათ, ბევრს უთქვამს, ამდენი შვილი რამ გაგაჩენინათო?..**

**გაღა:**

— მასხოვს, ერთხელ ვაშლის გამყიდველს ვუთხარი: 1 ყუთი ვაშლი მინდა და ცოტა დამიკელი-მეთქი. უარი მითხრა. ვთხოვე: დამიკელი, გასაყიდად კი არ მინდა, სახლში 10 შვილი მყავს და მათ უნდა მივუტანო-მეთქი. იქვე ერთი ქალი იდგა, მომიბრუნდა და გაცეცხული სახით მკითხა: რა ამბავია, შე კაცო, 10 შვილი?! სახლში დენი და ტელევიზორი არ გაქვთო?.. გავბრაზდი და ვაშლის გამყიდველს იმაზე მეტი თანხა გადავუხადე, ვიდრე ღირდა, იმ ქალს კი ვუთხარი: კარგი სახლიც მაქვს, დენიც მაქვს, ტელევი-



და რომელზეც მანამ გაიბზეთ, ვიდრე თქვენთან ინტერვიუს ჩაწერას დავიწყებდი.

**გელა:**

— დიას, ისინი რაიონში ცხოვრობენ, არა? მინდა, მათ ვუთხრა: ნუ შეუშინდებიან გასაჭირს, რადგან, მათ ყველაზე დიდი სიმდიდრე — ბევრი შვილი ჰყავთ. სურვილი მაქვს, რომ ამ ლამაზ ოჯახს მცირედით მაინც დავხმარო და იქნებ, მათთან დაგვაკავშიროთ. ამ ბოლო დროს ჩვენს ქვეყანაში სიძულვილია, შურმა და გაუტანლობამ დაისადგურა. თქვენი ჟურნალის საშუალებით, მინდა, ქართველებს ერთმანეთის სიყვარულისკენ მოვუწოდო; რადგან სიყვარული აშენებს, სიძულვილი კი — ანგრევს ყველაფერს. ქართველნი, გვიყვარდეს ერთმანეთი და გაგმრავლდეთ, რადგან არც ისე ბევრი ვართ... ახლა კი იმ ოჯახის ამბავსაც მოგიყვებით, რომელსაც ძალიან უჭირს.

ახლა კი იმ ოჯახის ამბავსაც მოგიყვებით, რომელსაც ძალიან უჭირს.

ნინო კახნიაშვილსა და ტარიელ კუტივაძეს 5 შვილი ჰყავთ. ნინო 15 წლის იყო, როცა გათხოვდა, ქმარი კი — 28-ის. ისინი თერჯოლის რაიონის სოფელ ქვედა ალისუბანში ცხოვრობენ. ტარიელი უმუშევარია. მან და ნინომ დახმარების თხოვნით რაიონის გამგეობას მიმართეს, მაგრამ უარი მიიღეს.

**ნინო:**

— ჯერ ჩემს ამბავს მოკლედ მოგიყვებით. მამამ მიგვატოვა. დედამ ჩემს 3 შვილის გაზრდა უჭირდა, ამიტომ, როცა მაჭანკალი მოვიდა, ის ჩემს გათხოვებას დათანხმდა. თან



მეხუთე შვილი რომ შეგვეძინა, სააფთიაქო ქსელმა 500 ლარი გვაჩუქა

მაჭანკალიც გულს უკეთებდა, ეუბნებოდა, ძლიერი ოჯახია და შენს შვილს არაფერს მოაკლებენო. მაგრამ როცა ტარიელს ცოლად გაყვევი, აღმოჩნდა, რომ ისიც ჩემსავით გაჭირვებული იყო. მაჭანკალმა მოგვატყუა. რალას ვიზამდი? ჩემს ბედს შევეგზე და ასე, გაჭირვებულ ყოფაში, 5 შვილიც გავაჩინე.

**— თვითონ გინდოდათ გათხოვება?**

— ჩემთვის აზრი არავის უკითხავს, ჩემი ბედი დედამ გადაწყვიტა და მეც დავთანხმდი. პირველ დღესვე ბავშვებთან გავიარე და „წრეში ბურთი“ ვითამაშე. ძლივს მიპოვა დედამთილია.

**— 5 შვილის ყოლა რატომ გადაწყვიტეთ?**

— პირველ შვილზე გათხოვების

ბევრი შვილი ჰყოლოდა; მაგრამ როცა ნახა, თუ რა ძნელი გასაზრდელია ამდენი შვილი, მითხრა, — მეტი აღარ გვინდა, შენც ცოდვა ხარო...

**— რას გვეტყვით თქვენს შვილებზე?**

— ჭკვიანი ბავშვები არიან. რაც მთავარია, ჯანმრთელები არიან, თორემ სად მაქვს წამლის ფული?! როცა გაცივდებიან, სახლის პირობებში ვმკურნალობ და „ეკლის“ ხის ნახარშს ვასმევ ხოლმე. უფროსი — სანდრო 11 წლისაა, თამუნა კი — 10-ის. ორივე მეოთხეკლასელია, სკოლაში ერთად შევიყვანე — არ მქონდა იმის საშუალება, რომ ორივესთვის ცალ-ცალკე წიგნები და სასკოლო ნივთები მეყიდა, ახლა ერთი წიგნით მეცადინეობენ, რომელსაც ხან მე ვყიდულობ, ხან მეზობლები ჩუქნიან.

**— თქვენი მეუღლე რატომ არ მუშაობს?**

— ცოლად რომ მომიყვანა, ტრაქტორისტად მუშაობდა, მაგრამ მალე გაათავისუფლეს. ცოტა ხნის წინ, ის მეზობელმა წაიყვანა, მანქანებს ტვირთავს, მაგრამ ესეც დროებითი სამუშაოა.

**— მატერიალურად ვინ გებმარებათ?**

— დედამთილ-მამამთილი, რომ გავთხოვდი მალევე დაიღუპა. მას მერე ძალიან ვწვალვობ. ბავშვებს რძე რომ ჰქონოდათ, ძროხა ვიქირავებო, ახლა მოვახერხებ და ის ძროხა ვიყიდებო. თვეში ორჯერ ყველი ბაზარშიც მიმაქვს გასაყიდად. ამით ვარჩენ 5 შვილს. როგორც შეუძლია, ჩემი და მეხმარება, ბავშვებს ტანსაცმელს უგზავნის, თორემ მე ყიდვის თავი სად მაქვს?!

**არ მქონდა იმის საშუალება, რომ ორივესთვის ცალ-ცალკე წიგნები და სასკოლო ნივთები მეყიდა, ახლა ერთი წიგნით მეცადინეობენ, რომელსაც ხან მე ვყიდულობ, ხან მეზობლები ჩუქნიან.**


დღიდან მალევე დავორსულდი და დიდი სიხარულითაც ველოდი მის დაბადებას. შემდეგ მეორეზე დავფეხმძიმდი, ვიფიქრე, ამასაც გავაჩენ-მეთქი... გულახდილად რომ გითხრათ, არ მინდოდა 5 შვილის გაჩენა, მაგრამ ალბათ, ასე ღმერთს სურდა და მეც, ხუთივე ისე მივიღე, როგორც უფლის საჩუქარი.

**— თქვენს ქმარს თუ უნდოდა 5 შვილი?**

— ჩემს ქმარს 5 დედამთილ შვილი ჰყავს და თვითონაც უნდოდა, რომ

**— დახმარებისთვის არავისთვის მიგიმართათ?**

— მეხუთე შვილი რომ შეგვეძინა, სააფთიაქო ქსელმა PSP-მ 500 ლარი გვაჩუქა. რაიონის გამგეობას მივმართე დახმარების თხოვნით: თავიდან დამპირდნენ, მაგრამ არავინ დამხმარებია. ერთი პერიოდი მპირდებოდნენ, ძროხას მოგცემთო, მაგრამ არავის არაფერი მოუცია. მე მხოლოდ იმას ვითხოვ, რომ ჩემს ქმარს სამუშაო ჰქონდეს, მშრომელი კაცია და მუშაობა არ ეზარება.



ჭკვიანი ბავშვები არიან. რაც მთავარია, ჯანმრთელები არიან, თორემ სად მაქვს წამლის ფული?!

# „კასს ასეთი სიყვარულით უმჯობესო, არ მგონია“



„გზის“ №18-ში დაიბეჭდა ბაჩოს მესიჯი. შეგახსენებთ, ის გვწერდა, რომ მის ცხოვრებაში მოულოდნელად შეიჭრა გოგონა (ანარქია), რომელიც ასევე მოულოდნელად გაუჩინარდა. ბაჩომ არ იცის, როგორ მოიქცეს, რადგან ანას ვერაფრით უკავშირდება (გოგონა საზღვარგარეთ ცხოვრობს, მობილური ტელეფონი კი გამოკრული აქვს). ბიჭი იმედოვნებს, რომ ანარქია „გზაში“ გამოქვეყნებულ მესიჯს აუცილებლად წაიკითხავს და შეეხმინება. წერილის ბოლოს კი ბაჩო შეყვარებულს მიმართავდა: „უშენოდ მართლა ძალიან ცუდად ვარ. შენს სახელზე ყოველდღე სანთელს ვანთებ და ღმერთს ვევედრები, რომ საქართველოში მალე ჩამოხვიდე და ჩაგხვდეთ“.

*„ქალები ხშირად დიდ სიყვარულს უსრულებენ და უღიბეს ვიხივენ...“*

ძლება, რაღაც პრობლემა აქვს და ამიტომაც ვერ გვეკონტაქტება. თუ არ დაგიკავშირდა, ჯობს, მასზე ფიქრს შეეშვა, რადგან ცალმხრივ სიყვარულს სიკეთე არავისთვის მოუტანია. ანისთან ერთად ბედნიერებას გისურვებ. წარმატება იყოს შენი მეგზური.“

## ლიკა ქაჩია

**ბრუნება:**  
„იმედი არ დაკარგო, აუცილებლად შეგეხმინება. იქნებ, რაღაც პრობლემა აქვს და ამიტომაც არ ჩანს. ბაჩო, იმედი ყველაზე ბოლოს კვდება, შენ კი მორწმუნე ბიჭი ხარ და ღმერთი არ გაგნირავს.“

**წილი:**  
„ქრისტე აღდგა! ლიკა, მრავალს დაესწარი! აუ, ბაჩო, ასე ნუ განიცდი, დაელოდე! იქნებ, უცხო გარემოში ადაპტაციას გადის და ამიტომაც ვერ გიკავშირდება. ღმერთი ფარავდეს შენს სიყვარულს. გაიხარე!“

**წილი, მუხიანი:**  
„შენი მესმის, რადგან მეც ანალოგიურ სიტუაციაში ვარ. თუ უყვარხარ და შენს სიყვარულშიც დარწმუნებულია, აუცილებლად დაგიკავშირდება. უბრალოდ, ცოტა დრო მიეცი, დაელოდე!“

**ვარსკვლავი:**  
„ლიკ, არ ვიცი, ბაჩოს რა უნდა ვურჩიო, მაგრამ მინდა, რაღაც ვთქვა: ბაჩოსი და მისი მსგავსი ადამიანების მზურს, რადგან მათ სიყვარული შეუძლიათ.“

**ქათა:**  
„შენი სიყვარული არავითარ შემთხვევაში არ დათმო და არც იმედი დაკარგო. დამიჯერე, რწმენა უმთავრესია. ჰოდა, ანარქიაც მიხვდება, თუ როგორ გიყვარს და ბოლოს, აუცილებლად ერთად იქნებით.“

**თაში, 21 წლის:**  
„ჩემო კარგო, შენი კარგად მესმის, რადგან 9 წელია, მსგავს სიტუაციაში ვარ. როგორც ძმას, გირჩევ, მისთვის იბრძოლო, მის გამო შეუძლებელი გააკეთო! მე ვერაფერი გაავწყვე, რადგან გოგო ვარ და მინდა, შენ მაინც არ დანებდე.“

**გასუ:**  
„ბაჩო, არ ინერვიულო. ანის თუ უყვარხარ, აუცილებლად შეგეხმინება. შეი-

**ლუნა:**  
„ალბათ, ძალიან კარგი ადამიანი ხარ (თუ სიმართლეს ამბობ). კარგია, ანარქია რომ გიყვარს. არ ვიცი, რა გირჩიო. მოდი, საკუთარ თავს დაუსვი კითხვა: რატომ გაუჩინარდა ის შენი ცხოვრებიდან? ბედნიერებას გისურვებთ შენც და ანარქიასაც. უფალი გფარავდეთ!“

**მარი:**  
„შენი მესიჯი რამდენჯერმე წაიკითხე. თუ ანარქიას შენი სიყვარულის არ სჯერა, ალბათ, ამის მიზეზიც აქვს... იმედია, შენ მიმართ რაიმეს გრძნობს და აუცილებლად დაგიკავშირდება. მის მეგობრებსაც შეეხმინე და შეყვარებულზე რაღაცას მაინც გეტყვიან.“

**ზიკა:**  
„სალამი, ბაჩო! თუ ანარქიას უყვარხარ, აუცილებლად დაგიკავშირდება. ეტყობა, ძლიერი ბიჭი ხარ, რადგან, ამდენს ითმენ. სხვა რა გითხრა, ძმაო? ვფიქრობ, ეს წერილი არ უნდა მოგენერა. ამბობ, — არ ვიცი, სიყვარულში როგორ დავაჯეროო. აი, აქ უკვე STOP! არ „გაგტიყდეს“, მაგრამ თუ ამაში აქამდე ვერ დაარწმუნე... მოკლედ, შენ იცი, რა.“

**ლალიტა:**  
„იმედი არ დაკარგო და შენი სიყვარულისთვის იბრძოლე! შეეცადე, შენს გრძნობებში დაარწმუნო. ანი, დაუჯერე ბექას! როგორც ჩანს, მართლა უყვარხარ. ჰო, იქნებ, როგორმე დაუკავშირდე კიდევ, მას ხომ ამით ძალიან გაახარებ... ბექა, ღმერთი იყოს შენკენ. მჯერა, მალე ყველაფერი კარგად იქნება, რადგან სიყვარულს დიდი ძალა აქვს!“

**ფსიქოლოგი:**  
„მაგარ შარში ხარ, მეგობარო! იმ გოგოს თავში ტვინი აქვს? ბიჭისგან ასეთი სიყვარული იშვიათობაა... ანი, აზრზე მოდი და ეს ბიჭი გზაზე დააყენე, თორემ ღმერთი დაგსჯის.“

**GREEN GIRL:**  
„ბაჩო, ანი ნანახი გყავს? იქნებ, შორიდან ეტრფი?.. ეჰ, ზოგჯერ არ ვიცი, სი-

ნამდვილეში ვისთვის ან რისთვის ვიბრძვით. მე წარმატებებს გისურვებ! ორივეს უფალი გფარავდეთ.“

**პატარა ლელა:**  
„ანის კარგად ვიცნობდი, მაგრამ კარგა ხანია, არც მე შემომხმინებია. იცი, მას საყვარელი ადამიანი ჰყავს და თავს ტყუილად იტანჯავს! ჯობს, დაივიწყო.“

**LOVE-LORN:**  
„დარწმუნებული ვარ, ყველა კაცი ერთნაირია და მათ ნამდვილი სიყვარული არ იციან. კარგია, ბაჩოსნაირი ადამიანები რომ არსებობენ, მაგრამ მას ანა გულწრფელად უყვარს?“

**გზაგარი:**  
„ძმაო, ანის აცალე, თავად გადანყვიტოს, თუ შენთან როგორი ურთიერთობა უნდა რომ ჰქონდეს. თუ შენ მიმართ რაიმეს გრძნობს, აუცილებლად დაგიკავშირდება. გულს ნუ გაიტებს, დაელოდე!“

**უცხოვი:**  
„ვიცი, ახლა რასაც განიცდი, რადგან ცოტა ხნის წინ, მეც იმავე პონტში ვიყავი: ჩემი „ლოვე“, რომელიც რუსეთში ცხოვრობს, ერთი თვის განმავლობაში არ გამოჩენილა და მამინ კინამ მოკვდი. მაგრამ ერთი კვირის წინ დამირეკა და მითხრა, რომ რაღაც პრობლემების გამო ვერ მიკავშირდებოდა. დარწმუნებული ვარ, ანასაც ექნება გასამართლებელი საბუთი. ასე რომ, ნუ ნერვიულობ, მალე დაგიკავებს.“

**იპოპაძე:**  
„დაელოდე, იქნებ, დაკავშირებას ვერ ახერხებს. ისე, მგონია, რომ შენი სიყვარული ცალმხრივია. წერილიდან ჩანს, ანის შენთვის არაფრის იმედი არ მოუცია. საერთოდ, საკუთარ თავს ყველაზე მეტად უნდა სცე პატივი (მით უმეტეს, რომ მამაკაცი ხარ). ქალები ხშირად, დიდ სიყვარულს უარყოფთ და ცხოვრების მეგზურებად უღირს კაცებს ვირჩევენ. შენ კი გეტყობა, სიყვარულის ნიჭით ნამდვილად დაჯილდოებული ხარ. ბედნიერებას გისურვებ!“

**ფსიქოლოგი:**  
„გამარჯობა, ლიკა. თქვენთან პირველად ვამსჯებ და იმედია, დამიბეჭდავთ. წინასწარ გისდით მადლობას და გპირდებით, თქვენი უფროსების ერთგული მკითხველი გაგხდებით.“

ბი. მინდა, ბაჩოს გამოვეხმარო: დამიჯერე, თუ იმ გოგოს უყვარხარ ან შენ მიმართ რაიმეს გრძნობს, სანერვიულო არაფერი გაქვს, რადგან დრო და სიშორე სიყვარულს ვერაფერს დააკლებს. როცა საქართველოში ჩამოვ, პირადად ნახე, საკუთარ გრძნობებზე დაელაპარაკე. თორემ მხოლოდ მობილურის მეშვეობით, ვერაფერში დაარწმუნებ. იმედია, ყველაფერი კარგად იქნება. მთავარია, უფლის რწმენა არ დაკარგო. წარმატებას გისურვებ!”

**ჩემი:**

„პრივეტ“, ლიკ! ხომ მაგრად ხარ? მინდა, ბაჩოს მესიჯს გამოვეხმარო: ასე ნულელავ. ცხადია, რომ ანი გულწრფელად გიყვარს და მჯერა, რომ ის შენი გრძნობის სისხეტავს დაავასებს. ცუდია, კონტაქტი რომ აღარ გაქვთ, მაგრამ მალე ყველაფერი კარგად იქნება. მოკლედ, წარმატებებს გისურვებ!”

**P:**

„ბაჩო, მეც ვყოფილვარ მსგავს სიტუაციაში. ისე, ჩემს „ლოვესაც“ ბაჩო ერქვა. იცი, რა უნდა ქნა? — მოთმინებით უნდა დაელოდო და აუცილებლად გამოჩნდება ის, ვინც შეგიყვარდება და ვისაც შეუყვარდები.“

**ნეკატო:**

„ჩემო კარგო, უნახავად სიყვარული ანუ შორით ტრფობა მართლაც რომ ძნელი დასაჯერებელია, მაგრამ თუ ნამდვილად გიყვარს, მისთვის უნდა იბრძოლო და დაეხმარო, რომ მისი ღირსი ხარ. არ ვიცი, ჩემი რჩევა დაგეხმარება თუ არა, მაგრამ იცოდე, წარმატებებს მთელი გულით გისურვებ! აბა, შენ იცი!“

**ხატია, 15 წლის:**

„მეც მსგავს სიტუაციაში ვარ: ერთი ბიჭი

შემიყვარდა, მასაც ვუყვარდი და ხშირად მირეკავდა კიდეც, მაგრამ ერთ დღეს ჩემი ცხოვრებიდან ისე გაქრა, არაფერი უთქვამს (მას მერე აღარც მირეკავს). „დავიდე“.

**აზიალი:**

„პრივეტ“, ლიკ! ძალიან კარგი ადამიანი ხარ, ბევრს ესმარები. მინდა, ბაჩოს მესიჯს გამოვეხმარო: ანას დაელოდე! დამიჯერე, მისდამი სიყვარული ყოველგვარ დარდს დაგაძლევიანებს. წარმატებებს გისურვებ!”

**მოსაზრება:**

„ბაჩო, თანაგრძობა. შენი ძალიან კარგად მესმის. ვფიქრობ, შენც ცხოვრებაში ახარქია ისევ გამოჩნდება. თუ მის გარეშე ცხოვრება არ შეგიძლია, ანას დასაბრუნებლად ყველაფერი უნდა გააკეთო. ისე, უმიზნოდ ხომ არ გაქრა? ალბათ, დაგიკავშირდება და მასთან გულახდილად დალაპარაკებ შენსი გექნება. წარმატებებს გისურვებ!”

**ნა:**

„ეპ, მეც დაახლოებით მსგავს სიტუაციაში ვარ. ბაჩო, გირჩევ, არ ინერვიულო, ყველაფერი კარგად იქნება. სხვა, რა უნდა გითხრა? — იბრძოლე იმისთვის, რომ ბედნიერი იყო, უფალმა დაგლოცოს და გაგაძლიეროს.“

**კახელი ხოსთავიანი:**

„ლიკ, მინდა, ბაჩოს ერთი რამ ვუთხრა: გული არ გაიტხე! იცოდე, ანარქიასაც ძალიან უყვარხარ და ენატრები. ასე რომ, თუ იმედს დაკარგავ, შეყვარებულიც გაგისხლტება ხელდაიდან.“

**პროვოკატორი 2:**

„ქალს რას მისტირი? კაცი არა ხარ? რომ უყვარდე არ მიგატოვებდა. ალბათ, არ ევასები, თავი მოაბეზრე და ტელეფონი ამიტომაც გამოართო. იქნებ, სხვა უყვარს

და შენ სულ ტყუილად იკლავ თავს? ეპ, რას გაუგებ ამ სიყვარულს, რა. ანარქიავ, დაურეკე ბაჩოს და სიმართლე უთხარი! იცოდე, ასე ნაკლებად დატანჯავ და უფლის წინაშე სინდისიც სუფთა გექნება. აბა, ჰე, წარმატებები!“

**აზია:**

„არ ვიცი, რა გირჩიო, დავიბენი; კაცს ასეთი სიყვარული თუ შეეძლო, არ მეგონა. როგორც ნესი, შეყვარებულების უყურადღებობისგან გოგონები ვიტანჯებით. მეგონა, ბიჭები არაფერს განიცდიდნენ, მაგრამ თურმე, გამონაკლისები არსებობენ. ჩემო კარგო, ასე გააგრძელე და ბედნიერებას აუცილებლად მოიპოვებ. იმედია, შენს სიყვარულს ანარქიაც სიყვარულითვე უპასუხებს. თუ ასე იქნება, ქორწილი არ გამოგვაპარო. გოცნი და წარმატებებს გისურვებ! P.S. კაცებო, მიჰბაძეთ ბაჩოს და მეტად დაგავსებთ!“

**ანუკი (კახელი):**

„ბაჩო, მე შენი მჯერა. ვფიქრობ, რომ ანარქია მართლაც გიყვარს და ეს ძალიან კარგია — სიყვარული ხომ ყველას არ შეუძლია. ანის დაელოდე და თუ უყვარხარ, აუცილებლად დაგიმესიჯებს.“

**ბარი, ათანი:**

„ჩემო კარგო, ძნელი დავივწყო ის, ვინც გულით გიყვარს, მაგრამ ჯობს გაარკვიო, სინამდვილეში რა ხდება თქვენ შორის და თუ მისხვდები, რომ არ უყვარხარ, უნდა დაივიწყო. ეს რთული იქნება, მაგრამ სხვა გზა არ არის. ძნელია, იყო ბედნიერი და იცხოვრო ადამიანთან, რომელსაც არ უყვარხარ. ისე, შენთან ლაპარაკი რომ უნდა დოდე, თავისი სახლის ნომერს არ მოგწერდა? ბედნიერებას გისურვებ.“

**„გზის“ მეშვეობით ბიჭი გავიცანი და...“**

**„ვერ ვხვდები, ვინ ვარ მისთვის“**

**მოსაზრება, 19 წლის:**

„პრივეტ“, ლიკუ! მინდა, ერთი ამბავი გაგიმხილო. რამდენიმე თვის წინ, „გზის“ მეშვეობით ბიჭი გავიცანი და ერთმანეთს კარგად გაეუგეთ. თავიდან არაფერზე ვფიქრობდი, მაგრამ ერთხელაც ყველაფერი შეიცვალა — მოულოდნელად მისგან წერილი მივიღე: ჯობია, ერთმანეთს ახლავე დავშორდეთ, რადგან ჩვენი ურთიერთობა გართობას არ ჰგავს და არ მინდა, გული გვეტყინოსო. ცოტა ხნის მერე ისევ გამოჩნდა და ჩვენი ურთიერთობა დაახლოებით 1 კვირა გაგრძელდა, შემდეგ კი ისევ გაქრა. როცა ვკითხე, — რა ხდება-მეთქი? მიპასუხა: მე სხვა ვიპოვე. ის სიცოცხლეზე მეტად მიყვარს და მუდამ ასე იქნება. შევეშვი, მაგრამ ერთი თვის შემდეგ ისევ გამოჩნდა. მეუბნება, — ის კი მიყვარს, მაგრამ ვერც შენ გივიწყებო. ერთხელ ასეთი „ესემესი“ მომწერა (იმ გოგოს შესახებ): უღამაზესია, ვიღაცის თავს მახსენებს, უერთგულესია — ვიღაცის თავს მახსენებს. „იმეინა“ ადამიანია, ვიღაცას მახსენებსო. ძალიან დავიბენი, რადგან ისიც მითხრა — ცუდად ვარ და მჭირდებიო. ვერ ვხვდები, ვინ ვარ მისთვის. თუ ფიქრდები და მენდობა, რატომ ამბობს, რომ სხვა უყვარს? თან, 4 თვეა, რაც მას იცნობს. ისიც მითხრა: მას ბევრი ისეთი თვისება არა აქვს, რაც შენში ძალიან მომწონსო. ვკითხე: რას გულისხმობ-მეთქი? მიპასუხა: თავმდაბალი, ყურადღებიანი არ არის და არც ჩემი ესმის, რაზეც გული ძალიან მტკივარო. ლიკ, ძალიან გთხოვ, დამიბეჭდე ეს მესიჯი. დაბნეული ვარ და მინდა, რაიმე მიჩიროთ. მითხარით, მასთან ურთიერთობა სამუდამოდ გაგწყვიტო? თქვენი აზრით, მის გამო დროის დაკარგვა ღირს? სულ დამავიწყდა

მეთქვა, ჩვენ ერთმანეთს პირისპირ არ შეხვედრივართ. ზოგჯერ მგონია, მეზიზღება, მაგრამ... ის კითხვებზე პასუხის გაცემას თავს არიდებს და ამის გამო, რაღაც ეჭვები გამიჩნდა. ვკითხე კიდეც: ცოლი ხომ არ გყავს ან პატიმარი ხომ არა ხარ-მეთქი? — მიპასუხა: არა, არც ცოლი მყავს და არც ცინეში ვზივარ. მალე ყველა გამიცნობს და შენც გამიხსენებს. დამიჯერე, ამ ცხოვრებაში არავის უნდა ენდო, ადამიანებს კარგად დააკვირდით... გთხოვთ, რაიმეს გარკვევაში დამეხმარეთ, თორემ არ ვიცი, რა გზას დავადგე. ყველანი ძალიან მიყვარხართ.“

**„მის ბიჭინი საქართველო 2008“**  
**ფოტომოდელების და მანეკენების სტუდია**  
**„ფაჰორიზი“**



იწვევს 17-24 წლამდე სასიამოვნო ბარემოდების მომომავს სილამაზის კონკურსში: „მის ბიჭინი საქართველო 2008“ მოწვევით მისი დაგება. გამარჯვებული ორი მომონა გაამგზავრება სილამაზის საერთაშორისო კონკურსება: „მის ბიჭინი მსოფლიო“ და „მის დედამისა“.

**საქონებატო ტელეფონი:**  
**893 955 622**

რუბრიკას უძღვება ექიმი თამარ მამაცაშვილი

**მარხვის შიშველი კვების საილუმოაჰი**

დიდი ხანი არ არის, რაც დასრულდა დიდი მარხვა. იმისთვის, რომ კვების სხვა რეჟიმზე გადასვლა ორგანიზმს სტრესად არ ექცეს, სამარხვო სუფრის ჩვეულებრივით შეცვლის წესების ცოდნაა საჭირო. სამწუხაროდ, მარხვის შემდეგ კვების მკვეთრ შეცვლას შედეგად შეიძლება, საჭმლის მომნელებელი ორგანოების სერიოზული მოშლა და დაკლებული კილოგრამების კვლავ ანაზღაურება მოჰყვეს. მარხვის დროს ორგანიზმი ნახშირწყლოვან — მცენარეულ საკვებს ეჩვევა. თუ მარხვის დასრულების შემდეგ მაშინვე იმას მიირთმევთ, რაც უფრო გემრიელი და ცხიმოვანია, გასტრიტი და სხვა უსიამოვნებებიც არ აცდებთ.

მარცვლელური და ვიტამინები, მეტი ხილი და ბოსტნეული ჯანმრთელი ადამიანის რაციონის ბაზისია. გამოდის, რომ მარხვის დასრულების შემდეგ, სწორ კვებაზე გადასვლის იდეალური საშუალება გვეძლევა. იმ ფაქტის მიუხედავად, რომ თანამედროვე საკვები ხშირად არასრულფასოვანია, ძირითადად, ვიტამინებით გაღარიბებული რაფინირებული პროდუქტებით მზადდება და ზოგჯერ მავნებელიც (გენმოდიფიცირებულ მასალას, კონსერვანტებს შეიცავს) კია, გამოსავალი მაინც არსებობს. ამისთვის საჭიროა, ესოდენ პოპულარული ჯანსაღი ცხოვრების წესის დაცვა, რომლის ფორმულაშიც ჯანსაღი და ბიოლოგიურად სუფთა საკვებიც შედის. თავსართი „ბიო“ იმას სულაც არ ნიშნავს, რომ ასეთი პროდუქტები უგემური ანდა ნაკლებად ნოყიერია. ბიოეტიკეტისანი პროდუქტი მხოლოდ ბუნებრივ კონსერვანტებს, ნატურალურ საღებავებსა და არაგენმოდიფიცირებულ ინგრედიენტებს შეიცავს.

ბიოლოგიურად სუფთა ინგრედიენტებით კი ყველაზე სასარგებლო, გემრიელი და ნოყიერი სადილები მზადდება. ასეთი საჭმელი კი ყველა სხვა სიკეთესთან ერთად, ძალიან სასარგებლოცაა.

**ჭარბი წონა საქსო პრობლემების საინფორმაციო**

ჯანსაღი ცხოვრების წესის აგრეირგად პოპულარობის მიუხედავად, ცხოვრების თანამედროვე ტემპმა, კომპიუტერიზაციამ, ფიზიკური დატვირთვის ხელმიუწვდომლობამ საქმე იქამდე მიიყვანა, რომ ბევრმა მამაკაცმა წონაში უსწრაფესად მომატება დაიწყო. ამერიკელი მეცნიერების კვლევებმა კი ისიც თვალნათლივ დაგვანახვა, რომ სიმსუქნით შეჭირვებული ადამიანები ნაკლები წონის მქონე ადამიანებთან შედარებით, სექსში პრობლემებს 25-ჯერ უფრო ხშირად უჩივიან. მათ, პირველ

რიგში, სექსუალური სურვილების გაქრობა და სქესობრივ აქტივან დაკავშირებული სირთულეები აწუხებთ, რის გამოც, ბევრი სექსზე საერთოდაც უარს ამბობს.

უკანასკნელ ხანებამდე მეცნიერები სხეულის ზედმეტი წონის მქონე მამაკაცებში ტესტოსტერონის (მამაკაცური სასქესო ჰორმონის) შემადგენლობის შესწავლით არ იყვნენ დაკავებულნი, მაგრამ ბოლო დროს, ამ პრობლემისადმი ინტერესი გაიზარდა და დაგროვილმა მონაცემებმა ქარბ წონასა და მამაკაცებში ტესტოსტერონის დონის დაქვეითებას შორის კავშირის არსებობა დაადასტურა. ტესტოსტერონის დონის დაქვეითება მამაკაცური ტიპის — ვისცერალურ (ანდროიდურ) სიმსუქნეს იწვევს.



**ანდროგენოდეფიციტის სივრცეები**

ტესტოსტერონის ნაკლებობის დროს მამაკაცებს, პროგრესირებად სიმსუქნესთან ერთად, აწუხებთ:

- სწრაფი გადაღლა;
- გამძლეობის უნარის დაქვეითება;
- მახსოვრობის დარღვევა და ყურადღების ხანგრძლივად კონცენტრაციის უნარის დაქვეითება;
- ძილის დარღვევა;
- განწყობილების ცვალებადობა;
- თმის ცვენა და კანის სიმშრალე;
- გულის ფრიალი, ტკივილები გულის არეში, ალბი, მომატებული ოფლიანობა;
- გახშირებული შარდვა;
- და ყველაზე მთავარი, რისიც მამაკაცებს ყველაზე მეტად ეშინიათ, ირღვევა ერექცია, ჩნდება ერექტილური დისფუნქცია.

პოტენციასა და სიმსუქნესთან დაკავშირებული პრობლემების მკურნალობა აუცილებლად ერთდროულად უნდა ჩატარდეს, რადგან მათი ერთდროული არსებობა პაციენტს დეპრესიაში აგდებს და მკურნალობის პროცესსაც მნიშვნელოვნად ართულებს. იმის გამო, რომ ქალებთან შედარებით მამაკაცებისთვის საკვებს ბევრად უფრო დიდი სოციალური მნიშვნელობა აქვს, მათ შემთხვევაში წონის მხოლოდ დიეტური რეკომენდაციებით დაკლება პრაქტიკულად შეუძლებელია.

ანდროგენოდეფიციტის დასადგენ-დასაზუსტებლად მრავალი სხვადასხვაგვარი გამოკითხვა არსებობს, მაგრამ პრინციპული მაინც ორი კითხვაა:

აქვს თუ არა ადგილი ლიბიდოს დაქვეითებას?  
არის თუ არა ერექცია საკმარისად ძლიერი?

მამაკაცმა, რომელიც ორივე კითხვაზე დადებითად უპასუხებს და ამასთან, სხეულის ზედმეტი წონაც აწუხებს, აუცილებლად კომპლექსური ანდროლოგიური გამოკვლევა უნდა გაიაროს.

**აირჩიე და შეიძინე სახლიდან გაუსვლელად**  
ინტერნეტ მაღაზია  
**www.elva.ge**  
წიგნები და ჟურნალ-გაზეთები

გამოცემის დასახელება	1 კვ. უცხ.	წ. ფ.
1. ოჯახის მედიცინა	0.88	11.2
2. ЗДОРОВЬЕ	6.08	35.0
3. КАРДИОЛОГИЯ	14.00	84.0
4. КЛИНИЧЕСКАЯ МЕДИЦИНА	11.90	65.0
5. ЛЕКАРСТВЕННЫЕ ТРАВЫ	9.55	57.3
6. МЕДИЦИНА ТРУДА	14.00	84.0
7. МЕДИЦИНСКИЙ БИЗНЕС	59.95	305.6
8. НОВЫЕ ЛЕКАРСТВЕННЫЕ ПРЕПАРАТЫ	9.55	57.3

პრების გაერცვლების სააგენტო  
ქ. თბილისი  
თბილისის ქ. № 49  
ტელ: 42-43-40;  
38-26-73; 38-26-74;  
ფაქსა: 38-26-74  
E-mail: elva@kvrivspalitra.com

აგრეთვე ნებისმიერი სხვა დასაზღვლების ჟურნალ-გაზეთები

**პლასტიკურ ნაკრახიას პარკიში შეგიხვლით**

ამერიკელი ექიმ-კოსმეტოლოგის — კეროლ მაჯიოს მიერ მოფიქრებული ვარჯიშების მეშვეობით სახის ოვალის დაჭიმვა და ნოჭებისგან განთავისუფლება შეიძლება.

ასეთი ვარჯიშების პირველი შედეგები რეგულარული ვარჯიშიდან 4 თვის შემდეგ ჩნდება.

**ვისწორებთ ცხვირს.** ასაკის მატებასთან ერთად, ცხვირის ფორმაც იცვლება: ცხვირი ფართოვდება, მისი წვერი კი დაბლა ეშვება და გრძელდება. შემოთავაზებულ ვარჯიშის დახმარებით ამ ნაკლოვანებების გამოსწორება სულ თავისუფლად შეიძლება. საჩვენებელი თითი ამოსდეთ ცხვირის წვერს და მალა ასე ასწიეთ, ზედა ტუჩი კი დაბლა დაქაჩეთ. ამ მდგომარეობაში რამდენიმე წამი დაყავით და შემდეგ ტუჩები მოადუნეთ. ვარჯიში 30-ჯერ გაიმეორეთ.

**მალა ვწვით ტუჩის კუთხეებს.** ტუჩები მაგრად მოკუმეთ, საჩვენებელი თითები ტუჩების კუთხეებში მიიღეთ და, ტუჩების მოუდუნებლად, მათი კუთხეები თითებით ასწი-დასწიეთ, თან ნელ-ნელა, 30-მდე დაითვალეთ. შემდეგ ტუჩები მოადუნეთ.

**ვიცილებთ ნოჭებს პირის ირგვლივ.** მოკუმეთ ტუჩები. საჩვენებელი თითი ტუჩებშია 30 წამის განმავლობაში უკაკუნეთ. შემდეგ კი ასევე 30 წამის განმავლობაში ტუჩები საჩვენებელი თითით ასწი-დასწიეთ.

**ვისწორებთ ცხვირ-ტუჩის ნოჭებს.** პირი ისე გააღეთ, რომ ოვალური ფორმა მიიღოს და ამ მდგომარეობაში 30 წამი დაყავით. შემდეგ საჩვენებელი თითით ცხვირ-ტუჩის ნოჭებს დაანექით და 30 წამის განმავლობაში ასწი-დასწიეთ.



**ვიჭიმავთ სახის კონტურს.** ქვედა ტუჩი კბილებს ძლიერად მიაჭირეთ და პირი ისე გააღეთ. საჩვენებელი თითი ნიკაპის შუაგულზე მიიჭირეთ. ნელა მოკუმეთ და გააღეთ პირი 30 წამის განმავლობაში. შემდეგ, ნიკაპიდან თითის აუღებლად, თავი უკან გადასწიეთ და დარჩით ამ მდგომარეობაში კიდევ 30 წამი.

**ლოყებს სიმრგვალეს ვმატებთ.** პირი ოდნავ დააღეთ, ტუჩები კბილებს მიაჭირეთ და 30 წამის განმავლობაში თითების ბოლოებით პირის ირგვლივ წრიული მოძრაობები აკეთეთ. შემდეგ ხელები ჩამოუშვით და, ტუჩების ნელ-ნელა მოდუნებასთან ერთად, 30-მდე დაითვალეთ.

**კუნთებს ტონუსს ვმატებთ.** ეს ვარჯიში ზედმეტად გამობერილი ლოყებისა და სახეზე წვრილი ნოჭებისგან გაგათავისუფლებს. გააღეთ პირი, ტუჩები კბილებს მიაჭირეთ და დაძაბეთ. ხელისგულები ლოყებზე მიიღეთ და 30 წამის განმავლობაში ნელა ასწი-დასწიეთ.

**ვიშორებთ ლაბას.** ბაგეების გაუხსნელად ფართოდ გაიღმეთ. დაიდეთ ხელი ყელზე და კისრის კანი ოდნავ ძირს დაქაჩეთ. გადასწიეთ თავი უკან, დაითვალეთ სამამდე და თავი დახარეთ. ვარჯიში 30-ჯერ გაიმეორეთ. ■

# სიასლა! ჩანართი გათოვის, ვისაც

## პედიატრიული ჩანართი თქვენს ქურნალში

## სასლუი პაპარა ჰყავს

### ოჯახის პედიატრი



შეკითხვები პედიატრს



0-დან 1-მდე



ბავშვის ფსიქოლოგია



როგორ შევურჩიოთ ბავშვს ფაფა

**შააბროვა და აკინძა**

შურნალი შურნალი

# მისტერნიტები

8.05. - 14.05.2008



... მანანას იხილი  
 და ქმარიყვას  
 გაციტყრობში  
 შეფასრდნა  
 ურითი იყო.  
 სამიხარიყუტოტონ  
 ნახეფარი  
 საათი ისმენდა  
 თავისი გვრიტის  
 ყტურტულს

## ფოტობიუსტი

დააინიციტი ანალოტი ბოტანიკალი ფოტობიუსტი  
 რადიკალიტი ნაბიუსი მანალოტი ანტი ანალოტი  
 ლოტიკალიტი ანალოტი მანალოტი ანტი ანალოტი  
 1. რადიკალიტი ანალოტი მანალოტი ანტი ანალოტი  
 2. რადიკალიტი ანალოტი მანალოტი ანტი ანალოტი  
 3. რადიკალიტი ანალოტი მანალოტი ანტი ანალოტი  
 4. რადიკალიტი ანალოტი მანალოტი ანტი ანალოტი

სწორი პასუხი ასე ყტურს:  
 მდინარე უშიშრად უნდა  
 გადაცურო, რადგან ხომ  
 არ დაგავინყდა, რომ ყველა  
 ნიანგი ლომითან თათბირზეა?

## სიტყარა

### სიტუაცია

დაჩაბრული ბაქსის  
 მძღოლი და მისი  
 „ბრახი“ ბოლი



# სიღარა

**მამაკაცების  
„სადიდებელი“  
მესიჯები და  
უკანასკნელი ლაჩარი  
ანუ ვაავა, ჩიტი!**



## მარი ჯაფარიძე

### მასწავლებლის მაგალითი

„ლაჩარზე ერთი ამბავი გამახსენდა. ბესო (ჩემი მასწავლებელი) ძაან სერიოზულად გვიყვება: „ერთ სუფრაზე ვიყავი, ბავშვებო და ჩემ წინ ერთი ქალი იჯდა, მაგარი ნაშა იყო და ცოტა „ფეხმსუბუქი“. ჰოდა, კაცების ამბავი ხომ იცით, ბავშვებო? ყველა იმას უყურებდა. ატეხეს ამ ქალის გამო ჩხუბი. მიდის განწევ-გამონევა, ვინ ვის ურტყამს, ვისი ფეხი ვის ტუფლშია, თითონაც ვერ იგებენ და იცით, მე რა გავაკეთე, ბავშვებო (თვითკმაყოფილი სახით)? ავდექი და ჩუმად წამოვედი. თათია“.

კლასიკა ყველა სფეროში კლასიკაა და არც სასიყვარულო ამბებია გამონაკლისი. მაგალითად, მოღალატე ცოლის კლასიკური ამბავია, როცა ქალს საყვარელი პყავს, ქმარი კარზე აკაკუნებს, საყვარელი კარადაში იმალება და... ამის შემდეგ ამბის გაგრძელება უკვე მთხრობელის ფანტაზიაზეა დამოკიდებული. მახსოვს, ერთხელ ჩემმა რესპონდენტმა, ცნობილმა მამაკაცმა თქვა: კარადაში ჯდომის გემო ყველა ნამდვილ ვაჟკაცს გასინჯული უნდა ჰქონდესო. ჰოდა, ჩვენი მომდევნო მესიჯის ავტორის ქმარიც არავისზე ნაკლები ვაჟკაცი არაა, თუმცა, ცოლი მას ბრალს ლაჩრობაში სდებს.

არ დამინწყობთ ახლა, ლაჩარია, აბა, რა არისო... რა ქნას კაცმა, ვი იცის, რომ კარადაში უნდა შეძვრეს, მაგრამ ვის

მოცემულმა თემამ ზოგი გაალიზანა, ზოგი ალაფროთოვანა, ზოგიც გულახდილობის გუნებაზე დააყენა. მაგალითად, ერთ-ერთ მკითხველს, რომელიც აქამდე მხოლოდ შორიდან გვადევნებდა თვალყურს, სწორედ ამ თემამ ამოაღებინა ხმა და ააღებინა ხელში კალა... უკაცრავად, მობილური და ჩვენთან მესიჯი მოაწერინა: „უკვე აღარ შემიძლია, ჩემი გაბრაზება დაფშალო. მერამდენე ნომერში ვკითხულობ მამაკაცთა „საქება“ წერილებს. ზოგმა ეშაფოტი მოგვიწყო და სასიკვდილოდ გაგვიმეტა, ბევრმა მატყუარა და აფერისტი გვინოდა, ჯიშაანად ამოგვწყვიტა, ცალტვინებად მოგვნათლა და ა.შ. ვიცი, შემდეგ ნომერში 10-ჯერ და 20-ჯერ მეტი ჩვენი „სადიდებელი“ წერილი დაიბეჭდება ალბათ, რადგან სიტყვა „ლაჩარი“ მანდილოსანთათვის ძირითადად, მამაკაცთან ასოცირდება და შეიძლება, ზოგჯერ საფუძვლიანადაც, მაგრამ გოგონებს გიჟვართ მსხვერპლის როლის თამაში და ეს კარგადაც გამოგდით. სშირად გავიწყდებათ, რომ გრძნობები ჩვენ, მამაკაცებსაც გვაქვს, ჩვენც გვტკივა გული, ჩვენც არანაკლებ ვიტანჯებით და განვიცდით, რადგან გრძნობების გამოხატვა ცრემლით არ ძალგვიძს. P.S. მარი, თუ გინდა, ნუ დაბეჭდავ, როგორმე ამასაც გადავიტან და არ მენწყინება. უბრალოდ, ჩემი აზრი გამოვხატე და იმედია, ჩემი პირდაპირობისათვის გოგონები ძალიან არ გამიბრაზდებიან. აპოლონი“.

არ ვიცი, სამწუხაროა თუ სასიხარულო ის ფაქტი, ამდენ მკითხველში მხოლოდ ერთმა მამაკაცმა, რომ აღიარა საკუთარი სიმბდალე.

„ლაჩარი ვარ, აბა რა, ერთი გოგო მიყვარს 3 წელია და მე სანყალს, სიყვარული ვერ ამიხსნია. თუმცა, საქართველოში კარგი გოგონების მეტი რა არის? ამის გამო დარდი არ ღირს. არაბა“.

კარადაში — არ იცის! სამაგიეროდ, შავყურა თეთრმა ბიძმა იცის, სად უნდა გაიქცეს, როდესაც თოფის სროლის ხმას გაიგონებს.

### გმირი ბიძკა

„ლაჩრობასთან დაკავშირებით ერთი ამბავი გამახსენდა. ბავშვობაში მონადირე ძაღლი მყავდა, სულ პანუკა

ამერიკელი მცნებს  
— მილონის შოგნა. ჩამოთლი  
მცნებს — მილონის დახამჯვა.

მომიყვანა მამამ და რადგან თეთრი იყო, შავი ლაქებით, ბიმი დავარქვით. მე და ბიმი სულ ერთად ვიყავით და თითქმის ერთად ვიზრდებოდით. ისეთივე ხალისიანი იყო, როგორიც მე, მაგრამ — მშიშარა და ლაჩარი. უბრალო ხმაურისაც კი ეშინოდა. იქით დასაცავი ჩვენ რას დაგვიცავდა? მამამ განაჩენი გამოუტანა — გაჩუქება! მაგრამ ამისთანა ლაჩარი ვის გინდა, შეატყუო? გამოჩნდა ერთი ნადირობის ტრფიალი კაცი და ციმციმ ნაიყვანა ბიმკა. გავიდა კარგა ხანი და ეს კაცი ისევ მოხვდა ჩვენს ოჯახში. ბიმზე გვითხრა, ეს რა მაგარი ძალღი ყოფილა, გადამრია კაციო. ყურებს არ დაუჭერე. ბიმი და მამაცი? მთლად სმენად ვიქეცი. „ნავიყვანე ერთ დღეს სანადიროდ და რომ დავინყე ნადირობა, პირდაპირ სასწაული დაატრი-ალა, თოფი რომ გავისროლე, გაიქცა, მარა რა გაიქცა, როგორ მიმასწრო სახლში, აზრზე არ ვარ და თან საცოდავი, 3 დღე სახლის კიბის ქვეშიდან ვერ გამოვიყვანეო. აი, ასე „გვასახელა“ ბიმკამ. უზნეო ანგელოზი“.

### თავგანწირული

„თემამ ერთი შემთხვევა გამახსენა. მაშინ 10 წლის ვიყავი და ჩემს ორ მეგობართან (გოგოსა და ბიჭთან) ერთად სკოლიდან შინ ვბრუნდებოდი. იანვარი იყო და საშინლად ყინავდა. უეცრად კატის განწირული კნავილი შემოგვესმა. იქვე მდინარე ჩამოდოდა და გავიქეცი. ვილაცას კატა გადაეგდო წყალში. საცოდავი, შუა მდინარეში ამოჩრილ ქვაზე აცოცებულიყო და სიცვიისაგან ღონემიხდილი კნაოდა. ბიჭ

ამხანაგს გადავხედე იმ იმედით, რომ უშველიდა. წყალი სულაც არ იყო ღრმა, მაგრამ ისე ციოდა, შესვლა ვერ გაბედა. გულმოსულმა ჩანთა დავაგდე და მათი ყვირილის მიუხედავად, მდინარეში შევეტოპე. კატა გულში ჩავიკარი და უკან წამოსვლისას ვიგრძენი, რომ გაყინული ფეხებით სიარული მიჭირდა. ნაპირზე წვალეებით გამოვალწიე. ლაჩრები ხართ-მეთქი, მივაძახე მეგობრებს

არ მინდოდა მისვლა. ამიტომაც მათი რვეულები ჩუმიად ამოვიღე დასვენების დროს და დავალება ჩავუწერე, ორივეს. უნდა გენახათ, რა სიმწრით გადაშალეს მასწავლებლის მიახლოებისას რვეულები და თავზე წინასწარ ხელაფარებულებმა მისი შექება რომ მოისმინეს, გაოცება ვერ დაფარეს. არასოდეს დამავინყებდა მათი სიყვარულით ანთებული თვალები. სიკვდილს გადარჩენილ კატაზე

### სულელი ინტელიგენტი

„ლაჩარი ჩემი ყოფილი ქმარია. საყვარელმა ისე გამოაშტერა, ერთხელ სახლში მოვიდა და მითხრა: — ახლა მანანა მოვა და შემამონწმებს, აქ ვათევ ლამეს თუ არა და ისტერიკები არ ატეხოო. წინასწარ გამოალაგა გარდერობიდან ტანსაცმელი და ფეხსაცმელები, აივანზე დამალა და მის მოსვლას დაელოდა. მე, „სულელმა ინტელიგენტმა“, სცენები არ მოვანყვე. მანანას ზარი და ქმარუკას გარდერობში შევარდნა ერთი იყო. სამზარეულოდან ნახევარი საათი ისმენდა თავისი გვრიტის ულურტულს. დღემდე თავი კაცი ჰგონია ეს ერთი. დღეს მანჩო თურქეთშია და ფულს იჭადან უგზავნის, ჩემი ყოფილი ქმარუკა კი მის 2 შვილს პპატრონობს. საკუთარ, 13 წლის ბიჭს კი დარეკვას უშლის, როცა მანჩო ჩამოდის ხოლმე. ამ გადასახედიდან, მეც ლაჩარი ვიყავი, რამდენს ვუთმენდი... პროკურორა“.

და მათკენ აღარც მიმიხედავს, ისე წამოვედი. მეორე დღეს ავადმყოფობას სასწაულებრივად გადარჩენილს და სკოლაში მისულს, მეგობრებმა ვეღარ გამიბედეს, დავალების გადასაწერად რვეული ეთხოვთ (ჩემგან ინერდენ, ყოველ დღით). შემებრაღნენ, როცა წარმოვიდგინე, მათემატიკის მასწავლებლის გადმოქაჩული თვალები და მეგობრების ანეული ყურები, მაგრამ სიამაყის გამო მათთან პირველს

უფრო მაღლიერი გამოხედვა ჰქონდათ. P.S. ისე, იმ კატამ ბევრი შთამომავალი მაჩუქა. მის შვილიშვილებს ახლაც ვზრდი. კამელია“.

ო, ძვირფასო ოთხო წელიწადო, ეს 4 წელიწადი ის 4 წელიწადია, რომელიც დღევანდელმა ხელისუფლებამ, უნდა მოასწროს და გამდიდრებისთვის, „ამას სიკვდილი, იმას — ჩამოხრჩობისთვის“, ნატოში შესასვლელად და აფხაზეთისა და სამაჩაბლოს დასაბრუნებლად უნდა გამოიყენოს. ჩემი აზრით კი ეს 4 წელიწადი ის 4 წელიწადია, რომლის შემდეგ თბილისს სანდრას სახელობის ყვითელი ავტობუსები, მისას სახელობის ავტობანი და შადრევნები, ვანოს „სახელობის“ პატიმრები და უგულავას სახელობის... უგულავას



იცი, შოკომ უნდა დააინცფრესო ილიოციწ  
ამ იციწ ხვალ მოვიყვებუ.

### უკანასკნელი ლაჩარი

„იყო პატარა, ნაზი გოგონა და იყო ბიჭი, ოღონდ, უფროსი და გამოცდილი. ყოველდღე, როცა ბაფთიანი გოგო სკოლიდან ბრუნდებოდა, ბიჭი უკან მიჰყვებოდა, შესვენებებზე თვალს არ აშორებდა და ზღვისფერი თვალებით მომწუსხველად უღიმოდა. ყველა იმაზე ლაპარაკობდა, რომ გოგონების საოცნებო ბიჭს ერთი პატარა ბავშვი უყვარდა. გავიდა წლები, გაიზარდა გოგონა. თუ ადრე მორიდებით იმალებოდა, ახლა ამაყად დადიოდა, უკვე ჩვეულებრივად ეჩვენებოდა უფროსი ბიჭის სიყვარული და ყურადღება. უბრალოდ, სიამოვნებდა... მერე... მერე ბიჭი დედიკოს თხოვნით, დედისერთა ასულზე დაქორწინდა... ლაჩარი? დიახ, ის კაცუნა იყო. ისეთი მბდალი, რომ ცოლიანიც კი ხვდებოდა გზაზე უკვე დიდ „პატარა გოგოს“, მაგრამ ველარაფერს ეუბნებოდა. მხოლოდ უსიტყვოდ უყურებდა. ან რაღა ჰქონდა სათქმელი? მე ვიყავი ის პატარა ქალი და სამწუხაროდ, ის არ ყოფილა უკანასკნელი ლაჩარი ჩემს ცხოვრებაში. ( პარიჟანკა“.

სახელობის... დიეტა დარჩება... მომდევნო რესპონდენტიც ჩემს აზრს იზიარებს...

ვიცი, აუცილებლად შემოხაზავენ. ჰოდა, გვიშველეთ! გაივსო ქვეყანა ლაჩრისტებით!“

### „ლაჩრისტები“

„გამარჯობა, ძალიან მინდა, რომ პოლიტიკურ სიბეცესილაჩრებზე მოგწერო. არც „პოზიციონერი“ ვარ და არც ოპოზიციონერი. ერთი უბრალო ადამიანი ვარ, რომელიც კარგად ერკვევა დღევანდელ პოლიტიკურ სიტუაციაში. რაც შეეხება ლაჩრობას, აბა, მითხარით, რომელი ცნობილი პოლიტიკური ფიგურა არაა ლაჩარი? როგორც კი რაიმე ისეთ კითხვას დასვამ, რომელზეც პასუხი ყველამ იცის, მაგრამ თვითონ სიმართლის გამხელა არ სურს, მაშინვე ლაჩრის პოზას მიიღებს და ან დუმს, ან საუბარი სხვა თემაზე გადააქვს. დააკვირდით, როგორ შეჰკლიმილებენ მიშას მისი ხელქვეითნი და მზად არიან, ფეხები დაუკოცნონ. აბა, პირში უთხრან ის, რასაც მის ზურგს უკან ლაპარაკობენ, მაგრამ ლაჩრები არიან და ვერ ეტყვიან... სახელმწიფო სამსახურში მყოფ ხალხს აიძულებენ, რომ 5 ნომერი შემოხაზონ. ისინიც ლაჩრები არიან და

### ლაჩარი „პაკლო“

„ერთი „პაკლო“ მყავდა. „პაკლოც“ არ ერქვა, რაღაც მაგის მსგავსი იყო. დედამისს მოვეწონე და შეუჩნდა თავის ბიჭს — არიქა, კარგი გოგოა და ყურადღება მიაქციეო. ამ სულელმაც დაადო თავი და მოვიდა ჩემთან. გავიცანით ერთმანეთი, მაგრამ რად გინდა? მიყვარხარო, არ მეუბნებოდა (იმიტომ, რომ არ ვუყვარდი). დედამისისთვის კი ვერ გაებდა, რომ ეთქვა, სხვა მიყვარსო. მერე ისევ მე ვუშველე — თავი დამანებემეთქი, ვუთხარი... გაუხარდა. აბაა! ამნაირი ლაჩრებიც არსებობენ. კნობკა“.

### სირიკო ბიძია

„ერთხელ ჩემი ნაცნობი გოგო, რომელიც მალაზიაში მუშაობდა, მეზობლის ქალების საუბარს შეესწრო, რომლებიც მეზობელ კაცს ჭორავდნენ და მას „სირიკოტი“ მოიხსენიებდნენ. ამას ეგონა, „სირიკო“ იმ კაცის სახელი

იყო. ჰოდა, ერთხელ ის კაცი მალაზიაში შევიდა. ამ გოგომ ჰკითხა: სირიკო ბიძია, რა გნებავთ? იმ კაცის სახე უნდა გენახათ! თვალები გაუფართოვდა, მაგრამ რას ეტყოდა? ასე ვთქვათ, ვითომ ვერ გაიგო და სიგარეტით, უპასუხა. არ არის ახლა ეს კაცი ლაჩარი? სირიკოს რომ დაგიძახებენ და შეიფერებ, ლაჩარი ხარ, აბა რა? ტოპოლინა“.

### „ბაბაიაგა“ და ყოფილი ფეხბურთელი

„ახალი ვარ, თუმცა ძველი და ერთგული მკითხველი. გადასარევი თემაა — „ლაჩარი“. არა, ლაჩრის წოდება ცოტაა იმ კაცუნასთვის. უფრო სხვა სახელი შეეფერება, მაგრამ ვერ მომიფიქრებია. მაშ, დავინწყებ: იყო ერთი ყოფილი ფეხბურთელი, დათო. ეს დათო დიდი მექალთანე ვინმე გახლდათ. ცოლი ჰყავდაა... შელებილ-„შეკრასკული“ „ბაბაიაგა“, დიდი ეშვებით და ბრჭყალებით. მიუხედავად ცოლის მიმართ დიდი შიშისა, ეს ჩვენი დათო მაინც „დაგულაობდა“ თავისი მოსწავლეების მშობლებთან („ტრენერია“). ერთ დღესაც თვალი მეტად სიმპათიურ, ქვრივ ქალბატონს დაადგა და წავიდა მესიჯები... ქალი ლანძღავს, ილანძღება ჩვენი „ტრენერიც“... ჰოოდა, ამ მორიგი ლანძღვის დროს დაიჭირა მესიჯი „ბაბაიაგამ“ და ჩვენს „ტრენერს“ კარისკენ მიუთითა (საწყალი, ჩასიძებულია). ეს ჩვენი დონჟუანი კი დაემხო მუხლებზე და აღრიალდა — არ გამაგდო, შენი ფეხების ჭირიმე, მე არ ვარ დამნაშავე, თვითონ ეს ქალი ვერ მოვიშორე და ახლა შენი იმედი მაქვს, იქნებ მიშველო და მომაშოროო. ასე გადარჩა „გმირი“ სახლიდან გაგდებას. უდანაშაულო ქალი კი ტალახში ამოსვარა. ეს ქალი დღესაც დეპრესიაშია და სირცხვილით, გასაჭირსაც ვერავის უმხელს. სახლში ჩაიკეტა. „ბაბაიაგა“ კი ხარობს და ზრხინად და მოხერხებულად ადგამს რქებს თავზე

თავის მონა-მორჩილ ქმარს. ასე დასრულდა ეს ზღაპარიც. ახლა თქვენთვის მომინდვია ამ კაცუნას ნათლიობა. მისს იმერეთი“.

## თავმოწონე და ლაჩარი

„რასაც ახლა მოგიყვებით, მართლაც ლაჩრული საქციელია. ჩემს მეგობარს (ნინო დავარქვათ) თავდავიწყებით უყვარდა ერთი ბიჭი (სახელად — გიორგი), მაგრამ ამას არ იმჩნევდა. თუმცა, მე ვამჩნევდი, რომ უყვარდა. გიორგი მეტისმეტად „თავმოწონე“ იყო, რადგან ბევრ გოგოს უყვარდა და ნინოს ყურადღებას არც კი აქცევდა. ერთ დღეს ლაშქრობაზე წავედი. ნინო და გიორგიც ჩვენთან ერთად წამოვიდნენ. ძალიან სახიფათო ადგილებში მოგვიწია სიარულმა. მე და ნინო გიოს უკან მივდიოდით. წინ დიდი კლდე იყო. ნინოს ძალიან შეეშინდა და ტირილი დაიწყო. გიორგი კი იდგა და უყურებდა. ხელიც კი არ შეაშველა. ნინო ძალიან გაბრაზდა, ძალა მოიკრიბა, გიორგის მხარი გაჰკრა და აგრძობინა, რომ ლაჩრულად მოიქცა. ლუნა“.

## გამქრალი პავლე

„XI კლასს ვამთავრებდით და ერთ-ერთ კლასელთან გადავწყვიტეთ ამის აღნიშვნა. ნუ, ქეიფი ეშხში შევიდა, სასმელიც კარგად მოგვეკიდა და ჭკუაზე არ ვიყავით. საკმაოდ გვიანი იყო, რომ დავიშალეთ. გოგოების გაცილება, რა თქმა უნდა, ბიჭებმა ითავეს. მე და ერთ თანაკლასელ გოგოს პავლე გვაცილებდა. სახლამდე კარგად ვიარეთ. როგორც

კი კლასელის სახლს მივუახლოვდით, საიდანაც გვარიანად შეზარხოშებული კაცი გამოჩნდა და ბოხი ხმით ილრიალა — ვინ ხართ? ჩვენ შიშისგან გულები გაგვიჩერდა. რომ მოვიხედეთ, პავლე აღარსად ჩანდა, ის ჩვენზე წინ გაქცეულა. ამ ამბის შემდეგ 10 წელი გავიდა და დღესაც ვახსენებთ პავლეს. თი-თი“.

## ვაავა, ჩიტი!

„წლების წინ, როცა ქვეყანაში ყველაფერი აირია და ხალხს საღამოს გარეთ გასვლის ეშინოდა, ჩემმა მამიკომ სახლში სანადირო თოფი მოიტანა, რა იცი, რაში გამოგვადგებაო. ჰოდა, ერთ დღეს სახლში, უკვე გათხოვილი, ჩემს ქმართან ერთად სტუმრად მივედი. ჩემი რძალი და ძმისშვილი, 3 წლის გიო დაგვხვდნენ. გაუხარდა რძალს, ამაღამ მარტო უნდა ვყოფილიყავი და შიშით ვერც გავატანდი, დილამდეო. ჰოოდა, შუალამით უცებ რაღაც თუ ვიღაც აბრაახუნდა შემინულ აივანზე. ისეთი ხმა იყო, ვიფიქრეთ, ვიღაც თავს გვესხმისო. ავიღეთ მამის თოფი, გავედით ერთ ოთახში, საიდანაც ქუჩა და ჭიშკარი ჩანს და თვალეზაყყეტილებმა დავიწყეთ გარემოს დაზვერვა, მაგრამ რას გავარჩევდით უკუნეთ სიბნელეში? დილამდე გულგახეთქილები ვიყავით, მართლა შევშინდით. არა მარტო ჩვენ, არამედ ჩემი ქმარიც. რომ გათენდა, ყველაფერი კარგად დავათვალიერეთ, რომ გაგვეგო, რას შეეძლო ის ხმაური გამოეწვია. ვერაფერი ვნახეთ და ავბრუნდით აივანზე. აი, იქ კი ვიხილეთ ჩვენი სილაჩრის დამადასტურებელი მოწმობა. :) საბრალო ჩიტი,

რომელიც აივანზე შემთხვევით მოხვედრილიყო ვერაფრით პოულობდა უკან გასასვლელ გზას და მინას ეხეთქებოდა. ეს ლამით საზარელ ხმაურს იწვევდა. საბრალოს გული გასკდომოდა... იმ წუთში ისე შეგვრცხვა ერთმანეთის, რომ ხმა ვეღარ ამოვიღეთ. :( უზნეო ანგელოზი“.

თემაზე მოსული მოკლე მესიჯები.

## ასე და ასე, ისე და ისე...

„იცით, რამდენი ლაჩარია თბილისში? ერთ წყვილს ძალიან უყვარდა ერთმანეთი, მაგრამ ბიჭის ლაჩრულმა საქციელმა გადაწონა ეს გრძობა. სხვის ლაპარაკს დაუჯერა და 3 თვის ორსული გოგო მიატოვა. მერე კი მოუნანიებელი ცოდვა დაიდო კისერზე, რადგან გოგომ თავი მოიკლა. :( ის ბიჭი კი ბერად აღიკვეცა. სესი“.

„ჩემი დაქალი დღეს უბედნიერესი დედაა. ის ლაჩარი კი ყველა ღონეს ხმარობს, რომ დაიბრუნოს თავისი უღამაზესი შვილი და მისი დედიკო, მაგრამ განა ასეთი ლაჩარი კაცი ოდესმე იქნება ღირსი, ჰქონდეს ლამაზი ოჯახი? ჩემი აზრით, ლაჩრობა იგივე უთავმოყვარეობაა. აბა, კაცი საკუთარ ცოლს ძმაკაცთან რომ შეუსწრებს და ისევ ცოლად დაისვამს, იმ კაცს რა ვუნოდო სახელად? ასეა, კაცებმა დანიშნულება დაკარგეს და ახლა ქალებს გვაქვს ორმაგი საზრუნავი. ძირს ლაჩრები! იკუშვები“.

„ეჰ, ლაჩრობაა აბა რა, კაცი რომ მშობლებს სიტყვას ვერ უბრუნებს. უთხრეს — ასეო, ესეც მოვიდა და მითხრა — ასეო, უთხრეს — ისეო, ახლა მეუბნება — ისეო. დავილაღე, სოფლელი, ნერვებს მიშლი!“

„ლაჩარიო? ლაჩრის და კურდღლის მეტი რა არის? იმისთანა ლაჩართან გამიჩადებია რომანი, აზრზეც რომ არ ვიყავი, სანამ მართლა ლაჩრუ-



მამაკაცები ხომ ასეთი მსუბუქი  
ყოფიან და ამდღესადები  
ამიან... დღეს რაღაც ვყოფნის,  
ხვალ — მომარ...

ლად არ შეირცხვინა გოგრა თავი, ჩემმა ექსლოვემ“.

„ლაჩარია ყველა, ვინც სამსახურის დაკარგვის შიშით 5 იანვარს მიშას მისცა ხმა და მომავალ არჩევნებზეც მუქარის გამო 5-იანშემოხაზულ ბიულეტენებს ჩაყრის (არადა, რამდენი ახლობელი მყავს ამ სიაში). მინდა მათ ვუთხრა: — ნუ იქნებით ლაჩრები, წადით არჩევნებზე და ის შემოხაზეთ, ვინც გულით გინდათ და არა ის, ვინც თქვენმა უფროსებმა გითხრეს! P.S. კამელია“.

„ლაჩარია ის ადამიანი, რომელიც იმიტომ დამშორდა, რომ დაემუქრნენ. შეიძლება, მისთვის იმდენს არ ვნიშნავდი, რომ ჩემთვის რაიმე მსხვერპლი გაეღო... თქვენ წარმოიდგინეთ, არც ჩემთვის ნიშნავდა ბევრს, მაგრამ ფაქტია, რომ რალაც მომენტში წაულაჩრა. შანსი“.

„ჩამოსტი, ბიჭო, მატარებლიდან, ნუ წახვალ ჯარში, ომია აფხაზეთში და თვითონ გაემზადა მატარებლიდან ჩასახტომად. — „არა, ძმაო, მერე როგორ შევხედო დედ-მამას თვალებში, როგორ ვიცხოვრო ამ ქვეყანაზე, „სჯობს სიცოცხლესა ნაძრახსა, სიკვდილი სახელოვანი“, — უპასუხა მან და წავიდა აფხაზეთში... 7 თვეში ჩამოასვენეს, 19 წლის იყო, მხოლოდ... ეს მეორე კი ცოცხალია და დღესაც ვერ მიდის მის საფლავზე... შეწირული“.

**ყველაფერზე თემის გარდა**

**რამდენს იხდის „გზა“?**

„ისე მიხარია, როცა ყურნალს ვყიდულობ და ჩემს მესიჯებს ვნახულობ, რომ სახლამდე ვეღარ ვითმენ, გზადაგზა ვკითხულობ და ჭკუაზე არ ვარ ხოლმე. კი არ დავდივარ, დავფრინავ სიხარულისგან. ჰოდა, მეშინია, სააღდგომოდ უფალთან არ გავისეირნო, სამუდამოდ. კინალამ დავივინყე, რაც უნდა მეთქვა. მოკლედ, ერთ ხუთშაბათს დედაჩემი მიყურებს, მე კი ყურებად ვიკრიჭები.“

**„საწყალი“ კვერცხები**

„მამაჩემს დაბადების დღე ჰქონდა და იქ წავედი. დედაჩემი ერთი კვირაა, ქობულეთშია და ვიცოდი, ყველაფრის გაკეთება და მერე მილაგებაც მე მომიწევდა, მარა რას იზამ? 10 კვერცხი ცელოფანში ჩავდე და, ვინაიდან და რადგანაც მანქანა არ გვყავდა, წამოვედი „მარშრუტით“. ბევრი ხალხი იყო და სულ ბოლოში მომიწია დაჯდომამ. ეს პარკი კალთაზე დავიდე. ამოვიდა ვიღაც კაცი და მანქანა დაიძრა თუ არა, წაბორძიკდა და კალთაში (უფრო სწორედ, კვერცხებზე) ჩამიჯდა. — ვაიმე, კვერცხები-მეთქ. ამ კაცს ეგონა, მის „კვერცხებზე“ ვდარდობდი და მითხრა — არა უშავსო. — რა არა უშავს, ყველა გამიტყენთ-მეთქ. რომ მიხვდა, რაშიც იყო საქმე, მაგრამ გაუტყდა. აბლაბანუმი“.

შემეკითხა: კი მაგრამ, რას იკრიჭებიო? მე უპასუხე: — იცი, „გზაშია“ ჩემი მესიჯი-მეთქი. — კი, მაგრამ რამეს გიხდიანო (ალბათ, ფული იგულისხმა)! — რა უნდა გადამიხადონ, ქალო, აზრზე მოდი, ამ მესიჯებს მთელი საქართველო კითხულობს-მეთქი! მაგრამ მისი ბრალიც არაა, ფულის სიყვარული სისხლში აქვს გამჯდარი. ამის გამო ხშირად ვფიქრობ — ნეტავ, აყვანილი ხომ არ ვარ, მე რატომ არ მიყვარს ფული-მეთქი? ქართველებს ჩემი არ სჯერათ, ამდენი საიდან იციო, ჩვენს რელიგიაზე, ზოგი რამე ჩვენც კი არ ვიცითო. ამიტომ ვაცხადებ: წლების წინ ვინმემ მალაზიაში ლამაზი, ბუნჩულა, შავგვრემანი, ლოყებნითელა გოგონა ხომ არ დაკარგეთ, განსაკუთრებული ნიშნით? კეფაზე წითელი ხალი მაქვს. უი, შემეშალა, აბდუშაჰილს ჰქონდა კეფაზე წითელი ხალი, მე — კისერზე მაქვს. ხედავ,

მარი, როგორი გულადი ვარ? მაგრამ მაინც მეშინია, ეს რომ დედაჩემმა გამიგოს, ტიტუ, რას მიზამს! გრუზინკა“.

**რა ვნახეთ და რა გავიგონეთ?!**

„გზავნილების“ განძის მამიებელმა ფილტვის ოპერაცია გაიკეთა და დღეს რეანიმაციიდან რომ გამოიყვანეს, სანახავად მისულ მეგობრებს დაბინტული, ლურჯი თვალებით და გამშრალი პირით დაგვხვდა. პირველ რიგში, ლულულდით იცით, რა გვკითხა (არ აგეტიროთ)? „გზაში“ მარიმ ჩემი მესიჯები ხომ არ დაბლოკაო? გული აგიჩუყდათ, არა? არც ჩვენ ვართ უგულოები და ციმციმ ვუყიდეთ ყურნალი. ვააუუ, რა ვნახეთ და რა გავიგონეთ?! მარი, ლამის ავადმყოფი დაგვავინყე, სულ ვფხუკუნებდით. მარტო შენნაირი სუპერყურნალისტი შეძლებდა ასეთი მაგარი „სას-“

ძმაცალში მამ წამსკობზე  
ამ იყო მამ, წამსკობში  
უნდა იყო მამ ძმაცალზე.



ტავის“ შეკრებას. ჩვენც რომ „ჩაგისასტავდეთ“, მიგვიღებთ? ჩვენი განძის მაძიებელი კახუნა კი მალე დადგება ფეხზე და ცხოვრებას ისევ დაამხეცებს. კახ, გვიყვარხარ და ეს მესიჯი ჩვენგან სიურპრიზად! მარ, ნუ დაგვბლოკავ და კახა გაახარე რაა, პაჩები შენ! ზაზა, გიო, თამუნა, ეკა და ნინო“.

## რეპორტაჟი „გზავნილ-იორკიდან“

„გზავნილ-იორკის“ ცენტრალური მოედნიდან, სპეციალურად „გზავნილ-იორკ-პრესისთვის“ პირდაპირ რეპორტაჟს უძღვება ბელ-555. დილა-შუადღე-სალამო მშვიდობისა, ძვირფასო, საყვარელო, სანატრელო და სულზე უტკბესო თანაგზავნილიორკელებო (რა მისალმებაა!)! დღეს ხუთშაბათია და დღევანდელი დღის გრძელ-მოკლე ამბავ-მიმოხილვ-მიმოკრიტიკ-ქორ-მართლით ბელა მოგესალმებათ!

მოგეხსენებათ, რომ უკანასკნელი 1 თვის მანძილზე ჩვენი ქალაქის ქუჩებში კახელებმა მოუმატეს სეირნობა-ტლაშუნს, მერის (მარის) კარზე, მოქალაქეობისა და მაკლერის კარზე, კაი ბინის შოვნის იმედით. ძლივს არ გამოვჩნდით ეს კახელები ასპარეზზე?! ერთი კია, კახეთი-„გზავნილ-იორკის“ „მარშრუტკა“ გაიაფდა და აქაურ ცხოველთა ბაზარზე — ვირი. :-) ეჰ, ვინ რას

გაგიაფებს, იოცნებე, კახეთში „გზა“ 1 ლარი ღირს!

იმერლებზეც მოგახსენებთ! ტეტუუუ, ამფერი ქუთეისლები, აქ რომ დაჭენაობენ, მომკალი, თუ მენახოს სადმე! საკუთარი აიას გაშარუებულ სურათს რომ გვთავაზობენ გასართობად და გულს რომ იფხანენ, იმას ვგულისხმობ, თვარა აგერ ჯგუფელი მყავს, „ანტიკვარი“ ქუთეისელი. ილინის თქმის არ იყოს, იმათ რიცხვშია, ნაქარალზე ქუთეისში საცხა-საცხა რომ დარჩნენ საბლატაოდ. კიდევ კარგი, ჩვენს ქალაქს არ სტუმრობს, თორემ ქუთეისზე ასეთ სატირულ-იუმორისტულ ჩანახატებს რომ მოისმენს, ქე გლიჯავს ინფარქტი იმშუთას და სად ვეძებოთ მერე კარდიოლოგი? უი, კარდიოლოგზე გამახსენდა, მითხრა, დღეისთვის სიურპრიზს გიმზადებთო. ჰოდა, გადაფურცლეთ ანი პანა, რალას მომშტერებხართ? ბელ-555“.

## ანდერძი ასლან ამფეთქებლისა

„დავჯექი წერად ანდერძისად, საბრალოსა-საუბრისად, ჰე, მიშიკო, გავიპარე, ძებნად შენგან საძებრისად. ვერ დავდგები შეუყრელად ჩემთა ცეცხლთა მომდებრისად. ტკივილი მწვავს სიშორისა, თამარ ჯავახიშვილისა. მაქვს საქონელი ურიცხვი, ვერვისგან ანანონები, მიეც გლახაკთა საჭურჭლე, ათავისუფლე

ტყვეები, სულ აბრაგებით გავავსე შუახევ-ხულოს ტყეები. იმდენჯერ შემაგინებენ, რამდენჯერც მოვეგონები. მოვეკურცხლე და გავიქეცი, ნულარ მეძებს პრეზიდენტი, რუსეთში რად დავდგებოდი, საბერძნეთის პრეზიდენტი? არ მეძებოთ, საქართველოს გამოვუყოფ ტრანშას, ახლა დიდი მაგნატი ვარ, აღარა ვარ ფაშა. ვინც ქვიშაში თავს მალავს და ზურგზე მრავალ ცოდვას იტევს, სირაქლემებს ვუსახსოვრებ, ჩემი დროის ჩინოვნიკებს. „ჰამერები“ ვუსახსოვრე ჩემს შემდეგ მოსულ კომიტეტს, ქოფაკები — მილიციას, თხები კი — უნივერსიტეტს. სმირბას ვჩუქნი „აკუსტიკას“, ის მისი შენაძენია. ასანიძეს — გვირაბი, იქ ბევრჯერ განაძრომი. „ალორძინების“ დროშებიც გაანაწილეთ გვარებით, ნაჭრები — აბაშიძეებს, გოგითიძეებს — ტარები. წაველ, მაგრამ თან მომყვება ცოდვა ჩემი რომანისა, ვინც დუმბაძეს გამოუშვებს, ჩემი „რაში“ ალალ მისა. ვინც ჩემს რეჟიმს გააგრძელებს, გახდის ბათუმს სასაკლაოს, მან შეავსოს ჩემი ცოლის ცარიელი სასაფლაო“.

## ძველები

„აქტიური მკითხველი ვარ, მაგრამ ალბათ სულ სამჯერ მომიწერია. აქ ძველი მგზავნელები ისე კბილებით იცავენ „ძველობის“ სტატუსს, რომ მერიდება, ახლის სათქმელი ვთქვა. ერთი ბიჭი მყავს გადაკიდებული; ფუფუნებას და დედოფლობას მპირდება. მართალია, ეს პერსპექტივა გულს არ გამკარებია, მაგრამ ჩემმა ნათესავებმა შურისგან ძილი დაკარგეს! არც მიკვირს, რადგან ჩემი მამიდაშვილი ერთ ბიჭს ჩემს თავს ნაგაზის ლეკვში უცვლიდა. რაც შეეხება გულმავინყობას, არაგულმავინყობის მსხვერპლი უფრო ხშირად გავმხდარვარ. ისე ზედმიწევნით მხსომებია წინა „ლოვეს“ სახელი, რომ მომდევნოსთვის მიმიმართავს

## სახლში რა წავილო?

„გუშინ დეიდასთან ვიყავი. ღამის 3 საათი იყო, ყველას ეძინა. ფერად-ფერადი, ლამაზ-ლამაზი სიზმრებიდან მანქანის ხმაურმა გამომარკვია. ბიძაჩემი მოვიდა, გათიშული მთვრალი. დეიდაჩემი სააბაზანოში მიათრევს, წყველა-კრულვით.“

— ცივი შაპი მიიღე, შე ლოთო!

— მაიცა, ქალო, მთელი ფული საუნაში უნდა დამატოვებინო? სახლში რალა წავილო, შე ძუკნა! :) იქ ამბავი მოხდა?! საწყალი ჩემი დეიდა, თვალებიდან ნაპერწკლებს ყრიდა და პირიდან ცეცხლს აფრქვევდა. მე კი სიცილს ძლივს ვიკავებდი. კახელო-616“.

ხოლმე. ჩემი გულმავიწყობის მსხვერპლია ჩემი ნათესავიც. თავისმა ტურფამ ჩვენთან მოაკითხა, რომ სასეირნოდ წაეყვანა. კიბეზე რომ ჩადიოდა, ბიჭმა წაიბლატავა — თუ რამე დაგჭირდეთ, დამირეკეთო და ნომერი ერთხელ თქვა. დაგვჭირდა, აბა არ დაგვჭირდა? იმ საღამოს ჩემი ნათესავი სახლში წააცუნცულა, მე კი ისე საგულდაგულოდ მხსომეზობია მისი ნომერი, რომ გოგოს მშობლებმა დაურეკეს და გოგო წაართვეს, გერმანიაში უნდა წავიდესო. ახლა ორივე უბედურია. რა მინდოდა, რა დემონსტრირებას ვუკეთებდი ჩემი მეხსიერების შესაძლებლობებს? თავლო“.

### გამყალბებელი

„ალარ შემოძლია, რა! ორი დღის წინ ბიძამ ხელფასი აიღო და ფული მაჩუქა. მეც ჭკუაზე ალარ ვარ, მივპრაკუნობ დღეს შარვლის საყიდლად, ძლივძლივობით ვიპოვე ჩემი მოსაწონი და ფული გავუწოდე. მშვიდად ველოდები ხურდას და უეცრად გამყიდველი მეუბნება — ფული ყალბია და რატომ მატყუებო?

ხომ წარმოგიდგენიათ, რა დამემართებოდა? უპ, როგორ შევრცხვი... პირზე შემხმარი ღიმილით, ხმაამოუღებელივ გავეცალე იქაურობას. ეპ, ბიძია, ბიძიაა, ერთი შენი უფროსი მაჩვენა სადმე და... აბეზარა“.

### თვითმარქვია

„დღეს „მარშრუტით“ ვმგზავრობდი. ჩემ წინ ორი გოგონა იჯდა და ჟურნალ „გზაზე“ საუბრობდა. გამოველაპარაკე და ერთი ვითომ მგზავნელი აღმოჩნდა. სახელი ვკითხე და იცით, რა მიპასუხა? მე ფლამინგო ვარო. ესეც სიუპრიზი! ასე უნდა ნიკის ახევა, რა... :) ვიფიქრე, თავხედობა სადამდე ეყოფა-მეთქი და კითხვები დაეყარე. — რატომ მაინცდამაინც ფლამინგოთი ამესიჯებ-მეთქი? „ფლამინგოში“ გემრიელ ლობიანებს აცხობენ და სულ იქ დავდივარ, ამიტომ მეგობრებმა ფლამინგო შემარქვესო (ვაი, სირცხვილო და თავის მოჭრავე! მე რომ ფლამინგო მერქვა, მაშინ ქუთაისში არანაირი „ფლამინგო“ არ არსებობდა. ლას-ვეგასში ერთ-ერთ კაზინოს ჰქვია „ფლამინგო“ და მის პა-

ტივსაცემად დავირქვი. თანაც, ფლამინგო მაგრად დამევასა; ძალიან საყვარელი ფერი აქვს. მაშინ ვერც წარმოვიდგენდი, თუ ქუთაისში სულ ცოტა, 2 წელიწადში გახსნიდნენ კაფე „ფლამინგოს“. გოგონა ისე დამაჯერებლად მესაუბრებოდა, ლამის ეჭვი შემეპარა — მართლა ფლამინგოა და რალაც მეშლება-მეთქი. :) სიმართლის თქმას თვითონ არ აპირებდა. ამიტომ მე ვუთხარი: — როგორ არ გრცხვენია, რომ ასე უტიფრად მატყუებ, ფლამინგო მე ვარ და შენ ვერ იქნები-მეთქი. გაბრაზებულმა გამომხედა და იცით, რა მიპასუხა? :) — ამხელა ქალაქში ერთი ტყუილიც ვერ მითქვამსო. მძლოლს გააჩერებინა და კარი ისე მოგვიჯახუნა, ვითომ მატყუარა ის კი არა, ჩვენ ვიყავით. ფლამინგო“.

### „მხიარული“ აღდგომა

„ეს აღდგომა ძალიან „მხიარული“ გამოდგა ჩვენი უბნისათვის. ჯერ გუშინ 2 ავარია მოხდა, პატრულის მიზეზით. მერე იყო, მოვიწამლე და კინალამ მარილზე გავედი, მაგრამ ვილაც-ვილაცების გულის გასახეთქად გადავრჩი. მერე მაგარი ჩხუბი ავარდა, ნალდი, კახური ვარიანტით. ჩვენი მეზობელი 4 ძმა დაერია ერთმანეთს და იმათმა დედამ შვილებს სულ ციგნები, ბოზბანდის წევრები და გარდაცვლილი მამის „ასკოლკები“ ეძახა. მალადეც, მაყვალ! ერთი უყურე, როგორი სიტყვები უსწავლია 77 წლის ასაკში! არა, მაინც ეს „ასკოლკები“ რას ნიშნავს, ჰა? ეთო“.

### ტლოყი ტოტია

„უცნაურობებს რა დალევს ამ ქვეყანაზე? საერთოდ, უცნაური საქმის ჩამდენნი ისეთები არიან, ახირებულ ადამიანებს რომ უწოდებენ. ახირებენ რამეს და თავისას სანამ არ მიაღწევენ, არ მოივნიებენ. ერთმა ასეთმა ახირებულმა კაცმა მანქანის ქვეშ შემძვრალი თანასოფლელი დალანდა. აუარა მანქანას, ჩაუარა, შეიხედა ქვეშ და სთხოვა:

- აბა, გამო, ბენო.
- ახლა არ მცალია, ძიავ და მაცალე ცოტა ხანს, — შემოეხვეწა მანქანის ქვეშ მყოფი ბენო.
- აბა, გამო, ბენო, — თავისას არ იშლიდა ახირებული.
- მაცალე, ბიძავ...
- აბა, გამო, ბენო!

მაცალე, გამო, მაცალე, გამო... და ბიძამ იმდენი ქნა, მაინც გამოიყვანა. ახედ-დახედა ბენოს, თავი გადააქან-გადმოაქანა მოწონების ნიშნად, — ჩემი ტოტიაც შენსავით ტლოყიაო, მიახარა და გაუდგა გზას. დატოვა ნერვიულობისგან გადაფითრებული ბენო. რას იზამდა? ასაკოვანი კაცი იყო, თანაც — ახირებული“.

### „ღვა“ „მენდალი“ დამკიდალი

„პეტრეს საათია, ანუ მამალმა მესამედ იყივლა. ძილი გამიკრთა, მე ჩემი ვქენი, უძილობამ თავისი და გაიტანა კიდეც. უძილობის დროს ხან ისეთ თემაზე ამეკვიატება ხოლმე ფიქრის ჭია, რომ მე თვითონ მიკვირს. ჰაი, დილილმე, დილილმე, მთა-ბარი

შემოვირბინე და უეცრად ომმა გამახსენა თავი. კერძოდ — მეორე მსოფლიო ომმა. ჩვენს სოფელშიც არის დაღუპულთა და უგზო-უკვლოდ დაკარგულთა მემორიალი. არ დავიწყებ იმის მოყოლას, თუ რა ზიანი მოაქვს ომს კაცობრიობისთვის. სულ სხვა რაღაც გამახსენდა. გამახსენდა, რას ჰყვებოდნენ შინ დაბრუნებულები. ერთმა თავს გადახდენილი ამბავი ასე უამბო თანასოფლელებს: — „ეტა“ ომი ნაომარი, „დვა“ ნემეცი, ნახიშტარი, იქვე „პრიკაზ პრიკაზალი“, „დვა“ „მენდალი“ დამკიდალი. — ჰოდა, შერჩა ამ კაცს მეტსახელად დვამენდალა. ისტორია მეორე „ტამ ძევოჩვი მნოგო ბილა, კაკ ვ ქარხანა, ნახერხალი“. — ამ ამბავს არ შეუცვლია მისთვის სახელი... და ამბავი მესამე — დაბრუნებულმა, როცა რაიკომის მდივნისგან თავის სათხოვარზე უარი მიიღო, მიახალა — სანამ შენ აქ „სპაკოინად“ გეძინა, მე იქ თქვენ გიცავდითო. ჰოდა, დღემდე ამ კაცს სპაკოინას ეძახიან. თუ ვინმე მათი ახლობელი წაიკითხავს, იმედია, არ მიწყენენ“.

### მზრუნველი ქმარი

„კახეთში სტუმრობს თბილისელი. როცა გამომგზავრების დრო დადგა, მასპინძელმა მეზობლის ქალის დამგზავრება სთხოვა, თბილისამდე. — მეტროს რომელიმე სადგურთან ჩამოსვით. ის-ის იყო, მანქანა დაიძრა, რომ ქალბატონის მეუღლემ მანქანის უკანა, ღია ფანჯარაში ცოლს შესძახა: — მარო, მეტროითან რომ ჩამოგსვამს ეს პატიოსანი კაცი, იქვე ნუ დადგები, გეხვენები, ჩქარა შადი მეტ-

როში. — უიმე, რათა, შენი ჭირიმე? — გაუკვირდა მაროს. — ზედამხედველობის სამსახურმა არ შეგამჩნიოს, მაშინვე აგიყვანენ, ქალაქის იერსახეს აუშნოებსო! ლუნა“.

### ჰოპლა!

„სოფელში ვარ. კარგა ხანია, თქვენთვის აღარ მომიწერია. მომენატრეთ. ერთი ამბავი უნდა მოგიყვებო. ჩემი დეიდაშვილის დედამთილი კაი ჩამრგვალებული ქალია. ჰოდა, ის და მისი შილი (მაზლის ცოლი — კუთხურად) ერთ დღეს დამთვრალან. შილს უფიქრია, ქმარმა არ დამინახოსო; შეშინებული ლოგინის ქვეშ შემძვრალა და დასძინებია. ჩემი დეიდაშვილის დედამთილს კი აქეთ-იქით გაუხედავს, შილი რომ ვეღარ დაუნახავს, უფიქრია, ალბათ წავიდაო. — ჰოპლა! — დაიძახა და ლოგინს დაახტა. თურმე იმ ლოგინს დახტომია, რომლის ქვეშაც მის შილს ეძინა და საცოდავი დააბრტყელა იატაკზე. ქმარს სულ ვაი-ვაის ძახილით გამოუყვანია იქიდან. ჭიათურა“.

### კოკროჭინა ბიჭი

„დღეს (1-ელ მაისს) გავედი ჩემს მეგობართან, სამსახურში. ვდგავარ ჩემთვის, ვაცეცებ თვალებს, იქნებ კაი ბიჭი გამოჩნდეს და თვალს წყალი დავალეწინო-მეთქი. :-) უჰ, ბიჭები, იცოცხლეთ, იყო „ოპტომ“. გავიხედე, მოდის ბიჭი, სპორტული ტანი, განიერი ბეჭები, მოტმასნილი მაისური (ბეჭები მოშიშვლებული), შავგვრემანი, გამჭოლი მზერა... ერთი სიტყვით, კაი კოკროჭინა ბიჭი იყო. ვუყურებ, მიყურებს. უცბად წამ-

ოვიდა ჩემკენ, მომიახლოვდა, ამათვალეერ-ჩამათვალეერა და... ნეტავ, რას მეუბნება? თურმე გაცნობა უნდა. ვერაფერი გავიგე. რატომ? იმიტომ, რომ სამწუხაროდ, რუსული არ მეკერკება. :) კიდევ კარგი, „თარჯიმანი“ მყავდა. კი გაუკვირდა, რატომ არ მესაუბრება თვითონო, მაგრამ... სახელიც არ მითქვამს, მაინც ვერაფერს გავაგებინებდით ერთმანეთს. არ მინდა გაცნობა-მეთქი. ერთი შემომხედა და წავიდაა. ეჰ... პანტიერიტა“.

### ლომებზე ნადირობა

„მარი, როგორ ხარ? სულ ბოლოს როცა დაიბეჭდა ჩემი წერილი „გზაში“, მაშინ განსაკუთრებულად აღნიშნე და სიახლედაც მიიჩნიე ჩემი გამოჩენა, მაგრამ ისევ დავიკარგე. დაკარგვით არა, მაგრამ „გზავნილებს“ კი იშვიათადლა ვგზავნი ხოლმე. „გზას“ რომ ვკითხულობ ყოველთვის, ეს სიმართლეა. ჰოდა, ახლა ყველა ძველ მგზავნელს მოვიკითხავ და ვეტყვი, რომ მოიწერონ ხოლმე და შემდეგ ნომერში უკვე მათგან ველი მოკითხვას (აბა, როგორ!). ყველა შემოუერთდეს ჩემს მოწოდებას და მეც აღარ დავიკარგები. ერთი სიტყვით, წინ მე გაგიძღვებით და გელოდებით ყველას. ე.ი. ზუსტად 15-ში ველი თქვენს გზავნილებს, პირადად მე, ჩორტიოზნაეტი. ბიჭოს! ჰო, თემას რაც შეეხება: ლაჩრებოო, ყველანი ერთად დაქუჩდით და 22 მაისს აფრიკისკენ კრუიზი გადის. წამოსვლისას ლომებზე ნადირობა გაიმართება და თუ ვერ მოკლავთ, ხახასთან მაინც მიუცუცქედებით, 1-2 „კაპიკს“ იშოვით. ჩორტიოზნაეტი“.

### ნინი, სარგვეშიდან

„გზის“ ერთგული მკითხველი, თქვენი ფანი, ყოფილი კნოპკა (ამ ნიკით გიმესიჯებით) ვარ და სად ვცხოვრობ, ვერ წარმოიდგენთ. ქალაქში ნაგროვები „გზები“ მომიტანეს



ღაღღა „ქნი ღაღა“!  
დაწვრილობით წერლობით ნახე.

სახლში და ვკითხულობ. ღამეა. ხვალ სკოლაში მივდივარ. კი მეძინება, მაგრამ 5 კმ-ს რომ ფეხით გავივლი, არა მგონია, კიდევ ძილზე ვიფიქრო. ჩვენი გულმავინცი მესიჯომანების კურიოზებით ვხალისობ. მე კი ამ ტყეში, ტალახში, მთაში, ძლივს დავითრიე ახალი ყურნალი. ცოტა გულმავინცი მეც ვარ, დღეში 10 კმ-ს გავდივარ სკოლისთვის და სოფელში ერთადერთი ვარ, ვისაც რამეს დააბარებენ ნათესავთან. P.S. უბრალოდ, მომინდა თქვენთან ყოფნა. გახსოვდეთ, რომ იმერეთში ერთი პროვინციელი გოგონა თქვენზე ფიქრობს და მის გულში ხართ! ეს ვარ მე, ნინი, სარგვეშიდან. მიყვარხართ და თქვენთან მიგულეთ. დროებით“.

„მეა, იცი, ქუთაისში რა ხდება, გენაცვალე? რაო და ერთ-ერთ „მარშრუტკას“ მართავს მძღოლი, რომელიც სერიალის გმირის, ჰექტორის ორეულია. :) ჰოოდა, ქალები ჩაუსხდებიან და დაჰყვებიან, :) მიუხედავად იმისა, მიდიან მისი მარშრუტით თუ არა. :) ა, ასეთა ქუთაისის ამბავი... :) მადე ინ ქუთაისი“.

„ახლა წინა ნომერში დაბეჭდილ „ჩემს“ ფოტოს ვუყურებ. თვალეები ჰგავს? — ჰგავს. ცხვირი ჰგავს? — ჰგავს, მაგრამ რალაც, მარცხენა თვალის მეცხრე წამწამით არ მგავს. არადა, გეგონება „კაპიროვკით“ გადაუხატავთო. ნუ, რა ფოტოგენური ვარ, ხომ ნახეთ? ეს გოჭი ჩემსავით ჩასაყლაპია. :-) ახლა კი ფოტოტესტზე: ფორთოხალი მიყვარს, თან მარწყვივით გოგო ვარ და ვერ გავერკვიე კარგად. :) პირველის ხასიათი ახლოსაა, მაგრამ ეჭვიანიც რომ ვარ? P.S. მარ, ნახე, რა ჭკვიანი ვარ? არც მიკითხავს, რატომ არ ეწერა თემა. ვიცი, რომ არაფერი შეგეშლებოდა. :) პარიჟანკა“.

„იცით, ლაა? მეც მინდა „გზავნილ-იორკში“ ცხოვრება. „ვოოტ“! აბა, აქაურობა მალტო თქვენი ხომ ალ ალის? უჰ!

მე თქვენი შვილიკო ვიქნები. რა სჯობია პატალა, ხუჭუჭა, შავტუხა ბაიას? :) გპირდებით, ნელვებს ალა მოგიშლით... აბა, ვის უნდა, ჩემი დედიკო, მამიკო, ძამიკო ან დაიკო გახდეს? მალიკუზა, ალა დამბლოკო, ლაა... თოლე გამისკდება ეს პანუკა გული და მთელი გზავნილეთი ძაძებით შეიმოსება. ელთიბენო“.

„არ ვიცი, ახლა რა თემა გაქვთ, მაგრამ დღეს ისეთი ავარია „გავაკეთე“, ძლივს გადავრჩით. ახლა, რამდენიმე საათის მერე სასაცილოა, მაგრამ აბა, იმ წუთში გენახათ, თუ გვეცინებოდა. ახლა დგას „პროფილაქტიკაში“ ჩემი პიპია და პლასტიკურ ოპერაციას უკეთებენ. ძაან მაგარი მძღოლი ვარ, აღიარეთ! გკოცნით ყველას“.

„მეზობლად ერთი „ბარაქიანი“ ქალი ცხოვრობს. ისეთია, თვალი რომ გაექცევა კაცს (და არა მარტო თვალი). ჰოოდა, პაპუნას და იმედასაც გაექცათ თვალი (მარტო თვალი?!). პაპუნა ეკითხება იმედას: — ლოგინ არ შაამსებს? — იმედამ მხრები აიჩეჩა: — შაამსებს კი არა, გადმოვაო. კახელი სალომე“.

„მალალ ტახტრევანზე იჯდა ჯაფარიძე და მთელ საქართველოს ძახილით აყრუებდა, მომწერეთ, მომწერეთ, მომწერეთ მესიჯები! ნუ დამემდურებით, თუ ვერ დაგიბეჭდავთ!“.

„მეზობელმა ბიჭმა ცოლი მოიყვანა, სახელად — ვალიდა. ჩემმა პატარა დეიდაშვილმა კი პატარძლის სახელი ველარ გაიხსენა და დედამისს უთხრა: — დეე, გოგას ცოლს, შენ რომ წამალს სვამ, იმის სახელი ჰქვიაო. თურმე დედამისი ვალიდოლს სვამდა. :) ნიკოლი“.

„მე მინდა „გზაში“, მე მინდა თქვენთან, / მინდა გავმრავლდე თქვენთან, / მე მინდა ვნახე ჩარჩო, ვიყავი კენტად / მაგრამ ვერ წავალ ვერასდროს თქვენთან. / მე მიყვარს ლუნა, მე მიყვარს ლეო / მე მიყვარს მგზავრი, მიყვარს ვერმახტიც, / მე მიყვარს ლორდი, მიყვარს ელისო, / ვერ შემაჯავრებს

თქვენს თავს ვერავინ. / მე მიყვარს ნონ სტოპ და კამელია, / მიყვარს თაისი და ლორელია, / მიყვარს მარიკო და „გზავნილები“ / თქვენ შემოგვევლეთ, მე, მის რეალი“.

„ერთი უკბილო მეზობელი მყავს, ქუთაისში. ერთხელ სტუმრად მიდიოდა და მეზობლის ქალს, რომელსაც პროთეზი ჰქონდა, სთხოვა: — მათხოვე პროთეზი და მარტო „ბორჯომს“ დავლევ, საჭმელს არ გავეკარებო. ამ ამბავზე მეზობლები ერთი კვირა ხალისობდნენ. გერასიმე“.





„პატარაობაში ტაიკვანდოზე (კარატეს სტილია) დავდიოდი. შემდეგ თავი დავანებე (პრობლემების გამო). ახლა უკვე 5 თვეა, გავაგრძელებ ვარჯიში. ამ დროის განმავლობაში 2-ჯერ მესამე ადგილზე გავედი, შიდა ჩემპიონატზე (მაგრამ ორივეჯერ შემეძლო პირველობა) იმის გამო, რომ ტატამის თავისებური შიში მაქვს. ახლა ახალი ნაჩხუბარი ვზივარ, მესიჯს გწერ და ვფიქრობ — ნეტავ დამიბეჭდავს? კოზანოსტრა“.

„განცხადება: „მესაჭიროება ბინა, „გზავნილ-იორკში“. ბინას ნებისმიერ ფასად ვიყიდი. მთავარია, იყოს კეთილმოწყობილი და ქალაქის ცენტრში. უკაცრავად არ ვიყო და, აქაც პრივატიზაცია და მსგავსი რალაცები ხომ არ არის საჭირო? P.S. ყველანი ძაან მაგრები ხართ, ამ ჩვენი მართურთ. ლუხურყ“.

„www.verleki.piczo.com „ბათუმელები“ საიტია. გვენვიეთ აუცილებლად!“

მომდევნო ნომრის თემად გთავაზობთ — ბრძოლით მოპოვებული ბედნიერება. გამოგზავნეთ მესიჯები ტელეფონის ნომერზე: 8.77.45.68.61 ან მომწერეთ ელფოსტაზე: marorita77@yahoo.com. მომდევნო კვირაში „მოკლე ჩართვისთვის“ შეგიძლიათ, თითო კითხვა დამისვათ, როგორც რესპონდენტს, თქვენთვის საინტერესო საკითხზე. ველი თქვენს მესიჯებს და გემშვიდობებით მომავალ ხუთშაბათამდე.

დაავიროდი ქვემოთ მოცემულ ფოტოებს  
 რამდენიმე წუთის განმავლობაში და ესაღე,  
 ლოგიკური პასუხები გასცე შემდეგ კითხვებს:  
 1. როგორ შევსავთ მაცივარში ჟირაფი?  
 2. როგორ შევსავთ მაცივარში სპილო?  
 3. ლოგო თათბირი მოიწვია და ბრძანა, რომ  
 ყველა ცხოველის დასწრება სავალდებულო  
 იყო, მხოლოდ ერთი ვერ მივიდა თათბირზე.  
 როგორი ცხოველი იყო ის, ვინც ლოგის  
 ბრძანებას არ დაემორჩილა?  
 4. განიერი მდინარის გადაცურვას აპირებ და  
 წინასწარ იცი, რომ მასში უამრავი ნიანგი  
 დაცურავს, როგორ მოიქცევი? ბასების  
 პასუხები ქვემოთ იხილა.



1. ეს კითხვა დაგეხმარება, გაარკვიო, მარტივ პრობლემას იოლად ჭრი თუ რთულ გზას ექებ. თუ ამ კითხვამ ბავშვობა გაგახსენა და სწორი პასუხიც წინასწარ იცი, გასაგებია, რომ მაცივრის კარს გამოაღებ, ჟირაფს შესვამ და კარს ისევ მიხურავ. ეს კი იმაზე მეტყველებს, რომ ბავშვობაში საკმაოდ ბეჯითი და კარგი მოსწავლე იყავი და გარდა სავალდებულო საგნებისა, დამატებით მეცადინეობებზეც დადიოდი.

2. ეს კითხვა იმის გარკვევაში დაგეხმარება, შეგიძლია თუ არა გადანყვეტილების მიღების დროს, წინა ქმედებების შედეგების გათვალისწინება. სწორი პასუხია: გამოაღებ მაცივრის კარს, გამოიყვან ჟირაფს, შესვამ სპილოს და კარს მიხურავ.

3. შემდეგი კითხვა შენს მესხიერებას ამოწმებს. თუ ამ კითხვაზე უპასუხე, რომ ცხოველი,

რომელიც თათბირზე არ მივიდა, ის სპილოა, რომელიც მაცივარში ზის, გილოცავ! უნაკლო მესხიერება გქონია. ხოლო თუ არასწორი პასუხი გაეცი, მაშინ საინტერესოა, საკუთარი სახლის მისამართი და ოჯახის წევრების სახელები გახსოვს?

4. თუ წინა 3 კითხვაზე სწორი პასუხი ვერ გაეცი, ჯერ კიდევ გაქვს შანსი გვაჩვენო, რა შეგიძლია. ეს კითხვა დაგეხმარება გაარკვიო, შეგიძლია თუ არა საკუთარ შეცდომებზე ისწავლო. სწორი პასუხი ასე უღერს: მდინარე უშიშრად უნდა გადაცურო, რადგან ხომ არ დაგავინყდა, რომ ყველა ნიანგი ლომთანაა თათბირზე? თუ გამოიცანი, ჭკვიანი, დაკვირვებული ადამიანი ყოფილხარ. ნამდვილი გენიოსი (არ მენანება)! თუ ვერ უპასუხე, გული არ გაიტეხო. სტატისტიკის მიხედვით, ამ კითხვებს მოზრდილ ადამიანთა 90% სწორად ვერ პასუხობს.

# აღარ არსებობს მითები ჩანაზის შესახებ

ქალის შესახებ უამრავი მითი და ლებენლა არსებობს, მაგრამ ამ შემთხვევაში იმ მითებზე გვეჩვენა ლაპარაკი, რომელიც ქალზე საკუთარ თავზე შექმნეს. მათგან არსებული წარმოდგენების გაშანტვა ამერიკელმა უსიძლოებმა სწავლეს.

## მითი №1

### ქალი ოჯახის მარჩენალი არ არის

კაცობრიობის არსებობის დღიდან ვიცით, რომ მამაკაცი მამონტზე ნადირობს, ქალი კი ოჯახს, შვილებს უვლის და კენკრას აგროვებს. სულ ცოტა ხნის წინ კი არქეოლოგებმა დაადგინეს, რომ თურმე ოჯახის გამოკვებაზე მამაკაცები სულაც არ ზრუნავდნენ. საკვების 80% ქალების საზრუნავი გახლდათ. ისინი ოჯახს კაკლის, ნესვის ნაყოფითა და ჩიტის კვერცხით აპურებდნენ, რადგან მამაკაცები მამონტზე სანადიროდ დიდი ხნით მიდიოდნენ ხოლმე. ფსიქოლოგების დასკვნა: ჩვენი წინაპრები თანასწორუფლებიანები იყვნენ.

## მითი №2

### დედები შვილებს მამებისგან განსხვავებით, სუნით ცნობენ

ეს მოძველებული თეზისია. ამ თემის შესწავლას შვედი მეცნიერები 2001 წლიდან შეუდგნენ. სპეციალურ ხალათებში გამოწყობილი, 1-4 კვირის 24 ჩვილი და 2-4 წლის 24 ბავშვი, დასაძინებლად დაანვიინეს. ახალშობილები სუნით მხოლოდ მამებმა ამოიცნეს, ხოლო ქალებმა ახალშობილების მოზრდილი ბავშვებისგან გარჩევაც კი ვერ შეძლეს. აღარაფერს ვამბობ საკუთარი შვილების ამოცნობაზე.

## მითი №3

### ქალებს ბავშვების მოვლა უკეთ ესერხებათ

კალიფორნიის უნივერსიტეტის პროფესორი წლების განმავლობაში მამებს აკვირდებოდა. მან დაასკვნა, რომ მამები, ისევე როგორც დედები, ემოციურ კონტაქტს ბავშვთან დაბადებისთანავე ამყარებენ. ისინი ისევე ხშირად ეთამაშებოდნენ და

კოცნიდნენ ჩვილს, როგორც დედა და მათსავით ზუსტად იგებდნენ შვილის მიერ მიწოდებულ, უსიტყვო სიგნალს — რომელიც შეიშის, შიშსა თუ მონყენილობას გამოხატავდა. უბრალოდ, მამები ბავშვის სიცოცხლე ისე ემოციურად არ რეაგირებენ, როგორც დედები.

## მითი №4

### ქალებს მამაკაცებზე უკეთ განვითარებული ინტუიცია აქვთ

როგორც თავად ქალები მიიჩნევენ, ისინი მამაკაცებზე გაცილებით მგრძნობიარენი არიან და ინტუიციაც მათზე უკეთ აქვთ განვითარებული. რამდენიმე წლის წინ მეცნიერების მიერ გაკეთებული ანალიზის მიხედვით, დადგინდა, რომ ასე სულაც არ ყოფილა. ინტუიციაზე ჩატარებულმა ტესტებმა ქალებსა და მამაკაცებში ერთნაირად შედეგები უჩვენა. აქედან გამომდინარე, შეგვიძლია, ვივარაუდოთ, რომ დასკვნას საკუთარი ინტუიციის შესახებ, ქალები საზოგადოებაში არსებული კულტურული ნორმების მიხედვით აკეთებენ. სინამდვილეში, ამის გენეტიკური საფუძველი მათ არ გააჩნიათ.

## მითი №5

### ქალები მამაკაცებთან შედარებით

### ნაკლებად რესიულები არიან

მამაკაცები — უხეშები, ქალები კი ნაზი და რბილი ხასიათისანი არიან? ტყუილია! მრავალრიცხოვანი გამოკვლევების შედეგების მიხედვით ჩანს, რომ არც მთლად ასეა საქმე. მოზარდების მიერ გამოვლენილ ფიზიკურ აგრესიას თუ განვიხილავთ, ამ შემთხვევაში ნამდვილად ბიჭები „ლიდებობენ“. სამაგიეროდ, გოგონები ირიბ აგრესიას მიმართავენ — ჭორაობენ, მეგობრის სიძულ-

ვილს აშკარად გამოხატავენ და სხვისი იღბლით მანიპულირებენ. ეს კი სულაც არ გვაძლევს იმის საფუძველს, ვთქვათ, რომ ისინი აგრესიულები არ არიან.

## მითი №6

### ქალებს ქმრებზე დაბალი ხელფასი აქვთ

გამოკვლევებმა მოულოდნელი შედეგები აჩვენა. ქალების 35%-ს ქმარზე მაღალი ანაზღაურება აქვს. სხვადასხვა ქვეყანაში პროცენტული რაოდენობა შესაბამისად, სხვადასხვაგვარია. ამერიკაში ქალების 60% ჯაბნის ქმარს ხელფასის ოდენობით, იტალიაში — 24%, საფრანგეთში — 49%.

## მითი №7

### მნიშვნელოვანი აღმოჩენების უმეტესობა მამაკაცებს ეკუთვნის

ყავის ფილტრი, ბიუსტპალტერი და „პამპერსი“ მამაკაცებმა გამოიგონეს? ეს სისულელეა. იმ ნივთების უმეტესობა, რომელიც ყოველდღიურ ყოფას გვიიოლებს, ქალებმა გამოიგონეს. არანაკლები დამსახურება აქვთ ქალბატონებს მედიცინის, კომპიუტერული ტექნიკის თუ ბუნების შემსწავლელი მეცნიერებების განვითარებაში. ამერიკელმა დოროთი კროუფუტმა რენტგენის სხივების საშუალებით ასი მოლეკულის აღნაგობა გაშიფრა; ადა ბაირონი ინფორმატიკის გამოგონებლად მიიჩნევა; 1830 წელს ინგლისელი პოეტის ლორდ გორდონ ბაირონის შვილმა მათემატიკური გამოთვლების პროგრამა დაწერა. ლუიზა კვოლექმა მსუბუქი და ფოლადზე მტკიცე ნივთიერება მიიღო, რომლისგანაც ტყვიანა-უმტარი ჟილეტები მზადდება.

## მითი №8

### ქალებს პორნოგრაფია არ იზიდავს

პორნოგრაფიით დაინტერესებულია ქალების ნახევარზე ოდნავ მეტი და მამაკაცების 73%. ჰამბურგის ინსტიტუტის გამოკითხვის შედეგების მიხედვით დადგინდა, რომ ეროტიკული შოუს მაყურებლებს შორის გაცილებით მეტი ქალია, ვიდრე მამაკაცი.

# რასაკვირვოლო ცაქსის მძღოლო რას მისი „ზრჯი“ ცოლო

მკითხველო, ერთი საინტერესო შეკითხვა მაქვს, შენთან აბა, თუ იცი, ერთი და იმავე მარშრუტით მგზავრობისას, „ნახალოვკიდან“ ვაჭ მდე უფრო დიდი გზაა თუ ვაკიდან „ნახალოვკამდე“? დარწმუნებული ვარ, არ იცი და ფიქრობ, რაღაცას ვურევ მე კი გეტყვი, რომ გააჩნა, რომელი ტრანსპორტით მგზავრობ. თუ „მარშრუტით“ იმგზავრებ, გზა ერთნაირია, ხოლო თუ ტაქსით, მაშინ ვაკიდან „ნახალოვკამდე“ გზა 2-ჯერ უფრო გრძელია. რატომ? იმიტომ, რომ მარშრუტკა ორივე მიმართულებით 50 თეთრი ღირს, ხოლო ტაქსი, ვაკემდე 5 ლარს „წერს“, უკანა გზაზე კი — 10-ს. ეს ისე, ცნობისთვის, რადგან ჩემი დღევანდელი მონათხრობი სწორედ ტაქსის მძღოლს ეხება.

## მარი ჯაშარიძე

რამდენიმე დღის წინ ვაკეში, ბარნოვის ქუჩაზე ტაქსი გავაჩერე.  
— „ნახალოვკაში“ რამდენად გამიყვან? — კვითხე წინა ტაქსის მძღოლზე (რომელმაც 10 ლარი დამიფასა) გაბრაზებულმა.  
— რამდენ გადაიხდი? — შემომცინა ახალგაზრდა მამაკაცმა.

— იქიდან 5 ლარად ვიმგზავრე და რა ვიცი... — დავიბენი.  
— კარგი, დაჯე! — შინაურით მიმიპატიჟა. — რათა ხარ გაბრაზებული, ქალბატონო? — მკითხა მას შემდეგ, როდესაც ადგილიდან დავიძარი.  
— იმიტომ, რომ თქვენ წინ ტაქსი გავაჩერე და 10 ლარი მომთხოვა.

— ეე, იმას ალბათ, ცოლმა ბაზარში გავლა დაავალა და აბა, რა ექნა?  
— ალბათ, — გამეცინა მის სიტყვებზე.

რამდენიმე წუთი ჩუმად იჯდა, მეც ჩემს საფიქრალს ჩავუღრმავდი...

— ეე, რა მინდოდა ქალაქში, რაა, მაგრამა არ გაძლა ჩემი ცოლის მუცელი, — უცებ ალაპარაკდა მძღოლი, — ვგდებუღიყავი იმ ჩემს კარ-მიდამოში, ვინმე გამამაგდებდა, თუ რა?

— სადაური ბრძანდებით? — დავინტერესდი მისი წარმომავლობით.

— ეე, ქალბატონო, სადაურიც მე ვარ, იქ ჯერ განათლება არ შემოსულა, არც დენია და არც ცივილიზაცია.

— მთიული იქნებით, უფრო ზუსტად კი — დუშელი.

— ვაა, როგო გამიცან, „მალა-დეც“! ყველა მეუბნება, კახელი იქნებითო, შენ კი უცებ გამიცან.

განა მარტო მთიულებში არ არის განათლება?

— არა, მე ეგ არ მიგულისხმია, კილოზე შეგატყვეთ.

— ჰოო, ა ეგრე, დაჩაგრული კაცი ვარ, ხედავ?

— ნუ გეშინია, მე სვანი ვარ, — „დავამშვიდე“, როგორც შემეძლო.

— ვაა, „მალადეც“! — გაუხარდა



და მეორედ შემაქო. — კაცო, რა არის, რომ ხალხის მოსაწონი მთავრობა ვერ გამოჩნდა, ჰა? შევარდნაძე არ მოსწონდათ, გამსახურდია არ მოსწონდათ, ახლა აღარც სააკაშვილი მოსწონთ. მგონი, თვითონაც არ იციან, რა უნდათ, არა?

— ჰო, რა ვიცი, — აშკარად არ ვიყავი პოლიტიკაზე ლაპარაკის გუნებაზე.

— ჩემ ცოლსა, სახლის კარზე „ფორთოჩკა“ აქვს, „კარმუშკასავით“, გაკეთებული, — უცებ შეცვალა საუბრის თემა, — ჰოდა, რომ მივალ, არააა, ჯერ ფულ შავანჭვი ხოლმე, იმ „ფორთოჩკიდან“, დაითვლის და

კარ მერე მიღებს. თუ ეცოტავაა... ვაიიი... იქვე შინდიტარიანი „პოლის“ ჯოხი აქვს მიყუდებული და დედააავ! მექავება გვერდები თუ არა, მაინც მამქავებს ხოლმე...

— ცუდ დღეში ყოფილხარ, — შემებრალა საწყალი კაცი, — შვილები გყავს?

— ჰოო, მაა! გოგო მყავ, მეოთხე წელშია. კაცო, ცოლი კი დიდი ხნის წინ მოვიყვანე, მაგრამ მწელი „კაპრემონტზე“ მყავდა და ძლივ გააჩინა ბაღლი. სიდედრ ვეუბნებოდი ხოლმე, „ბრაკი“ გამამადგა, ძირგავარდნილია ეს შენი გოგო და რათ შამამატყუე-მეთქი... ჰოდა, ერთი ბაღლი გააჩინა და ახლა ისევ „სარემონტოა“.

— ალბათ „ხელოსანი“ შეგხვდა, უხეირო.

— ჰო, ალბათ, მაგრამ მთლად „ხელოსნის“ ბრაღი არ არის, თვითონაა „ზავადსკოი ბრაკი“. ვუბნები, კაცო, წადი თურქეთში ან საბერძნეთში, იმაზე მეტს კი არაფერ გიზამენ, რასაც მე გიშვრები, სამაგიეროდ, ისინი „მწვანეებ“ გადაგიხდიან და მე გამამიგზავნე-მეთქი, მაგრამ არ მიდის — „მწვანეები“ აღარა ფასობს, დოლარის კურსი დაეცაო. კაცო, იმან გამამიგზავნოს და მე ვიცი, დაეცა თუ არა. წამავწვები მამაპაპურადა, ჩემი თალარის ჩრდილში და დაეხარჯამ მაგის გამოგზავნილ „მწვანეებსაა“... გაინი, გოგო, არ დაგეჯახო, — გადასძახა გზაზე გადარბენილ გოგონას, — ეხლა ამას გათხოვება

იგრე უნდა, როგორც მე — შენ რომ მიყვანილი მყავდე ადგილზე და ფული უკვე გადახდილი გქონდეს, — ენას არ აჩერებდა მძღოლი. მე კი ის მიკვირდა, სიტყვასა და სიტყვას შორის ჰაერის ჩასუნთქვას როგორ ასწრებდა.

— გეთქვა და ფულს წინასწარ გადავიხდიდი.

— ჰო, ისე, მაგრე უნდა ვაკეთებდე! — გულიანად გაიცინა. — იცი, რათა? რამდენჯერა ყოფილა, რომ მგზავრი შუა გზიდან გადამბტარა მანქანიდან, ჩემი ლაპარაკით თაგვგაბებრებული და ფულიც არ გადაუხდია. ამას წინათ, ერთი

მგზავრი, მოხუცი ქალი ჩავისვი საბურთალოზე და ვაკეში წამოვიყვანე. მე-9 საავადმყოფოს რომ გავცდი, მაშინლა ამოვისუნთქე და ვკითხე, ბებო, სად მიგიყვანო-მეთქი? მითხრა: მაბრუნე და იგრევე საბურთალოზე, ფსიქიატრიულში მიმიყვანე; ცუდადა ვარ, შენი შემხედვარე ლამის გავგიჟდი, შენ ვინა ყოფილხარ, რამდენს ლაპარაკობო?!

— როცა მგზავრი არ გყავთ, მაშინ მარტო ლაპარაკობთ? — ვფიქრობ, ლოგიკური კითხვა დაესვი.

— არაა, მთლად ეგრეც არ არი, ხანდახან ჩუმი ვარ ხოლმე, მაგრამ თუ ლაპარაკი მაზინდა, ოღონდ ვინმე ჩამიჯდეს და უფასოდაც წავიყვან. ბებოო, გადადი დროზე, თორემ გაგატან ბებიამთან წერილს და ნახავ მერე! — ახლა მოხუც ქალს გასძახა, ღია ფანჯრიდან.

— აეს ქალი ხათრის გულითინ გადადის გზაზე, თორემ კი არ უნდა. ქალო, დროზე გადაადგი ფეხი, თორემ გადაგიარე შარვლის ტოტებზე, — ეს სიტყვები „მწვანე“ მიმავალ ქალს ეკუთვნოდა, რომელსაც ე.წ. ბრიჯი ეცვა. შარვლის ტოტები მუხლამდე ჩვეულებრივი, შავი, გაუმჭირვალე ქსოვილის იყო, მუხლს ქვემოთ კი — ბადე. ჰოდა, არც ეს დარჩა შეუმჩნეველი.

— უყურებ? ეტყობა, „კისლატაში“ ჩაუყვია ფეხები და შარვალის დაუხვრეტნია. ამოტოლა ქალს ეგეთი შარვალის ეკადრება?

— გააჩერე, აქ გააჩერე! — როგორც იქნა, მივიქციე მისი ყურადღება, მაგრამ ამასობაში „დისლოკაციის“ ადგილს საკმაოდ გავცდით.

— ადრე რათ არ მითხარი? — უკუსვლით წამოვიდა.

— სიტყვის „ჩაკვებება“ ვერ მოვხერხე და როგორ მეთქვა?! — ავიჩიჩე მხრები.

— ჰოო, გაგიმართლა, რომ ჩავისუნთქე, თორემ გლდანამდე გატარებდი და იქნება გლდანსაც გავცდებოდი... ისე, ჩემ ცოლზე რაც გითხარი, არ დაიჯერო... აი, „ფორთოჩკაზე“ რაც გითხარი, ის ტყუილია, დანარჩენი — სიმაართლე...

თუ ეს კაცი თქვენც შეგხვედრიათ, ალბათ გეცნობათ. თუ არა და, ღმერთმა გაშოროთ. ვინ იცის, გლდანს კი არა, იქნებ საქართველოს გაგაცილოთ და ვეღარც იმან მიაგნოს მშობლიურ „ფორთოჩკას“ და ვერც თქვენ გაიხსენოთ, საიდან მოდიოდით, სად მიდიოდით და საერთოდ, როგორ მოხვდით ამ გაუგებრობაში.



# როზორ დაიწყო

## ნონ სოთონის სიყვარული

საერთოდ, ყოველი ახალი კვირა ორშაბათით იწყება, მაგრამ ყველასთვის არა... თქვენ წინაშეა ნონ სტოპი, რომლისთვისაც კვირა ხუთშაბათით იწყება. რატომ? ამას ინტერვიუდან შეიტყობთ.

### ნათიო მწვანე (GREEN GIRL)

— მე ვარ მარი კობახიძე. დავინებადე 1990 წლის 28 ოქტომბერს. ცხოვრობ სენაკში. მყავს დედა, მამა და ძმა.

— რამდენი ხანაა, რაც „გზას“ კითხულობ?

— ოოო, „გზას“ 2006 წლის დეკემბრიდან ვკითხულობ და მას მერე ერთი ნომერიც არ გამომიტოვებია. იცი, როგორ დაიწყო ყველაფერი? მე და ჩემი ძმა ახლობლის სახლიდან შინ ვბრუნდებოდით. გზაში ვუთხარი, რაიმე ჟურნალი მიყიდე-მეთქი. მკითხა, რომელიო? რატომაც მაშინ გამახსენდა, რომ „გზა“ არსებობდა და სწორედ მასზე მივუთითე. ასე დაიწყო ჩემი და „გზის“ სიყვარული.

— ხომ იცი, შემთხვევით არაფერი ხდება „გზაზე“ შენი ცხოვრება შეცვალა?

— ყოველ ხუთშაბათს მოუთმენლად ველი. ჩემთვის ახალი კვირა ხუთშაბათით იწყება. „გზა-ვნილები“ ძალიან მამხიარულებს და მან ბევრი რამ შეცვალა ჩემს ცხოვრებაში.

— რას საქმიანობ?

— ამჟამად არაფერს. სკოლა შარშან დავაბთავრე. ჯერჯერობით არ ვსწავლობ.

— ვინ არის ის, ვისაც რჩევას ეკითხები?

— გააჩნია... რჩევა დედისთვისაც მიკითხავს, დაქალისთვისაც და ვისაც ვნდობი, იმისთვისაც.

— გიყვარს თუ არა საკუთარ თავზე ექსპერიმენტებს ჩატარება?

— ხშირად არ ვატარებ ექსპერიმენტებს, მაგრამ ზოგჯერ თუ „წამომივლის“ და თუ შესაფერის ხასიათზეც ვარ — კი.

— შენი ნიკის შესახებ რას გვითხვით?

— რადგან ნონ სტოპის ნიკით ვამესიჯებ, „ნონ სტოპივით“ უმუხრუჭო არ გეგონოთ. როცა „გზაზე“ ვამესიჯება და ვაქტივიტი, კარგა ხანს ვფიქრობდი, რა ნიკით დამემესიჯებინა. მაშინ მოვისმინე რუსული ჯგუფის, „ნონ სტოპის“ სიმღერა, რომელიც ძალიან მომეწონა და ამის შემდეგ ეს ნიკი ავირჩიე.

— შენ ერთხელ უკვე მოგველინე ჟურნალისტის როლში რომელი სჯობს — ჟურნალისტობა თუ რეჟისორობა?

— ჩემთვის ორივე სასიამოვნოა. თუმცა, ვაღიარებ, ჟურნალისტობა, ცოტა არ იყოს, რთულია. შენ როგორ ფიქრობ?

— ამ კითხვაზე მაშინ გაცემ პასუხს, როცა რეჟისორი ვიქნები. შენ ხარ ჩემთვის ის პირველი მგზავნი, ვინც რეალურად გავიცანი. არასოდეს დამავიწყდება ის დღე იმედი მაქვს, შენც არ დაგავიწყდება.

— გვკადრება?! მეც არასდროს დამავიწყდება. ვერ წარმოიდგენ, როგორ გამიხარდა, რომ მომწერე, განახავო. მეორე მგზავნი ხარ, რომელიც პირადად გავიცანი.

— გაიხარე, გენაცვალე წარმატებებს გისურვებ დიდი მადლობა, ინტერვიუსთვის.

— გმადლობ. წარმატებებს გისურვებ შენ და თითოეულ მგზავნილს.

# გაგვიჩვენე ახალი გზა, რომელიც გაგვიტყავს

ჩემი რესპონდენტი ერთ-ერთი გამორჩეული მგზავნელი და ყველაზე „კაშკაშა“ „მობილი-ზაციონერია“. ეს არის გოგონა, რომელსაც ძალიან უყვარს ცეკვა და დეტექტივების კითხვა, განსაკუთრებით — „მგლებს“. სასტიკად ეზარება ჭურჭლის რეცხვა და ხუმრობს — სადედამთილო მზოლოდ ამ მხრივ თუ დამინუნებსო. მიაჩნია, რომ წარმატების მისაღწევად ნიჭისა და შრომის გარდა, რწმენაა საჭირო. გული სწყდება, სხვებს ცუდი რომ ჰგონიათ, რადგან სინამდვილეში ცუდი ადამიანი არ არის. მისი ბავშვური ჭირვეულობა თანდათან დახვეწილი და ჩამოყალიბებული აზროვნებით იცვლება. მაშ ასე, თქვენ წინაშეა ცოტა სკანდალური, ცოტა ბავშვური, ცოტა ჭირვეული, ცოტა ფიცხი, ძალიან საყვარელი, ძალიან თბილი, ძალიან მოსიყვარულე და ძლიერი პიროვნება, მობილიზაციის დედოფალი, თავიდან მის მეგრელო, ახლა კი — მეგრელი მგელო, იგივე თუო ქაჯაია.



თაინა ლომოხავა (ლიომნა-მანიუ)

— ვინ არის თუო ქაჯაია?

— თუო ქაჯაია არის ერთი ხობელი, ჩვეულებრივი, არაჩვეულებრივი გოგო, რომელიც დაიბადა 1991 წლის 30 ნოემბერს.

— „მობილი-ზაციონიდან“ ხალხმა სკანდალურ პიროვნებად გაგიცნო. იმიტომ სკანდალისტობდი, რომ თავი დაგემკვიდრებინა თუ ბუნებრივად ხარ ასეთი?

— „მობილი-ზაციაში“ ისეთი სიტუაცია იყო, რომ იმ დროს მეც ასეთი უნდა ვყოფილიყავი. ძლიერი და მტკიცე ხასიათის ადამიანი ვარ. შესაბამისად, ვერ ვეგუებ, როცა მჩაგრავენ. ვინც მართლა მიცნობს, იცის, რომ „სტერვა“ არ ვარ. უბრალოდ, პირდაპირი ადამიანი გახლავარ და სწორედ ეს პირდაპირობა ხდება კონფლიქტის მიზეზი. სხვის ჭკუაზე არასოდეს დავდივარ. მოკლედ, ჩემებურად ვურევ, რა... :)

— გარდა იმისა, რომ რონალდინოს თავგადაკლული ფანი ხარ, კიდევ რომელ უარყოფით თვისებებზე გაამახვილებ ყურადღებას?

— ოოო, რას ამბობ, ქალო! რონალდინოს ფანობა უარყოფითი თვისებაა? ის ხომ განუმეორებელია... რაც შეეხება სხვა უარყოფით თვისებებს, ძალიან ფთეჟებადი ვარ და

ვერ ვიტან, როცა ცდილობენ, თავზე გადამიარონ. ადვილად ვბრაზდები.

— ჯიუტი ხარ?

— არა, ალბათ უფრო პრინციპული. ვცდილობ, ბოლმა გულში არ ჩავიდო. თანდათან შევიცვალე. აღარ მინდა „კაიბიჭობ-გოგობა“. რეალისტი ვარ, მაგრამ ეს უარყოფითი არაა, არა?! გაბრაზებული, ძალიან ავი ვარ და მაშინ კი ნაღდი მგელი ვხდები. :) ვიღირინები და სანამ ვინმეს არ „წავკბენ“, ვერ ვწყნარდები.

— რა მოთხოვნები გაქვს საყვარელი მამაკაცის მიმართ?

— პატივისცემით უნდა მეპყრობოდეს, ვუყვარდე, ჩემი ერთგული იყოს, მაფასებდეს ისეთს, როგორიც ვარ. სიმშვიდეს და სიყვარულს ვითხოვ ადამიანებისგან. არ მინდა ამდენი ბოროტება. სიყვარული მინდააა!

— თუო, რაიმე უცნაური ჩვევა ხომ არ გაქვს?

— კლასში გოგონების სანერ კალმებს თავები დავუღებ. რა ვქნა, ჩვევად მაქვს. :) ჩემი კალამი ხომ საერთოდ, ნაღმით აფეთქებულს ჰგავს. :)

— მოკლედ გაგვაცანი შენი სამომავლო გეგმები...

— საკმაოდ შორს მიმავალი გეგმები მაქვს. ახლა XI კლასში ვარ და ძალიან მინდა, იურიდიულზე ჩავაბარო. მიზნის მისაღწევად მაქსიმალურს ვაკეთებ. სამწუხაროა, რომ

ამას მოცეკვავის კარიერა შევწირე. მე და ჩემს ძმას საკმაოდ წარმატებული სტარტი გვქონდა ალებული, ერთად დავდიოდით გასტროლებზე და ორჯერ გვაქვს ლაურეატის მედალი მიღებული. უამრავი დიპლომის მფლობელები ვართ. ოცნებად მაქვს გადაქცეული, ჩემი ქალაქი, ხობი შევცვალაო. უკვე ვიცი, როგორიც მინდა იყოს, მაგრამ ამას საკმაოდ დიდი ფული უნდა და ამიტომ, კარგა ხანს ოცნებადვე დარჩება. :)

— მგზავნელების „სამეფო კარზე“ რომელი მინისტრის პოსტს უმიზნებ?

— არც მეტი, არც ნაკლები, კბენა-ლრენის მინისტრობა მინდა. მოჩხუბარი მგელი ვარ და ავების სიაში ჩამწერე. :)

— დაბოლოს, რას უსურვებ „გზას“, მგზავნელებს, საქართველოს?

— რას ვუსურვებ? მშვიდობას და მორჩა!

— რა იყო, სხვა არაფერი გემეტება? :)

— მაშინ ასე ვიტყვი: ხალხო, ბედნიერება მარტო ფულში არაა. უნდა ეცადოთ, მის გარეშეც ბედნიერები გახდეთ. იყავით მუდამ სამართლიანები, ხალისიანები, იუმორით სავსენი. მართალია, იუმორის ნიჭი მარტო გენიოსებს აქვთ, მაგრამ თქვენც არაფერი გიშლით ხელს, იყოთ გენიოსები. :) უფალს ებარებოდეთ.

# სიყვარულსა და ქორწინებასთან დაკავშირებული ცრურწმენები

**ძველად შუბერებს**  
**მიაჩნდათ, რომ თუ საყვარელ ქალს მკვრდზე „წმინდა ძროხის“ რძეს დაანფთებდნენ, მისგან საპასუხო გრძნობას ეღირსებოდნენ. პრობლემა ის გახლდათ, რომ ერთადერთი „წმინდა ძროხა“ არსებობდა და რძე ყველა მსურველს არ ჰყოფნდა.**



- საქორწილო რგოლი ეგვიპტელებმა გამოიგონეს. მათ მტკიცედ სწამდათ, რომ მარცხენა ხელის არათითს გულთან „სასიყვარულო ვენა“ აკავშირებდა. სწორედ ამიტომაც, რომ დასავლეთში ქორწინების ბეჭედს დღესაც მარცხენა ხელის არათითზე ატარებენ.
- სხვათა შორის, საქართველოში დღესაც სწამთ, რომ ჯვრისწერის დროს დავარდნილი ბეჭედი ან ჩამქრალი სანთელი ავის მომასწავებელია.
- ასევე გავრცელებულია ცრურწმენა — ვინც პირველი გატეხს ზღურბლზე დადებულ თეფშს, ოჯახში უფროსიც ის იქნება.
- ჩინელები დღემდე მიიჩნევენ, რომ მამლის წელიწადში შექმნილი ოჯახი ბედნიერი ვერ იქნება. ამიტომ, სტატისტიკის მიხედვით, ჩინეთში მამლის წელში ყველაზე ცოტა ოჯახი იქმნება. საქართველოში კი სწამთ, რომ მამის ქორწინება უბედურების მომასწავებელია.

- სიყვარულთანაა დაკავშირებული შიში პარასკევის მიმართ, რომელის 13 რიცხვს ემთხვევა. დღის სახელი — „პარასკევი“ — *freitag* ან *frei-dei* — სიყვარულისა და ქორწინების ღმერთის სახელიდან — „ფრაი“ — წარმოიქმნა. მას ეტლით მოსეირნეს გამოსახავდნენ, რომელშიც კატები იყვნენ შებმული. კატის მიმართ შიში და მასთან დაკავშირებული ცრურწმენებიც სწორედ აქედან წარმოიშვა.
- შვეიცარიაში სწამთ, რომ ზაფხულის ერთ ღამეს გასათხოვარ გოგონებს სიზმარში საქმროს ნახვა შეუძლიათ. ასეთ სიზმარს გოგონა მხოლოდ იმ შემთხვევაში ნახავს, თუ ღამით ბალიშის ქვეშ 7 სხვადასხვა სახეობის მინდვრის ყვავილს დაიდებს.
- ძველად, ზოგიერთ ქვეყანაში, კაკლის ნაყოფს რიტუალური დანიშნულება ჰქონდა.

- მაგალითად, ძველ რომში ახალდაქორწინებულებს ქორწილში კაკალს აჩუქებდნენ; საფრანგეთში, ჯვრისწერის დროს, საკურთხეველთან მუხლმოყრილ წყვილს, თავზე კაკალს აყრიდნენ. იტალიაში, ეკლესიიდან მომავალ პატარძალს ქმრის სახლის კართან ოჯახის ყველაზე უხუცესი წევრი ხვდებოდა და კაკლით სავსე ტომსიკას აჩუქებდა. გერმანიაში დღემდეა შემორჩენილი გამოთქმა — „კაკალზე წასვლა“, რაც სექსს ნიშნავს.
- ინგლისში უძველესი დროიდან მიიჩნევენ, რომ უბედურების მომასწავებელი იყო, თუ ცოლ-ქმარს ერთი გვარი ექნებოდა.
- საფრანგეთში დღემდეა შემორჩენილი რწმენა: თუკი უცოლო მამაკაცი კატას კუდზე ფეხს დაადგამს, ის 1 წლის განმავლობაში ცოლს ვეღარ მოიყვანს.

## ილუმინაციით მოცული ქვა



ყველაზე ილუმინაციით მოცულ და ძვირფას თვლად ბრილიანტი მიიჩნევა.

რამდენიმე მილიონი წლის წინ, ვიდრე ჯერ კიდევ დინოზავრები გაჩნდებოდნენ, დედამიწის წიაღში ალმასი წარმოიშვა. მიუხედავად მრავალრიცხოვანი კატაკლიზმისა, მას ბუნებამ ვერაფერი დააკლო და ჩვენამდე მოიტანა. დედამიწაზე არსებული ყველა ცივილიზაცია ალმასს ზებუნებრივ, მისტიკურ თვლად მიიჩნევა და ადამიანები მას უჩვეულო სილამაზის გამო თაყვანს სცემდნენ. ალმასის გაკერპება ნაწილობრივ მისი იშვიათობის ბრალია და ცოტა თუ მოიპოვება ისეთი ხელოსანი, რომელიც მის სათანადოდ სრულყოფას შეძლებს. ბრილიანტი, ძვირფას თვლებს შორის, ყველაზე მყარია, მაგრამ ეს იმას როდი ნიშნავს, რომ მისი დაზიანება შეუძლებელია. საამისოდ

ზუსტი და ძლიერი დარტყმა საჭირო.

მიიჩნევენ, რომ ალმასი 3 ათასი წლის წინ, ინდოეთში აღმოაჩინეს. მისგან თილისმებს ამზადებდნენ და სჯე-როდათ, რომ პატრონს ავი ძალებისგან დაიცვდა.

შუა საუკუნეებში მას სამ-კურნალო თვისებებსაც მიაწ-ერდნენ. ბრძოლაში დაჭრილ მეომრებს ჭრილობაზე ალმასს ადებდნენ ან აყლაპებდნენ.

დროთა განმავლობაში ალ-მასს ფასი მისი სილამაზის და არა — სამკურნალო თვისე-ბების გამო დაედო.

დღესდღეობით, ინდოეთში

არსებული ალმასის საბა-დოები თითქმის ბოლომდე ამოიწურა. 1866 წელს ალმა-სის საბადო აფრიკის კონტი-ნენტზე სრულიად შემთხვევით აღმოაჩინეს: მოგზაურებმა, მდინარის ნაპირას შეამჩნიეს ბავშვი, რომელიც ბრჭყვიალა, სხვადასხვა ფერის ქვებით თამაშობდა. ერთ-ერთი ამ ქვათაგანი ალმასი აღმოჩნდა და მისგან გამოკვეთილ ბრილიანტს „ევრიკა“ ეწოდა. აფ-რიკული ალმასის აღმოჩენა ბრილიანტის ხელმეორედ დაბადებად მიიჩნიეს.

ცოტა ხნის წინ, ბრილიანტის მოპოვებული ქვეყნების სიას —

ინდოეთი, რუსეთი, სამხრეთ ამერიკა, აფრიკა და ავსტრა-ლიაც მიემატა. ალსანიშნავია ის ფაქტი, რომ საიუველირო საქმისთვის, ყველა ქვეყანაში მოპოვებული ბრილიანტი არ გამოდგება. მოპოვებული ალ-მასის 4/5-ს მრეწველობაში იყენებენ. მათგან სხვადასხვა ინსტრუმენტის წვერებს ამზა-დებენ. ბრილიანტი მხოლოდ თეთრი ფერის არ გახლავთ. მისი ყველაზე იშვიათი სახე-ობა წითელი ალმასია. ასე-თი შეფერილობის მხოლოდ რამდენიმე ერთეული ქვაა მოპოვებული. ფერად ალმასს ზღაპრული ფასი აქვს.

# ახალი აზრები, რომაინც სურობაზე მოგაჩვენება

**ქვემოთ ჩამოთვლილი განცხადებები ხუმრობა არ გეგონოთ — სრული სიმართლეა, რომელიც სხვადასხვა ქვეყნის მომსახურების სფეროში იწვევება.**



1. საუტკემპტონის ერთ-ერთი კრემატორიუმი, დამატე-ბითი ანაზღაურების საფასურ-ად, ჭირისუფალს საშუალებას აძლევს, სამგლოვიარო ცერ-ემონიას თვალი ინტერნეტით ადევნოს.

2. თურმე, შესაძლოა, კუ ნიკოტინზე დამოკიდებული გახდეს. ჩინეთში ერთი კუ წლების განმავლობაში ჭამდა პატრონის მიერ ბაღში გა-დაყრილ სიგარეტის ნამ-წვებს. თუ ამის საშუალება

არ მიეცემოდა, მოიწყენდა და დეპრესიაში ვარდებოდა ხოლმე. შეიქმნა სპეციალური სამსახური, რომელიც ასეთ მდგომარეობაში მყოფ კუებს დახმარებას გაუწევს.

3. სულ მალე, ბრიტანე-ლებს კბილებზე ტატუს გა-კეთების საშუალება ექნებათ. ამერიკელმა დანტისტმა, სტივ ჰიუარდმა მსგავსი პრაქტიკა

ამერიკაში უკვე დანერგა და ახლა კაბინეტის გახსნას დიდ ბრიტანეთში აპირებს.

4. ტრადიციული ჩინური ორთაბრძოლა ტაი-ში — დია-ბეტის წინააღმდეგ! ჰაეროვანი მოძრაობები და ღრმა სუნთქვა სისხლში შაქრის დონეს ამცი-რებს — ირწმუნებიან ტაი-შის მიმდევრები.


5. საფრანგეთში ყველა ბარში კლიენტს ევრძალება ბარმენი გოგონასთვის საა-ლერსო სიტყვით მიმართვა. ახალი ანტიდისკრიმინაციული კანონის თანახმად, იმ ბარის მეპატრონე, რომელიც კლიენტს მომსახურე პერსონალთან არ-შიყისა და ფლირტის უფლე-ბას დართავს, სოლიდური თანხით დაჯარიმდება.



*ვინებს ყაშვად მომ ისწავლი, მძროლი უნდა ვახდე.*

# კრძალა

„მე, თვალები ანას ეკუთვნის? ისე, რას გეკითხები, მიპასუხებ თუ რა... :) ჭკვიანური და მეტყველი მხერა აქვს. მაგრად მაინტერესებს,



რა მოხდება. ისე, დიდად აღფრთოვანებული არ ვარ ანას საქციელით, მაგრამ ცხოვრება ხომ მართლაც ბრძოლაა. ვუსურვებ ამ ბრძოლაში გამარჯვებას. „გზის“ ერთგული მკითხველი, ბუბუსიკა“.

„მარიელა, ქალო, ამ რეალურმა ამბავმა დამაინტრიგა. ანა, მაგარი ხარ! არ ღირს არავისთვის დარდი (მით უმეტეს – კაცებისთვის). იყავი მუდამ ძლიერი. მარტოსული“.

„მარ, ეს რეალური მომწონს, საინტერესოდ წერ, მაგრამ ანას საქციელს ვერ მოვიწონებ. თუმცა, ახლა უფრო კარგად განვეწყვე მის მიმართ, ვიდრე თავიდან. ანჯელინა“.

*წინა კვირაში თხრობა იმ მომენტში შევწყვიტეთ, როდესაც მეგობართან ერთად რესტორანში მყოფ ანას უცხო მამაკაცებმა ღლაბუცი დაუწვეს, ანამ კი იარაღის მუქარით სცადა მათი თავიდან მოშორება.*

დასაწყისი — „გზა“, №11-18

## მარი ჯაშარიძე

ლალომ მოულოდნელობისგან თვალები დააჭყიტა და გაფითრდა. უნმანურად შეიგინა და ერთი ნახტომით დამცილდა. ამასობაში სანდროც გონზე მოვიდა და ირმას ხელი უშვა.

— დაჯექი! — ვუბრძანე ირმას და საჭესთან ფართხაფურთხით დავექეცი.

მამაკაცები გინებ-გინებით მიდიოდნენ რესტორნისკენ.

— ბიჭებო, ნახვამდიიის! — როგორც ჩანს, ირმამ ვერც კი გაიგო, იქ რა მოხდა.

მანქანა ადგილიდან მოვნევიტე და თბილისისკენ მომავალ გზას დავადექი. ირმამ უაზრო ლაპარაკით ყურები გამომიჭედა. ერთი შევუღრინე და უცებ გაჩუმდა. კარგა ხანს ხმა არ ამოუღია, მერე კი უეცრად ისევ ალაპარაკდა.

— ანა, ბავშვობიდან მშურდა შენი. ყველაზე ლამაზი, ყველაზე ჭკვიანი და ხუთოსანი გოგო იყავი. სკოლის საუკეთესო ბიჭებს შენ უყვარდი და მასწავლებლებიც კი პატივს გცემდნენ. მე კი მთელი ცხოვრება

ვცდილობ, დაგეწიო, გაგასწრო და უკან ჩამოგიტოვო, მაგრამ არ გამომდის.

— სისულელეს ნუ ბუბუტურებ, ენა გააჩუმე.

— სისულელე კი არა, სიმატლეა. დღესაც იმიტომ დაგირეკე, ვიფიქრე, ჩემს სამსახურს, ახალ მანქანას შევახარებ და გულზე გავხეთქავ-მეთქი; ვიცოდი, ქმარს რომ გაშორდი და ვიფიქრე, ძველებურად ფრთებგაშლილი ველარ იქნებოდი. ნატომ ასე მითხრა და მეგონა, სიმართლე იყო.

— ნატო ვინ არის?

— ჩვენი ნატო, გურგენიძე.

— აა, ეგ გოგო დიდი ხანია, არ მინახავს. ბოლოს სწორედ მაშინ შემხვდა, როცა ჩემს ცხოვრებაში ცუდი „ამინდი“ იდგა.

— ჰოდა, ეგ მითხრა, ანას ველარ იცნობ, ცხოვრებამ დაჩაგრა და 10 წლით დაბერებულს ჰგავსო.

— ჰმ, — გაოცებულმა თავი გავაქნიე, მხოლოდ. ასეთ რამეს ჩემი მისამართით პირველად ვისმენდი. მეგონა, რომ როგორც მე მიყვარდა ყველა, ალაღად, ნრფელი, მეგობრული სიყვარულით, ისევე იყვნენ ჩემ მიმართ განწყობილი, მაგრამ

თურმე, როგორ ვცდებოდი. პატარა გოგო აღარ ვარ, დროა, უფრო ფხიზელი თვალთ ვუყურებდე ყველაფერს, მაგრამ ცხოვრება ახლა და ახლა მასწავლის ადამიანების ამოცნობას.

— დღეს მივხვდი, რომ არ ღირს სხვის ჯიბრზე ცხოვრება. ყველას თავისი ბედი აქვს, — ირმა ლაპარაკს აგრძელებდა.

— ჩემი ბოლო კლასის „მერსედესი“ შენს ჯიბთან სათამაშო მანქანასავით გამოჩნდა, შენ — იდეალურ ფორმაში ხარ, საკუთარი თავის დაცვაც შეგიძლია და სხვისიც. ახლა იმ კაცებმა იარაღის გამო რომ გიჩივლონ, ხომ დაგიჭერენ? — თურმე, ყველაფერი დაუნახავს.

— ნუ გეშინია, მაგაზე ნუ ინერვიულებ, იარაღის ტარების უფლებაც მაქვს და გამოყენებისაც, — ყოველი შემთხვევისთვის ინფორმაცია მივანოდე. რა იცი, რა ხდება?

— შენ რა, ძაღლობაში ხომ არ მუშაობ? — ირმას სიმთვრალე საერთოდ აღარ ეტყობოდა.

— არა, მაგრამ მაქვს! საიდან — ეგ უკვე შენი საქმე არაა.

ამასობაში მის მანქანასთან მივედი. მიუხედავად ყველაფრისა, ირმას თბილად

დავემშვიდობე და გეზი ჩემი მშობლების სახლისკენ ავიღე. ვიდრე კარზე დავაკაკუნებდი, საათს დავხედე. ღამის 2 საათი იყო. შათი გაღვიძება გადავიფიქრე და ისევ კიბეზე დავეშვი. მანქანას რომ მივუახლოვდი, ვილაცამ ჩუმად, დაგუდული ხმით დამიძახა. ნინო იყო, ჩემი ძმისცოლი.

— ამოდი, მღვიძავს, — ისევ ჩუმად დაიძახა ფანჯრიდან და გაუჩინარდა. როგორც ჩანს, კარის გასაღებად შებრუნდა.

ორიოდე წუთის შემდეგ ორივენი სამზარეულოში, მიხურულ კარს მიღმა ვისხედით, ყავას ვსვამდით და ლაპარაკით ენებს ვიფხანდით.

ნინო ჩემი ბავშვობის მეგობარია. ჩემს ძმას რომ შეუყვარდა, გამებუტა. მე რას მერჩოდა, დღემდე არ ვიცი. 16 წლის იყო, ჩვენი რძალი რომ გახდა და მხოლოდ ამის მერე შემირიგდა. — შენი ძმა რომ მიყვარდა ამის ძალიან მრცხვენოდა და იმიტომ გაგებუტეო, გამიმხილა მოგვიანებით. კარგა ხანს ვილაპარაკეთ და როცა დასაძინებლად დავწექით, ცას უკვე სინათლე ჰქონდა შეპარული. მალვიძარა დავაყენე, რომ სამსახურში არ დამგვიანებოდა, მაგრამ ვიდრე ის დარეკავდა, ვილაცის ლოყაზე კოცნამ გამაღვიძა. ვიცოდი, ან დედაჩემი იქნებოდა, ან ჩემი ძმა. თავი მოვიმძინარე და გავიტრუნე. ლოყა ლოყაზე რომ მომადო და წვერმა მიჩხვლიტა, მივხვდი, ჩემი ძმა იქნებოდა. თვალები გავახილე, მოვეხვიე და გულიანად ჩავკოცნე.

— ადე, გოგო, ადე, აშენდა ქვეყანა, ბოლო აგურია დასადები და შენ გელოდებიან.

— შენ ააშენე?

— ნუ იკრიჭები, ის მითხარი, ოჯახს რატომ შემოსწყერე და აქ რატომ გაათიე ღამე?

— მომენატრეთ და მოვედი...

— ღამის 2 საათზე

მოგენატრეთ?

— ჰო, — დავაქნიე თავი.

ბუბა გავიდა. მეც ავდექი, სწრაფად ჩავიცვი და საძინებლიდან გავედი. დედა და ძმისშვილები დავკოცნე, ორიოდე სიტყვით მოვიკითხე და ისე წამოვედი, რომ ყავაც არ დამიღვია. ვიცოდი, დედაჩემი შეკითხვებით გულს გამინწყალებდა. სამსახურში მეჩქარება-მეთქი, მოვიმიზეზე და წამოვედი. მიყვარს დილის თბილისი, განსაკუთრებით — ზაფხულში. ქუჩები ცარიელია, არც საცობში მოხვდები და არც ფეხით მოსიარულეები გინწყალებენ გულს. უკვე დიდი ხანია, ჩემი დილა 6-7 საათზე იწყება და თუ ქუჩაში ამ დროს გამოვალ, მგონია, რომ თბილისი მარტო ჩემია. კიდევ ერთი თავისებურება აქვს დილის თბილისს — მხოლოდ იაფფასიანი, მოძველებული მანქანები დადიან. ამ დროს მხოლოდ ასეთი მანქანების პატრონებს ღვიძავთ და თავ-თავიანთ საქმეზე მიიჩქარიან. ძვირად

სათბურისკენ ავიღე. იქ ყველას ეღვიძა და ფუსფუსებდნენ. რამდენიმე მუშა ყვავილებს კრეფდა, იქვე, შესასვლელთან კი ხალხი ირეოდა. ესენი ყვავილების გამყიდველები იყვნენ. აქ ყოფნა ძალიან მიყვარს. ყველაფერი ყვავის და ჰაერში ისეთი საამო სურნელი ტრიალებს, რომ თუ ღრმად ისუნთქებ, დათვრები. სათბურში ყველა საქმეს ჩემი რძალი, ნინო განაგებს. ის უკვე ადგილზე დამხვდა. დავრწმუნდი, რომ ყველაფერი რიგზე იყო და დამშვიდებული სამსახურში წავედი.

მისვლისთანავე ამბავი დამახვედრეს, რომ დათო მიბარებდა. კაბინეტში შევედი, რომ ჩანთა დამეტოვებინა და დათოს შევხვებოდი. მაგიდაზე რამდენიმე გვირილა და შეფუთული საჩუქარი დამხვდა. საჩუქარი მაშინვე გავხსენი. ფრანგული სუნამო იყო. „ჰმ, შენმა მომტანმა ამის მეტი ვერაფერი მოიფიქრა?“ ჯერ ეს გავიფიქრე, მერე გადავწყვიტე, ნიკასთვის დამეძახა და მე-

## მე კი მთელი ცხოვრება ვცდილობ, დაგეწიო, გაგასწრო და უკან ჩამოგიტოვო, მაგრამ არ გამოძდის

ღირებული ავტომობილების პარტონები კი ვინ იცის, მერამდენე სიზმარს ნახულობენ.

ჩემს ოფისს მივადექი. დაცვის თანამშრომელს ეძინა და ძლივს გავაღვიძე. რომ დამინახა, შეცბა და ბოდნიში მოიხადა. საყვედური არ მითქვამს, ისიც ადამიანია და მასაც უნდა ძილი. ჩემს მაგიდაზე დალაგებული საბუთებიდან რამდენიმე ამოვარჩიე და უკან გამოვბრუნდი. გეზი

კითხა, ვინ იყო შემოსული ჩემს ოთახში, მაგრამ გადავიფიქრე. შესაძლოა, მას არ სცოდნოდა ან თუ იცოდა, არ ეთქვა. მერე გადავწყვიტე, ალენასთვის დამეძახა და რაღაც მეკითხა. უბრალოდ, მისი რეაქცია მაინტერესებდა. რატომღაც, ამ სიურპრიზის ავტორად ის მივიჩნიე. თუ ის არა, მეორე ვარიანტი დათო იყო.

ალენამ კარი დაუკაკუნებლად შემოაღო, ჩემს ნებართვას დაელოდა და შემოვიდა.

— რა ხდება, თქვენი დაბადების დღეა? — გაკვირვებულმა იკითხა.

— არა, დაბადების დღე ზაფხულში მაქვს, ეს საჩუქარი ვილაცამ მაგიდაზე დამახვედრა და სწორედ ამისთვის დაგიძახე. მინდოდა მეკითხა, ხომ არ იცი, ვინ დატოვა? — თავდაპირველი გადანწყვეტილება შევცვალე და პირდაპირ ვკითხე, რაც მაინ-



*მამისეცემოში ლოგის ძუაშის.  
ჩაღის — საინცერესო.*

ტერესებდა.

— წარმოდგენა არა მაქვს, ფარული თაყვანისმცემელი გყავთ, ალბათ...

— კარგი, ახლა წავალ, დათო მეძახის, თურმე და გავარკვევ, რა უნდა, — ვთქვი და წამოვდექი. ალენამ თავაზიანად გამატარა წინ და თვითონაც უკან მომყვა.

— დათოს თანაშემწე ადგილზე არ დამხვდა. მისი კაბინეტის კარი პირდაპირ შევალე. არც დათო იყო ოთახში. ვიფიქრე, დაველოდები-მეთქი და ოთახში შევედი. ჩამიჩუმი არ ისმოდა. მის მაგიდას დავაკვირდი. მინდოდა, ნივთების განლაგებით მისი ხასიათი ამომეცნო. მისი სავარძლის უკან, კედელზე თაროები იყო განლაგებული, რომლებზეც ათასგვარი ნივთი ელაგა. ფეხზე წამოვდექი და თაროების თვალთვალს შევუდექი. აქვე იყო უცნაური გლობუსი, რომელსაც გლუვი კი არა, რელიეფური ზედაპირი

და ქანდაკება ერთმანეთის მიყოლებით ჩაემწვრივებინა. მაგიდის ზედაპირის ქვეშ არსებულ თაროზე ლამაზი შავი ყუთი შენიშნე, რომლის ზედაპირიც ოქროსფერი ლითონით იყო მოპირკეთებული. ისე

რადგან მე მეუბნებით, ალბათ სხვა კანდიდატურა არ გყავთ. თუ ასეა, იძულებული ხართ, მენდოთ. მე კი ვეცდები, თქვენი ნდობა გავამართლო.

— ჰმ, ჰო, ალბათ ასეა. ამჟამად შენზე საიმედო ადამიანი

## — იმედია, ეს რალაც ნარკოტიკებთან და სხვა მსგავს რალაცებთან კავშირში არ არის

მომეწონა, მისი დათვლიერება გადავწყვიტე და თავი ავხადე. შიგ ფულის დასტა იდო და ერთი CD დისკი. რატომღაც, ძალიან მომიწონდა, მენახა, რა იყო ამ დისკზე ჩანერილი. ის იყო, ხელში ავიღე, რომ მისაღებიდან ხმა შემომესმა. დისკი საცვალში ჩავიდე და კედელთან

არ მეგულემა. ერთი სიტყვით, საფრანგეთში უნდა წახვიდე.

— ბატონო? — ძალიან გავოცდი.

— ჰო, საფრანგეთში უნდა წახვიდე და ჩემს ახლობელს რალაც გადასცე.

— იმედია, ეს რალაც ნარკოტიკებთან და სხვა მსგავს რალაცებთან კავშირში არ არის, — ვთქვი და რატომღაც, გულმა მიგრძნო, რომ ეს „რალაც“ ის დისკი იყო, რომელიც ახლა საცვალში მედო და მუცელზე მეკვროდა. ეს რომ წარმოვიდგინე, დამცხა და ოფლმა დამასხა. დათოს ჩემი მდგომარეობა შეუმჩნეველი არ დარჩენია.

— რა იყო, რატომ აღელდი?

— ვერ ვიტან საიდუმლოებებით მოცულ საქმეებს, — როგორც შემეძლო, თავი ვიმართლე.

— რთული და შეუძლებელი არაფერია, არც კრიმინალური. უბრალოდ, ერთ ადამიანს ჩემ მიერ გატანებულ ყუთს გადასცემ, — თქვა და თვალი სწორედ იმ ყუთისკენ გაექცა.

— დათო, შარში ნუ გამხვევ. თუ დანაშაული უნდა ჩავიდინო, ესეც წინასწარ უნდა ვიცოდე.

— ნუ ინერვიულებ, საშიში არაფერია, რას იტყვი?


— მოსაფიქრებლად დრო მაქვს?

— ხვალ დილაზე.

— მარტო უნდა წავიდე?

— დიას.

გამახენდა, რომ თაროზე 2 ბილეთი იყო. რად უნდოდა მეორე ბილეთი? რაშია საქმე? კარგად უნდა დავფიქრდე...



ჰქონდა და აქა-იქ პატარა ალმები ჰქონდა ჩარჭობილი. მივხვდი, ეს ალბათ ის ქვეყნები იყო, რომლის მონახულებაც მოესწრო. გლობუსის გვერდით საბუთები, თვითმფრინავის ბილეთები და ბეჭდიანი წერილი ეწყო. ბილეთები ერთი კვირის შემდეგ, პარიზის რეისზე იყო. მეორე თაროზე ეკას სურათი იყო გამოჩენილი. იქვე მოხუცი მამაკაცის სურათიც იდო. ათასგვარი მინიატიურული ფიგურა

მიდგმულ დივანზე დავჯექი თუ არა, დათოც შემოვიდა.

— ოო, აქ მელოდები?

— დიას, 2 წუთია, რაც შემოვედი.

— საქმეზე მინდოდა დალაპარაკება.

— დიას, გისმენთ.

— ანა, რასაც ახლა გეტყვი, ეს ჩვენ შორის უნდა დარჩეს.

— დიას, — მიამიტად ავაფახულე თვალები.

— შემიძლია, რომ გენდო?

— ეს თქვენი გადასაწყვეტია.

*გაგრძელება შემდეგ ნომერში*

# ისტორიისთვის ცნობილი ანდახული შეღანგეულობა



„ფულს ბედნიერება არ მოაქვს, მაგრამ განწყობილებას აუმჯობესებს“, – ამბობენ პოლონელები. ზოგი

უფულობას უჩივის, ზოგიერთს კი იმდენი აქვს, რომ აღარ იცის, სად წაიღოს. ერთნიც და მეორენიც თავს იმტკრევენ, როგორ დახარჯონ ხელთ არსებული თანხა. ეს კითხვა

ადამიანს მოსვენებას მას შემდეგ არ აძლევს, რაც ნატურალური მეურნეობა გაცვლის უნივერსალურმა საშუალებამ შეცვალა. ამასთან, ყველგან და ყოველთვის მოიძებნებოდნენ ადამიანები, რომლებიც სხვებს ფულის ორიგინალური ხერხით დახარჯვით აოცებდნენ. ამ ხერხებიდან ზოგიერთი ისტორიას შემორჩა.

## ბრაფი მარხანი

• რომში მცხოვრები მდიდარი ადამიანების რიცხვი ბევრად აჭარბებდა ევროპის სხვა დედაქალაქებში მცხოვრებთა რიცხვს. ისინი გამუდმებით ცდილობდნენ, ერთმანეთს მხარჯველობაში შეჯიბრებოდნენ. მაგალითად, იმპერატორი ვიტელი ღამეებს ქეიფში ატარებდა. ერთ-ერთი თავშეყრისთვის მას 200 ქათამი და 6000 თევზი დასჭირდა; თავის მზარეულს კი გამუდმებით ახალ-ახალი კერძების გამოგონებას აიძულებდა. ერთ-ერთი ასეთი კერძი — რომელიც შემწვარი ფრინველის ტკბილი ხორცისგან მომზადებული და ფარშავანგის ტვინითა და თუთიყუშის ენით შეკაზმული გახლდათ — იმპერატორს 100 ათასი სესტერცია დაუჯდა.

• გიჟი იმპერატორი, პელიოგაბალი, რომელიც თავს ღმერთად მიიჩნევდა, მხოლოდ ოქროსნაწილაკებშერეული მწვანე ბარდით იკვებებოდა, ხოლო ბრინჯს მარგალიტის გარეშე არ მიირთმევდა.

• 1172 წელს, გრაფი ტულუზას ბრწყინვალე სა-

სახლეში დიდებული საზოგადოება შეიკრიბა. სტუმრების უმეტესობა ინგლისისა და არაგონიის სამეფო ოჯახის წევრი იყო და მათი ტულუზასთან სტუმრობის მიზეზი პოლიტიკურ საკითხებზე თათბირი გახლდათ. იმ დროს ხარჯებზე ფიქრი ცუდ ტონად მიიჩნეოდა. თათბირის მონაწილე, ვილჰელმ მარტელი გრაფს დაუოკებელი მადით ცნობილი 300 რაინდის თანხლებით ეახლა. მათ პატივსაცემად მასპინძელმა მზარეულს კერძების მომზადება ჩვეულებრივ შეშაზე აუკრძალა და ბრძანა, რომ კეთილშობილი საზოგადოებისთვის კერძი მხოლოდ ცვილის ჩირაღდანზე მოემზადებინათ. ეს კი უზარმაზარ ხარჯებთან იყო დაკავშირებული. იმ დროს ცვილის ჩირაღდანი ჭალის ფუნქციის ასრულებდა.

• ორიგინალობით გამოირჩეოდნენ რუსი მდიდრებიც. განთქმულ ნიჟნი-ნოვგოროდის ბაზრობაზე, ტრაქტირში ვაჭრები მორიგ ხელსაყრელ გარიგებას აღნიშნავდნენ. ერთმა მათგანმა, ირგვლივ მყოფთ სთხოვა, ყურადღება გალიაში მომღერალი ბულბულისთვის მიეპყროთ და თითო ტრაქტი-

რის პატრონს უხმო.

— რა ღირს? — თითო ბულბულისკენ გაიშვირა.

— 100 მანეთი, ბატონო.

— შეგვიწვი!

პატრონმა გალია სამზარეულოში გაიტანა და ცოტა ხნის შემდეგ, ვერცხლის სინზე მოთავსებული შემწვარი ბულბულით დაბრუნდა. ვაჭარმა კარგა ხანს უტრიალა კერძს და მასპინძელს სთხოვა, 1 „კაპიკის“ მოეჭრა. ამ პატარა ნამცეცის მეტი, ბულბულის ხორცი არავის უჭამია.

• ერთხელ, ნერონის დედამ ბულბულში უზარმაზარი თანხა გადაიხადა, რათა ამ ჩიტის ენის გემო გაეგო. ქალბატონს ენა იმდენად მოეწონა, რომ შემდგომში, საპატიო სტუმრებს ბულბულის ენისგან მომზადებული „საფირმო“ კერძით უმასპინძლდებოდა. პადამიანისთვის განკუთვნილი ერთი ასეთი კერძის მომზადებას 500 ბულბული სჭირდებოდა.

• ზემოთ ჩამოთვლილ ადამიანებს ბერტრან რამბომ აჯობა. მან ბრძანება გასცა, სასახლის გარშემო თხრილი გაეთხარათ. ამის შემდეგ, მისივე ბრძანებით, 30 ათასი

ვერცხლის მონეტა „დათესეს“. ხალხი გაოგნებული იყო, ბერტრანი კი სიხარულისა და სიამაყისგან ბრწყინავდა.

• დედოფალ ანა ავსტრიელის საყვარელი, ინგლისელი ჰერცოგი ბუკინგემი მეჯლისზე მარგალიტებით მორთული ტანისამოსით გამოჩნდა. მარგალიტები კარგად არ იყო მიკვრებული და დროდადრო ცვიოდა. სტუმრებმა ცეკვას თავი დაანებეს და მარ-

საჩუქრად ოქროს ბეჭედი მიიღო, რომელზეც ძვირფასი ბრილიანტის ქვის ქვეშ სანატრელი გამოსახულება იყო ამოტვიფრული. დე ბოლტს ყურადღება ძალზე ესიამოვნა, მაგრამ ბრილიანტი უკან გაუგზავნა, რადგან მიიჩნევდა, რომ ასეთ ძვირფას საჩუქარს არ იმსახურებდა. საპასუხო წერილში დე კონტი წუხილს გამოქვამდა დე ბოლტის საქციელის გამო და მიუთითებდა, რომ იმ მელნის გასაშრობი ფხვნილი, რომლითაც წერილს სწერდა, სწორედ იმ ბრილიანტისგან იყო დამზადებული.

• ვფიქრობ, ბევრს სმენია რომაელი პოლიტიკური მოღვაწის, ლუკულის შესახებ. აი, როგორ აღწერს ერთ-ერთი თვითმხილველი ლუკულის მიერ მოწყობილ დღესასწაულს.


ლუკულის სახლში მოსული ყველა სტუმარი ხელებს მონის მიერ მირთმეული წყლით იბანდა. შემდეგ მას ფხვებსაც ჰბანდნენ და საგანგებოდ მოწყობილ ლოგინში აწვენდნენ. მონებს შემოჰქონდათ მაგიდა, რომელზეც

ხის, ოქროსფრთიანი ქათამი იდო, ირგვლივ კი ფარშავანგის კვერცხები ჰქონდა შემოწყობილი. მასპინძელი მიმართავდა სტუმრებს: „მეგობრებო, ფარშავანგის კვერცხები ქათამს ჩემი ბრძანებით დაუწყვეს. ვნახოთ, შეძლო თუ არა მან ფარშავანგების გამოჩეკა“. სტუმრები ერთმანეთის მიყოლებით ამტვრევდნენ კვერცხებს და შიგ მოთავსებულ, შემწვარი ფარშავანგისგან მომზადებულ კერძს მიირთმევდნენ. ამ კერძის შემდეგ ყველა ჭიქას ძვირფასი ღვინოთ ავსებდნენ და ახალი კერძი შემოჰქონდათ. ეს გახლდათ მოხერხებული მზარეულის მიერ ფარშით დამზადებული იმ ქვეყნის რუკები, რომელიც რომის იმპერიას ეკუთვნოდა. შემდეგ მაგიდაზე უზარმაზარ, შემწვარ გარეულ ტახს დებდნენ. ვითომ შეშინებული მასპინძელი, ხმამაღლა ამბობდა: „მზარეულს ტახის გა-

მოშიგვნა დავინყებია, მოდით, ჩვენ თვითონ გამოვშიგნოთ!“ ტახის კუჭიდან უამრავი სოსისი, შემწვარი ფრინველი, კაკალი, ხილი და სხვა ნუგბარი ცვიოდა. ტახის მკერდიდან კი ძვირფასი ღვინო იღვრებოდა. სხვა ნაწილებიდან ცოცხალი ჩიტები ფრინდებოდნენ და ათასგვარი საჩუქარი იყრებოდა, რომელიც იქ მყოფ საზოგადოებას ურიგდებოდა. ტახის გატანის შემდეგ, მის ადგილს უზარმაზარი, შემწვარი ხბო იკავებდა. მისი მუცლიდანაც ათასგვარი საჭმელ-სასმელი და საჩუქარი ცვიოდა. ბოლოს კი სტუმრებს ურიგდებოდათ თითო ქათამი, რომლის შიგთავსსაც თევზი ან რომელიმე ძვირფასი სახეობის ფრინველისგან მომზადებული კერძი შეადგენდა.

• XVI საუკუნეში ყველაზე მდიდარ ბანკირებად ფუგერები მიიჩნეოდნენ. ერთხელ, მათ იმპერატორ კარლოს V ჰაბსბურგის მასპინძლობა ხვდათ წილად. ასეთი საპატიო სტუმრის მასპინძლობით გამონვეული სიხარული ფუგერებმა იმით გამოხატეს, რომ ოთახი, სადაც იმპერატორს უნდა დაეძინა, შეშის ნაცვლად ყავისფერი ხის ქერქით გაათბობინეს. ამ ხის ქერქი ახლაც კოლოსალური თანხა ღირს, მაშინ კი ის გაცილებით ძვირი იყო. ოთახის გასათბობად საპატიო ცეცხლი თვითონ მასპინძელმა დაანთო. მან იმპერატორს მუხლმოდრეკით სთხოვა, უფლება მიეცა, ცეცხლი მისი ხელმონწიერით დამშვენებული ქალღმერთით დაენთო. იმპერატორმა, თავდაპირველად, ამ ქალღმერთს დაწერილი ტექსტის ნაკითხვა ინება, რის შემდეგაც, ცეცხლის დანთებაზე თანხმობა განაცხადა. ბანკირმა ცეცხლის დანთება იმ ქალღმერთით მოისურვა, რომლითაც იმპერატორი ვალდებული იყო იღებდა, ძმები ფუგერებისთვის ვალად აღებული 50 ათასი ტალერი დაებრუნებინა.

• ჯერ კიდევ ჩვ.წ.აღმდე IV საუკუნეში არისტოტელე ამბობდა: „ნიჭი იმისა, რომ დახარჯო იმისთვის, რაც გჭირდება და იმდენი, რამდენიც საჭიროა, ყველას არ აქვს. ეს იოლი არ არის და მხოლოდ რჩეულთა ხვედრია“.




ქელითგაბალი

გალიტების აკრებას შეუდგნენ. ჰერცოგი მპოვნელებს დაკარგულ მარგალიტებს სახსოვრად უტოვებდა.

• საფრანგეთის ელჩი, ჰერცოგი რიშელიე (არა კარდინალი, არამედ მისი შთამომავალი) ვენაში ვერცხლის ნალებს კარგავდა, რომლებსაც მის ცხენს განგებ ცუდად აჭედებდნენ.

• მამაკაცი, რომელსაც ფულის ორიგინალურად ხარჯვა შეუძლია, ქალზე წარუშლელ შთაბეჭდილებას ტოვებს. ეს ყველა დონუჟანმა იცის, მაგრამ ბევრი ვერ მოიფიქრებს იმას, რაც ჰერცოგმა დე კონტიმ გააკეთა. საფრანგეთის რევოლუციამდე ცოტა ხნით ადრე, კეთილშობილი ქალბატონი, დე ბოლტი მასთან საუბრისას გამოტყდა, რომ ჩიტის მინიატიურულ გამოსახულებაზე ოცნებობდა. რამდენიმე დღის შემდეგ, მან ჰერცოგისგან

# გარნიოზი სსოპკუბოს ჩაფრინოვა ჭყისი



## ბრაუნი თარხანი

**პირველი წელი** — ავად-  
მყოფობა შეიძლება, მაგრამ თავი  
ავადმყოფად არ უნდა იგრძნო!  
ჩვენი ფიზიკური მდგომარეობის  
შეფასება გაცილებით მნიშ-  
ვნელოვანია, ვიდრე ობიექტური  
მაჩვენებლები. ანალიზის ცუდ  
პასუხს, კარდიო, ექო და სხვა  
„გრამებს“, გადატანილ ინსულტსა  
და ინფარქტს სიბერე არ უნდა  
გაამწარებინო. ეს ყველაფერი  
საგზაო შემთხვევად უნდა მი-  
იჩნიო, რომელიც მოგზაურს  
აუცილებლად შეემთხვევა ხან-  
გრძლივი მგზავრობის დროს.  
ოპტიმისტები რთულ სიტუა-  
ციაშიც კი გაცილებით მხნედ  
გრძნობენ თავს, ვიდრე უფრო  
ახალგაზრდა პესიმისტები.

**მეორე წელი** — სიყვა-  
რული სიცოცხლეა, ამ სიტყვის  
სრული მნიშვნელობით. თუ 50  
წლის ასაკში, სწორად შერ-  
ჩეული (პირველი, მეორე თუ  
მესამე მცდელობის შემდეგ,  
ამას მნიშვნელობა არა აქვს)  
ცხოვრების თანამგზავრი გყავს  
გვერდით, ეს იმის ნიშანია, რომ  
80 წლის თავს ჯანმრთელად  
შეხვდები. უფრო მეტიც — ეს  
ხანგრძლივი ცხოვრებისთვის  
გაცილებით საიმედო პირობაა,  
ვიდრე სისხლში ქოლესტერინის  
დონე. ექიმები ირწმუნებიან, რომ  
ხანგრძლივად და ბედნიერად  
ისინი ცოცხლობენ, ვისაც უყვარს  
და ვინც უყვართ; ვისაც მოსმენა  
და თანაგრძნობა შეუძლია; ვინც  
კეთილი და გულლიაა.

**მესამე წელი** — მიტევების  
უნარი ერთ-ერთი ყველაზე სწორი  
გზაა ხანგრძლივი და ბედნიერი  
სიცოცხლისთვის. დაგროვილი  
წყენა კი სხეულსა და გონებას  
ჭამს, საუკეთესო წლები მიაქვს  
და სიხარულის განცდას გართ-  
მევს. ცხოვრების ნათელი მხარე  
გაცილებით მნიშვნელოვანია,

ვიდრე — ბნელი. ცოტა ხნის წინ  
მეცნიერებმა აღმოაჩინეს, რომ  
ზოგიერთ ასაკოვან ადამიანში  
არსებული აგრესია გულის კო-  
რონალური უკმარისობის მიზეზი  
ხდება და გაცილებით მეტი  
მავნებლობის მოტანა შეუძლია,  
ვიდრე ქარბ წონას, ჰიპერტონიას  
და თამბაქოს.

**მეოთხე წელი** — ვიზიტი  
ფსიქოანალიტიკოსთან. მეც-  
ნიერებმა დაადგინეს: ის, ვინც  
ფსიქოანალიტიკოსთან სუბსეზუ-  
დადის, სხვა ექიმებთან 33-ჯერ  
ნაკლებად ხვდება და 3-ჯერ  
ნაკლებ მედიკამენტს იღებს. ეს  
ეფექტი ფსიქოთერაპიის კურსის  
დასრულებიდან 2,5 წლის განმავ-  
ლობაში ნარჩუნდება. ცხოვრები-  
სეულ სიძნელებებთან ბრძოლის  
უნარი სხეულის „გაცვეთას“  
აფერხებს.

**მეხუთე წელი** — „სწავლა  
სიბერემდე“. ადამიანები, რომ-  
ლებსაც საშუალო განათლება  
აქვთ, 6 წლით ნაკლებს ცოცხ-  
ლობენ. როგორც ჩანს, ამ ფენო-  
მენის საიდუმლო იმაშია, რომ  
განათლებულ ადამიანებს ინ-  
ტერესის ფართო სფერო და  
მაღალი კულტურა აქვთ და თავის  
ჯანმრთელობას მეტი პასუხისმგე-  
ბლობით ეკიდებიან. ასაკოვანი  
ადამიანები სამსახურისა და სხ-  
ვადასხვა, ყოველდღიური საზ-  
რუნავისგან თავისუფლები არიან.  
ეს კი მათ საშუალებას აძლევს,  
ცოდნა გაიღრმავონ. ფსიქოლო-  
გებმა დაადგინეს, რომ ახალი  
სფეროს ათვისება და ცოდნის  
გაღრმავება პენსიონერებს მეტ მხ-  
ნეობას მატებს, ვიდრე კარგი მატე-  
რიალური მდგომარეობა. ბრძენი  
ამბობს, რომ პირადი ცხოვრება  
50 წლის შემდეგ იწყება.

## მოკლე ჩართვა

### ჩემი სანატრელი ფრაზა


- ცხოვრებაში საკუთარი თავის გარდა არავის იმედი არ გქონდეს და იბრძოლე, რადგან მიუწვდომელი არაფერია ქვეყნად. ჩემი საყვარელი ფრაზა ეს არის. ცრემლუკა.
- ასეთ ფრაზად „რალაცა ჰქვია“ შეიძლება ჩაითვალოს. გაგიჟებული მყავს სკოლაში მასწავლებლები, ოჯახი და მეგობრები. ყველაფრის თავში „რალაცა ჰქვია“ ვამბობ. ეგოისტკა.
- სანატრელი ფრაზა? საქართველოს პრეზიდენტი ბატონი გიგა ბოკერია :) არა, არა, ღმერთმა ნუ ქნას. თქვენ მოიგეთ მილიონი! კახიმ დამირეკოს კავსაძემ და ეგ მითხრას. ვაუ! მიკა.
- სამი სანატრელი ფრაზა მაქვს. 1. „თქვენ მიღებული ხართ, მუშაობას დღესვე შეუდექით“. 2. „ცოლად გამომყვები?“ და 3. „რა კარგ რალაცებს წერ“. ლუნა.
- ჩემი სანატრელი ფრაზაა, „ლოვე“ რომ მეტყვის: — „ჩემი თეთრი „ბეემე“ შენ უნდა გაჩუქო, გვანცა!“ — პრინციპში, ჩემი და მისი რამ გაყო, მაგრამ...
- ყველაზე ხშირად ამ ფრაზით მივმართავ ჩემი ნერვების მთხრელებს: მაგ მრგვალ თავში წვეტიანი აზრები — საიდან? გრუზინკა.



# მომილო-სეზია

იმისათვის, რომ თქვენი მესიჯი „მობილი-ზაციაში“ მოხვდეს, მობილური ტელეფონის SMS-ფუნქციაში უნდა აკრიბოთ სიტყვა GZA გამოტოვოთ ერთი სიმბოლოს ადგილი და აკრიბოთ სასურველი ტექსტი. შემდეგ მესიჯი გამოგზავნოთ ნომერზე: 8884. ჩემს მობილურზე მოსული მესიჯები ამ რუბრიკაში არ გამოქვეყნდება (გამონაკლისი მხოლოდ უცხოეთიდან გამოგზავნილი მესიჯებია) და კიდევ: ერთი მესიჯი მხოლოდ 160 სიმბოლოს იტევს. თუ ვრცელი მესიჯის გამოგზავნა გასურთ, ის რამდენიმე მესიჯად უნდა გადმოგზავნოთ.

**მ  
ა  
კ  
ა  
ბ  
ი**



1. მე ვარ ერთი პატარა, ბუტია გოგო, რომელსაც სიყვარულმა პატარა გული ატკინა. თუ ვინმეს შეუძლია ეს პატარა გული მომირჩინოს, დამიმესიჯოს.
2. ვეძებ 40-45 წლის, კარგი გარეგნობისა და თვისებების მქონე მამაკაცს, ვინც ჩემსავით დააგვიანა ოჯახის შექმნა, მაგრამ სწამს, რომ არსებობს ღირსეული მანდილოსანი.
3. მარ, გთხოვ, ქალების განცხადებებში ჩამწერე და ვისაც ჩემი ნომერი ენდომება, მიეცი. ლუნა.
4. გავიცნობ 36-45 წლის, განქორწინებულ ან ქვრივ მამაკაცს, ოჯახის შექმნის მიზნით.
5. ვარ 35 წლის მანდილოსანი. წესიერი წარსულის მქონე. მყავს ორი შვილი. ოჯახის შექმნის მიზნით გავიცნობდი წესიერ, სიმპათიურ, დასაქმებულ მამაკაცს, 38 წლამდე.
6. მყავს 18/172/65, ქერა, ცისფერთვალეა, ძალიან კარგი გარეგნობის, ნათელი გოგონა. რომლისთვისაც მინდა ძალიან ლამაზი ოჯახის შექმნა. გამოეხმაუროს სერიოზული მამაკაცი.
7. მინდა გავიცნო 30-35 წლის

მამაკაცი, რომელსაც უნდა თბილი ოჯახის შექმნა. ვარ თბილისელი, 30 წლის, სასიამოვნო გარეგნობის გოგონა. დანარჩენი პირადად.

8. მინდა გავიცნო ადამიანი, მხოლოდ მეგობრობის მიზნით. სქესს მნიშვნელობა არ აქვს. მინდა დავივინყო დათო. მარი, გთხოვ, ნომერი მიეცი, ვისაც ჩემთან მეგობრობა უნდა.

**მ  
ა  
კ  
ა  
ბ  
ი**



9. თვალებს დახუჭავ და ოცნებაში წახვალ. გაახელ და... მინდა რეალური ურთიერთობა საოცნებო გოგოსთან, ვისთანაც საერთო ოცნებას ავიხდენ. რუსთავი25.
10. ვეძებ საცოლედ 30 წლამდე ასაკის ქალიშვილს, სიმპათიურს, მაღალს, 175 სმ. დამიმესიჯონ.
11. ვარ 29 წლის, თბილისელი ბიჭი, გავიცნობ თბილისელ ქალბატონს, ფარული ურთიერთობისთვის. დაუვინყარ, ვნებით სავსე წუთებს გპირდებით. ლაშა. დამიმესიჯეთ მხოლოდ რეალურმა მსურველებმა.
12. ვარ რაიონიდან, ვმუშაობ თბილისში. მყავს მანქანა და მაქვს ნორმალური ხელფასი. გავიცნობ თბილისელ, ბინიან ქალბატონს,

- რეალური ურთიერთობისთვის. ნიკა, 30 წლის. დამიმესიჯეთ.
13. მინდა გამოვეხმაურო „გზა“ №17, პირველი მესიჯის ავტორს.
  14. მინდა, გავიცნო „გზა“ №8, პირველი მესიჯის ავტორი, რომელიც არის 32 წლის და სურს ოჯახის შექმნა, 37 წლის მამაკაცთან.
  15. იმერელი, დაოჯახებული მამაკაცი გავიცნობს იმერელ, დაოჯახებულ ქალბატონს.
  16. სამეგობროდ გავიცნობ 27-42 წლის ქალბატონს. თუ ხარ მაღალი, ლამაზი და გჭირდება ანონიმური შეხვედრა სერიოზულ, დასაქმებულ, მატერიალურად უზრუნველყოფილ მამაკაცთან, დაამესიჯე.
  17. გავიცნობ მშვენიერ და შეძლებულ მანდილოსანს, ხანგრძლივი ინტიმური ურთიერთობისთვის. ანონიმურობის გარანტიას გაძლევთ. გელოდებით, მშვენიერებო.
  18. ვარ 27 წლის, მაღალი, სიმპათიური მამაკაცი. სამეგობროდ გავიცნობ 25 წლამდე ასაკის, განათლებულ, მხიარულ, ლამაზ გოგონას.
  19. ვარ 23 წლის, გავიცნობ 19-25 წლის, გორელ გოგოს, ინტიმური ურთიერთობისთვის.
  20. გამარჯობა, მარი. პირველად ვგზავნი მესიჯს „გზაში“ და არ ვიცი, როგორ გამიმართლებს. გთხოვ, მომცე „გზა“ №17, მე-17 მესიჯის ავტორის, ბელას ნომერი.
  21. ვარ 29/175/105, ყოფილი მოჭიდავე. დამიკავშირდეს წესიერი, დასაქმებული, 30 წლამდე ასაკის, მოხდენილი, პუტკუნა ქალბატონი. გელოდებით. ვარ უსაზღვროდ ვნებიანი, ენერგიული. გიუნა.
  22. ვარ 42 წლის კაცი. სიმპათიური, განქორწინებული. გამომეხმაუროს უშვილო ან ქვრივი, სიმპათიური ქალბატონი, სუფთა წარსულით. მინდა ოჯახი. კახეთი.
  23. გავიცნობ სიმპათიურ, მაღალ ქალს, 40 წლამდე. ვარ 33 წლის. დამიმესიჯეთ. კახეთა.
  24. გხოვთ, გამაგებინოთ მე-18 ნომრის ტელეფონის ნომერი.
  25. დიდი სიამოვნებით გავიცნობდი „გზა“ №16, მე-16 მესიჯის ავტორს, ეკას და სიამოვნებით შევხვდები და გავიცნობ, სერიოზული ურთიერთობისთვის. დათო გ.
  26. ვარ 19 წლის, სიმპათიური ბიჭი. გავიცნობ 19-22 წლის, ასევე

ლამაზ გოგონას, სექსუალური ურთიერთობისთვის.

27. გთხოვთ, დამაკავშიროთ მე-18 ნომრის მე-13 მესიჯის ავტორს. გუა.

28. ვარ 37 წლის. ვებმაურები „გზა“ №17, მე-2 მესიჯის ავტორს. გთხოვთ, დამაკავშიროთ.

29. ვარ 32 წლის, სიმპათიური მამაკაცი. ოჯახის შექმნის მიზნით გავიცნობ 30-40 წლის, დასაქმებულ, ლამაზ ქალბატონს. თან დიდი სიყვარული უნდა შეეძლოს, სიყვარულში მომთხოვნი ვარ.

30. ვარ თბილისელი და ყველანაირად ჩამოყალიბებული, დასაქმებული როგორც სამსახურით, ასევე კერძო ბიზნესით. გავიცნობ მანდილოსანს, თუნდაც გათხოვილს, ფარული შეხვედრებისთვის.

31. გავიცნობ თბილისელ, მარტოხელა, ბინით უზრუნველყოფილ ქალბატონს.

32. ვარ 25/168/68, მინდა გავიცნო კარგი გოგონა, 25 წლამდე, ოჯახის შექმნის მიზნით. პუტკუნებმა თავი შეიკავეთ. დედოფლისწყარო.

33. უხერხულია საკუთარ თავზე ლაპარაკი, მაგრამ უნდა ვთქვა: გარეგნობით, აღნაგობითა და ხასიათით ჯერ გოგოს არ დავუნუნებია. მინდა გავიცნო განსაკუთრებული სილამაზის გოგონა, 32 წლამდე, sms-მეგობრობისთვის. სასურველია, იყოს თბილისიდან და ზოდიაქოთი სასწორი ან ტყუბი თუ იქნება, იდეალური რამე გამოვა...

34. ვარ სიმპათიური, 30 წელს გადაცილებული მამაკაცი. დიდი სურვილი მაქვს, შევქმნა ქართული, მყარი ოჯახი. გამოუმეხმეოთ ჩემი შესაფერისი, ქართული ქალიშვილი. ტელეფონის ნომერი მარისტან დატოვეთ და მე თვითონ დაგიკავშირდებით. გოჩა რუსთაველი.




35. დიდი სიამოვნებით გავიცნობ sms-მეგობარს. თუ კიდევ დარჩა ამ ცხოვრებაში ადამიანი, ვისაც ნამდვილი და გულწრფელი მეგობრობა შეუძლია. თუ არა და თავს ნუ შეინუხებთ.

36. ვისაც უყვარს ევროპული და თავისუფალი ცხოვრება და გულაობა, დამიკავშირდით. ვარ

1 თვის ჩამოსული ამერიკიდან. მანქანა, ფული, სახლები არაა პრობლემა.

37. მე მინდა ვიყო ლამაზი ვარდი და შენს ოთახში დავიდო ბინა, რომ გაიღვიძებ მე დამინახო და ჩემი დანახვით დაიწყოს დილა... მხოლოდ ოჯახის შექმნის მიზნით გავიცნობ.

უპაუტო



38. ვექებ 11 წლის უნახავ მეგობარს, ლიანა გაბისონიას. ცხოვრობს ზუგდიდში. დაოჯახებულია. ინგა, ქუთაისიდან.

39. ვექებ თამარა (თამთა) ყუფარაძე-გოდოაძეს, დაბადებული 1930 წელს. 60-70-იან წლებში ცხოვრობდა ქუთაისში, ლენინის 40-ში. გამომეხმეოთ ამ ქალბატონის ოჯახის წევრი.


40. ვექებ ქაშიაშვილების გვარის ოჯახებს. ვინც წაიკითხავთ, დაამესიჯეთ, ისედაც ცოტა ვართ და ნუ დაგვარგავთ ერთმანეთს.

41. გიორგობას გილოცავთ. გთხოვთ, დამიბეჭდოთ. იქნებ თქვენი საშუალებით მოვძებნო ჩემი დაქალი, მეგრელი გიტა. ათენში ცხოვრობს. ძაან მენატრება და იქნებ, შემეხმიანოს. თეო.

42. ვექებ კახელ მიშკა კალატიოზიშვილს, რომელსაც ჰყავდა ავტომანქანა „გოლფი“ და ტაქსაობდა. გთხოვ, გამომეხმეოთ. მენატრები მაგრად.

43. ვექებ გიორგი დვალისვილს, რომელიც ქსნის ზონაში იხდიდა სასჯელს. თუ ვინმემ იცით მის შესახებ, გთხოვთ, გამომეხმეოთ.

უპაუტო



• გაუ, საქართველოს! რავა ხაართ? ლეო91, ხონი და ხონის ტელევიზია გქონდა დარჩენილი და იმასაც გაკარი კბილი, ხომ? მარ, მესიჯებისთვის მაღლობა. გუ-ათენი.

• ჩემო ჭრიჭინა, ვილაც გამოგჩა, მაგრამ არა უშავს, ალბათ ვერ გამიხსენე. :) აი, რომ გაგხსენებოდი, აპლოდისმენტებს მართლა გაიგონებდი. :) ათენი-23.

• გერასიმე, როგორ ხარ რად გაგვექცი? როგორ ხარ, როგორ არის საქმეები ქუთაისში? მასე უნდოდა? არც „იასუ“ თქვი და არც „ადიო“. :) იმედი მაქვს, კითხულობ კიდევ „გზას“. :) ათენი-23.

• მარი, მამაკაცე, რომ საყვედურივით გამომივიდა, რომ გითხარი, მაინცდამაინც ჩემი მესიჯი არ იყო-მეთქი, არადა, როგორ ველოდებოდი აქ, ათენში, იმ ნომრის „გზას“, სადაც ჩემი 4 წლის უნახავი პატარა შვილებითვის მესიჯი გამოგზავნე. 21 აპრილს ჩემს პატარა ლუკას 5 წელი შეუსრულდა და მინდოდა, მისი „უცნობი“ დედიკოსგან მილოცვა მიეღო, ჩემთვის უსაყვარლესი „გზავნილებიდან“. ტკივილამდე მენატრებით, დედიკო, როგორ იზრდებით დედის გარეშე, ლუკაჩო და ნანო? როდის ჩაგახუტებთ, ჩემო სიხარულებო, მონატრებულ გულში? მინდა, მადლობა გადავუხადო თქვენს საყვარელ ნაწული ბებოს და ავთო ბიძიას იმ დიდი ამაღისთვის, რაც თქვენზე აქვთ. ყველას, ყველას ვუხდი დიდ მადლობას: ბაჭიას, გელას, დათოს, გაა ბიძიას, ფატის, თქვენდამი დიდი სიყვარულის გამო. გკოცნით ყველას და გეფერებით მენატრებით. ხათუნა, ათენი.

• ათენი-23, ნუ მაბრაზებ, თორემ ხომ იცი, ცოტა მძიმე ხასიათის ვარ. ჰოდა, მძიმე განაჩენების გამოტანა ვიცი, მეუ... დაისჯები, ომონიაზე ცდით და ნახავ. ვარდენა.

• მართლა კარგი ადამიანები ხართ, ყველა. გუ-ათენი, კობრა, ბოტოტა, ანარქია, ათენი-23, ლელა, მანანა, მარი-მარი, უკარება. აი, ჩვენი გრუპა, ჯერ-ჯერობით. კიდევ ველოდებით მსურველებს. ჩვენ უკვე მეგობრები ვართ და ეს ყველამ იცოდეს. ვარდენა.

• ო, დღეს დიდი შეკრება გვექონდა, ათენის ცენტრში. ვარდენა, ბოტოტა, გუ-ათენი, ათენი-23, ანარქია, უკარება, კობრა და ერთიც ახალი ოჯახის წევრი შევიმატეთ. მოკლედ, გუნდი შევიკრიბეთ, მაგრამ სახელი ჯერ ვერ შევურჩიეთ. მალე რამეს შევურჩევთ და გაგაგებინებთ. ერთი სიტყვით, ვიხალისეთ, ვიმხიარულეთ, ყავა ჩავხეთქეთ და მომავალ კვირამდე გადავდეთ შეხვედრა. აი, ასეთი ამბები ტრიალებდა დღეს, მხიარულ მგზავნელთა კლუბში. ისე, მაგარი საყვარელი მგზავნელები გყოლია. მოკითხვა ყველა მგზავნელს. გაკოცეთ. 13.07.

• დღეს კვირაა და იცით, რა ისტორიული დღე იყო

ათენში? :-) დღეს მგზავნელები შევხვდით ერთმანეთს. ვარდენა, ბოტოტა, ანარქია, 13-07, გუ-ათენი, უკარება, კობრა, მაგრამ ძალიან მცირე დროით.

• მარი, პრივეტ! დღეს გავიცანით ათენელმა მგზავნელებმა ერთმანეთი. ძალიან კარგი ადამიანები არიან. გოცნით. ამისთვის კიდევ და კიდევ მადლობა, ვის? შენ, ჩემო კარგო. გუ-ათენი.

• ჰო, მართლა, დღეს კობრას დავადექით თავზე, რომ შრომობდა. მაგარი კაცია, რა... შეიძლება კობრამ და ვარდენამ იქორწინონ, კვირას. ნინობა დღეს შედგა. მგზავნელებო, მაგრები ხართ! გუ-ათენი.

• კოხი, სად დაიკარგე? ცოტა აქტიურად, თორემ... გაკოცეთ შენც და შენს ქმარუკასაც. ქურდი ცოლისდა. 13.07.

• პრივეტები, თიანელეებო, რატომ არ აქტიურობთ? გამოუშვით თქვენც მესიჯები. ხომ მაგრად ხართ? მენატრებით ყველა. ნინო მათურელი (ბებე). ათენიდან.

• თიანეთის საშუალო სკოლის IX-კლასელებო, ხომ მაგრად ხართ? მენატრებით ყველა. გახსოვართ კიდევ? ნინო მათურელი, ათენიდან.

• სალამი ყველას. ძალიან მიხარია, ამ ბოლო დროს რომ გააქტიურდნენ ათენელი ემიგრანტები. ათენელო მგზავნელებო, ყველას გისურვებთ ულევ სიხარულს და სიყვარულს. მათა, ათენიდან.

• გესალმებით ათენიდან, დიდი სიყვარულით. ახალი ვარ, დამიბეჭდე, თუ ჯიგარი ხარ. პრივეტ, მგზავნელებო. ათენი-50.

• მარი, გილოცავ გიორგობას, მრავალს დაეწვარით შენ და ყველა „გზის“ მკითხველი. წმინდა გიორგის მაღლი გვფარავდეს ჩვენ და ჩვენს პატარა საქართველოს. ათენი-23.

• მაროორიტა, მაპატიე, ასე გვიან რომ გწერ. პროტესტის გრძნობა გამიჩნდა. ვაპროტესტებ მგზავნელების უსურათო ინტერვიუებს. კმარა, კმარა და კმარა ამდენი მაიმუნები და გოჭები. :) ყველაზე ძალიან ვინც მაინტერესებდა, იმათ თქვეს უარი სურათის დაბეჭდვაზე. მარი, ძალიან გთხოვ, ანი უსურათო ინტერვიუ აღარ დაბეჭდო. პაი.

• სტიქია, კაკუ, ზმიზმი, ზაზუნა-22, კანიბალკა, დაბრუნდით, რა... უთქვენოდ მონყენილობაა. მაროორიტა, იცი, რა მაგარი ბერძენი ბებო მყავს? ბებოს მე ვეძახი, თორემ მართლა ჩემი ბებო კი არაა. ახლა ქართულს ვასწავლი, სულ სამი

სიტყვა იცის. „ციტი“ (ჩიტს ვერ ამბობს) და „მოდო ცქალა“. მე თუ ვსწავლობ ბერძენულს, რა ბებომ არ უნდა იცოდეს ქართული? მიყვარხარ ძალიან, თეთულა, შენი ენგონულა (შვილიშვილი) პაი.

• აი, უკვე ძველი ხალხი ნელნელა ბრუნდება. ოლეგარიო, ერთი ნუთით არა, ჩვენთან დარჩი, შენი მესიჯები ნამდვილად აკლია „გზავნელებს“. გაიხარე, გაკოცე. 13.07.

• ქრისტე აღდგა! მრავალს დაეწვარიით. პატარა მავნე.

• დედა მინდააა! :) დედა მინდააა! :) დედიიიი! :) დედეე! :) დედიკოოოო! მამა მინდა, დე, ჩემი მამიტო მინდა, უჰ! პატარა მავნე.

• ძველი სასტავი მენატრება! პრინცესა, დაიკუნა, სად ხარ? ლუციფერი, ბოა, სტიქია, პავლიკა, ლანა, ოლეგარიო, ნათია-30, პატარა ლელა და სხვები დაბრუნდით, რა! პატარა მავნე.

• თუ მიმტყიპა, მამას მანახვებს... :) მიყვარხარაააა! სიგიჟემდე... ისე, გიჟს რაღა გაგიჟება მინდა? არ მინდა, რომ ჯარში წავიდეს, დე... პატარა მავნე.

• აუ, ილინი მაკლია თვალში, პატარა ლელა, ოლეგარიო, ფინტიკოზა, კარდიოლოგი... „გზის“ კითხვა ძველების მესიჯების ნახვით მიხარია.

• როგორ ხართ, ხალხო? ყველანი ძალიან მიყვარხართ. მოვიკითხავ, ქუთაისელებს. ირმა.

• ნუ, ეს მამაკაცების და ქალების რუბრიკა მაგადია. :-) :-) სოფი.

• ყველას გილოცავთ აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულს. ქრისტე აღდგა! მიყვარხარო, ბარტყებო! :) p.s. შეწირულო, რატომ არ მპასუხობ, ჰა? :( აფხაზეთის პრინცესა.

• მომამშორეთ ეს ქალი, გადამრიაა! ღამის 2 საათია, ეს კი მთელი ხმით გაკვივის და მასმენინებს ისეთ სიმღერას, ბებიაჩემიც რომ არ მოუსმენდა. :( რა დავაშავე? რომ დაუკვირდე, ბუდილინიკადაც გამოდგება. აი, ახლა თითქმის 3-ზე ხმა ჩაიწყვიტა, მაგრამ დილის 8-ზე? ოოო, ახალი შემართებითაა... არავის უნდა? ვაჩუქებ. დედას გადარეული.

• გოუმარჯოს ყველას! ახლა ვიბაზრებ გურულად: ლომჯანიეუს აბდალე ყაზირალი რომაა, ანზორიე, მეთრა თურმე სკოლიდან, ააყუდა კვინინზე პწკაღე, აშვანტლა ზეთ, გადმეშვა და...

• ბუსკუს, მგონი ყველა გზა მისაღებია, რომელიც ჩვენამდე მოგიყვანს. მით უფრო,

რომ ყოველი ნაბიჯის ახსნას შეძლებ. შენ უნდა გადაწყვიტო.

• აუ, რა მაგრები ხართ, მგზავნელებო, თქვენ გენაცვალეთ, ძალიან მიყვარხართ. წერეთ და იკითხეთ, აბა რა, „გზა“ მაგარია. ბამბუკი ვარ, ხალხო.

• მქუხარე აპლოდისმენტების თანხლებით ულრმესი მადლობა ჭრიჭინას, ყველა მგზავნელის სახელით. კარგი გოგო ხარ. გრუზინკა.

• გუჩის მინდა ვუთხრა, რომ ხშირად კარგ გოგონებს ბედი არ აქვთ. რაც შეეხება ჭკუას, ყველა გოგო 1 ტაფაში არ უნდა მოაქციო.

• ტიტუუუ, რას გავბანძდი! მაგრამ როდის იყო, მე გულს ვიტეხდი? :-) ჰო, მართლა, მე ძველი ვარ. უბრალოდ, ახალი ნიკით. დიდი ხანია, არ მომიწერია და მომენატრეთ. ეგოისტკა.

• გრუზინკას მინდა ვუთხრა: ის ოჯახი მართლაც არ ყოფილა შენი ღირსი, საყვარელო. შენც გენვევა შენი წილი ბედნიერება. არ დაიგრუზო, ჩვენ შენთან ვართ. ეგოისტკა.

• პრივეტები, როგორ ხართ? მარი, ახლა ძაან ცუდად ვარ და გთხოვ, დამიბეჭდე. შავტუხა.

• მეგრელო მეგელო, დამშვიდდი, ყველაფერი კარგად იქნება. ლეო, გილოცავ, ბედნიერებას და წინსვლას გისურვებ, ცხოვრებაში. ჩუტყვავილავ, სადაური ხარ? სესი, მამას რა სჭირს? ლუნა.

• წავიდა მამიკო და დაგვტოვა მარტო, არა? შე მართლა მავნე! :) მიყვარხარ, გიჟო. ლეო, მრავალს დაეწვარი. პირველ რიგში სტუდენტობას და მერე ყველაფერს კარგს გისურვებ. ბაო-ბაო.

• არ მოგესალმო? როგორ იქნება, ჩემი დილა ხომ შენით იწყება, თუმცა გატყუებ, ლექსი გავრითმე, რამე გენყინა? ის მე დამითმე... გაგუა, აზრზე როდის მოხვალ? შ. ქუთაისი.

• ისე, ლეო91, რა მაგარ მესიჯებს გზავნი! მეგელო, შენც მაგარი ხარ. ვწუხვარ, შუთუს გამო. მარი, მიყვარხარ, ხომ დამიბეჭდავ? ჰკ. შავტუხა.

• აუ, გრუზინკას გავიცნობდი დიდი სიამოვნებით. ძაან დადებითად განვენყევ მის მიმართ. უი, ოჩოპინტრესააც! მგონი ერთი ზემლიაკი ვიპოვე, ძლივს. ვასას, გაიხარე! ნიკოლ, გმადლობთ. ბაო-ბაო.

• გიცანი, არისტოკრატო, შემეხმიანე. ისე, ვისაც გინდათ ჩემი გაცნობა, TaTia-sesi@posta.ge-ზე მომწერეთ თქვენი

ნომრები და ვიმეგობროთ. გელ-  
ოდებით, მიყვარხართ. სესი.

• აპლოდისმენტების ზღვა  
ჭრიჭინას მოლოცვისა და იმ  
სიტბოსთვის, რაც იმ პატარა მე-  
სიჯში ჩაატიე. მარის მადლობა,  
ასეთი ადამიანების თავმოყრის-  
ვის.

• მოგესალმებით ყველას.  
ყველანი ძალიან კარგები და  
საყვარლები ხართ. ფარვანა და  
კანიბალკა, სად დაიკარგეთ, რა-  
ტომ არ ჩანხართ? ორივე ძალიან  
კარგები ხართ. მგზავრი.

• კიკო რა საყვარელი  
გოგოა, იცი? მე — კი. :) დუჩი,  
სად დამეკარგე, ქალი? თოჯი-  
ნას მმპუსიია! ;) ჰოდა, ვერმახტი  
ჩემი ქმარია და ნუ, რა ვიცი, რა  
ვიცი... :) გაკოცეთ საყვარლად.  
**green girl.**

• მუხრანელო გიო, შენი  
სიყვარულით ვცოცხლობდი.  
რატომ იქეცი ჩემს წარსულად?  
გთხოვ, თავს ნულარ მახსენებ,  
ალარ მინდა გულის ტკენა. ეკო.

• ნიკოლ, ნელკა, ვერ-  
მახტი, მამაცო თოჯინა, პუუსიკა,  
სევედია, კაკუ, გარიყული, ყველანი  
მაგრად მიყვარხართ. გარიყულო,  
შემეხმანე, აქ. მერე გეტყვი, ვინც  
ვარ. მომენატრე. ეგოისტკა.

• ბევრი რამ, ლუნა, ბევ-  
რი! ამ 3 თვეში ძალიან ბევრი!  
არ მინდა „გზის“ ფურცლებზე  
ამაზე ლაპარაკი. ძალიან კარგები  
ხართ და ყველანი მიყვარხართ.  
გმადლობთ, რომ შემამჩნიე. მა-  
ფიოზა.

• კახუჩ, ხომ გახსოვს:  
„ილბლიანი ვარსკვლავი ინ-  
თებოდა, ქრებოდა?“ მერე რა,  
რომ ჩვენს ცაზე ღრუბელია,  
ჩვენი ვარსკვლავი ისევ აენტე-  
ბა! განსაცდელი სწორ გზას  
გვაპოვნინებს.

• მოიცა, ოლეგარიო, რა,  
ერთი ნუთით?! შენს მესიჯებს  
ველოდებით ამდენი ხანი, ამდენი  
ხალხი. დარჩი რა, გეჩქარება?  
კაი, თუ არ შეგიძლია, დიდი  
ხნით მაინც ნუ დაიკარგები.  
ჩიო-რა.

• საქართველო სილარი-  
ბის გარეშე? ეჰ, ერთი სილარიზე  
გკჭონდა და ისიც წაგვართვეს.  
რას გვიშვრება ეს სააკაშვილი?!  
ოლეგარიო.

• გიო, გილოცავ გიორ-  
გობას, გფარავდეს მუდამ წმინდა  
გიორგის მადლი და ძალა. ბედნ-  
იერი ვიქნები შენი კარგად ყოფ-  
ნით მუდამ, მაგრამ ამ სიმწარეს  
არასდროს გაპატიებ. ნატო.

• **nicolee,** შენ გაიხარე,  
რა გიყო ხაარ! უი, რა მინდოდა  
მეე? ნავედი და ლეო, ვიშარა-  
ფოთ? მეგრული მგელო.

• ამ კვირის თემა რა  
არის (როცა თემა ვიცოდე, მა-

შინ ხომ ისეთ ამბებს გწერდი,  
რომ...)? რაც გიმესიჯებ, მხ-  
ოლოდ ერთი მესიჯი დამიბეჭდე.  
მაინც და მაინც უნდა ვიაფერის-  
ტო შემდეგი სიტყვებით — „რა  
საკაღელები ხართ, მაროორიტა,  
ჩემი ტორტივით ტკბილი ხარ,  
მპუა თქვენ“... ვისაც ჩემი გაც-  
ნობა უნდა, დამიმესიჯეთ. გელ-  
ოდებით. ჩათვომან.

• რა კარგია, „გზავნი-  
ლებში“ საქართველოს ყველა  
კუთხიდან რომ ამესიჯებენ...  
ბათუმელი არ ვარ, მაგრამ ბა-  
თუმელებო, მაგრად მიყვარხართ.  
ჩემი ბათუმელი ნათლული, ჩემი  
პატარა ანანო მენატრება. რა  
ვუთხრა ამ სასწავლებელს და  
ლექციებს, თორემ აქამდე რამ-  
დენჯერ ვნახავდი...

• ლეო91-ის გაცნობა მინ-  
და. მომწონს ამ ბიჭის აზროვნე-  
ბა, იუმორი, მწარე რეპლიკები  
და ისიც, რომ ჟურნალისტობას  
აპირებს. მე მართალია, ჟურნალ-  
ისტი არ ვარ, მაგრამ სტაჟინაი  
იურისტი ვარ. მჯერა, ერთმა-  
ნეთს გაუფებთ და ვიმეგობრებთ.  
ჰო, მთავარი მავინყდებოდა, მე  
ქუთაისელი არა, მაგრამ იმერე-  
ლი ვარ. აგატა.

• მარიამულო, მადლობა,  
რომ მე-2 სამყარო — „გზავნი-  
ლეთი“ გვაჩუქე. აქ თავს მყუ-  
დროდ ვგრძნობთ. ერთი ოჯახი  
ვართ. წლებია, „გზას“ ვკითხუ-  
ლობ. მადლობა, რომ არსებობთ!  
პროკურორა.

• მე და გუ-ათენი მაგრად  
დავუახლოვდით ერთმანეთს, კარ-  
გი ადამიანია. ყველას მოკითხვა.  
გკოცნით ბევრს. ბოტოტა.

• ღმერთმა გაგაცინა, ლა-  
მაზო არსებავ და მერე სახელად  
გინოდა კაცი, დღეს შენი დღეა,  
იბედნიერე და არ დაკარგო არც  
ერთი ნამი (კაცის მაგივრად  
ქალია, ისე, იცოდე). უკარება.  
ლეო91-ს.


• მე ახლა ნახატს სასოე-  
ბით, კრძალვით გიხატავ, ამ ნახ-  
ატს ვარქმევ სათაურად — „მე  
შენ მიყვარხარ“. ცისფერი ფერით  
ვაფერადებ სურათში მეჩეთს და  
მის კედლებზე ტუშით ვანერ —  
მომწონხარ, მე — შენ. გულს  
ვხატავ სისხლით და თუ რა-  
ტომ, ამას მიხვდები, ვნერ შავი  
ტუშით ნითელ გულში — მე შენ  
მჭირდები. ვდგავარ ნახატთან და  
ფიფქები თავზე მიფანტავს, თვა-  
ლებში თხოვნა მინერია — ნულარ  
დამკარგავ. მე ახლა ნახატს სა-  
სოებით, კრძალვით გიხატავ და  
ვარქმევ ნახატს სათაურად — „მე  
შენ მიყვარხარ“. უკარება.

• აქ ისევ წვიმს, ცა ისევ  
ცრის, უშენოდ ცხოვრება ძა-  
ლიან მძლის, რატომღაც მესიჯი  
ვერაფერს ცვლის, მე მაინც გეძა-

ხით — მიყვარხარო, კის! ყვე-  
ლას. უკარება.

• გამარჯობა, მარიკო, მე  
ჯუნა ვარ, საბერძნეთიდან. დიდი  
მადლობა, რომ გვიხალისებ  
ცხოვრებას. იცი, იმდენს ვკითხ-  
ულობ „გზავნილებს“, რომ სათ-  
ვალე გამომიწერა ექიმმა. ცოტა  
დაგვიანებით კი ვკითხულობ, მა-  
გრამ ესეც კარგია. გკოცნი. პავა.

სიხარული



• ქრისტო, სიხარუ-  
ლო, მაგრად მიყვარხარ და  
მაგრად მენატრები. ვიცი,  
ამ მონატრებას შენც განიცდი.  
ჩემო კარგო, ცოტა მოვითმინოთ  
და ჩვენ მალე ერთად ვიქნებით.  
ათენი-23.

• ხანდახან ისე მომენა-  
ტრები, გულში ცრემლები ნვე-  
თებად მცვივა, მომენატრები და  
ავტირდები, რადგან შენ შორს  
ხარ და გული მტკივა. ქრისტო,  
მიყვარხარ. ათენი-23.

• იცი, რატომ მიყვარს მე  
ეს სიცოცხლე? შენ რომ გაჩნდი  
და მე რომ გიპოვე. მინდა, ზურა  
ხარაიშვილს ვუთხრა, რომ ძა-  
ლიან მიყვარს. ქრისტინა.

• შენით სხვაგვარად შე-  
ვიგრძენ სიცოცხლის ფერი და  
სურნელი. ამიტომაც, რომ შენს  
გამოჩენას სულ სიხარულით მო-  
ველი. ზურა, მიყვარხარ. ქრის-  
ტინა.

• თამუნა, ჩემო სიხა-  
რულო და სიცოცხლე, იცოდე,  
მიყვარხარ და მენატრები. მარად  
შენი მოსიყვარულე, ჯიუტი. ახ-  
მეტა.

• ათენი-23, სიხარულო,  
მენატრები და უზომოდ მიყვარხ-  
არ. შენ ჩემი პირველი სიყვარ-  
ული ხარ და შენს თავს არავის  
დავუთმობ. ზურა, მიყვარხარ.  
ქრისტინა.

• ჩემს ოჯახს, უსაზღვ-  
როდ მონატრებულ შვილებს,  
სოფია და ლიკო არაბულებს,  
დებს, მშობლებს, ოთარ და მა-  
დონა ცირდავებს და ყველა ნა-  
თესავს მინდა ვუთხრა, რომ ძა-  
ლიან მიყვარხართ და უზომოდ  
მენატრებით. ლალი, ათენიდან.


• მიყვარხარ. 25 წელი  
გავიდა იმ დღიდან, რაც დაგ-  
კარგე, ჩემო პირველო და  
უკანასკნელო სიყვარულო. შენი  
ლალატი ღმერთმა არ მაპატია  
და კიდევაც დავისაჯე. მიყვარს  
პასიეთი, შენით. ემიგრანტი.

• მესუთე წელია, ჩემი

ოჯახი არ მინახავს და მინდა, „გზის“ ფურცლებიდან მოვეფერო და ვუთხრა: ჩემო შვილებო, კახუნა და ხათუნა, ჩემო ლაშა, მენატრებით და მიყვარხართ. თქვენს სიყვარულსა და მონატრებას ცოტათი ზაკო მიმსუბუქებს. მენატრებით და გკოცნით, შორიდან. გაუფრთხილდით და მოეფერეთ ერთმანეთს. თქვენზე მონატრებული მზია.

• გურანდა, სიხარულო, რატომ არ მიმესიჯებ? რა იქნება, გაიმეტო ერთი მესიჯი? ეტყობა, არც „გზავნილებს“ კითხულობ, თორემ ხომ მომწერდი ერთ ტკბილ სიტყვას. მიყვარხარ და მენატრები.

**მ  
ი  
ლ  
ე  
ს  
ა  
ვ**



• გუგალო, გიორგობის ბრწყინვალე დღესასწაულს გილოცავთ, შენი დედიკო და მამიკო. მრავალს მოგასწროს, ღმერთმა. წმინდა გიორგის ძალა შეგეწიოს. მალე ჩავგვახუტოს შეთან. გკოცნით, ზაალი და ლელა.

• ჩვენს საყვარელ, უსაზღვროდ მონატრებულ დედას, ევა ძოძიშვილს ვულოცავთ აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულს. მზია და ნანი.

• ათენში ჩემს საყვარელ მეგობარს, ნონიას ვულოცავ დაბადების დღეს. ვუსურვებ ჯანმრთელ და ბედნიერ მომავალს, ქმარ-შვილთან და შვილიშვილთან გახარებას. ათენი. ინეზა.

• ჩემს მეგობარს, რუსუდან გელენიძეს ვულოცავ დაბადების დღეს. ვუსურვებ ბედნიერებას, უღვევ სიხარულს. დიდი სიყვარულით, ათენიდან, ინეზა.

• დიდი სიყვარულით ვულოცავ ჩემს უსაყვარლეს ადამიანს დაბადების დღეს, 1-ელ მაისს. მრავალს დაესწარი. მიყვარხარ, შენი თათუ.

• თამუნა მანოშვილს მინდა მივულოცო დაბადების დღე, 6 მაისი. ვუსურვებ ყველაფერს საუკეთესოს და მალე დაბრუნებას სამშობლოში.

• 2 მაისს, დაბადების დღეს გილოცავ, სიხარულო, ძალიან მიყვარხარ და მენატრები, სიგიჟემდე. ყოველდღე გელოდები, ვიცი, რომ ჩამოხვალ. მიყვარხარ, შენი თათუ.

• ელო (ლენა) მამიაურს ვულოცავ დაბადების დღეს.

უსაზღვრო სიხარულს, ჯანმრთელობას და ყოველივე საუკეთესოს გისურვებთ, თქვენს ოჯახთან ერთად. მზია.

• დედოფლისწყაროში დაბადების დღეს, 9 მაისს ვულოცავთ ნინიკო ზარიძეს. ჩვენო პატარა სიხარულო, გისურვებთ ჯანმრთელობას, დღეგრძელობას და ბედნიერ მომავალს. უსაზღვროდ მონატრებული შენი მშობლები, ამირანი და თამუნა, ათენიდან.

• ნინო ლილუაშვილს სულითა და გულით ვულოცავ დაბადების დღეს. გისურვებ, საყვარელო, ჯანმრთელობას, ბედნიერებას და ყველა სურვილის ასრულებას. გკოცნი, ათენიდან. თინიკო.

• სალონიკში ათენიდან დაბადების დღეს ვულოცავ მერაბ კაპანაძეს. ვუსურვებ ჯანმრთელობას, ბედნიერებას და ბარაქას, რაც ძალიან გვჭირდება ემიგრანტებს. გკოცნის თინიკო.

• დიდი სიყვარულით დაბადების დღეს ვულოცავ ასმათ ტალახაძეს. ვუსურვებ ჯანმრთელობას, ბედნიერებას და წინსვლას, ყველაფერში. მომიკითხე თანამშრომლები. გკოცნი ათენიდან, თინიკო.

• ჩემს უსაყვარლეს შვილიშვილს, გიორგი დევაძეს დაბადების დღეს, 9 მაისს ვულოცავ. ჯანმრთელი და საამაყო ბიჭი გაზრდილიყავი, ჩემო მონატრებულო გიო. შენი მზია ბებო, ათენიდან.

• შორენა მამასახლისო, სულიწმინდა ჩამოფრინდა ციდან, თეთრი მტრედი შემოაჯდა ხეს, სიხარული რომ გისურვო მინდა, მოგილოცავ დაბადების დღეს! მზია, ათენიდან.

• გიორგი კიპაროძეს 19 მაისს ვულოცავ დაბადების დღეს. ვუსურვებ ჯანმრთელობას და ღვთის წყალობას. სასახელო ბიჭი გაზრდილიყავი. მამიდა.

• თამუნა ბათირაშვილს და პაატა გაბუნიას ვულოცავ პატარა ვაჟაკის, ვიტალიკოს დაბადებას. ვუსურვებ, ჯანმრთელი და ბედნიერი ბიჭი გაზრდილიყოს. გაიხარეთ, თქვენს პატარა და ლამაზ ოჯახში. ღმერთი გფარავდეთ. ლალი, ათენიდან.

• მინდა, ჩემს პატარა დის შვილს მივულოცო დაბადების დღე. ქეთი, დეიდა, გილოცავ დღეობას. გაიხარდე სასახელო გოგო, გფრავდეს უფალი. ძალიან მენატრები და მიყვარხარ. ვერიკო დეიდა.

• ზვიად და ვერიკო, გილოცავთ გიორგობის ბრწყინვალე დღესასწაულს. ღმერთმა მრავალს მოგასწროთ, მალე

თქვენს შვილებთან ყოფილიყავით, გახარებული. გკოცნით, ზაალი და ლელა.

• ჩვენო ტკბილო და კეთილო დედიკო, გიორგობის ბრწყინვალე დღესასწაულს გილოცავთ. მრავალს მოგასწროს ღმერთმა, შენს შვილებში, შვილიშვილებთან და ყველა კეთილ ადამიანთან ერთად. მალე საქართველოში ჯამუხის წმინდა გიორგის სალოცავზე ალგვენიშნოს ყველას ერთად. გკოცნით, შენი შვილები: მანანა, მადონა, ლელა და გელა კუპრაძეები.

• ნინი და ელინა, გილოცავთ გიორგობის ბრწყინვალე დღესასწაულს. ღმერთმა მრავალს მოგასწროთ. მალე თქვენი დედიკო და მამიკო ყოფილიყვენ თქვენ გვერდით. გკოცნით.

• გილოცავ 6 მაისს. გაიხარდე სასახელო გოგო. ძალიან მიყვარხარ, ჩემო სიხარულო. გფარავდეს წმინდა გიორგის მადლი. შენი ბებიკო, დარეჯანი.

• ზუგდიდში, კერძოდ, სოფელ შამგონაში ნატო ნიკოლაიშვილს 14 მაისს, დაბადების დღეს ულოცავენ 10 წლის უნახავი და, ნონა და დისშვილები. უსურვებენ ჯანმრთელობას და დიდხანს სიცოცხლეს, თავის ტკბილ ოჯახთან ერთად. უფალი იყოს შენი მფარველი. შენი და, ნონა, სალონიკიდან.

• დაბადების დღეს ვულოცავ ჩემს დაიკოს, ნატო ნიკოლაიშვილ-მამფორიას. სანატრელო, ტკბილად დამიბერდი. იხარე და იბედნიერე. შენი დაიკო ქეთინო, სალონიკიდან.

• ათენში, მაია სივსივაძეს 7 მაისს ვულოცავთ დაბადების დღეს! ვუსურვებთ ყოველივე საუკეთესოს და გამძლეობას, უცხო მხარეში. გფარავდეს ღმერთი. მაია, ლილი და პაატა, ათენიდან.

• ლეო 91, გილოცავ დაბადების დღეს. გისურვებ ცხრათვალა მზეს და გთხოვ მოწყალება გამოიჩინე და უარს ნუ ამბობ ინტერვიუზე. ააა, მივხვდი, ეტყობა, მაიმუნი არ გიყვარს. გრუზინკა.

• ქორწინების წლისთავს გილოცავ, ჩემო ბუზლუნა გიო პეტელავა. ჩემს სანვალეზად დიდხანს იცოცხლე, ჩემო სელაპო. ღმერთმა ტკბილად შეგვაბეროს ერთმანეთს. მიოორქი. ელზა.

• მერაბიკო, ჩემო სიხარულო, გილოცავ დაბადების დღეს, 10 მაისს. ღმერთი გფარავდეს ყოველთვის, ჩემთან ერთად. მიყვარხარ. შენი ერთადერთი და მუდამ მონატრებული ეთუკა.

• გერასიმე, სიხარულო, მოგვიანებით გილოცავ დაბადების დღეს, ბედნიერებას გისურვებ, ჩემო კარგო. უფალი გფარავდეს. გკოცნი ბევრს, ნიკოლი.

• ვალიკო, ჩემო ერთადერთო და განუმეორებლო სიყვარულო, გილოცავ დაბადების დღეს, 5 მაისს. დაესწარი მრავალს. გისურვებ სიყვარულს და დიდ, ადამიანურ ბედნიერებას.

• მარის და ყველა მგზავნელს ვულოცავ გიორგობას. გფარავდეთ წმინდა გიორგის მადლი და ძალა. შენ კი, მართობისთვის განწირულო ქალბატონო თუ საქალბატონევ, გისურვებ სიკეთეს, ჯანის სიმრთელეს, სულის სიმხნევებს, ლამაზი დღის სიმრავლეს, ყველაფერ ლამაზსა და მშვენიერს, რაც კი არსებობს ცხოვრებაში. კეთილი სურვილებით, შენი ლიკა.

• ლეო91, გილოცავ დაბადების დღეს. გისურვებ დიიდი ბედნიერებას. მალე გრანტით ჩაბარებაც მოგველოცოს, შენთვის. ლეო, შენი ფანი ვაარ. :) აფხაზეთის პრინცესა.

• ყველას ვულოცავ გიორგობას. წმინდა გიორგი იყოს მგზავნელების მფარველი. მიყვარხართ, მიყვარხართ, მიყვარხაააააართ! მილანკა.

• ჩემი მამიდაშვილის შვილს, გიორგი გოგიჩაიშვილს ვულოცავ დაბადების დღეს, 10 მაისს. ვუსურვებ ულევ სიხარულს და ლამაზ მომავალს. ეკა მამიდა. რუსთავი.

• ცირა, გილოცავ დაბადების დღეს, სიხარულს, სიყვარულს, ჯანმრთელობას და ლამაზ მომავალს გისურვებ. ღმერთმა დაგლოცოს. მზია ნათლია.

• მინდა, 4 მაისს დაბადების დღე მივულოცო ჩემს მონატრებულ დედიკოს, ნინო ადანაიას, რომელიც ცხოვრობს სენაკში. ჩემო საყვარელო და ჩემო სულით ხორცამდე მონატრებულო, ჩემო ტკბილო დედიკო, გილოცავ იუბილეს. მრავალს დაესწარი ოჯახთან, შვილებთან და შვილიშვილთან ერთად. ძალიან მენატრები, დედიკო, 1 წელი გახდა, არ მინახავხარ, ჩემო დედიტონა. მართალია, შორს ვარ, მაგრამ მთელი სულით და გულით, მთელი არსებით მუდამ შენთან ვარ. გილოცავს შენი შვილი, სოფო ადანაია, ათენიდან. მიყვარხარ.

• ჩემს საყვარელ დაიკოს და სიძეს, ნარგიზა და ჯამბულ ქვარაიებს მინდა მივულოცო შვილის გაბედნიერება. ფარავდეს

ღმერთი თქვენს ლამაზ ოჯახს. შენი დაიკო, ლალი, ათენიდან.

• ჩემს უსაყვარლეს ადამიანს, ლალი ცირდავას ვულოცავ დაბადების დღეს. სულ ჯანმრთელი და ბედნიერი ყოფილიყავი ყოველთვის. მალე ერთად ვყოფილიყავით. დიდი სიყვარულით, შენი შვილის ნათლია, ცირა.

• ყოფილ აღმასრულებელს, ჩემს ყოფილ კოლეგას, ვახო არსაბაძეს ვულოცავ დაბადების დღეს, 6 მაისს. ჯანმრთელობას და ულევ სიხარულს გისურვებ. ნანა ჯიმშიტაშვილი, ათენიდან.

• მცხეთაში, გიორგი გამყრელიძეს ვულოცავთ დაბადების დღეს. ბედნიერება და სიყვარული იყოს შენი ცხოვრების მეგზური. ძალიან გვენატრები და გვიყვარხარ. მზია და ნანი.

• 6 მაისს, გიორგობას და ნახევარსაუკუნოვან იუბილეს ვულოცავ ჩემს ძვირფას და უსაყვარლეს მეუღლეს, დადუ შველიძეს. დაესწარი მრავალს. არ მოგკლებოდეს სიხარული და ბედნიერება. გკოცნი, გეხვევი, შენი მოყვარული მეუღლე, ნუნუ.

• ლევან ტეფნაძეს ათენიდან ვულოცავთ დაბადების დღეს, 4 მაისს, მამიდა ნაირა და მამიდაშვილი, ლელა. ლევან, საყვარელო, გისურვებთ ჯანმრთელობას, სიყვარულსა და უზღვევ სიხარულს, ყველა ახლობელთან ერთად. გისურვებთ სკოლის კარგად დამთავრებას და უმაღლესში მონყობას. გფარავდეს ღმერთი. გკოცნით ძალიან ბევრს.

• 8 მაისს დაბადების დღეს ვულოცავ ჩემს უსაზღვროდ მონატრებულ შვილს, ნიკა ბათირაშვილს. მრავალს დაგასწროს ღმერთმა. გისურვებ ულევ სიხარულს და ბედნიერ მომავალს. ლალი, ათენიდან.

• გოგიტა ირიაულს ვულოცავ დაბადების დღეს, ვუსურვებ ყოველივე საუკეთესოს ცხოვრებაში, ულევ სიხარულს და სიყვარულს. შენი დედიკო.


• ცხოვრების სწორ გზაზე ოცნებით გეფრინოს, გზა-სავალს პატარა ვარდები გეფინოს, იყავი დღეგრძელი, მარადუამს გელხინოს, სიხარულს, სიყვარულს, სულ შენთან ეფრინოს. ლეო91-ს. უკარება.

• ათენში, მანია გიგაურს ვულოცავ დაბადების დღეს, 9 მაისს. მაიკო, გისურვებ ყოველივე საუკეთესოს ცხოვრებაში, შენს ლამაზ ოჯახთან ერთად. ღმერთი იყოს შენი მფარველი. ლილი. ხ.

# ყურადღება!

„მობილი-ზაციაში“ ნომრის გაგების შესაძლებლობა დღისა და ღამის ნებისმიერ დროს გაქვთ. საამისოდ, მობილური ტელეფონის sms-ფუნქციაში უნდა აკრიბოთ სიტყვა **guli** გამოტოვოთ ერთი სიმბოლოს ადგილი, შემდეგ აკრიბოთ „გზის“ ნომერი, ტირე, მესიჯის ნომერი და გაგზავნოთ ნომერზე 8884. თქვენს ტელეფონზე ავტომატურად მიიღებთ სასურველ ტელეფონის ნომერს. მაგალითად, თუ გსურთ, „გზა“ №39-დან გაიგოთ მე-10 მესიჯის ავტორის ნომერი, მობილური ტელეფონის sms-ფუნქციაში აკრიბეთ: **guli 18-10** და გაგზავნეთ 8884-ზე. 1 მესიჯით შეგიძლიათ მხოლოდ 1 ნომრის გაგება. ჟურნალში არც ერთი ტელეფონის ნომერი აღარ გამოქვეყნდება. 1 მესიჯის ფასია: 50 თეთრი.

# ფოლკლორული მუსიკა



**მშშაი**  
 ეცადე, მნიშვნელოვანი საქმის გაკეთება დღის პირველ ნახევარში მოასწრო. ეს დღე შედეგების შესაჯამებლად იდეალურია. დღის მეორე ნახევარი კი შეგიძლია, დასვენებას დაუთმო და საყვარელ ადამიანებთან ერთად გაატარო. არ არის გამორიცხული, ამ დღეს ხელი გთხოვონ და გვარისა და მისამართის შეცვლის პერსპექტივა გაგიჩნდეს.


**საშშაი**  
 მთელ დღეს მატერიალური პრობლემების მოგვარებას მოანდომებ. დიდი ძალისხმევა დაგჭირდება, რათა საკუთარი შემოსავალი გაზარდო. შესაძლოა, სამსახურში პრობლემები გაგიჩნდეს. საღამოს, განმარტოების და საკუთარ ფიქრებში ჩაძირვის სურვილი დაგებადება.



**მოშშაი**  
 დილიდან დაგეუფლება შეგრძნება — თითქოს ვიღაც თავისუფლებას გიზღუდავს; საოჯახო საქმეების მონესრიგება დაგეზარება და დამოუკიდებელ რეჟიმში მუშაობა გაგიჭირდება. შინაგანი დისკომფორტი და დეპრესია ცუდ განწყობილებას შეგიქმნის. უბრალოდ, უნდა გამოიძინო და ყველაფერი მოგვარდება.


# სერიოზული

ძალზე მნიშვნელოვანი და საპასუხისმგებლო დღეა, განსაკუთრებით მისთვის, ვისაც კარიერაში წინსვლა აქვს დაგეგმილი. შესაძლოა, დაგანინაურონ. ყველაფერი იმაზეა დამოკიდებული, თუ როგორი ურთიერთობა გაქვს კოლექტივთან. საუკეთესო დღეა დიეტის დასაწყებად.



# წამსხევი

არაჩვეულებრივი დღეა. ყველაფერი იოლად გამოგივა. თუ ამ დღეს რომელიმე სფეროში წარმატებას ვერ მიაღწიე ან რაიმე გეგმა ჩაგეშალა, ნამდვილად უიღბლო ყოფილხარ. საღამოს გატარება ოჯახის წევრების გარემოცვაში ჯობს — პატარებთან ურთიერთობა ყველაფერს დაგავინწყებს.



# შესანი

ისეთი შეგრძნება დაგეუფლება, თითქოს ცხოვრების ახალ ეტაპს იწყებ. ეს შეგრძნება სინამდვილეს შეეფერება. კარგი იქნება, თუ საღამოს მომდევნო დღეს დაგეგმავ — ასე უფრო გაგიადვილდება ჩანაფიქრის სისრულეში მოყვანა. დღის პირველი ნახევარი კი საკუთარი გარეგნობისა და იმიჯის შეცვლაზე ზრუნვას დაუთმე.




# სკიზი



თუ დაოჯახებული ხარ, შესაძლოა მეუღლესთან, შენი ან მისი ნათესავეების მონაწირობის გამო, კონფლიქტი მოგივიდეს. კამათისთვის კიდევ ერთი მიზეზი არსებობს — ეჭვი. ჯობს, გულის კარნახს არ აჰყვე და გონებას მოუხმო. წინააღმდეგ შემთხვევაში, დაძაბულობა კარგა ხანს გასტანს.

# ჩრბრჩ უფდრცხრდუფრტ ფხფდფფდრტა

**ხელოვნური სინათლე,  
რომელსაც კომპიუტერისა  
თუ ტელევიზორის ეკრანი  
ასხივებს, თვალებს ძაბავს და  
მხედველობაზე უარყოფით  
გავლენას ახდენს. როგორ  
დავიცვათ თვალეები?**



ხშირია შემთხვევა, როდესაც შინაგანი ემოციური მდგომარეობა მხედველობას აუარესებს. ფრანგი პროფესორი-ოფთალმოლოგი, მარსელ მენუ ამბობს, რომ მხედველობის პოტენციური შესაძლებლობების გაზრდა ფსიქოლოგიური მეთოდითაა შესაძლებელი. მაგალითად, მისცე საკუთარ მხედველობას „პროგრამა“ — „მე კარგად ვხედავ“.

მხედველობის ნებისმიერი პათოლოგიის უკან ბავშვობაში გადატანილი სტრესი დგას. ხშირად, ახლომხედველებისთვის ეს სტრესი აგრესიასა და ზენოლას უკავშირდება, ხოლო შორსმხედველებისთვის — ემოციის დათრგუნვას. საკმარისია, ემოციის ფონზე დაჭიმული მყესები მოეშვას, რომ მხედველობა გაუმჯობესდება.

როგორ უნდა შევძლოთ დაძაბულობის მოხსნა? შეგნებულად ამის გაკეთება ძნელია, მაგრამ — შესაძლებელი.

ფილოსოფოსმა რობერტ ბერტონმა თქვა — „მშვიდი გონება ყველაფერს კურნავს“. დღის განმავლობაში რამდენჯერმე, თვალეები ხელისგულებით დაიფარე — ისე, რომ ცენტრები თვალის გუგების გასწვრივ მოხვდეს. ეს ხერხი თვალეებს დაძაბულობის მოუხსნის.

როდესაც ტელევიზორის ეკრანს ან კომპიუტერის მონიტორს დიდხანს მიშტერებიხარ, თვალეები იღლება. ჩვეულებრივ, ადამიანი თვალეებს წუთში 20-ჯერ ახამხამებს. ამ დროს საცრემლე ჯირკვლების მიერ თვალის რქოვანას დანოტივება ხდება. როდესაც ეკრანს გაუნძრევლად მისჩერებიხარ, 3-ჯერ იშვიათად ახამხამებ. ამის შედეგად თვალი შრება და წვის შეგრძნება გიჩნდება. საუკეთესო გამოსავალი რქოვანას ხელოვნურად დანოტივებაა. საამისოდ კი შეგიძლია, შემდეგი ვარჯიში გამოიყენო:

30 წამის განმავლობაში თვალეები სწრაფად ახამხამე და ამდენივე ხნის განმავლობაში, მზერა თვალეების გასწვრივ, ერთ წერტილს გაუსწორე (3-ჯერ უნდა გაიმეორო).

თვალეები დახუჭე და გუგები საათის ისრის მოძრაობის მიმართულებით, წრიულად ამოძრავე (4-ჯერ).

დახუჭე თვალეები და გუგები ზევით-ქვევით ამოძრავე (8-ჯერ).

თვალეები მაგრად დახუჭე და უცებ, ფართოდ გაახილე (5-ჯერ).

კომპიუტერის ეკრანი თვალის დაავადებების პროვოცირებას არ იწვევს, მაგრამ სულ მცირე დეფექტსაც კი მსწრაფლ ავლენს. კომპიუტერთან მუშაობის დროს შორსმხედველი, ან ასტიგმატური მხედველობის მქონე ადამიანები გაცილებით სწრაფად იღლებიან, ვიდრე ახლომხედველები.

ყოველი 3-4 საათის მუშაობის შემდეგ თვალეები უნდა დაასვენო. განათება იმ ოთახში, სადაც კომპიუტერი დგას, არც მკვეთრი უნდა იყოს და არც — ზომბზე მეტად ბნელი. განათება ისე უნდა მოაწყო, რომ ეკრანზე ჩრდილი არ ეცემოდეს.

**დამამშვიდებელი კომპრესის რეცეპტი:** უმკარტოფილს რამდენიმე ნაჭერი ჩამოათალე და დახუჭულ ქუთუთოებზე დაილაგე. მოეშვი და კომპრესი 5 წუთის განმავლობაში გაიჩერე.

**დაღლილობის სწრაფი მოხსნა:** თვალეები ონკანის წყლით მოიბანე, ქუთუთოებზე თითები მიიჭირე და რამდენიმე წუთით ჩაიმუხლე. ეცადე, არაფერზე იფიქრო.

**გამამხნეველები კომპრესი:** სასარგებლოა, თუ ჩაის კომპრესს ყოველდღე გაიკეთებ. თვალეები იბრწყინებს და ქუთუთოზე არსებული ნაოჭები გასწორდება.

სიგარეტი, მზის პირდაპირი სხივები და უძილობა მხედველობის უმთავრესი მტრებია. გაუფრთხილდი მხედველობას. ნათქვამია, ერთხელ ნანახი ასჯერ გაგონილს სჯობიაო.



*ვიხზავი, გამეზავნათ  
ხელოვნური სინათლის  
ყუმსებზე!*

# უცხოეთის ცის ქვეშ



აფრიკაში ახალი ავროპული-აქტიური ქართველები

წერილი მეოთხე ნინამორბედი წერილები იხ. „გზა“ №16-18

## ბიორბი მახარაძე

1897 წელს ჟურნალ „მოამბის“ მიმოსილვაში სათაურით „ჩვენსა და სხვაგან“ გამოქვეყნდა ცნობა, რომელშიც ნათქვამი იყო, რომ აფრიკაში, საჰარის უდაბნოს პირას, ქალაქ უარგლასში, გამოჩენილი მოგზაურის, დოქტორ ელისევეის ცნობით, ცხოვრობენ ქართველები...

ბუნებრივია, ამ ცნობამ ქართველ საზოგადოებაში დიდი ინტერესი გამოიწვია.

ჟურნალი ქალაქ უარგლის ლაკონიურ დახასიათებასაც სთავაზობდა მკითხველს: „უწინდელ დროში დიდად სახელოვანი ყოფილა წმინდა ქალაქად წოდებული უარგლა. ახლა კი შესანიშნავს აღარას წარმოადგენს, რადგან უდაბნო სჯაბნის და ნელ-ნელა თავის ქვიშის ქვეშ მარხავს“.

ცნობები აფრიკელი ქართველების შესახებ გამოქვეყნდა იმავე პერიოდის გაზეთ „იფრიასა“ და „ცნობის ფურცელში“, მაგრამ გაცხილებით კონკრეტული და მეტად საინტერესო მონათხრობი იქაურ ქართველთა შესახებ, 1939 წელს გამოქვეყნდა გაზეთ „ახალგაზრდა კომუნისტში“. ჟურნალისტ გრიგოლ კუტუბიძეს ფოტოში შეხვედრია ქართველი მეზღვაური სიორიძე, რომელსაც უამბნია:

„ამ რამდენიმე თვის წინ საბჭოთა სატვირთო გემი მიადგა ჩრდილოეთ აფრიკის ნავსადგურს (მოგვიანებით, ჟურნალისტ მ. მამულაშვილთან საუბრისას მეზღვაურ სიორიძეს დაუზუსტებია, რომ ეს ნავსადგური ალჟირი იყო. — ავტ.), გემზე ორი ქართველი მეზღვაური ვიყავით. ძალზე გვაინტერესებდა აქაური შავკანიანი მოსახლეობის ყოფა. ამიტომ გემის კაპიტანს ვთხოვეთ რამდენიმე საათით ქალაქში გასეირნების უფლება მოეცა. ნავსადგურში ჩვენი ყურადღება მიიპყრო მტვირთავი მუშების არაადამიანურმა შრომამ. ფრანგი ზედამხედველი, რომელსაც რეზინის მათრახი ეჭირა, ხან ერთს გადაუჭრა და ზურგზე, ხან — მეორეს. ვეებერთელა ყუთების სიმძიმით ნელში განწყვეტილი შავკანიანები, რომელთაც წამდაუნუნო ხედებო-

დათ კოლონიზატორის მათრახი, თავიანთ ალფოთებას მხოლოდ კბილთა ღრჭენით თუ გამოხატავდნენ. ჩემმა თანამემამულემ ველარ გაუძლო ამ საშინელ სურათს და ქართულად მომაცხა: დიპლომატიური სკანდალის რომ არ მეშინოდეს, ამ არამზადა ფრანგს ცხვირ-პირს ამოვუტყვევდი.

უცებ მოხდა წარმოუდგენელი რამ: ერთ-ერთმა შავკანიანმა, რომელიც ჩვენთან ყველაზე ახლოს იყო, მიძიმე ყუთი ძირს დააგდო, ჯიქურ მოგვეჭრა და აქლომინებულმა ქართულად მოგვყარა: „ბიჭებო, ქართველები ხართ?“

ჩვენთვის უფრო იოლი დასაჯერებელი იქნებოდა, ეს ზანგი რალაც სასწაულით უცებ რომ გაეთერებულყო, ვიდრე მისი ქართული ლაპარაკი!

რამდენიმე წუთს გამტყრებულები შევეცქეროდით შავკანიანს, რომელსაც სახე უღიმოდა და თეთრი კბილები მოუჩანდა.

— ჩვენ კი ქართველები ვართ, მაგრამ შენ, შავკანიანმა საიდან იცი ქართული? — თითქმის ერთხმად მივაძახეთ ორივემ.

— მეც ქართველი ვარ, თქვენისთანა! ხომ ხედავთ, ჩვენს ენაზე ლაპარაკი არ დამევიწყებია, აქ ბევრი ქართველი ცხოვრობს, რამდენიმე სოფელი გვაქვს, ძველი დროიდან აქ ვსახლობთ. მართლა შავკანიანები არ გეგონოთ, კანი აფრიკის მცხოვრებელ მზემ გაგვიშავა, ენა და ქართველობა კი აქამდე იმის წყალობით შევიწარმინეთ, რომ სხვა ერის კაცებს ჩვენს ქალს ცოლად არ ვატანთ, არც თვითონ ვირთავთ უცხო ტომის შვილებს, — დაასრულა საუბარი შავკანიანმა ქართველმა.

მუშაობას ასე დემონსტრაციულად თავი რომ გაანება, ეს, რა თქმა უნდა, ჭკუაში არ დაუჯდა ფრანგ კოლონიზატორს, მოვარდა და მტვირთავს მათრახი გადაუჭირა.

ჩემი მეგობარი ძლივს შევკავავე“...

„ახალგაზრდა კომუნისტის“ ამ ცნობამ მეზღვაურის ნახვის სურვილი ალჟირა გაზეთის თანამშრომელ მ. მამულაშვილს, რომელმაც უკვე მოთხრობილი უცნაური შეხვედრის ახალი ეპიზოდები დააზუსტა.

„შავკანიანმა მტვირთავმა რომ ნახა, მისმა

ქართველობამ ჩვენში ეჭვი აღძრა, გვითხრა: არა გჯერათ, რომ ქართველი ვარ? აი, იქ ყუთებს რომ ეზიდებიან, ჩემ გარდა, ათი ქართველი მუშაობს, ყველა ერთი სოფლიდან ვართ. ქალაქ უჯდასთან (ახლა მაროკოს საზღვრისპირა ქალაქია. — ავტ.) ქართველების რამდენიმე სოფელია, მოსახლეობის მეტი წილი გუგუნარის გვარს ატარებს, აი, ის მაღალი კაცი კი ჭანუყვარია. გუგუნარი და ჭანუყვარი ჩვენს სოფელშიც ძირითადი გვარებია. მეტისმეტად ლატაკად ვცხოვრობთ, ჩვენი ბავშვები ჩამოგლეჯილი და ფეხშიშველები დარბიან, ადგილიც ძალზე უნაყოფოა, უდაბნოს ხვატი ჩვენამდე აღწევს...

— ჭანუყვარი, გუგუნარი! — ეს ხომ ჩვენი ჭანუყვაძეების და გუგუნაძეების შორეული წინაპრები არიან! — შეეძახე გაოგნებულმა...

— ხომ არ გაიხსენებთ მათი ქართული სოფლების სახელებს, ან რა იციან თავიანთი წინაპრების შესახებ?

— სოფლების სახელების კითხვა ვერ მოვასწარი, ვერც მათი წინაპრების თაობაზე გავიგე რამე, რადგან ფრანგმა ზედამხედველმა როგორც გითხარით, მალე შეგვანწყვეტინა საუბარი“.

საიდან და როდის მოვიდნენ ისინი ამ ადგილებში? „დავუბრუნდეთ XX საუკუნეს: ჟურნალი „მოამბე“ ამ საკითხითაც დაინტერესდა.

„დ-რ მოსტოვიჩის აზრით, ქართველების გადასახლება აფრიკაში შეიძლება, ორნაირად მომხდარიყო: ეგვიპტელ ფარაონებს ხშირად გამოუღალაშქრებიათ მცირე აზიაში და კავკასიასაც ხშირად სწვევიან. ბევრჯერ გაუმარჯვიათ და ბევრი ტყვეც გაუყვანიათ. გარდა ამისა, ძველ ქართველთ დიდი ვაჭრობა ჰქონდათ აფრიკულ ქალაქებთან და შეიძლება მაშინდელთა შთამომავლნი დარჩენილიყვნენ.

ბ-ნ განის აზრით, ქართველთა გადასახლება აფრიკაში დიდი ხნისა არ უნდა იყოს. პლინი (ალბათ, პლინიუსი. — ავტ.) თავის ბუნებრივ ისტორიაში წერს: ვარონი გვარნამუნებს, რომ იბერნი, სპარსნი და სხვა ხალხნი დასახლდნენ მთელ ესპანეთში და ესპანეთიდან აფრიკაში გადასვლა ხომ უადვილესია“.

მაგრამ ეს მხოლოდ ჰიპოთეზაა, — წერს ჟურნალში და იქვე შენიშნავს:

„სამწუხაროა, რომ D-მა ელისევემა უარგლელ ქართველებს არ გამოჰკითხა მათი გადასახლების ამბავი, რადგან ამგვარი მნიშვნელოვანი გარემოების სსოვნა დიდხანს რჩება ხალხის ზეპირ თქმულებაში“.

— აფრიკელი ქართველების თქმა თითქმის თითოეულ ჩვენგანს აწუხებდა, — მოთხრა ინიჩენიმა რევაზ მენიძემ, რომელიც ალჟირში, ურთიერთთანამშრომლობის ხელშეწყობის საფუძველზე, 3 წელი იმყოფებოდა, — მაგრამ სიძნელეები ბევრია, უარგლამდე მოგზაურობისთვის სპეციალური პირობებია საჭირო... თვით ალჟირელების გადმოცემით, სწორედ იმ ადგილებში ცხოვრობენ ადამიანები, რომელთაც თავიანთი ზნე-ჩვეულებით, რელიგიით, ენით თითქოს არაფერი აქვთ საერთო არაბ მოსახლეობასთან... ■

# ინგლისელი, რომელმაც „ეფესოსეოსანი“ ოსურად ისწავლა ანუ რომორ კლამონდა კახა სვანიძე სტივენ ლოიდი...



ყველაფერი აქედან დაიწყო... კახაბერ სვანიძე 14 წლის წინ ლონდონში, ბედის საძიებლად ჩავიდა. სწავლას მონყურებული ახალგაზრდა, ოქსფორდის უნივერსიტეტის სტუდენტი გახდა და ისეთი „პროქართული“ შრომისმოყვარეობა, მიზანსწრაფვა და საქმის ერთგულება გამოიჩინა, რომ კარგი სამსახურიც იშოვა. საქართველოში მშობლები და უფროსი დაიკო ენატრებოდა. და ხშირად უწევდა ვიზისთვის წვალება. გადანყვიტა, ინგლისის მოქალაქე გამხდარიყო და თხოვნა და საბუთები წარადგინა ბრიტანეთის იუსტიციის სამინისტროში. პასუხის მოლოდინში კახა ლონდონის პოლიციამ დააპატიმრა, საბუთების გაყალბებისა და თავისი ნამდვილი გვარის დამალვისათვის.

## შარლოტა კვანტალიანი

— კახა დაგიძახოთ თუ სტივენი?  
— როგორც გნებავთ, მაგრამ სტივენი მირჩევენია, უკვე შევეჩვიე.

— როგორ და რატომ დაგაპატიმრეს ლონდონში?

— ჩემი განცხადების შემდეგ დამაპატიმრეს და გამასამართლეს, რატომ წარმოადგინე ყალბი საბუთები, შენ სტივენ ლოიდი ხარ, ინგლისის მოქალაქის შვილი და არა კახაბერ სვანიძე, როგორც თავს ასალებო... ვუპასუხე: რაღაც კარგი ზღაპარია, რომელზეც მე წარმოდგენა არა მაქვს-მეთქი. უფლება მომცეს, მშობლებს დაგვავეშირებოდი და მათთან გამერკვია სიმართლე.

— თქვენს წარმომავლობასთან დაკავშირებით ეჭვი არასოდეს გაგჩენიათ?

— ოდნავადაც არა. მშობლებს არასოდეს მიუნიშნებიათ და, რაც გასაკვირია, გარეშე პირებსაც არაფერი ჩაუწვევებიათ, როგორც ხდება ხოლმე... სვანიძე ვიყავი საბავშვო ბაღში, სკოლაში და უნივერსიტეტში. მამაჩემი, ომარი, შესანიშნავი კაცია. ისეთი თბილი და მზრუნველი მამაა, ვერასოდეს ვიფიქრებდი — თუ მამინაცვალი იყო.

— სტივენ ლოიდი საიდანღა გახდით?

— დედაჩემს, ქეთევან ქართველიშვილს და ინგლისელ სტივენ ლოიდს მოსკოვში, უნივერსიტეტი გაუცნიათ და შეჰყვარებიათ ერთმანეთი. გადაუწყვეტიათ დაქორწინება (მაგრამ ხომ გახსოვთ, კომუნისტების დროს, უცხოელებზე ქორწინება თითქმის აკრძალული იყო). მიუხედავად ამისა, ისინი საქართველოში ჩამოსულან და ახალგორში (სადაც დედაჩემი ცხოვრობდა), დაქორწინებულან.

ჯერ ჩემი და შესძენიათ, რომლისთვისაც ქეთი სტივენი დაურქმევიათ და მერე მე გავეჩნდი — სტივენ ლოიდი, მამის მოსახელე.

— მერე რა მოხდა, როგორ გახდით სვანიძეები?

— მამაჩემი, სტივენ ლოიდი ცდილობდა, ინგლისში წაეყვანა ცოლ-შვილი, მაგრამ აქედან „კაგებე“ არ უშვებდა, იქ მშობლები არ აძლევდნენ ნებას — რუსი ქალი არ გვინდა, არაფი ეყვარება და მოჩხუბარი იქნებაო... ვერ არწმუნებდა, რომ ქართველი — რუსი არ არის.

— უფროსი სტივენი საქართველოში რას აკეთებდა?

— სახელმწიფო უნივერსიტეტში, უცხო ენების ფაკულტეტზე ლექციებს კითხულობდა.

— ეგ საიდან გაიგეთ?

— ეს მერე დედამ მითხრა და მეც მოვიკითხე აქ მისი ნაცნობები. შევხვდი მის კოლეგებსა და ნასტუდენტარებს. მეუბნებიათ, მამას ჰგავხარო, ხმაც მისნაირი გაქვსო. ის თურმე ნიკო ყიასაშვილთან მეგობრობდა, ყველა უცხოელი, პირველად, ბატონ ნიკოს უახლოვდებოდა და ასე ეცნობოდა ქართულ კულტურას და ლიტერატურას...

— მერე რა მოხდა, თუ ასე კარგად მიდიოდა ყველაფერი?

— სტივენი ინგლისში გამგზავრებულა მშობლების სანახავად და იქ საავტომობილო კატასტროფაში დაღუპულა. როცა დედა დაქვრივდა, ჩემი და ორი წლის იყო, მე — ორი კვირის. ომარ სვანიძეს დედა მოსწონებია, ცოლობა უთხოვია და დაქორწინებულან, მაგრამ მამინაცვალს მოუთხოვია, ბავშვები მის გვარზე გადაესულიყავით და არასოდეს გაგვეგო, სინამდვილეში ვინ ვიყავით. ჩვენი დაბადების მონშობები გადაუშალავთ და

ყალბი საბუთები გაუკეთებიათ. მე კახაბერი დამარქვეს, ჩემს დას — ეთერი. მერე თბილისში გადმოვსახლდით, აქაურმა მეზობლებმა ამის შესახებ არაფერი იცოდნენ...

— რა გრძნობა გაგიჩნდათ, პირველად თქვენ შესახებ სიმართლე რომ შეიტყვეთ?

— დედაჩემი როცა გამომიტყდა, ტიროდა და მეც ავტირდი. თავზარდაცემული ვიყავი, მიხაროდა კიდეც და მწყინდა კიდეც. თითქოს ერთდროულად რაღაც ვიპოვე და დავკარგე...

— სტივენ, ლონდონის ციხიდან როდის გამოგიშვეს?

— მამაჩემისგან ანუ მამინაცვლისგან მოითხოვეს ახსნა-განმარტება ანუ „დანაშაულის“ აღიარება, ამ საქციელის მოტივაცია; ნამდვილი დაბადების მონშობა დამიბრუნეს და არქივიდან ამოიღეს დედაჩემის და მამაჩემის ქორწინების მონშობა და უცერეფონოდ მაღიარეს ინგლისის მოქალაქედ.

— ინგლისში ვისთან ცხოვრობთ?

— (იციინს) ჩემს სახლში. ლონდონის ცენტრში მამაჩემის ოროთახიანი ბინა დამიბრუნეს, სადაც პირველად ვნახე მამაჩემისა და ნათესავების სურათები.

— ნათესავები თუ მოძებნეთ?

— მამა დედისურთა ყოფილა. მისი მშობლებიც აღარ არიან ცოცხლები. სხვა ნათესავებს აქ ერთმანეთთან ისეთი სიახლოვე არა აქვთ.

— ლოიდი ცნობილი გვარია. რამე წოდებასაც ხომ არ ფლობთ?

— ლოიდები ლორდები ყოფილან, მაგრამ მე ტიტულს ვერ მივიღებ. ინგლისში არ დავბადებულვარ და დედა არ მყავს ინგლისელი.

— დედას არ ჰქონდა ქმრის სურათები ან რამე სამახსოვრო?

— ჰქონია, უჯრაში ჩაკეტილი, იქ, სოფელში. მე ორი თუ სამი წლის ვიყავი, როცა მეხანძრის სათამაშო მანქანა მიყიდეს. ერთ დღეს თამაში დავიწყე, ქაღალდებს ცეცხლი წავუკიდე, მერე მანქანა წყლით გადავეს, რომ ჩამეკრო, მაგრამ ხანძარი გაძლიერდა, ირგვლივ ყველაფერს მოედო და დაიწვა. ქუჩაში დავრჩით! ზამთარი იყო. მაშინ შევარდნაძე ძალიან დაგვეხმარა. ბინა მოგვცა.

**— დღევანდელ მთავრობაზე რას იტყვით?**

— აქ ბევრი სიახლე და პრობლემა დამხვდა, განსაკუთრებით კონფლიქტურ ზონაში (სამაჩაბლო) იქ ნათესავები მყავს. ჩავედი. სანაკოვეი გავიცანი. ტურაშვილის თაოსნობით, „ვეფხისტყაოსნის“ კითხვის დღე მოაწყვეს, მე „ვეფხისტყაოსნიდან“ ოსურად წავიკითხე ნაწყვეტები. მერე ლიტერატურულ კონკურსზე ოსურად დანერგილი ლექსი წარვადგინე და პრემიაც დავიმსახურე. სანაკოვეი გაცილებული იყო — ინგლისელმა კაცმა ოსური საიდან იციო? ბებია მყავდა ოსი და იმან მასწავლა. თან ისიც მითხრა, ყველაფერი გააკეთე ქართველებისა და ოსების შესარიგებლად.

**— სანაკოვეს თანამდებობა ხომ არ შემოუთავაზებია?**

— შემომთავაზა, მაგრამ მე იქ სამსახურს ვერ დავინწყებ. ჯერ ერთი, მე მამაჩემის სამშობლოს მივადგინე. მეორეც, ინგლისში სახელიც მაქვს და სამსახურიც. მაგრამ მისთვის თანამშრომლობაზე უარი არ მითქვამს, პირიქით, რაც შემეძლება, ყველაფერს გადავეტე.

**— ისე, ძალიან საინტერესო „ეროვნული ნაზავი“ ხართ: მამა ინგლისელი, დედა ქართველი, ბებია — ოსი...**

— ეტყობა, ამანაც იქონია გავლენა, რომ ენებს ადვილად ვსწავლობ. ჩემს მამინაცვალს არ უნდოდა, რომ ინგლისური მესწავლა, ეტყობა, სულ იმის შიში ჰქონდა, ჩემს ფესვებთან არ დავებრუნებინე ინგლისურს, მაგრამ ბედისწერას ვერ გაექცივი. ლონდონში ტესტი ჩამიტარეს ენის ცოდნაში და დაასკვნეს, რომ მე „გენეტიკური ინგლისური“ ვლაპარაკობ და რომ უცხოელი ასე ვერ ილაპარაკებ.

**— რამდენ ენაზე ლაპარაკობთ?**

— ხუთ-ექვს ენაზე თავისუფლად. თუ ვინმე უცხოელს დავუშვებ რაღაც, მაშინვე ვსწავლობ მის ენას.

**— ინგლისური როგორ ისწავლეთ?**

— ჯერ სკოლაში. მერე ჩემით ვმეცადინებოდი. მინდოდა, უნივერსიტეტში ინგლისურის სპეციალობაზე ჩამებარებინა და რადგან ძალიან დიდი კონკურსი იყო, სერიოზულად დავინწყე ყველა საგანში მომზადება. ასე მოხვდი პროფესორ დოდო ჭუმბურიძესთან, პოეტ ქალბატონთან, რომლის დიდი დამსახურებაა,

რომ უნივერსიტეტში ჩავირიცხე. მის ოჯახთან დღემდე ვმეგობრობ და მეორე დედად მივიჩნევ მას. თავდაპირველად, ფილოსოფიურზე ჩავირიცხე, მერე გადავედი ინგლისურზე, პარალელურად უნივერსიტეტიც ვსწავლობდი. იურიდიული განათლებაც მივიღე და ეს ყველაფერი, ენის ცოდნასთან ერთად, ძალიან გამომადგა ინგლისში.

**— ახლა სად მუშაობთ?**

— მიგრაციისა და მოქალაქეობის საკითხებში იურისკონსულტი ვარ. კარგი ხელფასი მაქვს. საინტერესო სამუშაოა.

**— ქართველები თუ გაცივებულ კონსულტაციისთვის?**

— ქართველები, ბუნებრივია, ძალიან მიყვარს და ვცდილობ, დავეხმარო. ახლა ჩემთან ხუთი ქართველი ცხოვრობს. ვითომ სასწავლებლად არიან ჩამოსულნი. სამწუხაროდ, მშობლებს ატყუებენ და იქ ჩამოსულთა უმრავლესობა უსაქმურად ატარებს დროს. ორ ბიჭს სამსახური ვუშოვე.

**— თქვენი და, ეთერი, როგორ შეხვდა ამ ამბავს?**

— რა თქმა უნდა, მისთვისაც შოკი იყო ეს ამბავი. ის, როგორც ეთერ სვა-

გაზრდებს სრულიად უსასყიდლოდ ვასწავლიდი უცხო ენებს. ასეთი პრაქტიკა არის ინგლისში. შეგიძლია, ციხეში იჯდე და უმაღლესი დაამთავრო, ხარისხი დაიცვა. ყველა ბანდიტი ხომ არ არის იქ, მაგრამ მითხრეს ეს შეუძლებელია, ასეთი კანონი არ გვაქვსო...

**— მეზობლები, მეგობრები თუ გყავთ ლონდონში?**

— იქ მეზობლობა არ იცინა. ჩვენ მხოლოდ ოფიციალურად ვესალმებით ერთმანეთს, მეგობრობა კი საქმესთან არის დაკავშირებული. კაფეში ყველა თავისას იხდის... მოკლედ, ქართული სიტბო იქ არ ტრიალებს. რომ შეიძლება, აქედან ბევრ სიტბოს წავიღებდი.

**— როგორია ინგლისური იუმორი?**

— ქართულ იუმორზე გაზრდილ კაცს გაუჭირდება, მიხვდეს, რაზე იცინიან ინგლისელები! ისე, ხშირად არც იცინიან. იმათ ჩვენი იუმორის გაგება უჭირთ. იქ წინასწარ გეტყვიან, რაღაც მხიარულის თქმას რომ აპირებენ და მაშინ გაამახვილებ ყურადღებას, თორემ შენით ვერც მიხვდები, რა იყო იქ საშხიარულო...

**— დედათქვენს არ აინტერესებს ქმრის სამშობლოს ნახვა?**

— კი, დედას და დას წავიყვან კიდევ სტუმრად, მამინაცვალს კი არ უნდა. სულ გული ურყუდება, შვილი დავკარგეო...

**— ცოლის შეერთება თუ აპირებთ ლონდონში?**

— ცოლად აუცილებლად ქართველს შევირთავ. 35 წლის ვარ, მაგრამ, 20 წლამდე ასაკის გოგონა მინდა შევირთო, რომ მის სწავლა-განათლებლაში მივიღო მონაწილეობა. ინგლისში ქალთან ურთიერთობა იოლია. მოგეწონება — ეტყვი, უპრობლემოდ, ან უარს გეტყვი, ან პაემანს დავინიშნავს. თავს შეურაცხყოფილად არ ჩათვლის შენი წინადადებათ გამო. ახლახან აქ, მეტროსთან გოგონა ძალიან მომეწონა, მივედი და ვუთხარი — მე სტივენ ლოიდი ვარ, მინდა, ცოლად შევირთო, ინგლისში წამომყვები. იმან კი სილა გამანწა, მე ქუჩის ქალი ხომ არ გგონივარო. ალბათ, ჩემი არც ერთი სიტყვა არ დაიჯერა.

**— თქვენც ისე მოიქეცით, როგორც ნესია. ჯერ გაიცანით და ცოლობა მერე სთხოვეთ.**

— ალბათ, ასე მოვიქცევი.

**— რა გეგმები გაქვთ სამომავლოდ?**

— ჩემი ყველა გეგმა ინგლის-საქართველოს ერთნაირად უკავშირდება. ახლა ბანკს ვხსნი ლონდონში. მას „ინგლისის ქართული ბანკი“ ერქმევა. მოკლე ხანში დარეგისტრირდება და ფილიალს თბილისშიც გახსნის. იმედი მაქვს, ორივე სამშობლოს გამოვადგები. ■



სტივენ ლოიდი და ოქსფორდის უნივერსიტეტის პროფესორი ჯეკ რიჩარდსი

ნიძე გათხოვდა ჯულაშვილზე, ახლა მათ ოჯახში პატარა სოსო ჯულაშვილი იზრდება. ჯერ სვანისა და ჯულაშვილის კავშირი გვეჩვენებოდა უცნაურად, ახლა ეთერი, ისევე ქვეით ლოიდი და უცნაურია ისიც, რომ იოსებ ჯულაშვილს დედა ინგლისელი ჰყავს.

**— ხშირად ჩამოდიხართ საქართველოში?**

— ამ ბოლო დროს ხშირად მიწევს. ყველა საბუთი მოვანქსრივე. ორმაგი მოქალაქეობის მიღება მსურს და რამდენიმე წერილი გავუგზავნე პრეზიდენტს, მიხეილ სააკაშვილს, მაგრამ პასუხი არ მიმიღია. ახლახან ახალგორში 100 ბავშვს საჩუქარი ჩავუტანე, სასკოლო ნივთები და ტკბილეული. დიდი მადლობა მითხრეს, ავტოგრაფებს მთხოვდნენ, რაც ძალიან ამაღლებული იყო. რატომღაც ყველას არ გაუხარდა ჩემი ქველმოქმედება. მე კი ბევრი რამის გაკეთება მინდა. მაგალითად, შევიდოდი ციხეში და ახალ-



# ქართული სალიტერატურო...

დასაწყისი იხ. „გზა“, №4-18

## სპეციალური კვარტალი

სუფრა ლამაზი გამოივიდა. გოგოებმა მინდვრის ყვავილების ლამაზი თაიგული, ერთი ბოთლი კონიაკი და შოკოლადის ასორტი მომიტანეს. ძალიან გამისარდა მათი სტუმრობა.

— სოფიო, მართალია, რაც გავიგეთ? — გადაპოცნა გიზელამ და დაკვირვებით შემომხედა.

— რა გაიგე? — დავინტერესდი, ვერ მივხვდი, რას გულისხმობდა.

— სამსახურიდან წავიდაო...

— ვინ გითხრა? — ცოტა არ იყოს, გამიკვირდა.

— მიხეილმა გამოგვიცხადა თათბირზე, ჩვენი ანესტეზიოლოგი გვტოვებს და მოგვიწვევს ალბათ ახლის მიღებაო, — დაამატა ნათიამ.

— ჰო, დაახლოებით ასეა, — გამელენიმა მთავარი ექიმის ეშმაკურ ნათქვამზე, — თუმცა ჯერ ბოლომდე არ გადაამინყვეტია.

— რატომ? კი, მაგრამ რატომ მიდინარე, სხვაგან გადადიხარ სადმე? ჩვენ არ გვეკითხები? — გიზელამ ხელები დაიბანა და გამლივ სუფრას მიუჯდა. — რა გემრიელი რამეები მოუმზადებია ამ გოგოს. აფსუს, რა დროს ვარ დეტაზე? ვაშლის მეტი არაფერი მეჭმება. ჯანდაბას, რაც იქნება, იქნება, დღეს დავარღვევ და მერე ავანაზლაურებ, რა კენა.

— ჩვენ არსადაც არ გაგიშვებთ, გენაცვალე, — ნათიამაც აუბა მხარი, — მოსვლა შენი ნება იყო, წასვლა — ჩვენი. ისე შეგეჩვიეთ სულყველა, უშენოდ გაგვიჭირდება, გაიგე-ე-ე? — კახურად მოუქცია ბოლოში.

— რა ვიცი, რა ვიცი, ვნახოთ, რა იქნება, — გვერდით მიუჯექი ორივეს და ჭიქები სასმლით შევავსე, — აბა, ჩვენ გაგვიმარჯოს.

სასმელმა სხეული გამითბო. მესიამ-ოვნა.

— უნდა გენახა, ბექას რა სახე ჰქონდა. მიშამ ეს რომ თქვა, მოკვდა ბიჭი, — გაიცინა გიზელამ.

— აბა, აბა, თავი ჩაქინდრა და მთელი ნახევარი საათი ზემოთ აღარ აუხენდავს. ნანკამ წაიტრიპაჩა, მე მოვიყვანე ახალ ანესტეზიოლოგსო, მაგრამ ისე იფრინა მიშამ, თავბედი აწყვევლინა.

— რა უთხრა ასეთი? — გული გამალეებით მიცემდა.

— კადრების საქმეს ჯერჯერობით მე ვწყვეტ აქ, შენი დახმარება არ მჭირდებაო. იმდენი გაქო, ცამდე აგიყვანა — ასეთი და ასეთი სპეციალისტი, წესიერი, განათლებული, ზრდილობიანი, ლამაზი, კოლეგიალური და რა ვიცი... მე იცი, რა ვერ გავიგე? სანდროს მოქცევა გამიკვირდა, ხედავდი, როგორ იცინოდა? — თქვა ნათიამ.

— ჰოდა, რომ იცინოდა, იმიტომაც მიიღო საკადრისი პასუხი, — ნიშნის მოგებით დააყოლა გიზელამ.

— არ მეტყვი, რა მოხდა? — ცნობისმოყვარეობამ შემიპყრო.

— მიხეილი შენ რომ გახასიათებდა, სანდრომ რალაცნაირად უშნოდ ჩაიღიმა თუ გაიცინა... რა გაცინებსო? — მიშა ეკითხება — რამე სასაცილოს ვამბობ თუ ხდება რამე სამხიარულო?! სანდრო შეცბა. არაო, უთხრა, რალაც გამახსენდა და იმაზე გამეცინაო. თათბირი იმისთვისაა, მე მისმინოთ და არა სხვა რამეზე იფიქროთო, უხეშად მიმართა მიშამ.

— ვა, მაგარი ამბები ყოფილა, — კმაყოფილების გრძნობა დამეუფლა, როცა მათი ნაამბობი მოვისმინე, — როგორც ჩანს, ხალხი შოკში ჩავაგდე. — ეგრეა, ეგრე. სანდროს ბექას გამოგაცივინა, მისვდა, რომ ანერვიულდა.

— და ბექასგან რა უნდა? — ნათია გაკვირვებული დარჩა.

— რა უნდა და ის, რომ ბექა ბოლო ხანებში ნანკას არ იშორებს გვერდიდან. ნანკა კი ხომ იცი, რამდენ ხანს იყო მაგის საყვარელი. შურისძიების მომენტის მაგვარია, რა.

— ჰო-ო, ახლა მივხვდი, — თქვა ნათიამ და სკამის საზურგეს მიეყრდნო.

— და შენც ამის გამო გადაწყვიტე სამსახურის მიტოვება, არა? რა სულელი ხარ. სიყვარული ჩხუბის გარეშე ვის გაუგია. გავა დრო და ბექაც შეგირიგდება, ყველაფერზე არ უნდა ავარდე, — გიზელამ შემომიტირა, — არ იცი, როგორ უყვარხარ?! აბოდეებს შენზე.

— არ დაიჯერო, ეგ ტყუილი, ზღაპარია, — სიმწრით ჩავიცინე და ისევე ჩამოვასხი კონიაკი, — ქალებს გაგვიმარჯოს, სიხარული არ მოგვშლოდეს, — ვთქვი და ორივეს მივუჭახუნე.

— და სიყვარული, — დააყოლა ნათიამ.

— ბედნიერებაც, — დაამთავრა გიზელამ.

სამივემ ბოლომდე დავცალეთ ჭიქები.

— როგორ გვწყურებია-ა-ა?! — გაიცინა გიზელამ.

— კარგი კონიაკია, სად იშოვე? — ბოთლი ავიღე და სასმელს გავხედე.

— გოგამ მომიტანა კონიაკის ქარხნიდან, ძმაცკმა უფუქმაშა, ძველი ჩამოსხმა. ოცი წლის ნადგომია.

— მაგარია, — ნათიამ ვაშლი ჩაკბინა, — საერთოდ არ მიყვარს დალევა, მაგრამ ეს მესიამოვნა. აქვს შენს ქმარს გემოვნება.

— უკაცრავად! გემოვნება ისეთი აქვს, იცოცხლე! სხვას რომ ყველაფერს თავი დაანებო, ჩემნაირი ცოლი ჰყავს, გენაცვალე, — გაიპრანჭა გიზელა.

— ისე, მართლა, რა საოცარი იყო თქვენი გაცნობა. რომ მახსენდება, სიამოვნება მეუფლება ხოლმე. შენ იცი, სოფიო, როგორ დაქორწინდნენ ესენი? — ნათიამ შემომხედა.

— არა, არ ვიცი. სიმართლე გითხრა, გიზელას ქმარი თუ ჰყავდა, ისიც არ ვიცოდი.

— ბევრი არაფერი დაგკლებია. ის ხომ საზოგადოებაში გამოსაჩენი არ არის, — გადაიკისკისა გიზელამ, — მაგნაირი მახინჯი მამაკაცი მეორე არ დადის დედამიწის ზურგზე.

— სამაგიეროდ, არაჩვეულებრივი ქმარია. ვგიჟდები, ისე მიყვარს, ბრწყინვალე ადამიანია ჩვენი სიძე.

— კი, ასეა, მაგას ვერ დაუკარგავ. ამიტომაც მიყვარს. თხუთმეტი წელია, ერთად ვართ და ერთი ზედმეტი სიტყვა არ მახსოვს მისგან.

— მოჰყევი, რა, როგორ გაიცანი, გეხვენები, — დაიღრმჯა ნათია.

— მოიცა, ერთი, სოფიოს რაში აინტერესებს ჩემი თავგადასავალი.

— როგორ არ მაინტერესებს, მოჰყევი, სიამოვნებით მოგისმენ, — მეც ვთხოვე.

— ისე, კარგი მაგალითია, რომ

იცოდე. ცხოვრება ისეთი მოულოდ-  
ნელობებით არის აღსავსე, რომ ვერას-  
დროს განსაზღვრავ ნინასწარ, რას  
გიმზადებს ბედი.

— მიდი, მიდი, სოფიოც გულს გადა-  
აყოლებს, თორემ ბეჭაზე ფიქრმა და-  
ტანჯა გოგო, ვერ ხედავ, რას დაემს-  
გავსა?

— კარგი, გეტყვით, — გიზელამ წვე-  
ნი მოსვა, პომადიანი ტუჩების ირგვლივ  
თითები ფრთხილად მოისვა და დაინ-  
ყო:

— ერთი ნახვით შეყვარების არას-  
დროს მჯეროდა. ძალიან რაციონალური  
პიროვნება ვარ, შემთხვევითობის არ  
მნამს, მაგრამ ჩემს ცხოვრებაში ისეთი  
რამ მოხდა, რამაც სრულიად შემიცვა-  
ლა წარმოდგენა ჩემს შეხედულებებზე.  
მაშინ დიდი ხნის დამთავრებული მქონ-  
და ინსტიტუტი, მაგრამ არ ვმუშაობდი.  
ერთი დაქალი მყავდა, ლელა. დამირეკა,  
ჩემი საქმრო აგარაკზე გვეპატიჟება და  
წავიდეთო, თან ჩემი შეყვარებული კო-  
ბაც დაპატიჟა. ლელას საქმრო ვილაც

ოლიგარქის შვილი იყო, თავზე გა-  
დასდიოდათ ქონება. საღამო ხანს  
მოსრილდა ეს ბიჭი ჯიპით, ჩაგვსხა  
მანქანაში და დუშეთისკენ  
გავეშურეთ. ლელას მისი მშობლები  
უნდა გაეცნო. სასტიკად არ მომე-  
წონა სასიძო, დათო ერქვა. ისეთი  
გაბლენძილი ტიპი ჩანდა, მივხვდი,  
მასთან საერთო ენას ვერასდროს  
გამოვხანავდი. კატეგორიულად ვერ  
ვიტან ასეთ „ნაგლებს“. მთელი გზა  
ტრიაბახობდა, მამაჩემმა ეს გააკე-  
თა, ის გააკეთა, ამდენი ფული  
იშოვა, ამასთან მეგობრობს, იმას  
იცნობსო და ა.შ. ვერ მოვითმინე  
და ვკითხე, შენ რას აკეთებ, ის  
მოგვიყვი, მამაშენი რაში გვან-  
ტერესებს-მეთქი. კობამ მუჯღუ-  
გუნი გამკრა, ასე უხეშად ნუ ეყე-  
რობი ადამიანსო. თვითონ კი უცებ  
დაუძმაკაცდა. ეხერხებოდა მსგავ-  
სი რამეები. რადგან ფულიანი იყო,  
მასთან მეგობრობაც აძლევდა ხელს.  
დათოს არ ესიამოვნა ჩემი შენიშვნა,  
ერთი მტრულად გამოხედდა და პირში  
წყალი ჩაიგუბა. ლელა გამოპრანჭული  
იყო. მე ჩვეულებრივად, სპორტულად  
მეცვა, ჯინსის შარვალი, ლურჯი მაი-  
სური და თეთრი ბოტასი. არც ვიცო-  
დი, რისი ჩაცმა უფრო იყო მიღებული  
ოლიგარქთან ქალაქგარეთ, აგარაკზე  
სტუმრობისას, მაგრამ ფეხებზე მეკიდა,  
რამიც უფრო კომფორტულად ვგრძნობ-  
დი თავს, ის ჩავიცვი. სულაც არ ვა-  
პირებდი ვილაცისთვის თავის მოწონებას.  
ბოლოს და ბოლოს, სვეტური საღამო  
ხომ არ იყო. კიდევ კარგი, ასე ჩავიცვი,  
არ იცით, როგორ გამომადგა ბოლოს.

მანქანამ ვინრო, უასფალტო გზაზე  
გადაუხვია, ოღორ-ჩოღორებზე გვიწვე-  
და სიარული. მე და კობა ვხტუნავდით  
უკანა სავარძელზე, თანაც ძალიან ჩქარა  
მიდიოდა, „პაკაუზობდა“ თავის ჭკუა-  
ში. უკვე ღამდებოდა. კიდევ ერთი მო-

სახვევი და... საშინელი ჭახანის ხმა გა-  
ისმა. აშკარა იყო, რაღაცას დაეჯახა.  
დათომ მკვეთრად დაამუხრუჭა. შიშის-  
გან შევეკვილე. გადმოვცვივდით მან-  
ქანიდან. საქმრომ ფარები ანთებული  
დატოვა და მანქანას წინიდან შემოუარა.

— რა არის? — ძრწოლით იკითხა  
ლელამ, ალბათ შეეშინდა, კაცი ხომ არ  
გაიტანაო.

ამასობაში მეც მივედი. იმან, რაც იქ  
ვნახე, შოკში ჩამაგდო. პატარა, თეთრი  
ციკანი ეგდო მანქანის ბორბლებქვეშ და  
მძიმედ სუნთქავდა, ქარვასავით ყვითე-  
ლი თვალებით საცოდავად გვიყურებ-  
და, თითქოს შევლას გვთხოვდა.

— ჯობია, ყელი გამოვჭრაო, თორემ  
მოკვდებოდა, — თქვა დათომ, — მწვადებს  
მაინც შევწვავთ.

— არა, არა, სისხლს შეამჩნევენ, ემანდ  
ვინმე არ მოგვადგეს. ასევე წავიყვანოთ  
და ადგილზე დავკვლათ, — გამოთქვა  
აზრი კობამ.

ისეთი განმგმირავი მზერა ვესროლე,  
ადგილზე გავანადგურე.



— გაგიფიქრებ? რას ჰქვია, ყელი უნდა  
გამოჭრაო. ცოცხალია, ვერ ხედავთ? ასე  
როგორ შეიძლება? — ვიყვირე სიმწრით.

— სულერთია, ხვალამდე მაინც ვერ  
გაატანს, ფეხი აქვს მოტეხილი, —  
დაასკვნა გაბლენძილმა სასიძომ, — ისე-  
დაც, ტურები შეჭამენ, აქ რომ დავტო-  
ვოთ. სამაგიეროდ, კარგი მწვადი აშიშხ-  
ინდება.

წერვიულმა კანკალმა ამიტანა. ამისთანა  
უგულოები როგორ არიან ეს კაცები?  
ციკანს მიუხაზლოვდი და თავზე ხელი  
გადავუსვი. როგორ შემეცოდა, ვერ  
აღვინერო. რა უნდოდა საწყალს გზა-  
ზე? ალბათ პატრონს გამოექცა და გზა  
აებნა.

— მე რა ვქნა, ჩემი ბრალია? პირდა-  
პირ ბორბლებქვეშ შემომიხტა, თავის  
თავს დააბრალოს, — თავი იმართლა  
დათომ, — გავიყოლოთ, გავიყოლოთ,  
წითელი ღვინო მოვასხათ და ისე  
დავბრანოთ. გიზელა, შენ გაგისინჯავს

ასე მომზადებული მწვადი? — როსროს-  
ით მომიტრიალდა სასიძო.

ხმა არ გავეცი. ლელას პატივისცე-  
მით, თორემ, ვიცოდი, რაც უნდა მეთქ-  
ვა. ერთს გემრიელად გამოვლანძლავდი,  
მაგრამ მაქსიმალურად შევიკავე თავი.

— მოდი, დროზე ჩავაგდოთ საბარ-  
გულში, სანამ პატრონი თავს წამოგე-  
დომია, — საქმიანად მითხრა კობამ, —  
დათო, ჯერ მანქანა გადავაყენოთ, ხელი  
რომ არ შეგვიშალოს. ლელა, შენ ჩაჯე-  
ქი და დაქოქე.

კაცები „ლექსუს“ დაეჯაჯგურნენ,  
ლელა საჭეს მიუჯდა. დრო ვიხელთე,  
ციკანი ხელში ავიყვანე, მკერდზე მივიკარი  
და ნელ-ნელა გავვერიდე იქაურობას.  
როცა თვალთახედვის არეს მოვწყდი,  
ტყისკენ მივტრიალდი და სირბილით  
შევერიე სიბუნელს.

კარგა ხანს მესმოდა მათი ძახილი,  
დაბრუნებას მთხოვდნენ, მე კი გავრბო-  
დი და გავერბოდი. არ ვიცო, რამდენი  
მეტრი გავივრბინე... დავილაღე და შევე-  
ექი, რომ შემესვენა, მერე კი წელი ნაბიჯე-

ბით გავაგრძელე გზა. ირგვლივ  
უკუნი სიბუნელი იყო, ჭრიჭინების  
ხმა არღვევდა მხოლოდ მყუდროე-  
ბას. ჩემდა გასაკვირად, თავდა-  
პირველად არ შემეშინებია, წინ  
მივიწვედი, მაგრამ თავადაც არ ვი-  
ცოდი, სად მივდიოდი, ან სად გამიყ-  
ვანდა ეს ტყე. ჩემთვის ადგილი  
სრულიად უცნობი იყო. ცოტა ხან-  
ში მათი ხმები მიწყდა. როგორც  
ჩანს, კარგა შორს ვიყავი წასული.  
იმწუთას არაფერზე ვფიქრობდი,  
მხოლოდ ციკანი მინდოდა გადა-  
მერჩინა, ეს სურვილი მამოძრავებ-  
და. რა მომელის? ვაითუ, სისხლის  
სუნზე მართლა გამოვცვივდნენ  
ტურები და ციკნიანად შემსანსლონ.  
ხომ ვიქნები ღირსი? შიგადაშიგ  
სმენას ვამახვილებდი, იქნებ საიდ-  
ანმე მანქანის ან ადამიანის ხმა  
გამეგონა, იქნებ ახლომასლო გზა  
ყოფილიყო. თქვენც არ მომიკვდეთ,

ჩამიჩუმე არ ისმოდა. ხელები დამელა-  
ლა. წინვის სუნი მეცა, როგორც ჩანს,  
ნაქვანარი დაიწყო. ამან უფრო გამიად-  
ვილა სიარული, უფრო მეჩხერი ტყე იყო,  
ბალახიც დაბალი ხარობდა. არ ვიცო,  
რამდენ ხანს ვიარე. მოულოდნელად წინ,  
შორს, მბჟუტავი შუქი დავლანდე. სიხ-  
არულისგან ცას ვენიე. როგორც იქნა,  
რაღაც გამოჩნდა-მეთქი. უკანასკნელი  
ძალა მოვიკრიბე და იქითკენ გავეშურე.  
რომ მივუახლოვდი, პატარა ქოხი დაე-  
ინახე, საიდანაც შუქი გამოდიოდა. ნე-  
ტავ, ვინ ააგო ამ ტყე-ღრუში ქოხი, ვის  
რაში სჭირდებოდა? ალბათ მონადირეე-  
ბი თუ არიან-მეთქი, გავიფიქრე. მოუ-  
ლოდნელად იქვე, ახლოს, ძალღი აყეფ-  
და. ყეფის ხმაზე ქოხის კარი გაიღო და  
პარმალზე შავი სილუეტი გამოჩნდა ფარ-  
ნით ხელში. მერე ბუნდოვნად მახსოვს,  
რა მოხდა. როგორც ჩანს, ადამიანი რომ  
შევნიშნე, იმედი მომეცა და მოვეშვი,  
ძალა გამომეცალა. იქვე ჩავიკეცი.

— ნუ გეშინია, ყველაფერი კარგად იქნება, — ჩამესმა ყურში მამაკაცის ხმა.

მერე ვილაცის ძლიერმა ხელმა ამიყვანა და გონიც დავკარგე.

თვალი რომ გავახილე, ქოხში ვინე-ქი. სანთლის შუქზე იქაურობა მოვათვალე. მასპინძელს რომ შევხედე, კინალამ მეორედ დავკარგე გონი. ასე მეგონა, ყაჩაღების ბუნაგში მოვხვდი, წვერიანი, თმაგაბურძენილი, ცალთვალახვეული მამაკაცი დამჩერებოდა ღიმილით. ზღვის მეკობრეს ჰგავდა, ქმარში გარჭობილი ხანჯალი აკვდა მხოლოდ. ჩემი პატარა თეთრი ციკანი კუთხეში მიყუჟულიყო.

— მანქანა დაეჯახა, — აკანკალებულმა ძლივს ამოვთქვი.

რამდენიმე წუთის განმავლობაში წვეროსანი ეჭვის თვლით მიყურებდა, მერე ღრმად ამოიხვნეშა და მაგიდისკენ მიტრიალდა. მესმოდა, რაღაც სიტხეს როგორ ასხამდა ჭიქაში, ბოლოს ჩემკენ მოტრიალდა და ყურთან ფინჯანი მომანოდა.

— დალიე, ნითელი ღვინოა, ცოტას მოგამაგრებს, — თბილი ხმით მითხრა.

ნითელი ღვინის ხსენებაზე უარესად ამაკანკალა. წარმოვიდგინე, როგორ ასხამდნენ გატყავებულ ციკანს ღვინოს, შამფურზე აცემის წინ. უსიტყვოდ ჩამოვართვი ფინჯანი უცნობს და დავლიე, თან ისე, წვეთი არ დამიტოვებია. ცოტა ხანში ოთახი დატრიალდა, მასსოვს, რაღაცას ვლაპარაკობდი, ვბოდავდი, ვყვიროდი მგონი... მერე გავითიშე.

გონს რომ მოვეგე, უკვე გათენებული იყო, მზე აცხუნებდა.

— გიზელა, გაიღვიძე? — ღიმილით მომიახლოვდა ჩემი მასპინძელი.

გაოცებისგან პირი დავაღე. ჩემი სახელი საიდან იცის? როდის ვუთხარი? ვერაფრით გავისხენე, რა მოხდა ნუხელ, ერთი კადრიც კი ვერ აღვიდგინე მხსიერებაში. ტანზე დავიხედე, რაღაც ცხოველის ტყავი მეფარა. მონადირე ყოფილა, გავივლე გუნებაში.

— ისევ გტკივა თავი? — კვლავ მკითხა მამაკაცი.

ყველაზე საოცარი ის იყო, რომ ყველაფერი მტკიოდა თავის გარდა.

— არა, — ჩავილულულე და წამოდგომა დავაპირე.

— ჩაიდანე უკვე შემოვდგი, წყალი ადულდება, ვისაუზნოთ და წავიყვან, — თქვა ცალთვალმა.

— სად? — შიშისგან სისხლი გამეყინა ძარღვებში.

— როგორ თუ სად? შენ რა, არაფერი გახსოვს? — გაუკვირდა მამაკაცს და დაეჭვებით შემომხედა.

— არ მინდა ჭამა, ჯობია, დროზე წავიდეთ, — შეშინებულმა წარმოვთქვი.

ახლა არ მომეჩვენა ისეთი საშინელი, როგორიც ნუხელ. არადა, პირველად რომ დავინახე, ტანში დამბურძღლა. მხრე-

ბი ავიჩიე.

— გასაგებია, — ღიმილით ჩაილაპარაკა უცნობმა და თითი ქოხის სიღრმისკენ გაიშვირა, — ხელსაბანი იქაა, ხოლო საჭიროების სხვა ადგილები, უკაცრავად, მაგრამ გარეთ, ეზოში. მე აქ ველურივით ვცხოვრობ, ყოველგვარი კომფორტის გარეშე. ნავალ, ბეკეკოს ბალახს მოვუტან, მომივდებოდა უკვე, — თქვა და გავიდა.

როგორ მინდოდა სარკეში ჩამეხედა, მაგრამ ამ სიამოვნებას ვინ მაღირსებდა. ჩემი ჩანთა, თავისი კოსმეტიკური აღჭურვილობითა და საბუთებით, დათოს მანქანაში დარჩა. მაინტერესებდა, როგორ გამოვიყურებოდი. ალბათ მეც ველურს დავემსგავსე. ლოყაზე წვას ვგრძნობდი, გამახსენდა, გზაში ეკალებარდს რომ გამოვედე, ღანვიც მაშინ გამეკანრა. თმაზე გადავისვი ხელი, ვარცხნილობა ხომ არ გამიფუჭდა-მეთქი. გამეცინა, რა დროს ვარცხნილობა იყო, შუაგულ ტყეში ვიმყოფებოდი ვილაც „პირატთან“ ერთად. ქოხს თვალი მოვაგლე. უცნაური იყო იქაურობა. ხის მაგიდა და ასეთივე ხისგან გამოჩორკნილი რამდენიმე ტაბურეტი, ღუმელი და დასაკეცი საწოლი, „ლეჟანკას“ რომ ვეძახით. თაროებზე სქელტანიანი წიგნები იყო შემოლაგებული, ერთზე ფრანგული წარწერაც კი დავინახე. ყველაზე საოცარი კი ნოუტბუკი იყო, მაგიდაზე რომ იდო. ეს სად ვარ, ვისთან მოვხვდი? მონადირეა თუ მეცნიერი? ნადირობს თუ კვლევებს აწარმოებს? მთლად დავიბნე. იქნებ მეტყვევია? თუ ასეა, ძალიან უცნაური მეტყვევე ჩანს.

უეცრად კუთხეში რაღაც შეირხა და ციკანი ბავუნით გამოვიდა, თან კოჭლობ-



და. გამიხარდა მისი დანახვა. ჩემს დაძახებაზე ყურადღებაც არ მოუქცევია, პირდაპირ კარს მიადგა, გარეთ უნდოდა გასვლა. სწორედ ამ დროს კარიც გაიღო და ცალთვალ გამოჩნდა. კარგად დავაკვირდი. საკმაოდ სიმპათიური მამაკაცი იყო, ოცდაათი-ოცდაცამეტი წლის. ქერა, დაკუნთული.

— ახლავე მოგხედავ, — მონადირემ

თუ მეტყვევებ, რომლის სახელიც კი არ ვიცოდი, ციკანს გზა დაუთმო და თვითონაც უკან მიჰყვა.

რამდენიმე წუთის შემდეგ მანქანის დაქოქვის ხმა მომესმა. ჩემი მასპინძელი შემოვიდა, ნოუტბუკს ხელი დაავლო და ისევ გარეთ გავიდა. მეც გავედი. ეზოში შავი ჯიპი იდგა.

— ნავედით, — თქვა უცნობმა და მანქანის კარი გამიღო.

ციკანი და ძალი უკანა სავარძელზე მოკალათებულიყვნენ ერთმანეთის გვერდით, კარგი მეგობრებავით.

— თქვენც დავკვლას უპირებთ? — მივუბრუნდი „პირატ მეტყვევს“.

გაოცებულმა შემომხედა და სიცილი აუტყდა.

— ვხედავ, რომ მეორე ჭიქა არ უნდა დაგელია, — სიცილი არ შეუსყვევტია უცნობს, — ეს ციკანი ჩემია. ისეთი ოხერია, არ ვიცი, როგორ გამეჭვა. ხეტიალი უყვარს. იქაც გადამირია მეზობლები, სახლში. ხანდახან მომყავს აქ, ტყეში, როცა მე მოვდივარ. აქ სხვანაირი ბალახია, მადა ემატება. ნუ გეშინია, მის დაკვლას არ ვაპირებ. ერთმა ლოთმა მომყიდა. ალბათ სადმე მოიპარა. იმედია, ის მაინც გახსოვს, რომ გოგა მქვია, თუ ესეც არ გახსოვს?

გაბუთული ბავშვივით გაჩუმდი.

— ნუ ხარ ასე მოლუშული. ნუ გეშინია, მართლა არ ვაპირებ მის დაკვლას, არც ნითელი ღვინის მოსხმას, გასაგებია? — თავი გადააქნია.

თბილისში ჩამოვედით თუ არა, პირდაპირ ჩემი ბინისკენ აიღო გეზი. გაოცებული ვიყავი. როგორც ჩანს, ნუხელ მისამართიც კი ვუთხარი. სადარბაზოსთან შეაჩერა. მივხვდი, უკვე დამშვიდობების დრო იყო. მაღლობის მაგვარი რაღაც წავიჩურჩულე და ჯიპიდან გადმოვედი. მივდიოდი და ფეხები უკან მრჩებოდა. ასე მეგონა, რაღაც მაგინწყებოდა მანქანაში, იმ უცნობი კაცისკენ მენუოდა უჩინარი ძალა... ის იყო, კარს გასაღები მოვარგე და გადავბტრიალე, რომ მკლავზე ვილაცის შეხება ვიგრძენი. თავი მოვებრუნე და გოგა დავინახე. მას სიტყვა არ უთქვამს, ისე შემომყვა სახლში... და არც არაფრის თქმა იყო საჭირო...

ბევრი რაღა გავაგრძელო და, იმ დღიდან ერთად ვცხოვრობთ. გოგა იურისტი, საკმაოდ გველენიანი და ცნობილი. პარალელურად, თავისი ბიზნესი აქვს, მცირე, მაგრამ შემოსავლიანი. გამიმაართლა. მერე რა, რომ ცალთვალაა, სამაგიეროდ უნიკალური ადამიანია, უაღრესად კარგი პიროვნება და არაჩვეულებრივი ქმარი. აი, ასე.

გიზელამ თხრობა დაამთავრა, მე თვალები ცრემლით ამესებოდა.

— ციკანი? — ხმააკანკალებულმა ვკითხე.

— ციკანი იმხელა გაიზარდა, შენი მოწონებული, ამაყი და ამპარტავანი. იმდენ ხანს გყავდა, სანამ არ დაბრუნდა.

— ხომ ლამაზი ამბავია? — მკითხა ნათიამ და თავი მხარზე დამადლო.

— ძალიან, — დავეთანხმე, — კობა როგორ შეხვდა თქვენს ამბავს?

— უჰ, კობასთვის ვის ეცალა. არც დავინტერესებულვარ. ჩვენს ურთიერთობას არც ერქვა სიყვარული, სიმართლე გითხრა. გოგა სხვა იყო. არ ვიცი, რა მეტყა ამისთანა. დილით, როგორც კი შევხედე, მივხვანი, რომ მის გარდა არავინ მინდოდა. მერე დამცინოდა, იმ ღამესვე რომ ჩამიგორდი ლოგინში და მეორე დღეს არაფერი გახსოვდა, როგორ იყო.

— მართლა? — თვალები გამინათდა.

— არა, რას ამბობ, მსგავსი არაფერი ყოფილა, მაგრამ რადგან არ მახსოვდა, რალაცებს მიგონებდა ხოლმე წლების განმავლობაში. მოდი, ახლა დავლიოთ, გაშრა ყელი.

ყველას გაგვეცინა. კიდე დავლიეთ, ახლა უკვე სიყვარულის სადღეგრძელო.

— ასე რომ, ჩემო სოფიო, ყველაფერი შემთხვევებზე დამოკიდებული. დარწმუნებული ვარ, ბექასაც ერთი ნახვით შეუყვარდი. ამიტომაც ასე იოლად არ დაგთმობს. ალბათ უნდა, რომ ცოტათი გაგანერვიულოს. კაცები ასეთები არიან, დამიჯერე.

ამ დროს კარზე ზარის ხმა გაისმა. ნამდვილად არავის ველოდი, მაგრამ ვიცოდი, სანდრო რომ იქნებოდა. ასეთ დროს სხვა არავინ მოვიდოდა. უხერხულად გადავხედე გოგოებს და კარის გასაღებად გავედი.

არ შევმცდარვარ, ის იყო, ნასვამი, თვალმჩანაწარებული.

— რა თქმა უნდა, არ გაგიხარდა ჩემი ნახვა, არა? — მითხრა და ჩარჩოს მიყვარდნო.

— დაუპატიჟებელ სტუმრებს არ ვიღებ, — უკმეხად ვუთხარი.

— როგორ ხარ? — ბანზე ამიგდო სიტყვა.

— სტუმრები მყავს და არ ატეხო ახლა ერთი ამბავი, — შემეშინდა, კოცნა არ დამიპიროს-მეთქი.

— სტუმრები? ვინ არიან, ნახვა თუ შეიძლება?

— ძალიან გთხოვ, ნადი, აქ შენი ადგილი არ არის.

— ვნახე, ვინ გყავს სახლში და წავალ, პირობას გაძლევ, ცუდად არ მოვიქცევი. სანამ რამეს ვეტყვოდი, გვერდი ამი-არა და სასტუმრო ოთახში შეაბიჯა. ნათიას და გიზელას დანახვაზე თვალები დააჭყიტა.

— კომპანიას გაუმარჯოს, — არ დაიბნა და ორივეს გადაეხვია, — რა ქარმა გადმოგაგდოთ აქეთ?

— ჩვენ კი არა, შენ რა ქარმა გადმოგაგდო, ის გვითხარი. რაშია საქმე, სახლში არ გიშვებენ? — ირონიით მიმართა გიზელამ.

— არ მიშვებენ, ხომ ხედავ... უკვე

ალარავის ვჭირდები, — ხელი გაიქნია სანდრომ, — ვხუმრობ, რა თქმა უნდა. ვიფიქრე, ერთი ამ გოგოს გაუუვლი და ვკითხავ, რატომ მიატოვა მუშაობა-მეთქი და თქვენც აქ დამხვდით. ალბათ იგივე უნდა გვეითხათ, არა? რას სვამთ? საჩემო არის რამე?

— კონიაკი გვაქვს, დალევ? დაჯექი, — ნათიამ სკამი გამოსწია.

— დავლევ, აბა, რას ვიზამ.

გიზელას გვერდით დავჯექი და სანდროს მივაშტერდი. ნერვებს მიშლიდა ეს კაცი.

— ნიტას ველაპარაკე ამას წინათ, — დავინწყე, რომ გოგოებს რამის ეჭვი არ გასჩენოდათ.

— რაო, მერე? — სანდრომ დამცინავი იერი მიიღო.

— ძალიან გაფუჭდა ბოლო ხანებში, სმას მოუხშირაო.

— სოფიო, ნიტას საიდან იცნობ? — დაინტერესდა გიზელა.

— ჩემი ბავშვობის მეგობარია, ინსტიტუტშიც ერთად ვსწავლობდით, სანამ გათხოვებოდა, — ნაძალადევად გავიღიმე.

— მართლა? არ ვიცოდი. რა კარგი გოგოა, გადასარევი... შე ოხერო, ამისთანა ცოლის პატრონი ასე გარეგარე უნდა დარბოდე? — უსაყვედურა გიზელამ. — რას დასდევ სხვის ცოლებს, საკუთარს მიხედ.

— არავის ცოლებს არ დავდევ მე, — იწყინა სანდრომ.

— ცოლებს არა, მაგრამ სხვა ქალებს ხომ დასდევ, — არ დაუთმო კოლეგამ.

— დღია რაზნააბრაზია რა უჭირს, ხანდახან ესეც საჭიროა, — გაიცინა სანდრომ და ჭიქა ასწია, — თქვენ გაგიმარჯოთ, ქალებო, უთქვენოდ ჩვენ ვერ ვიარსებებდით. ჩვენი შთაგონების წყარო თქვენ ხართ.

— აბა, რა, მამაკაცებს სხვა ალტერნატივა არა გაქვთ, — გაიცინა ნათიამ.

— აი, გიყურებთ ახლა და მსიამოვნებს, რა ლამაზები ხართ ყველანი. იცოცხლეთ, — თქვა სანდრომ და გადაკრა.

— ასეა, ასე, ქალი რომ ოცდაათს გადასცდება, საუკეთესო ფორმაში მასინ დგება, სამაგიეროდ, კაცებს გაქვთ დარხეული. ოცდაათ წელს რომ გადასცდებით, უკვე ძალიან ბებრები ხართ, ამას რომ მიხვდეთ.

— რას, ქალის ასაკობრივ სიდიადეს? — დამცინავად იკითხა მამაკაცმა.

— ჰო, ჰო, ასაკობრივ სიდიადეს. ამის ნიჭი თქვენ არ გაგაჩნიათ, — არც გიზელა დარჩა ვალში სანდროს.

— მაგით რა გინდა თქვა? რომ ქალები უფრო ნიჭიერები ხართ?

— ეჭვი არ შეგეპაროს. ოდესმე გინახავს ქალი, რომელმაც შეიძლება ჭკუა დაკარგოს კაცის გამო იმიტომ, რომ ამ უკანასკნელს ლამაზი და გრძელი ფეხები აქვს? კაცებს კი შეგიძლიათ, იმიტომ, რომ უტვინოები ხართ.

— სამაგიეროდ, ქალები ხართ სამ-

ინლად ცნობისმოყვარეები, — არ თმობდა სანდრო.

— თითქმის როგორც მამაკაცები, — გადაიკისკისა გიზელამ და თვალი ჩამიკრა.

— აუჰ, თქვენს ხელში ჩემი მტერი ჩავარდა, წავედი მე, წავედი, თორემ მალე გადამდგამთ, ისეთ დღეში ჩამაგდებთ, — სანდრო წამოდგა, ერთი ჭიქა უკითხავად ჩამოიხსა, ოჯახის დიასახლისის სადღეგრძელო უნდა დავლიოო, დამლოცა და ისევ გადაკრა.

კარამდე მივაცილეთ. მოტრიალდა და თვალბუჩქი ჩამხვდა.

— არ ნახვიდე სამსახურიდან, გთხოვ. მე მხოლოდ ამის სათქმელად მოვედი. თუ არ გინდა ჩემთან ურთიერთობა, თავს არ შეგანყენ, გეფიცები, ოღონდ დარჩი. ახლოს არ გაგეკარები, სმასაც არ გაგცემ, თუ დისკომფორტს გიქმნი. დავიცადოთ ცოტა, თუ მოგიბრუნდა გული, ხომ კარგი, თუ არა და, შენ შენი გზით წახვალ, მე კი...

— შენს ოჯახს დაუბრუნდები, — დავამთავრე მისი აზრი.

— ამას მომავალი გვიჩვენებს. მამაკაცი, თუ რამე განწყენინე, არ მინდოდა, შვილებს გეფიცები.

პასუხი არ გამიცია. იმას, რაც ჩვენ შორის იმ ღამეს მოხდა, ვერასდროს ვაპატიებდი, მაგრამ ახლა ამის თქმის არც დრო იყო და არც სიტუაცია, ერთი სული მქონდა, როდის წავიდოდა.

ოთახში რომ შემოვბრუნდი, გიზელა ვილაცას ელაპარაკებოდა მობილურზე.

— მეც ძალიან მომენატრეთ, ანიკო დეიდა, აუცილებლად გინახულეთ ამ დღეებში, აუცილებლად, — თან ხელის და ტუჩების მოძრაობით მანიშნა, ბექას დედააო.

ადგილზე გავქეკავდი. მუხლები მომეკვეთა ნერვიულობისგან.

— რა თქმა უნდა, რა თქმა უნდა. ჯერ ახალგაზრდაა, ხომ იცით, გაუფლის... გამოუცდელი ხომ მოსდის, აბა რა... ჰოდა, სწორედ მაგაშია საქმე, აქამდე რომ არავინ ჰყვარებია, ჰგონია, რომ ყველაფერი ეპატიება... ახლავე მოგცემთ, ახლავე, სახლის ნომერსაც და მობილურსაც, — თქვა გიზელამ და ჩემი ტელეფონის ნომრების კარნახი დაიწყო.

თვალები გამიფართოვდა.

— ნახვამდის, ქალბატონო ანიკო, კარგად ბრძანდებოდეთ... მეც, მეც, ძალიან მიყვარხართ და უდიდეს პატივს გცემთ, კარგად, — ღიმილით დააყოლა და გათიშა.

— რა ხდება? — თითქმის ერთდროულად ვიკითხეთ მე და ნათიამ.

— სოფიოს ნახვა მინდა და ტელეფონის ნომერი მომეცით. მეც მივეცი, რა მექნა, — ეშმაკურად გამიღიმა გიზელამ, — დაგირეკავს ახლა, აი, ნახავ.

ამის თქმა იყო და ქალაქის ტელეფონზე ზარის ხმა გაისმა.

გაგრძელება შემდეგ ნომერში

# გონების სასარჩილო

## „გზის“ ერთგული მკითხველისათვის (კითხვები)

ქვემოთ მოცემული კითხვები ურნალ „გზაში“ სხვადასხვა დროს გამოქვეყნებული მასალების მიხედვით არის შედგენილი. შეეცადეთ პასუხი გასცეთ ამ კითხვებზე ისე, რომ

### „პასუხების“ სვეტისაჲ არ გაბაჲსეთ თვალი.

1. ამ ქართველი მსახიობი ქალის ძარღვებში ქართული, რუსული, პოლონური და იტალიური სისხლი ჩქეფდა. დაასახელეთ იგი.
2. „მე შვიდი წლის ვიყავი და კითხვა ვიცოდი, ის კი თორმეტი წლის იყო და ჯერ ლაპარაკიც არ იცოდა“, — რის შესახებ წერდა ამას ჟან-პოლ სარტრი თავის მემუარებში?
3. დაასრულეთ ინდოელთა გამონათქვამი: „ღმერთო, დამიფარე გველის კენისაგან, ვეფხვის კლანჭისაგან და ავლანელის...“
4. მიხაილ კოზაკოვი ჰყვებოდა: „ჩემი სამსახიობო კარიერის განმავლობაში ჰამლეტისა და პოლონიუსის როლები მაქვს ნათამაშები. ამჟამად, ჰამლეტის მამის აჩრდილის როლზე ვმუშაობ და ჩემი შემდგომი როლი ალბათ...“ დაასრულეთ მსახიობის სიტყვები.
5. ერთხელ სწავლულ ბუნებისმეტყველ, ჟორჟ ბიუფონს, პარიზის ბოტანიკური ბაღიდან იშვიათი ფიშის ორი ბანანი გაუგზავნეს. პატარა ბიჭმა, რომელსაც მათი მიტანა ჰქონდა დავალებული, გადაწყვიტა სწავლულს ორი ბანანი არაფერში სჭირდებოდა და ერთი ცალი გზაში შეჭამა. — მეორე რა უყავი? — ჰკითხა მასთან მისულს ბიუფონმა. — შეეჭამე! — უპასუხა ბიჭმა. — როგორ თუ შეეჭამე?! — გადაირია სწავლული. რა უპასუხა ბიჭმა?
6. ინგლისში XX საუკუნის დასაწყისამდე შემორჩა ტრადიცია, რომელიც ავლადებულბუნდა მორიგე პოლისმენს საღამოობით შემოეცლო პარლამენტის პალატები და ეკითხა, თუ ვინ მიდიოდა სახლში. რის გამო დამკვიდრდა ეს ტრადიცია?
7. დაასახელეთ თბილისის „დინამოს“ სამი ფეხბურთელი, რომელიც გუნდში ათი ნომერი მისურით ასპარეზობდა. სამივე მათგანი ტრაგიკულად დაიღუპა ავტოკატასტროფაში.
8. გაიხსენეთ სტალინის წარმოთქმული ფრაზა, როდესაც იგი ერთ-ერთი კონცერტის დროს მაყურებელთა რიგში, ნატო ვაჩნაძესა და თამარ ციციშვილს შორის სავარძელში მოკალათდა.
9. რა ერქვა ისტორიულად საინგილოს?
10. ეს სახელმწიფო 1922 წლის 30 დეკემბერს შეიქმნა და 1991 წლის 26 დეკემბერს დაიშალა. დაასახელეთ იგი.
11. „საწუთრო კაცსა ყოველსა ვითა ტაროსი უხვების, ზოგჯერ მზეა და ოდესმე ცა რისხვით მოუქუსდების“, — წერდა შოთა რუსთაველი. რას ნიშნავს სიტყვა „ტაროსი“?
12. ამ ფილოსოფოსის მშობლები, პორტუგალიდან ნიდერლანდებში გადასვნილი ებრაელები იყვნენ. მას შემდეგ, რაც იგი ებრაული თემიდან განკვეთეს და მისი მოკვლაც კი უნდოდათ, ფილოსოფოსმა სახელი „ბარუხი“ ლათინურ „ბენედიქტად“ გადაიკეთა. დაასახელეთ იგი.

# ანკდოტები

\*\*\*


ნასვამი სიძე შეცდომით სიდედრის საწოლში წვება:  
 — ქეთო ვარ, ქეთო! — აყვირდა სიდედრი.  
 — თუ გინდა, კოტე იყავი...

\*\*\*

სიდედრი ეკითხება სიძეს:  
 — მითხარით, რა გაიფიქრეთ, როცა პირველად დაინახეთ ჩემი ქალიშვილი?  
 — ალბათ, რა ლამაზი დედა ეყოლება-მეთქი!..

\*\*\*

წყალქვეშა ნავზე სიას კითხულობენ:



— ჭიჭიკია!  
 — ვარ!  
 — ბიჭიკია!  
 — ვარ!  
 — შალიკია!  
 — არ არის!  
 — სად აგდია?!  
 — დედა მოუკვდა და ტორპედოს გადაყოლეთ.

\*\*\*

გურული ჩვილი აკვანში წევს. პირიდან სანოვარა გამოიღო და გაბრაზებული აყვირდა:  
 — გადამდგით ვინცხამ, მომადგამზე!

\*\*\*

— გოგონი, რა ლამაზი სვიტერი გაცვიათ!..  
 — ნამდვილი აქლემის ბენვია.  
 — მაშინვე მივხვდი.  
 — როგორ?  
 — ორი კუთხით!..

\*\*\*

მაზოხისტი ეხვეწება სადისტს:  
 — მანამე, გემუდარები, მანამე!...  
 — არა, არა და არა!..

\*\*\*

ტელეფონის ზარია:  
 — ალო, ანა ხარ?... მამუკა?... მარი?... სერგო?... ბატონი ამირანი? აა... თამუზა, ეგრევე გიცანი!

\*\*\*

სროლის შედეგები:  
 მაზიაშვილი: 10  
 ურჯუკაშვილი: 10  
 უბირია: ურჯუკაშვილი.

\*\*\*

— ჩემს ცოლს დისკოთეკაზე შეეხვდი...  
 — რა რომანტიკულიაა!  
 — ძალიან!.. მე კი მეგონა, სახლში იჯდა და ბავშვებს აძინებდა.

\*\*\*


ორი გველი მაგარი „დაბოლილია“.  
 — ჩვენ შხამიანები ვართ, არა? — ეკითხება ერთი მეორეს.  
 — მაგარი, სიმონ...  
 — აუუუ!!!...  
 — რა მოხდა?  
 — ენაზე ვიკბინე, ჩემი...

\*\*\*

— რა იქნა შენი ლამაზი მდივანი?  
 — გავათავისუფლე.  
 — რატომ?  
 — იდიოტური სიცილი ჰქონდა.  
 — თანამშრომლებს რომ არასადროს შეუმჩნევიათ?!  
 — ეგლა მაკლია, ტანაცმლის გახდისას თანამშრომლები დავისწრო!..

\*\*\*

სანუგემო სიტყვა: „თუ გამუდმებით დაგცინიან, ესე იგი, ადამიანებისთვის სიხარული მოგაქვთ“.



\*\*\*


— ზურიკელა, ბიჭო, გაიგე, ილარიონა, რომ გაგიუბებულა?  
 — რატომ, ილიკო, რა მოუვიდა?  
 — რატომ და მოხდა ქვევრს თავი და — კიდევ სცადეთო, — ზედ ეწერა! გაგიუბებოდა, აბა, რა მოუვიდოდა?!

\*\*\*

ქმარი ცოლს:  
 — ნანული, ხომ გეუბნებოდი, ქალები ძალიან ბევრს ტლიკინებენ, ნახე, რა წერია გაზეთში: ქალი დღეში საშუალოდ, 22 ათას სიტყვას წარმოთქვამს, მამაკაცი კი მხოლოდ 11 ათასს.  
 — ეს იმიტომ, რომ ქალებს ყველაფრის გამოთქვამა უხდებათ.  
 — რა თქვი?!

\*\*\*

— მამაშენს კარლო ხომ არ ჰქვია?



— არა, რატომ მეკითხები?  
 — რალაც, ბურატინოს ჰგავხარ ნამეტანი.

\*\*\*

— მიყვარს ველვეტის შარვალი! — ამბობს ოსი. — ყველა ტილს თავისი ტრასა აქვს!

\*\*\*

— ბიჭო, რაფერ ამბობთ გურულები ერთ დღეში ამდენ სისულელეს?  
 — სხვისი არ ვიცი, ძამა, და პირადად მე, უთენია ვდებბი.

\*\*\*

პალატაში ავადმყოფი კვნესის:  
 — რა სჭირს, კვდება? — ეკითხება ექიმი ექთანს.  
 — უიშვია...  
 — როგორ, არც ფული, არც ნათესავები?!

\*\*\*

მიხოს პატრული აჩერებს:  
 — რატომ გადაკვეთე ღერძულა ხაზი?  
 — მა, ქვეშ ხომ არ გაეძვრებოდი!

\*\*\*

განცხადება: „სწრაფად, უმტკივნეულოდ და შეღავათიან ფასში შეგიცვლით სქესსა და ასაკს. პოლიციის საპასპორტო განყოფილება“.

\*\*\*

მივლინებიდან დაბრუნებულმა ქმარმა ცოლი რესტორანში წაიყვანა. რესტორნიდან ორივენი „გადასწორებულები“ გამოვიდნენ. ქმარი:  
 — მოდი, შენთან ავიდეთ!  
 — გაგიუდი?! დღეს ჩემი ქმარი ჩამოვიდა.

\*\*\*

სალამოა. დაღლილი საგზაო პოლიციელი მანქანას აჩერებს.  
 — გამარჯობათ. წარმოადგინეთ, თუ შეიძლება, თქვენი ფული...

\*\*\*

— ეს შენა ხარ ჩემპიონი 100 მეტრზე სირბილში?  
 — დიახ.  
 — აუ, ძმურად, არაყზე გავარდი, რა. ორ წუთში მალაზია იკეტება.

\*\*\*

თბილისის ერთ-ერთ სკოლაში მათემატიკის გაკვეთილი მიმდინარეობს:  
 — მიშკო, აი, შენმა უფროსმა ძმამ ამერიკიდან გამოგიგზავნა 200 დოლარი. შენ აქედან 50 დოლარი თავოს მიეცი, 50 დოლარი — მაიკოს, 50 — ხათუნას. რას მიიღებ?  
 — ჯგუფურ სექსს, მასწავლებლო.

\*\*\*

ბებია ბაზარში თაფლს ყიდის. გამოიარა ვილაც ტიპმა, ქილაში თითი ჩაყო და გემო გაუსინჯა.  
 — აბა, ეგრე რომ სინჯოს სულეველამა, რალა დარჩება? — ეწყინა ბებიას.  
 — რა იყო, ბებო, ფუტკრის განავალი დაგენანა?  
 — ფუტკრის რომ არის, შვილო, იმიტომაც მენანება, თორემ ჩემი რომ იყოს, რამდენიც გინდა, მიირთვი.

# გონაგონ სპასტიკა

„გზის“ ერთგული მკითხველისათვის

## (პასუხები)

- ნატო ვაჩნაძე.
- კინოს შესახებ.
- „...შურისძიებისაგან“.
- „...იორიკის თავის ქალა იქნება“.
- როგორ და ასე! — უპასუხა ბიჭმა და მეორე ბანანაც შეჭამა.
- ეს ტრადიცია ჯერ კიდევ მაშინ დამკვიდრდა, როდესაც უკმაყოფილო მოსახლეობა სახლში მიმავალ პარლამენტარებს სცემდა.
- ბასაა ლოლბერიძე, შოთა იამანიძე და დავით ყიფიანი.
- „ძლივს არ მელირსა თავადის ქალებთან ჯდომა?“
- ჰერეთი. მისი მოსახლეობა ლეკებმა გაამაჰმადიანეს. „იანგალი“ ახალმოქცეულს ნიშნავს და აქედან წარმოიშვა სახელწოდება „საინგილო“.
- საბჭოთა კავშირი.
- „ტაროსი“ და „ამინდი“ სინონიმებია.
- სპინოზა.

\*\*\*

# ჩვენი უოსო მანაჩა

## ძვირფასო მკითხველებო!

შეგახსენებთ, რომ ნამუშევრები შეგიძლიათ გამოგვიგზავნოთ ელფოსტით: [gza.fantazia@gmail.com](mailto:gza.fantazia@gmail.com), „კვირის პალიტრის“ („სიტყვა და საქმის“) საფოსტო ყუთების (კონვერტზე მიაწერეთ „გზისთვის“) მეშვეობით ან მოგვანოდოთ რედაქციაში მის: თბილისი, იოსებძის ქ. №49.



# თუ თქვენი რჩეულის ცხოვრებაში სხვა ქალი გამოჩნდა

მოლაპაჯე მამაჩაყების მეუღლეების უმეტესობას ხშირად აწვალვებს ჟითხვია: შესაძლებელია თუ არა, მის საყვარელზე უკეთესები გახდნენ და ამით ოგახი შეინარჩუნონ? რატომღაც ბევრი ქალი ცდილობს, „ღირსეული“ მეგობრობა გაუწიოს ქმრის საყვარელს, არ ჩამორჩეს მას „სამიაროობიქის“ აღერსსა თუ სიყვარულში და ვერც ჟი ხედება, როგორ უარგავს ინდივიდუალობას: ის თითქოს საყუთარ თავზე იღებს ქმრის დანამაულს და მას განანყენებული აღმმრდელის როლში ევლინება. მამაჩაყს ჟი ამ ყველაფრის ფონზე სხვა ქალის მიმართ ლტოლვა უფრო უძლიერდება.



დარწმუნებული ხართ — ის კვლავ გრძელდება, გადაჭრით უთხარით, რომ თქვენ შორის ყველაფერი დამთავრებულია.

4. თუკი არსებულმა სიტუაციამ არასრულფასოვნების კომპლექსი გაგიჩინათ, გაიხსენეთ, გათხოვებამდე რამდენი თაყვანისმცემელი გეხვიათ ირგვლივ. მას შემდეგ ხომ არცთუ ისე დიდი ხანია გასული... თქვენ თითქმის არ შეცვლილხართ, თანაც ამიერიდან თავისუფალი იქნებით!

5. თუ მომავლის შიში დაგჩემდათ და გგონიათ, რომ დარჩენილი ცხოვრება მარტოობაში უნდა გაატაროთ, აუტოტრენინგები ჩაიტარეთ, ან სულაც, ფსიქოლოგს მიმართეთ.

6. რაც მთავარია, გახსოვდეთ: არასოდეს შეგუწინდეთ გადამწყვეტი ნაბიჯის გადადგმის — არ ღირს სინანული იმ ადამიანის დაკარგვის გამო, ვინც თქვენი სათანადოდ დაფასება ვერ შეძლო.

7. დაბოლოს: კიდევ ერთხელ გადაიკითხეთ ზედა ექვსი პუნქტი და თუკი მიუხედავად ამ ყველაფრისა, მეუღლე ქვეყანას გირჩევნიათ, სხვა რაღა დაგრჩენიათ: მისი ცხოვრების წესს უნდა შეეგუოთ.

**თუ თქვენ ღალატის შემდეგ, უფრო თბილი, ყურადღებიანი, აღერსიანი — ერთი სიტყვით, ადრინდელზე უკეთესი გახდებით, ქმარი იფიქრებს, რომ ერთდროულად ორი კურდღელი დაიჭირა და უფრო ღალად გაშლის ფრთებს.**

7. არ გამოიყენოთ ჯაშუშის ტაქტიკა.

## რა უნდა მოიმოქმედოთ

1. პირველ რიგში, საკუთარ თავში გაერკვიეთ — ეგუებით თუ არა ღალატის ფაქტს? თუ — კი, მაშინ, ყველაფერი გასაგებია და შეგიძლიათ მშვიდად გააგრძელოთ ცხოვრება. ხოლო თუ — არა, მაშინ დაელაპარაკეთ მეუღლეს ამის შესახებ; დაინტერესდით, რა არის მისი ღალატის მიზეზი. იქნებ, ის პირველ რიგში საკუთარ თავში უნდა ეძებოთ?!

2. ჰკითხეთ, როგორი გაგრძელება ექნება თქვენს ურთიერთობას მომავალში. მიეცით გარკვეული ვადა, რათა საბოლოოდ გაერკვეს საკუთარ გრძნობებში.

3. თუ ქმარი გიმტკიცებთ, რომ მისი რომანი დასრულდა, თქვენ კი

## როგორ არ უნდა მოიქცეთ

1. არასოდეს გაეჯიბროთ ქმრის საყვარელს; დაიმახსოვრეთ, ის თქვენ მეტოქედ არ გერგებათ;

2. თავს ნუ დაიმშვიდებთ, იმით, რომ ყველა მამაკაცი ერთნაირია — ეს ასე ნამდვილად არ არის;

3. არ დაემუქროთ ქმარს თვითმკვლელობით;

4. არ დაურეკოთ მის საყვარელს;

5. ნუ ეცდებით, აეჭვიანოთ;

6. წამდაუნუმ ნუ გალანძღავთ;

## ვაშლის ჰაეროვანი ღვეზელი

### მასალად საჭიროა:

- 100 გ ხაჭო;
- 60 გ გამდნარი კარაქი;
- 4 ს/კ რძე;
- 170 გ შაქრის ფხვნილი;
- მწიკვი მარილი;
- ვანილი;
- ლიმონის ცედრა;
- 2 ცალი ლიმონის წვენი;
- 200 გ ფქვილი;
- 600 გ ვაშლი;
- 3 კვერცხის ცილა.



### მოზადავის წასი:

ხაჭო, კარაქი, რძე, ვანილი, ლიმონის ცედრა და მარილი აურიეთ. დაუმატეთ ფქვილი, მოზილეთ ცომი და მოათავსეთ მრგვალ ფორმაში.

ვაშლი დაჭერით. შეურიეთ 3 ს/კ ლიმონის წვენი და დაანყვეთ ცომზე. აცხვეთ 35 წუთი.

ცალკე ათქვიფეთ ცილა, დარჩენილ ლიმონის წვენსა და შაქრთან ერთად. გამოილეთ ნამცხვარი ჰაერლუმლიდან, მოასხით ათქვეფილი ცილა და აცხვეთ კიდევ 15-20 წუთი.

1 ნაჭერი ღვეზელი შეიცავს 200 კკალ-ს.



როდესაც ადამიანი გვესაუბრება, პირველ რიგში მისი ხმის ტემბრს, ინტონაციას აღიქვამთ და მხოლოდ ამის შემდეგ ვისმენთ მისი საუბრის შინაარსს. სრულიად განსხვავებული ინტონაციითა და ტემბრით წარმოთქმული ერთი და იგივე ინფორმაცია სხვადასხვანაირად აღიქმება. მშვიდად და განონასწორებული ტონით წარმოთქმული უსიამოვნო ამბავიც ზეიანი ტონით იოლი მოსასმენია. საერთოდ, სასიამოვნო ხმის ტემბრის მქონე ადამიანს უფრო ხელენიჭება ჯარჯის შექმნა. ეს მხოლოდ მსახიობებს, ტელე და რადიომანქანების თანამშრომლებს, ფსიქოლოგებს, სარეკლამო აგენტებსა და მომღერლებს როდი ეხება. ხმა – ეს ის იარაღია, რომლის რაციონალურად გამოყენება ნებისმიერი პროფესიის ადამიანისთვის მხოლოდ სიყვითის მომტანია.

## ინტელექტუალები არ ყვირიან

ილაშობაბე იმისთვის, რომ თბვი ცაბოზახრო.

ხმის ტემბრს, საუბრის მანერას და ინტონაციას ბევრი რამ შეუძლია თქვას პიროვნების ხასიათის შესახებ. ამიტომაცაა, რომ ხშირად საკუთარი გრძობების დაფარვას ვერ ვახერხებთ.

აღბათ შეგიჩნევიათ, რომ ხმაბა-ლლა და მკვეთრი ინტონაციით მო-ლაპარაკენი, გარშემო მყოფებს, ხშირ შემთხვევაში, ნევროზულ მდგომარეობაში აგდებენ. უმეტესწილად, ამ კატეგორიის ადამიანები არ არიან საკუთარ თავსა და შესაძლებლობებში დარწმუნებულნი. აქედან მომდინარეობს მათი აგრესიაც, რაც მათ ირგვლივ მყოფთ, დაძაბულ და უსიამოვნო გარემოს უქმნის. ტირანები და დესპოტებიც კი გულის სიღრმეში (ხშირად გაუცნობიერებლად!) ძალზე განიცდიან თავიანთი ხასიათის ამგვარ სირთულეს.

სასიამოვნო, დაბალი ხმის ტემბრის მქონე ადამიანებმა კარგად იციან საკუთარი თავის ფასი. წვრილი, ბავშვური ხმა კი უმეტესწილად, მშინებებსა და სხვაზე დამოკიდებულებს აქვთ. ყველა ადამიანი ინდივიდუალურად ლაპარაკობს — საკუთარი ჩვეების, ემოციებისა და ხმის ტემბრის მიხედვით. სწორედ ამიტომ, ზოგჯერ ჩვენი ხმა ჩვენივე მტერია. მაგალითად, თუ გინდათ, რომ ინტელიგენტი, ერუდირებული ადამიანის იმიჯი გქონდეთ, ხმაბა-ლლა, რიხით ლაპარაკს უნდა გადაეჩვიოთ.

ხმა არც ზომავზე მეტად ნაზი და ჩუმი უნდა იყოს და არც — ძალზე ბოხი და ომახიანი. ყოველთვის გახ-

სოვდეთ: თუ ზედმეტად ჩუმი, დაღლილი ხმით ილაპარაკებთ, თქვენთან ურთიერთობისა და საუბრის სურვილი ყველას გაუქრება. ასევე, ძალზე რთულია ურთიერთობა ისეთ ადამიანებთან, რომლებსაც სიტყვებს ძლივს „ამოგლეჯ“. კარგია, თუ თანამოსაუბრის ინტონაცია მკაფიო და არამონოტონური იქნება.

### სპეციალისტი დევეტებს ბამოსტობს

რა თქმა უნდა, შესანიშნავია, თუ ადამიანს თანდაყოლილი, სასიამოვნო ტემბრისა და ფართო დიაპაზონის ხმა აქვს. მაგრამ როგორ უნდა მოეიქცეთ, თუ ჩვენი ხმა თანამოსაუბრეს ყურს სჭრის? ამ პრობლემის გადასაჭრელად, აუცილებელია, დასახმარებლად სპეციალისტს მივმართოთ. ზოგადად კი ამის მიზეზი, შეიძლე-

ბა ყურის, ყელის ან ცხვირის პათოლოგიებიც იყოს.

ხმის გაუარესება შეიძლება ზედმეტმა ნერვიულობამ, გადაღლილობამ ან გამოუძინებლობის მუდმივმა შეგრძნებამ გამოიწვიოს. თუმცა მისი ყველაზე ვერაგი მტერი მაინც ნიკოტინია.


დაბოლოს, რჩევა ყველას: თუ თქვენს ხმას მელოდიურობა აკლია, ამაში საგანგაშო ნამდვილად არაფერია, რადგან თქვენვე შეგიძლიათ, საკუთარი ხმა ბევრად უფრო სასიამოვნო გახადოთ: სანამ საუბარში ჩაერთვებოდეთ (ან თავად დაიწყებდეთ ლაპარაკს), დადებითად განწყვეთ თანამოსაუბრის მიმართ. ამგვარი დამოკიდებულება და პოზიტიური განწყობილება თავისთავად შეარბილებს ტემბრს, „დაათბობს“ და სასიამოვნოს გახდის ხმას.

აირჩიე და შეიძინე სახლიდან გაუსვლელად  
ინტერნეტ მაღაზია  
**www.elva.ge**  
წიგნები და ჟურნალ-გაზეთები

გამოცემის დასახელება	1 კვ. ფასი	6 თვე
1. რეტიინგი	1.00	26.0
2. გზა	0.80	20.8
3. ზაქარაბაძე აბრამიძე	11.65	69.7
4. ზაქარაბაძე აბრამიძე	7.00	41.8
5. ზაქარაბაძე აბრამიძე	4.00	24.0
6. ზაქარაბაძე აბრამიძე	0.80	19.9
7. ზაქარაბაძე აბრამიძე		

პრების გაყვანების სააგენტო  
ქ. თბილისი  
იოსებძის ქ. № 49  
ტელ: 42-43-40;  
38-26-73; 38-26-74.  
ფაქსი: 38-26-74  
E-mail: elva@kivrispalitra.com

აგრეთვე ნებისმიერი სხვა დასახელების ჟურნალ-გაზეთები



# დიდბორის სავაჟო ფრენის ახარი

გორა მანველიძე

დასაწყისი იხ. „გზა“, №15-18

არ ჩქარობდა უფლისწულ დავითის აღმზრდელი, გიორგი ჭყონდიდელი. გამოცდილება უკარნახებდა: არ ივარგებდა ლაფიან გზაზე ჯარის დაღლა. აუჩქარებლად, სვენებით მიჰყავდა ლაშქარი.

წინ მზვერავეთა რაზმი წარგზავნა, ერისთავ ლიპარტიანის მეთაურობით. რუსთავის მისადგომი და გზები უნდა დაეზვერა ერისთავის რაზმს, გამოერკვია, სად იდგნენ ალი ბაჰადურის მხედრები.

მაინც ღელავდა ჭყონდიდელი. აფიქრებდა ახალგაზრდა უფლისწულის პირველი დიდი ლაშქრობა. გულით ეწადა, იმ დროს მის მხარდამხარე ყოფნა, მაგრამ თავიდანვე იყო თქმული — მანგლისთან უნდა დაშორებოდნენ ერთმანეთს. ჭყონდიდელს მარტყოფის მხრიდან უნდა გაეგრძელებინა გზა და ვეჟინს ჩასულიყო, გიორგი მეფესთან. აღსართანი ვეჟინში იყო გამაგრებული და ციხის აღება და მისი დატყვევება უფრო იოლს გახდიდა რუსთავს ლაშქრობას.

უფლისწული კი ალგეთის ხეობიდან მიადგებოდა რუსთავის ციხეს, რომელიც კრაზანათა ბუდედ ჰქცეოდა ქვემო ქართლს.

განშორების ჟამს ერისთავი ლიპარტიანი დაიმარტოხელა ჭყონდიდელმა. ბოლო დარიგების მიცემა სურდა.

— დინჯია და გონიერი უფლისწული ჩვენი, მაგრამ ახალგაზრდა და ომში გამოუცდელი, ვშიშობ, სიფიცხემ არ დასძალოს და შეცდომა არ დააშვებინოს, — ბრძანებდა ჭყონდიდელი, — ყოველთვის უფლისწუ-

ლის გვერდით იყავი. გონივრული რჩევა არ მოაკლო, მაგრამ მოზომილად, ერისთავო. არ შეეგუოს სხვისი აზრით ცხოვრებას...

საუბრისას, დავით უფლისწული წამოიწია. ახლა მას მიუბრუნდა ჭყონდიდელი, რუსთავის ციხის აღწერა წამოიწყო.

— სუსტია რუსთავის ციხის სამხრეთ კედელი. იმ წელს მოარღვიეს სარკინოზთა, როცა აიღეს ტფილისი. მერე ბაგრატი კურაპალატმა აღადგინა ის კედელი. თხის ბენში ნარევი კირითა და ფიქალით ააშენეს. თვალს იტაცებს, ძლიერად მოგაჩვენებს თავს, მაგრამ იცოდე, უფლისწულო, რომ ოთხ კე-

დელთაგან ყველაზე სუსტია იგი. სამხრეთის მხრიდან მიაყენე ვერძები... კიდევ ერთს გეტყვი, უფლისწულო: მომავალი მეფე ხარ და აქედანვე იბრუნე შენს ქვეშევრდომებზე. შირვანელია რუსთავის ციხისთავი ალი ბაჰადურ და ციხიონიც მუსლიმანი ჰყავს, მაგრამ ციხეში ჰერეთელთა მცირე ლაშქარიც მიავლინა აღსართან მძაბულად. იომებენ ისინიც, თავიანთი მეფის უგუნურ ბრძანებას შეასრულებენ, მაგრამ ომის მერე ნულარ დაღვრი მათ სისხლსა. შეივრდომე... ყველა ქართველი შეივრდომე და ამით გახდები ყველა მეფეზე აღმატებული... იცოდე, უფლისწულო: ნებისმიერ რეგვენს ძალუძს სიცოცხლის წართმევა და მარტო დიდ მეფეს შეუძლია მეომრის შეწყალება... კიდევ ერთ დარიგებას მოგცემ, უფლისწულო: მტერს შენი გულმონყალებაც უჩვენე და გულზვიადიც იყავი. მუსლიმანთა მიმართ გეუბნები ამას. ბევრი ციხის აღება მოგინევს, ვიდრე ერთ სამეფოდ აქცევ ქართველთა საუფლოს. უნდა იცოდეს შენმა მტერმა, რაც მოელის შენთან მეომარს და რას მიიღებს, თავად გაგეცლება... ერთ ამბავს გიამბობ: ბიზანტიელებს ბულგარეთის ომში ახლდა ჩვენი ლაშქარი. პაჭანიკებს ვერძოდით დუნაიზე. ბაჭიებივით მშიშარანი არიან პაჭანიკნი, მაგრამ სიმრავლე თუ იგრძნეს, ვეფხვებივით უშიშრად იბრძვიან. დიდხანს ვდიეთ. აქლემ-საბარგულს მოვწყვიტეთ და ხორაგის გარეშე დარჩენილნი, ერთ ხევში შევაშვედით. აღარ უნდოდათ სარდლებს ლაშქრის სისხლის დაღვრა. გზები შეუკრეს პაჭანიკთა და დაელოდნენ, ვიდრე შიმშილით დაოსებულნი არ დაგვნებდებოდნენ,

მაგრამ მალე თავზარი დაგვცა მსტოვართა ცნობამ: ტყვე ქრისტიანთა ჭამა დაეწყეთ წარმართ პაჭანიკებს. მაშინ, სარდლების თათბირით, ასამდე ტყვე პაჭანიკი გამოვარჩიეთ. დაუწყვეთ, დავაპურეთ და საგზლით დატირულნი გავუშვით თანამოძმეებთან. იმათ გაავრცელეს ხმა: ტყვეთ არაფერს უშავებენ ქრისტიანნი... იმავე ღამეს კი ჯარი ფარულად მივუშვით ხევთან და წარმართთა დავესიეთ წინათმებრძოლთ... ასე, ათასამდე მეომარს, შუბის წვერზე მოკლული პაჭანიკის თავი ჰქონდა წამოცმული. ზოგი თავიც ხელდახელ მოისროლეს მათ ბანაკში. დააფრთხო უეცარმა შეტევამ წარმართნი. თავადაც ხედებოდნენ — სისხლის ღვრას ერიდებოდნენ ქრისტიანნი და დროებით არ ელოდნენ ჩვენს შეტევას... დაფრთხნენ: დედაბუდიანად აგვწყვეტენო მომხდურნი, მაგრამ მანამდე ისიც ჰქონდათ მოსმენილი, — ტყვეთ არაფერს ერჩიან ქრისტიანნი... ამან აჯობა. ერთსაც აღარ მოუმარჯვია ხმალ-შუბი. ნადირისებრი ღმუილითა და მიწაზე ცოცხვით დახვდნენ, მათ ბანაკში შეჭრილ ჩვენს ლაშქარს!..

— სმენა იოლია, გამოყენება — ძნელი. განა, რაც ერთმა ქნა, მეორესაც ხელწიფების?! — ჩაილიმა დავითმა.

— მიტომ გიყვები ყოველივე ამას, უფლისწულო, — გახედა ჭყონდიდელმა. — დიდი ომი მოგველის. ომამდე მეფემ ყველა კაცის თათბირს უნდა ათხოვოს ყური. ბრძენიც ასე მოიქცევა და შლეგიც, მაგრამ იმ განსხვავებით, რომ შლეგი ყველა წარუმატებლობას სხვას მიანერს... ვეზირს, ერისთავს... სარდალს. იტყვის: მათ რჩევას მიყვებ და ომიც წავაგეო!.. ბრძენი ასე არ იქმს. მართალ რჩევას მიიღებს, უგუნურს განირიდებს და ისე მოიქცევა, როგორც ჟამი და საქმე მოითხოვს!..

— ლიპარტიანს გულისხმობ, ჭყონდიდელი? — ჯაჭვში ჩაჭედო გოლიათს გახედა უფლისწულმა.

— არა... ერთი იყოს შენთვის რჩევის მომცემი კაცი. მოისმინე ერისთავის სიტყვა და მოისმინე უბრალო მოლაშქრის სიტყვაც, რამეთუ ჯერ არ დაბადებულა შეუმცდარი კაცი. არა ყოფილა ბრძენი, რომელსაც არ ეთქვას ერთი სიბრძივე და არა ყოფილა შლეგი, რომ არ ეთქვას ერთი სიბრძენი!..

გზად მიმავალთ, ვეჟინს მყოფი მეფე გიორგის მალემსრობლი წამოიწიათ. დააფიქრა ჭყონდიდელი და უფლისწული მისგან დანაბარებმა სიტყვამ: აღსართანს ატ ტავილი მიმხრობია, ხოლო ფხოველთა ერთმა რაზმმა ბრძოლით გაიკვლია გზა და ციხეში შევიდაო.

ცოდვის გზად შემდგარან მთიელნი! მახვილის ვადა მოსინჯა უფლისწულმა.

— ორმოცდაათოდ მოლაშქრე, მთა არ არის... — ფიქრით სავსე თვალებით შეხედა ჭყონდიდელმა.

— ...და ვინ იცის, ვაზირთ უპირველესო, რამდენი მოლაშქრე მოსდევს იმ ორმოცდაათს. იქნებ მხვერავთა რაზმი იყო ის მხოლოდ?.. — წინ წამოინია ლიპარტიანმა.

— არა გცოდნია, ერისთავო, ფხოველთა ომის წესი: ფხოველი ორმოცდაათი მოლაშქრე, დიდი ძალაა. სხვა ძარღვია მათში. ყოველთვის მცირე იყო მათი ჯარი. მცირე, მაგრამ ფიცხი. და წესი არ არის, ფხოველთა ორმოცდაათი მეომრის დახვეწვად გაგზავნის. ერთ მუშტად იბრძვიან და დახვეწვად სამ ან ხუთ მეომარს თუ გაიმეტებენ. თანაც, შემოდგომა მოგვედგომია. თუ დაეშვებოდა, ერთად დაეშვებოდა ფხოვის ლაშქარი ბარსა და ერთად დაეტაკებოდა ვეფხინის გარშემოწყობილ ჯარსაც... ორმოცდაათოდ ფხოველი შევიდა ვეფხინს. ეგეც ბევრია... ბევრია, მეომრული შემართებითა და ბევრია ლაშქრითაც. ჩვენ რომ ავსულიყავით საომრად ფხოვსა, ასჯერ მეტი იქნებოდა მათი ლაშქარი, მაგრამ არ უყვართ მთიელთ, კახთ მეფე აღსართანი. არ უყვარხარ შენც, უფლისწულო. უცხოდა, იმერთ მეფედ და გადამთიელად მიგიჩნევენ და მარტო ძველი წესით დგებიან კახთა მეფის სამსახურში. ის უფრო ახლოსაა მათთან, ვიდრე შენ. და ესეც რომ არ იყოს, სხვა კაცის დამსახურებას ვხედავ ამაში...

— შერგილ ძაგანისძისა...

— უეცრად ჩაურთო ლიპარტიანმა.

— მართალს ბრძანებ, ერისთავო... — გაელიმა ჭყონდიდელს. — არაგვის ერისთავს ერთგულობენ ფხოველნი, მაგრამ ორმოცდაათ მეომარზე მეტი მანაც არ გამოიმეტა მთამ. კარგი ნიშანია ეს. ჩვენ ყველა ქართველთა სამეფოსთვის ვომობთ და არა ძმათა სისხლის დასალერვლად!..

ჭყონდიდელთან განშორების შემდეგ, დავითის ლაშქარმა ალგეთის პირას გაათენა ღამე და მეორე დღეს მიაღმა მტკვარს.

მაშინ შეკრთა ერისთავი ლიპარტიანი: დავითმა უარი თქვა მტკვარზე გადასვლაზე და ლაშქარს დაბანაკება უბრძანა. სხვას ურჩევდა ჭყონდიდელი: გონზე მოსვლას ნუ დააცდი მტერს,

მუხერებლად გადალახე მდინარე და რუსთავის ციხეს შემოეწყეო. შეახსენა კიდევ, ჭყონდიდელთან თათბირი. დავითმა მოუსმინა. მერე ცხენი შეაბრუნა, ხელი გაღმა ტყისკენ გაიშვირა თქვა:

— იმ ტყეში მუჰამედ ატ ტავილის ჯარი დგას, ხუთი ათასი მძიმედ შეჭურვილი მხედარი. რუსთავის ციხიდან ალი ბაჰადური და აღსართანის ძმისწული, კვირიკე გვადევნებენ თვალყურს. მათთანაა ლიპარტიის მემკვიდრე, რატი. არ გვაცლიდნენ მტკვარზე გადასვლას. ატ ტავილის ჯარი ზურგიდან დაგვკრავდა. მეორე ნაპირზე კი ალი ბაჰადური, კვირიკე და რატი დაგვახვედრებდნენ ლაშქარს და წყალში ამოგვიხოცავდნენ სპათა...

გაუჟვირდა ერისთავს. ადრე ამის შესახებ არაფერი უთქვამს დავითს. ისე კი იცოდა ერისთავმა, რომ გზად დავითს რამდენიმე მსტოვარი მოუვიდა. მარტო ესაუბრებოდა უფლისწული მათ. არავინ იცოდა, რა ცნობე-



ბით მოდიოდნენ მსტოვრები, მაგრამ ასეთსაც არ ელოდა ერისთავი. არც ისე უგუნური უნდა ყოფილიყო მუჰამედ ატ ტავილი, რომ მალიქ შაჰი გამოეწვია თავისი ბრბოს ან თუნდაც აღსართანის იმედად. რუსთავის ციხეში რატის ყოფნა კი უფრო დაუჯერებლად ეჩვენა ერისთავს. ლიპარტიმა ერთგულების ფიცი მისცა დავითს და ამის მერე როგორ გაგზავნიდა თავის მემკვიდრეს მასთან საომრად?..

ლიპარტიის ორგულობაშიც არ იყო საქმე. ერისთავი ადრეც დარწმუნებული იყო, რომ ბალვაში არასოდეს

მოიშლიდა მგლობას, მაგრამ რუსთავში რატის ყოფნით, სასიკვდილო საფრთხეში იგდებდა თავს კლდეკარის ერისთავი. დავითი არ ჰგავდა მამას. არ იყო მასავით გულჩვილი. არ დაივიწყებდა ლალატს და სისხლით აზღვევინებდა განდგომას და მტერთან მოკავშირეობას ლიპარტიც. მაგრამ...

„იქნებ, ისეთი რამ იცის ბალვაშმა, რაზეც ჩვენ არ გვიფიქრია?“

ფიქრი განაგრძო ერისთავმა:

„საეჭვოა ატ ტავილის გამოჩენა. იქნებ, მალიქ შაჰთან თათბირით მოქმედებს? ყოველთვის ერთი მიზანი ჰქონდათ სელჩუკთ — ქართული სამეფოს დაჩოქება და გადაყლაპვა. როდის შეიცვლიდა მიზანს ეს ვეშაპი?..“

ნაადრევი ხომ არ იყო ლაშქრის გაყოფა და ჭყონდიდელთან განშორება?..

იქნებ, საგანგებოდ ჩამოიტყუეს უფლისწული რუსთავს? არ ჰგავს დავითი მამას. ლხინისა და გართობის

მოყვარულია მეფე გიორგი, დავითი კი სხვაა. ჭაბუკობიდან ერთზე ოცნებობს — ყველა ქართველთა ერთ სამეფოში გაერთიანებაზე. იცის ეს მალიქ შაჰმაც და რისთვის უნდა დაუჭიროს მხარი უფლისწულს, რომელიც ტახტზე ასვლისთანავე სელჩუკთა წინააღმდეგ მიმართავს მახვილს?“

უფლისწულს გაანდო თავისი ფიქრი ერისთავმა. თანაც დაამატა:

— ხაფანგს ვგრძნობ, რატისა და ატ ტავილის აქ ყოფნაში. ვეფხინს ხომ არ შევაბრუნოთ ლაშქარი? ჯერ ერთი, კრახანათა ბუდე მოვშალოთ და მერე მოვუბრუნდეთ მეორეს.

თავი გაიქნია დავითმა.

— უკვე მოზიდულია მახვილი და ახლა თუ ვერ ვივარგეთ, სვალაც ვერ განვდევნით მტერს ქვეყნიდან. ჩათვალოს ლიპარტიმა, რომ

აქ დაგვიგო ხაფანგი. განა იმავეს არ ვეძიებდით ჩვენც?.. ოთხი გველხოკერა ერთად შეგროვებულა გველთა ბუნაგში. დღეს შეგვიძლია, ერთის დარტყმით ყველასთვის თავის გასრესა და ბუნაგის მოშლაც და აქედან თუ გაგვექცენ, მთელ ქვეყანას თავის წლოკებით მოედებინა და შხამსა და ბალვამს გაგვიმრავლებენ. მერე უფრო ძნელი გახდება მათი მოშთობა. ეს ომი დღესა და აქ უნდა დამთავრდეს. ან ისინი იქნებიან და ან — ჩვენ!.. სხვა სათქმელი არ მაქვს, ერისთავო. ამოღებულ ხმალს ქარქაშში არ დაე-

აბრუნებს!..

კარგად იცნობდა დავითი მტკვრის ჭალებს. არაერთხელ ენადირა აქაურ ხოხობზე. ყოველი ხევი და ტაფობი საკუთრად ჰქონდა მოვლილი და ლაშქრის დასაბანაკებელი ალაგიც თავად შეარჩია.

ვრცელ მინდორზე შეაჩერა უფლისწულმა ლაშქარი. ხერგილთ განყოფილება და კარავთა გაშლა ბრძანა.

საომარ ალღოდ ჩაუთვალა ომებში გამობრძმედილმა ერისთავმა უფლისწულს ბანაკად შერჩეული ალაგი. გაღმა რუსთავის ციხე მოჩანდა. მათ შეუცნობლად, ერთ მეომარსაც ვერ დაძრავდა ადგილიდან ალი ბაჰადური. სამხრეთიდან ტყე ესაზღვრებოდა ბანაკს, მტკვრის მხრიდან — მხედრებისთვის გაუვალი ჭაობი. წინიდან კი ხერგილები დაიცავდნენ სამეფო სპათა. ასეთ ბანაკში იმაზე მშვიდად არ იგრძნობდნენ თავს, ვიდრე რუსთავის ციხის გალავანს შეხიზნული კვირიკე, ალი ბაჰადური და რატი.

კარავთა გაშლაც თავისებური ბრძანა უფლისწულმა: კარავთა უმრავლესობა ტყის სიღრმეში უნდა ყოფილიყო, რამდენიმე კი — მინდორზე, ისე, რომ რუსთავის ციხიონსაც ეხილა ისინი. ერთმანეთისგან ისრის სროლის მანძილზე უნდა გამლილიყო კარავები, მისადგომები კი ხერგილებით გადაიკეტა, რომ ფარულად ვერ მიახლოებოდათ მტერი.

გაშენებულ ბანაკში სამრიგად ჩააყენა ლაშქარი უფლისწულმა. აღმოსავლეთი მხარე მისმა თანაშემზრდილმა, ნიანია ბაკურიანმა დაიკავა, ტაოს ლაშქრით; დასავლეთი — ერისთავი ლიპარტიანმა, ეგრის-აფხაზი მეომრებით. თავად, ბანაკის შუაგულში დაიდო ბინა დავითმა და გარშემო ქართლის ლაშქარი შემოიკრიბა.

გაკვირვებულნი იყვნენ სამეფო სპანი, უფლისწულის სამზადისით. რუსთავის ციხის შემოწყობასა და ვერძთა ძვრების მოლოდინში იყო ლაშქარი და ვერ გაეგოთ, რისთვის ამბავებდა ბატონი ბანაკს. იფიქრეს: მერე მაინც გადავალთ მტკვარსა და ციხეს შემოვეწყობითო, მაგრამ აქაც არ ჩქარობდა უფლისწული. თითქოს არც კი არსებობდა რუსთავის ციხე და მუსლიმანი ციხიონი, არ იყო ომი და ალღუმის სამზადისში იყო ლაშქარი. ბრძოლის მაგივრად, მეომართა წვრთნა დაიწყო უფლისწულმა.

დღისით, რუსთაველ მეციხოვნეთა საჭკრეტად, ბანაკიდან გამოჰყავდა ლაშქარი. მშვილდის მოზიდვაში, შუბის ძვრებასა და მახვილის მოქნევაში წვრთნიდა. ცხენის უუნაგროდ ჭენებასა და ხერგილების დაძლევის აჩვენებდა.

მარტო ღამით ბრუნდებოდნენ დაღ-

ლილი მოლაშქრენი კარავებში. თავად მაშინაც არ ისვენებდა დავითი. ლაშქარს დააბინავებდა, მერე ხერგილებს ჩამოუვლიდა, გუშაგებს შეამოწმებდა და კარავს მიაშურებდა.

ღამეს, ფსალმუნთა და მეფეების ცხოვრებისა და ომების აღწერის კითხვაში კლავდა ახალგაზრდა გვირგვინოსანი. კითხვას მარტო გუშაგთა შესამოწმებლად თუ მოსწყდებოდა. ხანდახან ნიანია ბაკურიანს აიყოლიებდა და რუსთავის ციხეს აკვირდებოდა. ან კიდევ, ამაღას ჩამოშორდებოდა და რომელიმე ხის ძირში ჩამომჯდარი ისმენდა ღამის არსებების შრი-ალ-ფუთფუტს. არავინ იცოდა, რაზე ფიქრობდა იმ დროს ახალგაზრდა გვირგვინოსანი...

ვერა ხვდებოდა ლაშქარი, რა ჰქონდა ჩაფიქრებული უფლისწულს და როდემდე დააყოვნებდა ლაშქარს ბანაკში. ვერა ხვდებოდნენ მის ჩანაფიქრს სარდლებიც — ერისთავი ლიპარტიანი და ნიანია ბაკურიანი. მხოლოდ ის იცოდა ბაკურიანმა, რომ დავითს დიდი ხნის წინ ჰქონდა ჩაფიქრებული რუსთავის გარემოცვა. ძველი საუბარი ახსენებოდა მუდამ.

არ იყო უფლისწული კახეთს ლაშქრობის მომხრე. ძველ მტერთან, აღსართანთან ანგარიშის გასწორებად უთვლიდა მამას ვეჟინს შემოწყობას, ვიდრე ქართულ საქმედ. რუსთავიდან უნდა დაწყებულიყო საქართველოს გამთლიანების ომი. ასე მიიჩნევდა დავითი. რუსთავის ციხის ალებით მოიშლებოდა ხიდი, რომელიც აკავშირებდა ერთმანეთს კახ აღსართანს, თბილისის ამირასა და კლდეკარის ორგულ ერისთავს. ეს ბევრჯერ უთქვამს ნიანიათვის. ამისთვის წვრთნიდა ლაშქარს და ახლა ვეღარ მიმხვდარიყო ბაკურიანი, რატომ აკავებდა ჯარს რუსთავს მიმდგარი უფლისწული.

მაგრამ იმასაც ხვდებოდა ჭაბუკი სარდალი, რომ რალაცას ელოდა მეფე. იშვიათი იყო ღამე, რომ რუსთავიდან მსტოვარი არ მოსვლოდა მეფეს და მასთან თათბირის მერე, ახალი დავალებით არ გაბრუნებულიყო უკან.

ვერა ხვდებოდა ნიანია, მაგრამ ითმენდა. დავითის გულისნადები აძლევდა მოთმინების ძალას და ამით აოკებდა ტაოელთა ლაშქარსაც, მაგრამ ვერ ითმენდა ერისთავი ლიპარტიანი. ალბათ მოლაშქრეთა ჩუმი ჩურჩული უკლავდა გულს:

„ახალგაზრდა უფლისწული, ბრძოლაში გამოუწვრთნელი. აქამდე დიდგულად იყო, მაგრამ რუსთავის ციხის ქონგურებმა დააშინა და ვეღარ გაუბდავს ბრძოლის ველზე ლაშქრის გაყვანა. იქამდე დაგვაცენებს ბანაკში, ვიდრე ვეჟინს არ აიღებს მეფე გიორ-

გი და თავისი ჯარით არ შემოენწყობა რუსთავს“.

სამ დღეს გაუძლო ერისთავმა მეომართა და ასისთავთა ჩურჩულს. მერე თავად ეახლა უფლისწულს კარავში. ნიანიაც იქ იყო მაშინ.

— ფსალმუნთა კითხვა არ იგებს ომს, ბატონო. მარტო ლესვით ფხა დაილევა და როცა მოსაქნევი გახდება, ვეღარ გაჭრის. დაიქანცა ჯარი. ბრძოლაში გასვლას ითხოვს, — ჩვეული პირდაპირობით ბრძანა ერისთავმა.

გაეღიმა დავითს.

ყოველთვის მოსწონდა, ლიქენის უცოდინარი ერისთავის სიტყვა. იგრძნო, რომ ვეღარ აოკებდა საკუთარ თავსაც, ომს შეგუებული რაინდი, მაგრამ მაინც უარი თქვა.

— ჯერ არ არის მტკვარზე გადასვლისა და მტერთან შეხმის დრო.

გულდამწყვეტილმა გახედა ერისთავმა ნიანია: შენ მაინც შემამველე სიტყვაო.

— ნათელი ღამეებია. ნავტიკებიც მზადა გვაქვს. უდარაჯონ ატ ტავილმა და კვირიკემ საირმის ფონს. სხვაგან გადავალთ მდინარეს და გამთენიანაზე ციხეს შემოვეწყობით, — ერისთავს მისცა მხარი ბაკურიანმა.

შემობრუნდა უფლისწული და ჰკითხა:

— და რას მოგვცემს ციხის გარემოცვა?

გაუკვირდა ნიანია:

— მაშ, რისთვის ვართ აქა? განა გეგუთს ან ტაოს არ შეგვეძლო ლაშქრის განწვრთნა?! როდემდე უნდა ვიჯდეთ ჭაობში?

— ციხეს შემოვეწყობით, მაგრამ ატ ტავილი ზურგში დაგვეკრავს. ლაშქრის ორად გაყოფა მოგვიწევს. მოვიგერიებთ ატ ტავილს, ვერ დავამარცხებთ. საფრთხეს რომ იგრძნობს, თავად გაეცლება ბრძოლას. მაგრამ რა ამით?.. ან ვეჟინს ნავა და აღსართანს შეუერთდება, ან კიდევ, რუსთავის ციხიონს შემატებს თავის ლაშქარს. ესეც არაფერია. ვეჟინსა თუ რუსთავს, მაინც ჩვენი მახვილით ელის სიკვდილი მარბიელ ატ ტავილს, მაგრამ ალი ბაჰადურიცა და აღსართანიც რომ დაივიწყოს და ქართლის სოფლებს მოედოს რბევით?

სამეფოზე მზრუნველი მეფის სიტყვა თქვა უფლისწულმა.

— მაშინ, ატ ტავილს დავერათ. არც გვირდა მტკვარზე ლაშქრის გადაყვანა. აქვე ყოფილა, ტყეში, ფარას ჩასაფრებული მგელივით, — ნიანიას დაასწრო ლიპარტიანმა.

— რისთვის, ერისთავო? — გახედა დავითმა. — ტყე ავირჩიე სიმაგრედ და იმავე სიმაგრეში მივუსტე ატ ტავილს?.. განა ასევე არ გაამაგრებ-

და თავის ბანაკს?.. რისთვის გაწვავი-  
ტო ქართლის, ტაოსა და ეგრისის  
ლაშქარი, უდაბნოდან გადმოხვენილი  
უსამშობლო სელჩუკისთვის?.. ჩვენ აქ  
დაველოდებით, ქართულ მიწაზე. ბა-  
ნაკში, სადაც ყოველი ხევი, ხე, ბუჩქი  
და კენჭი ჩვენთვის იომებს!.. განა ვერ  
ხედავ, ერისთავო — ბანაკად დგო-  
მით, ერთმანეთს მოწვევით ატ  
ტავილი და ალი ბაჰადური?! ახლა  
რუსთავის ციხიონთან შესაერთებლად,  
თავად ატ ტავილს მოუწვევს მტკვრის  
გადაღახვა. თუ ეს დააპირა, მაშინვე  
დავკრავთ და ადიდებულ ნაკადში  
პირველად შესული იხვის ჭუჭულეზი-  
ვით გავატანთ მტკვარს მის მხედრებს.  
და ვეღარც ალი ბაჰადური შეუერთებს  
თავის ციხიონს სელჩუკს. მაშინ მდინარე  
უნდა გადმოჭრას და ჩვენს ბანაკს  
მოადგეს. არა მგონია, ბევრი კარგი  
მცურავი ჰყავდეს შირვანელს.  
მასაც მტკვარში ჩახრჩობისა  
უნდა ეშინოდეს, რამეთუ ქართუ-  
ლია ესე მდინარე!

— როდემდე?.. როდემდე  
ველოდოთ, უფლისწულო?..  
ლოდინმა ეგზომ მოქანცა  
ლაშქარი! — ახალგაზრდული  
სიფიცხით წამოიძახა ნიანიამ.

— მისთვის ვწერთნი  
ლაშქარს, რომ მოლოდინმა არ  
დამიღალოს მეომარი. ხანჯალს  
მოზომილი ლესვა სჭირდება და  
არა სალესის უმიზნო ფხაკუნი.  
არ მისცეთ ლაშქარს მოშვების  
ნება. მშვილდის ლამბივით გაყვ-  
დეთ მოზიდული!.. ყველაფერი  
უნდა იცოდეს ჩვენმა მეომარმა:  
ისრისა ტყორცნა, შუბის ძგერე-  
ბა, ხმლისა მოქნევა, ცხენის  
ჭენება და ხერგილის გუშაგო-  
ბა!.. არ გვექნება მშვიდი დღე.  
დღეს თუ არ ვიბრძვით და ციხეს  
არ ვლაშქრავთ, ხვალინდელი ომისთვი-  
სა და გოდოლთა რღვევისთვის უნდა  
ემზადოს ლაშქარი!..

ასეთი იყო დავითის პასუხი.

— რომ არ დაიძრას ატ ტავილ და  
არც ალი ბაჰადური გამოვიდეს ციხ-  
იდან?.. აქ დგომით, ვეუინს ვაკლებთ  
მეომარს, მეფე გიორგის! — სხვა  
მიზეზი გამონახა ლიპარტიანმა.

— რუსთავს ძევს კახეთის კლიტენი  
და ასეც რომ არ იყოს, დაძრავს ატ  
ტავილი ლაშქარს. ახლა გაძლებათა  
ყველაფერი. ვინც მოითმენს, ის მოი-  
გებს ამ ომს. ჩვენ, ჩვენს მიწაზე ვართ.  
არსად მიგვექარება. აქ დაავიბადეთ  
და აქვე დავიხოცებით და არც ოქ-  
როსა და ალაფს ველით ამ ომიდან...  
ატ ტავილის ლაშქარი კი — მარბიე-  
ლია. არაა შეჩვეული ერთ ადგილზე  
დგომას. კარგი სარდალია სელჩუკი,  
მაგრამ მაინც ვერ შეაკავებს ლაშქარს.  
თარეში მოსწყურდება, ძარცვა-რბე-

ას შეჩვეულ ბრბოს. იცის ეს ატ ტავილ-  
მა და მიტომაც არ გააჩერებს ლაშქარს  
დიდი ხნით. თავად მოგვიხტება ბა-  
ნაკში... ამაზე, როგორც სარდლებს,  
თავად უნდა გეფიქრათ. ახლა კი იმას  
გეტყვი, რაც დანამდვილებით ვიცი...  
ახალი ცნობა მომიტანა გუშინდამ  
მსტოვრმა. რუსთავის ციხეში თათბი-  
რი შემდგარა. ოთხნი ესწრებოდნენ  
იმ თათბირს: რუსთავის ციხისთავი  
ალი ბაჰადური, კვირიკე, რატი ლიპარტი-  
ის ძე და ატ ტავილი. თქვა მსტო-  
ვარმა: სამეფო სპის გამოჩენის მერე,  
პირველად მოვიდა ატ ტავილი  
რუსთავსო... სახე შებურვილი ჰქონია.  
არავის უნდა სცოდნოდა მისი ციხეში  
ყოფნა. ვგონებ, ისეც თავის ლაშქარს  
უმაღავდა ალი ბაჰადურთან შეხვე-  
დრას. მაგრამ მწვანე მოსასხამმა და  
ჟღალმა ნვერმა გასცა ავაზაკი... ვერ



შეიტყო მსტოვარმა, რაზე ითათბი-  
რეს იმ ღამით. გაბრაზებული ჩანდა  
ატ ტავილი. რაღაცას მოითხოვდა ალი  
ბაჰადურისგან. ის უარობდა. კვირი-  
კეც დაობდა. ის თავად ავალებდა  
რაღაცას ატ ტავილს. მთელი ღამე  
დავამი გაატარეს. მაინც ვერ შეთ-  
ანხმდნენ... მზე ამოსული არ იყო, როცა  
ატ ტავილმა ციხე დატოვა. კიდევ ერთი  
რამ შენიშნა მსტოვარმა: ამალის  
გარეშე იყო სელჩუკი, მაგრამ სამი  
ქართველი მეომარი ახლდა. ერთი, კახი  
მალემსრბოლი იყო, აღსართანის აზნ-  
აური, ორნი — ფხოველებს ჩამო-  
ჰგავდნენ...

— ფხოველები ატ ტავილს შეუერთდ-  
ნენ?! — გაიკვირვა ლიპარტიანმა.

— სანდოა მსტოვარი. არ შეცდე-  
ბოდა კახისა და ფხოველის გამორჩევა-  
ში, — განაგრძო დავითმა, — ცუდად  
მენიშნა მათი ატ ტავილთან ყოფნა.  
ერთი რაზმი ვეუინს ჩასულა და ვინ

იცის, იმ რაზმიდან არიან ეს ფხ-  
ოველნი თუ სხვა მამველი გამოუგზა-  
ვნა მთამ ატ ტავილს?!. თანაც, უცნ-  
აურნი ყოფილან ის მეომრები. ტყუპი  
ძმა ყოფილა. ჩაცმით, იარაღითა, მი-  
მოხრით, უეჭველ მთიელებად დასას-  
ელა მსტოვარმა. მაგრამ თქვა, რომ  
ფხოველისთვის უჩვეულო ქერა თმა  
და მონწენდილი ცასავით ლურჯი  
თვალები ჰქონდათო.

— რა უნდა იყოს იმ თათბირის  
მიზეზი? — ჩაფიქრდა ბაკურიანი.

— მიზეზი ერთია: ჩანს, უკვე მოყირ-  
ჭდა ატ ტავილს მტკვრის ჭალებში  
მალვა. ლაშქარის დაძვრის აპირებს,  
მაგრამ იმასაც ხვდება, რომ გაუჭირდ-  
ება მარტოს ჩვენი დაძლევა. ერთად  
ბრძოლას სთავაზობს ალი ბაჰადურს.  
რუსთავის ციხისთავს კი არსად მიეჩ-  
ქარება. იმედიანად გრძნობს თავს ციხის  
გალავანს მიღმა. ციხის კედლე-  
ბზე ურჩევნია ჩვენი ლაშქრის  
მოგერიება, ვიდრე ბანაკში მოხ-  
ტომა. მტკვარიც აფიქრებს შირ-  
ვანელს. იცის, რომ ბევრს  
წაიღებს მტკვარი, ვიდრე ჩვე-  
ნამდე მოაღწევენ. ამას გაურბის  
ბაჰადური და უარს ეუბნება ატ  
ტავილს, — ივარაუდა  
უფლისწულმა.

— რას უნდა ველოდეთ ამჟა-  
მად? არ განანწყენდეს ატ ტავილი  
და თუ მარტომ ვერ გაბედა ბრძ-  
ოლის დანყება, ვეუინს არ  
დაძრას ლაშქარი. გაუჭირდება  
მეფე გიორგის. დიდი ძალაა  
ხუთი ათასი მძიმედ შეჭურვილი  
მხედარი, — მოიღრუბლა  
ერისთავი ლიპარტიანი.

— არ დაძრავს. თათბირი  
ორი დღის წინ შედგა. წამსე-  
ლელი უკვე უნდა წასულიყო.  
მსტოვრები მატყობინებენ, რომ  
არ უჭირავს სამგზავრო სამზადისი  
ატ ტავილის ლაშქარს... საომრად ემზა-  
დებიან. ხმალ-შუბს ფხას უსწორებენ  
და ორი დღის მერე უნდა ველოდეთ  
შემოტევას! — ბრძანა დავითმა.

— ესეც მსტოვრებმა გამცნეს? —  
გაკვირვებით გახედა ერისთავმა.

— არა, — უპასუხა დავითმა. ადგა,  
კარვის კალთა გასწია და ვარსკვლავე-  
ბით მოჭედო ცას მიაპყრო მზერა.  
მერე შემობრუნდა და ერთი, ვერცხ-  
ლისფრად მოკიაფე ვარსკვლავისკენ  
გაიშვირა ხელი:

— ოცდასამი წლის წინ გამოჩენი-  
ლა ეს ვარსკვლავი. აღმოსავლეთიდან  
დასავლეთით მოძრაობს. სახრჩობელის  
მარყუჟს მიუგავს კუდი. დოკიდა  
უნოდეს მაგ ვარსკვლავს. მისნებმა კი  
მისი გამოჩენა სელჩუკთა მომძლავრე-  
ბის ნიშნად გამოაცხადეს. ამეირიდან  
ვარსკვლავთან ერთად უნდა ემოძრავა  
თურქთა მოდგმას და თავის გზაზე

დაეპყრო და გაეცამტყერებინა ყოველი სამეფო... ასე სჯერათ სელჩუკთ და მიჰყვებიან დოკიდას. ატ ტავილიც მათი მოდგმისაა და თანაც, გამორჩევი სჯერა მისნობისა და ვარსკვლავთმრიცხველობისა. ერთი უცნაურობა სჭირს მაგ ვარსკვლავს: დროდადრო აკაშკაშდება, დროდადრო, მინავლებული ნაკვეთჩხალივით ბუჭუჭავს, თითქოს უნდა ჩაქრესო. მაშინ გაუბრბიან ბრძოლად გასვლას სელჩუკნი. ცუდ ნიშნად თვლიან დოკიდას ქრობას. მაგრამ ასმაგ შმაგნი ხდებიან ვარსკვლავის აკაშკაშებისას. ბრძოლას ესწრაფვიან და გააღმასებულნი იქნევენ ხმალსა. ეს დროა ახლაც. ვიცი და მსტოვრებიც მამცნობენ: ყოველდამე ცას უთვალთვალებს ატ ტავილი და ყოველდამე ერთ რამეს ხედავს. დღითი დღე უმატებს ვარსკვლავი კაშკაშს. კიდევ ორი დღე გასტანს ეს. მერე ისევ გაქრობას დაიწყებს დოკიდა. ამიტომ მივიდა ატ ტავილი რუსთავის ციხეში — ამ ორ დღეში ალი ბაჰადურის ბრძოლაში გამოსაყვანად. უარი კი მიიღო. შირვანელია რუსთავის ციხისთავი და არ ცნობს სელჩუკთა მისნობას. მაგრამ მაინც არ გაჩერდება ატ ტავილი და რუსთავის ციხიონის გარეშეც დაგვესხმის თავს!..

დიდხანს დუმდა ერისთავი ლიპარტიანი. მერე წინ წარდგა, მდაბლად დახარა თავი და თქვა:

— დიდება შენდა, უფალო, რომ მომასწარ ამ დღესა! ჩემ წინაშე, ჭაბუკი უფლისწული კი არა, მცოვანი მეფე დგას!.. იმსახურე, მეფეო, ჩემი გონი, მარჯვენა და ხმალი!..

— მეფეს სამეფო უნდა ჰქონდეს, ერისთავო. სამეფო, რომელიც მე არ გამაჩნია! — ბრძანა დავითმა.

— არ გამაჩნიაო?! — დაიბნა ერისთავი.

— ნუ ჩამითვლი სამეფოდ იმას, რასაც ახლა ფლობს მამია ჩემი. რამეთუ სხვაა ის სამეფო, რომელიც ოცნებად დამისახავს, ყოველ ქართველთა ურყევი კავშირი!.. იმიერ და ამიერ საერისთავოთა ერთ მუშტად შეკრა... ტაო-მესხეთით, ეგრის-აფხაზეთით, იმერეთით, სვანეთით, ქართლით, კახეთ-ჰერეთითა და ფხოვით!.. აი, ეს არის ჩემი სამეფო და მის მუშტად შეკვრაში უნდა მამსახურო გონიც, მარჯვენაც, ხმალიცა და სიცოცხლაც, რამეთუ თავად გამინირავს იგი, ყველა ქართველთა გაერთიანებასა და სამეფოს აღზევებაში!.. ეს იყო ჩემი სათქმელი და ახლა მარტო საქმეს ველი თქვენგან. დაბრუნდით ჯართან და ომისთვის მოამზადეთ მეომარნი!..

ეს თქვა დავითმა და ისევ კუდმარყუჟა ვარსკვლავს მიაპყრო მზერა.

გაგრძელება შემდეგ ნომერში

14 მაისს საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია წმინდა გვირგვინოსანს — თამარ მეფეს იხსენებს — მეფეს, რომელმაც მთელი მინიერი ცხოვრება ღვთისა და სამშობლოს უსაზღვრო სოცვარულში გალია. მისი ამქვეყნური ცხოვრების კიდევ ერთ მთავარ საზრუნავს ღარბ-ღატაკთა და გასაჭირში მყოფთა შეწევნა წარმოადგენდა. სწორად იტყვოდა თურმე ღმერთი: „მე ვარ მამა ობოლთა და მსაჯული ქვრივთა“.



## ღვთის ვედრებაში ამაღლდა ზეკად თამარ მეფის წმინდა სული

### შორენა მერაპილაძე

თორმეტი წლის იყო თამარი, როდესაც მამამისმა — გიორგი მეფემ ტახტზე გვერდით მოისვა და მეფედ გამოაცხადა, რადგან იცოდა, რომ მისი გარდაცვალების შემდეგ, ქალიშვილს გამეფება და გვირგვინის შენარჩუნება გაუჭირდებოდა. ცრემლით შესთხოვა ერს, გიორგი მეფემ, დამორჩილებოდა და ერთგული ყოფილიყო თამარისა. დიდებულებმა ერთგულება შეჰფიცეს მცირეწლოვან გვირგვინოსანს...

6 წლის მანძილზე, მამა-შვილი ერთად განაგებდა საქართველოს უძლიერეს სამეფოს. 1184 წელს, გიორგი გარდაიცვალა და 18 წლის თამარი საქართველოს სამეფოს ერთადერთი პატრონი და მმართველი გახდა.

ღვთისმოსავმა მეფემ კურთხევის დღესვე უხვად გასცა საბოძვარი უპოვართათვის. მთელი სიცოცხლის მანძილზე არ შეუწყვეტია ღარბ-ღატაკებისა და უძღურთათვის ზრუნვა. მისი გულმონყალების შესახებ ლეგენდები დადიოდა. მეფის ბრძანებით, ქვეყნის შემოსავლის მეთაფი უპოვართ ურიგდებოდათ...

ხელისუფლების სათავეში მოსვლისთანავე, ჯერ ქვეყნის შიდა საქმეებს მიხედა, შემდეგ ეკლესიას მიაპყრო მზერა — მეფის გონიერმა თვალმა მალევე შენიშნა, რომ საეკლესიო საქმეები განსაკუთრებულ ყურადღებას მოითხოვდა, უმაღლეს სასულიერო პირებში ზნეობრივი რყვნანი შეინიშნებოდა. შექმნილი მდგომარეობის გამოსასწორებლად, თამარმა საეკლესიო კრების მოწვევა გადანიშნა. საქართველოში მოღვაწე, წმინდა ცხოვრებით გამორჩეული ღვთისმსახურნი შემოიკრიბა.

იერუსალიმიდან, სიბრძნითა და წმინდა ცხოვრებით ცნობილი მცხეთის ყოფილი კათოლიკოსი, ნიკოლოზ გულაბერიძე მოისმო. კრებას მამა ნიკოლოზი და ქუთათელი ეპისკოპოსი ანტონი უძღვებოდნენ. „ჰოი, მამანო, ყოველივე კეთილად გამოიძიეთ, მართალი დაამტკიცეთ და განხადეთ გულარძნილი (გულბოროტნი ეკლესიიდან გააძევეთ), თუ მართალი არ ვიყო, ნურც მე მომერიდებთ ... სიტყვა იყოს თქვენი და საქმე ჩემი; თქვენ გვასწავლეთ, ჩვენ ვისწავლით; ხელი ხელს მივცეთ სჯულიერების დასადგენად“, — მდაბლად მიმართა მეფემ წმინდა კრებულს. კრებამ უღირსი ეპისკოპოსი განკვეთა, ერში ფხმოკიდებული უკეთური ჩვეულებებიც დაგმო და მრავალი დავინყებული საეკლესიო წესი აღადგინა.

სულ მალე თამარ მეფემ, თავისი სურვილის მიუხედავად, იქორწინა რუსთა დიდი მთავრის, ანდრეას ვაჟზე, გიორგიზე (იურიზე). „როდესაც ქორწინებისთვის მზადება სთხოვეს, ბრძნულად უთქვამს: ასეთი საქმის მოუფიქრებლად გადაწყვეტა არ ეგების. ამ უცხო კაცის არც ქცევა ვიცით და არც ხასიათი, ჯერ მისი ავ-კარგი გავიგოთო. ყური არავინ ათხოვა. უიღბლო აღმოჩნდა პირველი ქორწინება. ორწელიწად-ნახევარს ითმინა თამარმა მეუღლის უმსგავსოვანი, შემდეგ მონაზონი მიუგზავნა გონს მოსაყვანად, მან კი წმინდა მამები დაამიშვლა და ისე სცემდა ცხადი იყო, რომ გიორგი რუსის გამოსწორება არ შეიძლებოდა. ადგა თამარ მეფე და განეროდა, მამიდამისმა რუსუდანმა და დიდებულებმა კი გიორგი რუსი საქართველოდან გააძევეს.

სხვა სასიძოებიც გამოჩნდნენ, შო-



რეული თუ მახლობელი სახელმწიფოების უფლისწულები. დიდად ფრთხილობდნენ ქართველები. ბოლოს არჩევანი ოსთა უფლისწულზე, დედით ბაგრატიოვან დავით სოსლანზე შეაჩერეს. მაინდა რუსუდანიც დათანხმდა დიდებულთ. თავმდაბლად დაჰყვა თამარი მამიდას, ერთი კი უთქვამს გულისწყვეტით: „ღმერთია მონაჲ, ქმროსნობის მონადინე არასოდეს მქონია გული, ჩემგან ამას სამეფო ტახტი რომ არ მოითხოვდეს, რომელიც ღვთისა და მშობლებისგან მომეპარა, ახლაც უქორწინებლობის მთხოვნელი ვიქნებოდე“...

ღვთისმოსიში, ბრძენი, ქვეყნის ერთგული, მნიგნობარი და სამხედრო საქმის მცოდნე აღმოჩნდა დავით სოსლანი.

ქორწინებიდან ერთი წლის შემდეგ, გიორგი რუსი მოადგა კლარჯეთს, თითქმის მთელი დასავლეთ საქართველოს დიდებულების მიმხრობა მოახერხა და თამარ მეფეს აუჯანყდა. ლიხს იქით მხოლოდ პატრიარქი თეოდორე და ანტონ ქუთათელი დარჩნენ მეფის ერთგულნი. თამარმა ამირსპასალარი გამრეკელი იხმო, მოუწოდა კახელებს, ქართლებს, ჭერებს, სამეფოს დასაცავად გამოსულიყვნენ; ბრძოლა ერთშეთსა და თმოგვს შორის გაიმართა. დამარცხდნენ აჯანყებულები, დიდსულოვნად მიუტყვა გვირგვინოსანმა მოღალატეებს. არც ქმარყოფილის დასჯა მოსვლია აზრად. კიდევ ერთხელ აპატია და კონსტანტინოპოლისკენ გაისტუმრა.

ორი უდიდესი ბრძოლა გადაიტანა საქართველომ თამარის მეფობის ჟამს — შამქორის და ბასიანის. ღვთისმოსავი მეფე ბრძოლის წინ „მხოლოდ ძალსა ღმრთისასა“ ანდობდა მებრძოლებისა და ქვეყნის ბედს. შამქორის ომის წინ გვირგვინოსანმა დალოცა ქართველთა ლაშქარი, გაამხნევა, ჯვარი უწინამძღვრა, შემდეგ ფეხშიშველი გაემართა მეტეხის ტაძრისკენ. დიდხანს ლოცულობდა მუხლმოყრილი, ღვთისმშობლის ხატის წინ, ცრემლით შესთხოვდა გამარჯვებას უფალს. მართლაც, ძლევამოსილი გამარჯვება მოიპოვეს ქართველებმა, ღვთის შეწევნით, სძლიეს რიცხოვრებულ ბევრად მეტ მტერს. დიდძალი ნადავლით დაბრუნდნენ ბრძოლის ველიდან. ღირსეულად დააჯილდოვა მეფემ გამარჯვებული მხედრობა, ყველაზე ძვირფასი საფასვე, ხალციხის დროშა, გელათის მონასტერში დაბრძანებული ხახულის ღვთისმშობლის ხატს შესწირა.

ძლევამოსილი გამარჯვება მოიპოვეს ბასიანის ომშიც, თამარის მხურვალე ლოცვითა და ღვთის შეწევნით გაძლიერებულმა ქართველებმა. რუმეიკონის სულთანი რუქნადინი 400-

ათასიანი არმიით გამოემართა საქართველოსკენ. ბასიანთან შეჩერდა თურქთა მხედრობა. ლაშქრის სიმრავლით გაგულისებულმა სულთანმა, თამარ მეფეს უკმეხი წერილი მისწერა: სჯულის გამოცვლის სანაცვლოდ, ცოლობას სთავაზობდა, ხოლო თუ ქრისტიანად დარჩებოდა, ხარჭად დასმით ემუქრებოდა. საყვარელი მეფის შეურაცხყოფამ ფეხზე დააყენა მთელი საქართველო. ლაშქარს დავით სოსლანი ჩაუდგა სათავეში, ვარძიის ღვთისმშობლის ხატს შეავედრა გვირგვინოსანმა ქართველთა მხედრობა. შემდეგ, ფეხშიშველი წარუძღვა ლაშქარს მტრის ბანაკისკენ, მხურვალე ლოცვითა და ცრემლთა ღვრით. ქართველები მტრის ბანაკიდან ერთი დღის სავალზე დაბანაკდნენ. მეფე შემალღებულ ადგილზე ავიდა, ლაშქარს გადახედა, მუხლი მოიდრიკა და დიდხანს ლოცულობდა. შემდეგ ჯვარი მოატანინა. სათითაოდ სცეს თაყვანი ჯვარს მებრძოლებმა, ბოლოს სამგზის გადასახა ჯვრის ნიში და ქართველნი ბასიანისკენ გაემართნენ. თამარ მეფე სამცხეში დაბრუნდა, ოძრხეს მივიდა



და კვლავ ლოცვად მოიყარა მუხლი. მის გვერდით იყვნენ: პატრიარქი თეოდორე, ეპისკოპოსნი და პატიოსანი მონაზონნი. დღეებს მარხვასა და ლოცვაში ატრებდნენ. ერთხელ, ლოცვის ჟამს, ერთ-ერთი მონაზონი — ევლოგი მინაზე დაეცა, მაგრამ მყისვე წამოდგა. ასე განმეორდა სამჯერ. როდესაც მესამედ ზე წამოიმართა, წარმოთქვა: „აჰა წყალობა ღმრთისა მოინია თამარის სახელზე!“ მცირე ხნის შემდეგ, მაცნეც გამოჩნდა და მეფეს ქართველთა გამარჯვება ახარა... დამარცხებული რუქნადინი გაიქცა, ქართველებმა

ერზენჯანის მმართველი ჩაიგდეს ტყვედ და თამარ მეფეს მიჰგვარეს. ტყვე მეფის წინაშე დაეცა და ერთხანს გულწასული იყო, თან უცნაურად იკლაკნებოდა. როდესაც გონს მოეგო, თქვა „თამარ მეფის თავს ზემოთ ვინილე ის, ვინც ბრძოლის დროს უდიდეს წინააღმდეგობას გვინვედა და გვძლია კიდევ, მისმა ხილვამ დამცა თავზარიო. მეფის უკან, კედელზე მთავარანგელოზის ხატი ეკიდა...“

თავისი 28-წლიანი მეფობის მანძილზე კიდევ არაერთი გამარჯვების სიხარული განაცდევინა ღვთივეკურთხეულმა მეფე თამარმა ქართველ ერს. წმინდა გვირგვინოსანი ეკლესია-მონასტრების აღდგენა-გაძლიერებასა და აშენებაზეც ზრუნავდა. სწორედ მისი ძალისხმევით აიგო: ფიტარეთი, ბეთანია, ყინწვისი, ქვათახევი; კლდეში გამოიკვეთა ვარძიის მონასტერი, სადაც თამარ მეფე დიდი მარხვის დღეებს ატარებდა მარხვითა და ლოცვით. არც საქართველოს საზღვრებს გარეთ არსებულ ქართულ კერებს აკლებდა ზრუნვას, პალესტინის, ათონის მთის, პეტრიწონის, შავი მთის, კონსტანტინოპოლის, თრაკიის, რუმინეთის ქართული საკანეები მისი წყალობით არსებობდნენ.

თამარის მეფობის ხანაში საქართველო დღითი დღე ძლიერდებოდა, განვითარდა, გამდიდრდა. წინ წავიდა განათლების საქმეც, იმდენად ძლიერ სახელმწიფოდ ჩამოყალიბდა, რომ მეზობელი ქვეყნებიც ხშირად სთხოვდნენ დახმარებასა და მფარველობას.

დიდების მწვერვალზე იმყოფებოდა გვირგვინოსანი, როდესაც ჯანმრთელობა შეერყა. ქალის ორგანიზმმა მხედრულ ცხოვრებას ვეღარ გაუძლო. დიდხანს მალავდა მეფე სნეულებას, არავინ შეევანუხოო, ბოლოს ჭირმა მინც იჩინა თავი. სამწუხაროდ, კურნება დაგვიანებული იყო...

მიხვდა მეფე, რომ ამ ქვეყნიდან გასვლის ჟამმა მოანია, დიდებულები იხმო, გაამხნევა, გამოემშვიდობა და შვილები — გიორგი და რუსუდანი ჩააბარა. უკანასკნელად კი უფალს შევედრა: „ქრისტე ღმერთო ჩემო, შენ შეგვედრებ სამეფოსა ამას, რომელი შენ მიერ მერწმუნა და ერსა ამას, პატიოსნითა სისხლითა შენითა მოსყიდულსა, და შვილთა ამათ ჩვენთა, რომელნი შენ მომეც და მერმე სულსა ჩემსა“... ლოცვისას აღვიდა მისი სული ზეცად... 1213 წელი იდგა. წმინდა გვირგვინოსანი 44 წლისაც არ ყოფილა.

თამარ მეფის წმინდა და მართალი სული ზეციურ სასუფეველში დაჰკვიდრდა. სამწუხაროდ, დღემდე უცნობია, სად განისვენებს ღვთივეგაბრწყინებული მეფის წმინდა და მართალი ცხოვრებით განწმენდილი ნეშტი. ■





„სწოქმოსდ პატრიარქოს“  
სწოქმოსდ პატრიარქოსი თაფლით ან უნდს შუქსით

თითქმის 3-წლიანი მუშაობის შემდეგ, რეჟისორმა გიორგი შალუტაშვილმა უწმინდესისა და უნეტარესის, ილია მეორის ბიოგრაფიულ ფილმზე მუშაობა დაასრულა და მას „სტუმრად პატრიარქთან“ უწოდა. ფილმის სანახავად „ამირანში“ ერი და ბერი ერთად შეიკრიბა. როგორ დაიბადა ფილმის შექმნის იდეა, როგორ შეხვდა ამ იდეას უწმინდესი და უნეტარესი, როგორი იყო პატრიარქთან მუშაობის პროცესი? — ამ და სხვა საკითხებზე ფილმის რეჟისორი გიორგი შალუტაშვილი გვიპასუხებს:

თამუნა კვინიკაძე

— 19 ფილმის ავტორი ვარ და ასეთი სიძნელეები არც ერთ ფილმზე მუშაობის დროს არ შემხვედრია. ფირზე გადაღებული მასალა 2-ჯერ ნაგვეშალა. მორწმუნე ადამიანისთვის ასეთი წინააღმდეგობა ადვილად გასაგებია: კეთილი საქმის კეთების დროს ეშმაკი ხომ განსაკუთრებით გვებრძვის... როგორც იქნა, ფილმი დავასრულეთ და, რაც ყველაზე მეტად მახარებს, ჩვენი ნამუშევრით პატრიარქი კმაყოფილია.

— ფილმის შექმნის იდეა ვის კუთვნის?

— მეუფე დიმიტრი იყო ის ადამიანი, ვისთან ერთადაც განვიზრახეთ ამ იდეის განხორციელება და შევარჩიეთ პრინციპი, რომელსაც ფილმი უნდა დაყრდნობოდა. მეუფე დიმიტრი, პატრიარქის ძმისშვილია. ჩვენ წინასწარ ვიმუშავეთ იმ კითხვებზე, რომლებიც უწმინდესისთვის უნდა დაგვესვა. ფილმის სცენარი თამარ ბართაიამ დაწერა.

ქმნის. როგორი უშუალოც ჩვენთან საუბრისას იყო, ისეთი გვინდოდა მაყურებლისთვის წარგვედგინა. რეჟისორული ჩარევა რაც შეიძლება უმნიშვნელო უნდა ყოფილიყო.

— გადაღებები სად მიმდინარეობდა?

— ყაზბეგში, დარიალის ხეობაში, სოფელ სნოში, მცხეთაში. რამდენიმე კადრი გამოყენებულია დათო ჩიხრაძის ფილმიდან, რომელიც პატრიარქის ალსაყდრების 25 წლისთავს მიუძღვნა.

— რით არის ეს ფილმი, პატრიარქზე გადაღებული სხვა ფილმებისგან გამორჩეული?

— აქ პატრიარქი თავის ბიოგრაფიაზე თავად ლაპარაკობს. ბევრ საინტერესო ამბავთან ერთად, იხსენებს მამის წინასწარმეტყველებას, — საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, ირაკლი ან რაფიელი (პატრიარქის ბიძაშვილი) იქნებაო. მას ეს წინასწარმეტყველება ფურცელზე დაუნერია, შემდეგ ის ფურცელი ბოთლში ჩაუდვია და მშენებარე კედელში

საუბრობდა. მალე პატრიარქიც მობრძანდა. დაგვლოცა და ფილმიც დაიწყო.

კავკასიონის ვეებერთელა მთები, ყაზბეგის თვალწარმტაცი ხედები, პატრიარქის მიერ დაწერილი მუსიკა. გალობა და ამბები, რომლებსაც პატრიარქი, მასთან სტუმრად მყოფთ უყვება:

„სკოლაში დავდიოდი და სკოლა არ მიყვარდა. მეც არ ვუყვარდი მასწავლებლებს. ცელქი და მოუსვენარი ბავშვი ვიყავი. ერთი შემთხვევა მახსენდება: II თუ III კლასში ვიყავი, კიბეზე ავრბოდი, ხელში დიდი ჩანთა მეჭირა და მასწავლებელს დავეჯახე. მან ჩანთის წართმევა მოინდომა, მაგრამ ვერ წამართვა. შემდეგ კლასში სხვა მასწავლებელთან ერთად შემოვიდარ და ახლა ის შეეცადა, ჩანთა წაერთმია. მეჯაჯგურა, მაგრამ ვერც იმან წამართვა. ბოლოს, ჩემს მშობლებს წერილი მისწერეს: გთხოვთ, მობრძანდეთ სკოლაში, რათა თქვენი შვილის ბედი გადავწყვიტოთ. ამ ბოლო ორმა სიტყვამ ძალიან იმოქმედა, ჩემი ბედი უნდა გადაწყვედეს-მეთქი. ისეთი ტრავმა მივიღე, ახლაც რომ მახსენდება, ცუდად ვსდები“.

მთაში ცხოვრება რთული იყო. ადამიანთა გატაცება ხშირად ხდებოდა. ამას ვერც შიოლაშვილების გვარი გადაურჩა:

„მამაჩემს და ჩემს პაპას (დედის მამას) ცხენები მიჰყავდათ. ამ დროს ჩეჩნებმა დააკავეს, ბარგი და ცხენები ჩამოართვეს. დასახვრეტად ტყეში წაიყვანეს, ჩააგდეს ორმოში, რომელშიც ადამიანთა გვამები იყო. მამას უთქვამს: ჩვენ მდიდრები ვართ და გამოსასყიდს მოვიტანთო. მამამ ქისტების ენა იცოდა. მათ ბჭობა დაუნყიათ: გავუშვათ თუ არაო? ბოლოს, პაპაჩემი ფულის მოსაგნად გამოუშვეს“. იმ ღამეს გიორგი შიოლაშვილი დახვრეტას გადაურჩა. იქ რომ დაეხვრიტათ, არ დავიბადებოდიო, — იხსენებს პატრიარქი.

მისი მონათხრობიდან მნიშვნელო-

ეს წინასწარმეტყველება ფურცელზე დაუწერია, შემდეგ ის ფურცელი ბოთლში ჩაუდვია და მშენებარე კედელში ჩაუტანებია. მამინ პატრიარქი 10 წლის ყოფილა

— პატრიარქი თქვენს ინიციატივას როგორ შეხვდა?

— ვერ ვიტყვი, რომ დიდი ენთუზიაზმით შეხვდა. თავად შემოგვთავაზა, მხოლოდ მის გვარსა ან იმ კუთხეზე გადაგველო, სადაც დაიბადა და აღიზარდა. ეს კი ბიოგრაფიული ჟანრის ფილმია. პატრიარქი ბავშვობის და შემდგომი პერიოდის ამბებს თავად მოგვითხრობს. მისი მოგონებები, გამონათქვამები, მის მიერ დაწერილი მუსიკა — ყველაფერი ეს, ერთობლიობაში, პატრიარქის პორტრეტს

ჩაუტანებია. მამინ პატრიარქი 10 წლის ყოფილა. როცა უწმინდესი და უნეტარესი საკუთარ წარმომავლობაზე ლაპარაკობს, აღნიშნავს, რომ მისი გვარის ფუძემდებელი შიოლა ლუღუშაურია. შიოლას დედა ბაგრატიონი ყოფილა. შემთხვევით არაფერი ხდება, წმინდა ადამიანის დაბადებას თაობების განმედა სჭირდება...

სანამ ჩვენი ერის სულიერი წინამძღოლი მობრძანდებოდა, დარბაზში შეკრებილი მრევლი მის ღვანლსა და დამსახურებაზე მოწინებთ

ვანია პაპამისის ნანახი სიზმარი:  
 „ვითომ მე და პაპაჩემი წყალათხ-  
 იდთან, იქ, სადაც სნოს წყალი თერგს  
 უერთდება, ვიდექით. მთელი მინდ-  
 ორი ხალხით იყო სავსე და გაჰყვი-  
 როდნენ, — მეორედ მოსვლა იწყე-  
 ბაო! უეცრად ეს ხალხი შუაზე გაიყო.  
 მაცხოვარი მობრძანდა... პირდაპირ  
 ჩვენკენ წამოვიდა და მე მითხრა: ხალხი  
 უნდა მოაქციოო. აი, ასეთი სიზმარი  
 ნახა. ამის შემდეგ იმ ადგილას მეო-  
 რედ მოსვლის ნიშა აღმართეს“.

ეს ნიშა ერთადერთია მთელ ქრის-  
 ტიანულ სამყაროში. წინასწარმეტყვე-  
 ლების მიხედვით, აპოკალიფსის ჟამს,



**ძალიან კარგი ნამუშევარია. დიდი ტაქტიკით და სენტიმენტების გარეშეა გაკეთებული**

ქართველი ერი უფლის სადიდებლად სწორედ ამ ადგილზე შეიკრიბება.

ამ ფილმის მიმართ ვერც ერთი მაყურებელი ვერ დარჩება გულგრილი. პატრიარქი ბევრ საინტერესო ამბავს იხსენებს და სმენად ქცეულს, სურვილი გიჩნდება, მასთან სტუმრობის წუთები რაც შეიძლება დიდხანს გაგრძელდეს...

ფილმის ნახვით მიღებული შთაბეჭდილებები ასეთია.

**აქტი დოლიძე**, რეჟისორი:  
 — ძალიან კარგი ნამუშევარია. დიდი ტაქტიკით და სენტიმენტების გარეშეა გაკეთებული. განსაკუთრებით, უწმინდესის „ჩუმი“ იუმორი მომეწონა, რომელიც მასზე გადაღებულ სხვა ფილმებში ნაკლებად იგრძნობა. როგორც წესი, პატრიარქზე აქამდე

მხოლოდ „დიდებულებით სავსე“ ფილმებს იღებდნენ. ამ ფილმში კი მის ადამიანურ თვისებებზე უფროა ყურადღება გამახვილებული. ის ხუმ-

ჩნდება სურვილი დედამიწაზე სამოთხის შექმნისა, მაგრამ უნდა გვახსოვდეს, რომ დედამიწა არ არის და ვერც იქნება სამოთხე. არამედ ის არის

## წინასწარმეტყველების მიხედვით, აპოკალიფსის ჟამს, ქართველი ერი უფლის სადიდებლად სწორედ ამ ადგილზე შეიკრიბება.

რობს, ბავშვობის ამბებს იხსენებს, რაც მოსასმენად ძალზე საინტერესოა. ფილმს ძალიან მოუხდა მამა კონსტანტინეს ხმა. მიხარია, რომ ეკლესიის წიაღში მამა კონსტანტინეს წასვლასთან მე პირდაპირი კავშირი მაქვს.

### რას გულისხმობთ?

— იგი ეკლესიაში ჩემს სპექტაკლში — „სერობა“ მონაწილეობის შემდეგ წავიდა. ეს სპექტაკლიც პატრიარქს მივუძღვენი. მამა კონსტანტინე ერთ-ერთი მონაწილე როლს ასრულებდა.

**რუსუდან კერვალიშვილი**, ბიზნესმენი:

— არ ვიცი, რა გითხრათ, ამწუთას ძალზე ბედნიერი ვარ. დღეს უწმინდესი სხვა კუთხით დავინახე, თითქოს უფრო ახლოს გავიცანი. მე მასთან სტუმრად ვიყავი და საოცარი თავგადასავალი მიაშბო...

### რაზო მიხვალაძე


— ეს არის ალბათ ერთადერთი შემთხვევა, როცა ფილმს უწმინდესისა და უნეტარესის შესახებ არავითარ შემთხვევაში კრიტიკოსის ცოდვილი თვალით არ უნდა შევხედოთ. ჩვენ ბედნიერი ხალხი ვართ, რომ ამ უძნელეს წლებში ასეთი ძლიერი სულიერი წინამძღოლი გვყავს. ის მთელ ერს ანათებს თავისი სუფევით. ამ ფილმით შეძრული ვარ, ახლაც ყურში ჩამესმის ჩვენი პატრიარქის მშვიდი ხმა... ბედნიერი ვარ...

როგორც რეჟისორმა გიორგი შალუტაშვილმა გვითხრა, სურვილი აქვს პატრიარქზე, როგორც შემოქმედზე, ახალი ფილმი გადაიღოს: „ის წერს ლოცვებს, საგალობლებს, არის ხამტმწერი, კედლის მხატვრობების ავტორი. ამ თემაზე გაკეთებული ფილმი არანაკლებ საინტერესო იქნება“, — აღნიშნა რეჟისორმა. მას წარმატებებს ვუსურვებთ, დასასრულს კი კვლავ პატრიარქის სიტყვებს შემოგთავაზებთ:

„ძალიან ხშირად ჩვენ გვი-

ადგილი სამოთხიდან განდევნისა. მიწიერი ჩვენი ცხოვრება უდაბნოში მოგზაურობას ჰგავს. დღე დღეს აუნყებს მარადიულობის კარიბჭესთან ჩვენს მიახლოებას. მთავარია, იქ წარვდგეთ ღირსეულად, რადგან ჩვენ სიკვდილისა და გაქრობისთვის არ ვართ დაბადებულნი. თითოეული ჩვენგანის მიზანი — მარადიული სიცოცხლის მოპოვებაა, უფალთან მიახლოებაა, რადგან სიცოცხლე ღმერთშია და მარადიულ ნეტარებაში. როდესაც წუთისოფლის ბნელ გზაზე, დაღლილნი და გზაბნეულნი შევჩერდებით და აღარ გვეცოდინება, საით წავიდეთ, მოგვმადლე ცხოვრებისეულ ქარიშხალში შენი ნათელი სახის ხილვა და შენი მშვიდი, გამამხნეველებელი ხმის გაგონება: „მე თქვენთანა ვარ ყოველთა დღეთა და ვიდრე აღსასრულამდე სოფლისა. ამინ!“

### ცემ კატის კინოტემპანია ახალი ჯამუშუატი ცდილობს გადასალემად ემგადემა



პოპულარული ტელეესერიალის — „24“ — ერთ-ერთი ავტორი და პროდიუსერი ჯოელ სურნოუ კინოკომპანიაში — United Artists — ახალი, ჯერ-ჯერობით დაუსათაურებელი ჯ ა შ უ შ უ რ ი ტრილერის სცენარის დასაწერად დაიქირა-

ვა. კინოკომპანია, რომლის ნახევარი წილი ტომ კრუზს ეკუთვნის, საკუთარი მფლობელისთვის კომერციულად მომგებიან პროექტებს არჩევს. ბოლო ფილმი ტომ კრუზის მონაწილეობით, რობერტ რედფორდის „ლომები — კრავთათვის“ იყო. 2009 წლის თებერვალში ეკრანებზე გამოვა ბრაიან სინგერის სამხედრო დრამა „ვალკირია“, რომელშიც მთავარ როლს ტომ კრუზი თამაშობს. ახალ ჯამუშურ ტრილერს რეჟისორი მარტინ კემპბელი გადაიღებს, რომელმაც „ბონდიანის“ 21-ე ნაწილი — „კაზინო როიალი“ შექმნა. ცოტა ხნის წინ ცნობილი გახდა, რომ კემპბელი ფილმის — Edge of Darkness — რეჟისორია, რომელშიც მთავარ როლს მელ გიბსონი ითამაშებს.

### უღამაგესი კეიტ ჰადსონი



(ფილმში — „თითქმის ცნობილი“ ნათამაშები როლისთვის).

ჟურნალმა People 29 წლის კეიტ ჰადსონი უღამაზეს ქალად აღიარა და გამოცემის ყოველწლიურ რეიტინგში — „100 უღამაზესი ცნობილი ადამიანი“ — პირველობა მიაკუთვნა. მსახიობი გულახდილად ამბობს, რომ საკუთარ გარეგნობაზე ზრუნვას ძალზე მცირე დროს უთმობს. „ისიც კი არ მასსოვს, მანიკიური ბოლოს როდის გავიკეთე, — ამბობს კეიტ ჰადსონი, რომელიც 4 წლის ვაჟს, რაიდერს მარტოდმარტო ზრდის და მისი მოვლით იმდენადაა დაკავებული, რომ ფეხებზე ეპილაციის გასაკეთებლად სალონში წასვლას ვერ ახერხებს და იძულებულია, ეს პროცედურა სახლში თავად ჩაიტაროს. მკითხველს შევახსენებთ, რომ კეიტ ჰადსონი გასული საუკუნის 70-80-იანი წლების ჰოლივუდის ვარსკვლავის — გოლდი ჰუნის ქალიშვილია. 2001 წელს ჰადსონი „ოსკარის“ ნომინაციაზე იყო წარდგენილი

კეიტ ჰადსონის გარდა, „100 უღამაზესი ცნობილი ადამიანის“ რეიტინგში მოხვდნენ მსახიობები: სელმა ჰაიკი, ევა ლონგორია, ჯულიანა მური და კალათბურთის ეროვნული ასოციაციის კალათბურთელი ტონი პარკერი.

### ამერიკა ტემპის სიუჟილს იხილავს

15 მაისს ამერიკის 430 კინოთეატრში ნაჩვენები იქნება ფილმი „პირველი სისხლი“ (First Blood, 1982), სადაც სილვესტერ სტალონემ ვიეტნამის ომის ვეტერანის ჯონ რემზოს როლი პირველად ითამაშა. კინოთეატრებში მისული მაყურებელი ფილმის ალტერნატიულ ფინალს იხილავს, სადაც რემზო იღუპება. 2008 წლის იანვარში ეკრანებზე გამოვიდა სურათი „რემზო IV“, რომლის სცენარი და რეჟისურა თავად სტალონეს ეკუთვნის. უკვე ცნობილია, რომ „რემზოს“ მეხუთე ნაწილის გადაღებები ბულგარეთში ჩატარდება. ფილ-

მის მოქმედება არიზონის შტატში ვითარდება, სადაც რემზო ბირმიდან ჩადის...



### ჰაიერ მარტეტი ტემ მარტელის ფილმში მონაწილეობაზე უახლეს ამბებს



ჰაიერ მარტეტი პრემიით — BAFTA — ღაჯილდოების ცერემონიაზე

ფედერიკო ფელინის ფილმის — „რვა-ნახევარი“ — მოტივების მიხედვით შექმნილი, ბროდვეის მიუზიკლის კინოვერსიაში — Nine, რომელსაც რეჟისორი რომ მარშალი გადაიღებს, მსახიობი ჰაიერ მარტეტი მთავარ როლს აღარ შეასრულებს. თავდაპირველად გადანყვებილი იყო, რომ ბარდემი კინორეჟისორის როლს ითამაშებდა, რომელიც შემოქმედებით კრიზისის განიცდის და პირადი ცხოვრების მოგვარებას ცდილობს, მაგრამ ახლა სტუდიის — Weinstein Co. — წარმომადგენლები აცხადებენ, რომ მსახიობმა გაუთავებელი გადაღებები-

სგან დასვენება გადანყვითა და პროექტში მონაწილეობაზე უარი განაცხადა. სურათში ქალის მთავარ როლებს სოფი ლორენი, პენელოპა კრუსი და მარიონ კოტიარი ითამაშებენ. სტუდიასთან მოლაპარაკებას ნიკოლ კიდმანი და ჯუდი დენჩიკ აწარმოებენ. სხვათა შორის, ჰაიერ მარტემმა მიუზიკლში — „ცხრა“ მონაწილეობის გამო, ფრენსის ფორდ კოპოლას პროექტი — „Tetro“ დატოვა და ამის გამო, ცნობილ მანსტროს გადაღებების დაწყებამდე მეორე პლანის მნიშვნელოვანი როლის თავიდან გადანერა მოუხდა.

# უმა თურმანისადმი სიყვარულმა მისი თაყვანისმცემელი მიტოვებულა



37 წლის ჯექ ჯორდანი უმა თურმანისადმი სიყვარულმა შიზოფრენიამდე და განსასჯელის სკამამდე მიიყვანა. ნიუ-იორკის სასამართლოში სტალკერის საქმის განხილვა დაიწყო, სადაც ჩვენებას თავად უმა თურმანი მისცემს. ჯორდანი მსახიობის მამასა და ძმას ელექტრონული ფოსტით, მუქარით სავსე წერილებს უგზავნიდა, მანქეტენზე მდებარე უმა თურმანის სახლის კიბესთან საათობით იდგა და იმ ავტოფურგონში შეღწევაც კი სცადა, სადაც უმა ფილმის — „ჩემი სუპერყოფილი“ — გადაღებების დროს ისვენებდა. ჯექ ჯორდანი 2007 წლის ოქტომბერში მას შემდეგ დააპატიმრეს, რაც მსახიობმა

პოლიციას საჩივრით მიმართა და მხოლოდ გირაოს სახით, 10.000 დოლარის გადახდის შემდეგ გაათავისუფლეს. როგორც „ნიუ-იორკ ტაიმსი“ იუწყება, ვნებიანი თაყვანისმცემელი წერილებში წერდა, რომ „მისი ხელები „მუდამ თურმანის სხეულს უნდა ეხებოდეს“(!)..

ბრალმდებელმა ოკლინ უოლშმა მოსამართლეებს განუცხადა, რომ ბრალდებული 2 წლის განმავლობაში „თავს აბეზრებდა, ალიზიანებდა, ემუქრებოდა და ანუხებდა“ ვარსკვლავს. დაცვის წარმომადგენელი ჯორჯ ჯომპოლაკისი კი დარწმუნებულია, რომ მისი კლიენტის საქციელს ემოციური მდგომარეობა და სიყვარულის ძალა განაპირობებს. „იგი ფიქრობს, რომ ეს ყველაფერი ძალზე რომანტიკულია“, — ასკვნის ადვოკატი.

## Miramax-ის ახალი პტაქცი



კინოკომპანია Miramax ებრაული ტრილერის — „ვალი“ (The Debt 2007) რიმიეკის გადაღებას აპირებს. სტუდია მ რეჟისორ მეთიუ ვონისგან ფილმის სცენარი უკვე შეიძინა, მაგრამ რეჟისორად ვონი არ მოგვევლინება. სურათის სიუჟეტი მოსადის (ისრაელის სადაზვერვო სამსახური) 3 აგენტის გარშემო ვითარდება, რომლებიც მეორე მსოფლიო ომის დასრულებიდან 20 წლის შემდეგ ერთ-ერთი ნაცისტი დამნაშავეს კვალზე გადიან და მის საძებნელად, ევროპაში მიემგზავრებიან. მეთიუ ვონი და მისი პარტნიორი, სცენარისტი ჯეინ გოლდმანი ახალი ფილმის პროდიუსერები იქნებიან. ამ პროექტამდე ვონმა და გოლდმანმა ნილ გეიმანის რომანის — „ვარსკვლავური მტერი“ — ეკრანიზაციაზე იმუშავეს. მაშინ ვონი — ფილმის რეჟისორი იყო, გოლდმანი კი — ადაპტირებული სცენარის ავტორი.

## ფილმისა და სიგურნი უიუარის პქსდნაქეტი უმიქსის გმიტყმაც მდგუქლინიქიან

კომპანია IDW Publishing ახალი კომიქსის — Galaxy Quest: Global Warning — შექმნაზე მუშაობს. კომიქსის გმირები სტუდია Dream Works-ის ფანტასტიკური კომედიის — „გალაქტიკის ძიებაში“ პერსონაჟები იქნებიან. გმირები ვარსკვლავთმფრენ „პროტექტორის“ ეკიპაჟის წევრები არიან. უცხოპლანეტელებმა მათი შოუ იხილეს და დარწმუნდნენ, რომ „პროტექტორის“ ეკიპაჟის თავგადასავლების „დოკუმენტური“ აღწერა ნახეს. უცხოპლანეტელები დედამიწის ბინადართ რეპტილიების რასის ძალზე აგრესიულ წინამძღოლთან ბრძოლაში დახმარებას სთხოვენ... 1999 წელს

გადაღებულ ფილმში მთავარ როლებს ტიმ ალენი, ალან რიკმანი და სიგურნი უიუერი თამაშობენ.

ახალ კომიქსში ეკიპაჟის წევრები გლობალური დათბობის საფრთხეს შეებრძოლებიან. კომიქსი სარეალიზაციო ქსელში 2008 წლის აგვისტოში გამოჩნდება.



## ჯიმი ჰენდრიქსი — პტნთილმის გმიტი!..



პორნოგრაფიული კინოპროდუქციის მწარმოებელი კომპანიის — Vivid Entertainment — მესვეურებმა განაცხადეს, რომ მალე მსყურებელი იხილავს პორნოფილმს, რომელშიც ლეგენდარული გიტარისტი ჯიმი ჰენდრიქსი გამოჩნდება.

კომპანიის წარმომადგენელი ამბობს, რომ 40 წლის წინ გადაღებული სამოყვარულო ფილმის ჩანაწერი კომპანიამ კოლექციონერისგან შეიძინა. ფირის უტყუარობას, რომელშიც გიტარისტი და ორი ქალი მონაწილეობენ, ჰენდრიქსის ერთ-ერთი ყოფილი საყვარელიც ადასტურებს. ჯიმი ჰენდრიქსის მუსიკალური მემკვიდრეობის მფლობელი კომპანიის — Experience Hendrix — წარმომადგენელმა ამ ინფორმაციასთან დაკავშირებით კომენტარის გაკეთებაზე უარი განაცხადა. გიტარისტის ყოფილმა საყვარელმა, ქეიტ ეტჩინგემმა გაზეთს — The New York Times — განუცხადა, რომ ფილმში მონაწილე მამაკაცი ჰენდრიქსს არ ჰგავს: „მას მეტისმეტად ფართო სახე და დიდი ნესტოები აქვს — არა ისეთი, როგორც ჯიმის ჰქონდა“.

ჯიმი ჰენდრიქსი — The Beatles-სა და The Rolling Stones-ის მსგავსად, როკმუსიკის ისტორიაში ყველაზე გავლენიანი ფიგურა იყო. 2003 წელს ჟურნალმა Rolling Stone იგი ყველა დროის საუკეთესო გიტარისტად დაასახელა. 27 წლის ჯიმი ჰენდრიქსი 1970 წლის 18 სექტემბერს გაურკვეველ ვითარებაში გარდაიცვალა.



# რეკონსტრუქციური ქაჯუნები და მქლასპრეკონსტრუქციური დიდი ზეკმვი...

ძველი დრო რომ იყო, მასზე წიგნს დანერდნენ, ისეთს, ჯუზეზე მამილოზე (ხომ გახსოვთ, ვინც არის? ის, ვინც პინოქიო გამოთაღა) რომ დაინერა... აი, ასე: ერთ ლამაზ ქალაქში ცხოვრობდა ერთი ქალი, რომელიც ბავშვებისთვის ზღაპრებს იგონებდა, მერე მათ საღამოობით უამბობდა და ახარებდა... მაგრამ ახლა ძველი დრო არ არის და წიგნებს მეზღაპრებზე აღარავინ წერს. თუმც კი, ისინი მაინც არსებობენ და იქნებიან, ვიდრე ბავშვებს ზღაპრები ეყვარებათ. ჩვენს მეზღაპრე ქალბატონს ბევრი იცნობს. ზოგს ის ტელეეკრანიდან ახსოვს, რადგანაც წელი დეიდა ეკრანიდან ლამაზ-ლამაზი სათამაშოების კეთებას ასწავლიდა მათ, ვინც ამ საქმით იყო დაინტერესებული. ისე, თავიდან მასაც ჯუზეზე მამილოსავით მოუვიდა — მხატვარი იყო, მაგრამ სათამაშოებს კი არ აკეთებდა, ხატავდა და, რა თქმა უნდა, კარგად... ერთ დღეს კი რკო დაინახა, აილო, თავზე თავისივე ქუდი ჩამოაშო, ხელები და ფეხები ჩხირებით გაუკეთა და კაციც გამოვიდა... მერე ამ კაცუნას სხვა კაცუნები მოუყვნა გვერდით, საცხოს მინდვრებზე დაასკუბა ისინი, ირგვლივ ნაძვის გირჩების ფრინველები დაუსვა... ზღაპრებს ხომ იგონებდა, ბუნების მასალებისგან ზღაპრული პანორამებიც აწყო.

## ეთერ ერაკი

### წელი ოძროპირიძე:

— ხშირად მიწედა ჩემი ნამუშევრების ერთი ქალაქიდან მეორეში გადატანა, ხალხისთვის ჩვენება. ამიტომ, პანორამები მემტვრეოდა, რადგანაც მასალები — რკო, ხავსი, ხის სკოები სუსტი იყო... მეც გული მტკიოდა და სულ იმას ვფიქრობდი, სხვა რაღაც მეკეთებინა, რასაც სულ მალე მივაგენი კიდეც. ამ საქმისკენ კი სხვამ მიბიძგა. ეს ადამიანი რეზო თაბუკაშვილი გახლდათ... მაშინ მოსკოვში ვცხოვრობდი, იქვე სამხატვრო ფონდში ვმუშაობდი. ამიტომ, ჩემი გოგონა — თამრიკო სკოლაში იქ უნდა შემეყვანა. ერთხელაც, მოსკოვში ჩამოვიდა ბატონი რეზო და ჩემს განზრახვაზე (თამრიკო სკოლაში იქ შემეყვანა), გაგიჟდა: გინდა, შვილი გადააჯიშოო?... მოკლედ, მან და ბორის პაიჭაძემ ამიღეს ბილეთი, ჩამსვეს თვითმფრინავში და დამაბრუნეს თბილისში... (ჩემი თამრიკო ახლა მხატვარია და, სხვათა შორის, მშვენიერ ქართულ ზღაპრებს თავადაც წერს).

— იმ დროს ხომ არ დანერეთ პიესა „ცისკარასთვის“? ვინ იცის, ეს რამდენი თაობის საყვარელი ფილმი...  
— ეგ გაცილებით ადრე იყო. პირველად „ცისკარა“ სცენაზე დაიდგა და მას „გაქვავებული ქალაქი“ ერქვა. რეზო ლალიძე იყო სპექტაკლის კომპოზიტორი. მერე როცა ნახეს წარმოდგენა, მოეწონათ და ფილმიც გადაიღეს. იქაც რეზო ლალ-

იძის მშვენიერი მუსიკა აჟღერდა.  
— მაინც როგორ შეძელით, ცხოვრება ბავშვის თვალებით დაგენახათ და ზღაპრები გენერათ?  
— აბა, რა გითხრათ? ბავშვი თითოეულ ჩვენგანშია, რომელიც დროდადრო იღვიძებს და სწორედ მაშინ, ჩვენ ძალიან საყვარლები ვხვდებით. ალბათ, ბავშვი ჩემშიც არის, მაგრამ ჩემში სხვანაირი ბავშვია, რომელსაც თავის დროზე ბევრი რამ აკლდა, რომელსაც გულისგულში დღესაც ნატრობს..... მე



1959 წელს ამ ნაკეთობების გამოფენა გამართო

მსოფლიო ომისდროინდელი ბავშვი გახლავართ. მაშინ ხომ ყველას გვეოდა... თანაკლასელებისთვის შიმშილი რომ დაემეცნებინა, დაფაზე ლამაზ სიუჟეტებს ვხატავდი. ისინიც უყურებდნენ და შიმშილი ავიწყებდობდათ... მერე ზღაპრების წერაც დავიწყე. დავდიოდი ბუნებაში, დამქონდა დიდი ჩანთა და სადაც წინვებსა და გირჩებს, ხის ქერქს, რკოს და ლამაზ ნაფოტს ვნახავდი, შიგ ვყრიდი. ამ მასალით კი სიუჟეტებს ვაწყობდი. 1959 წელს ამ ნაკეთობების გამოფენა გამართეთ. იმ დღეს, რაც ალბომში ჩამინერეს, დღემდე მახარებს...

### — მაინც რა ჩანერეს?

— სიტყვები არ გვეოფნის, გამოფენა ისეთი კარგია... ერთ მშვენიერ დღეს კი თვალში ლამაზი ქსოვილი მომხვდა. ავიღე, მივჭერ-მოვჭერი და აპლიკაციით მშვენიერი ნახატი გამომივიდა. ეს საქმე უფრო და უფრო მომეწონა. ვინ აღარ მყავს აპლიკაციით დახატული. ქართული ზღაპრების გმირები ძალიან საყვარლები გამომივიდა, ისინი ზუსტად ისე გამოიყურებიან, როგორც არიან — მოხერხებულები, ჭკვიანები... ასე რომ, დიდი რაოდენობით ლამაზი ქსოვილი მჭირდებოდა. თბილისში მკერავი არ დარჩენილა, მისი ნაჭრების ფუთა რომ არ გადამეჭქვა. თანაც სულ იმას ვცდილობდი, აპლიკაციებს ვინც დახედავდა, აუცილებლად გალიმებოდა, დადებით ემოცია გასჩენოდა. ჩემი ნახატებისთვის კიდეც ერთი რამ ვიპოვე — კორპის ხე. ეს ის ხეა, რომლითაც ფესხაცმლის ძირებს კერავენ. კორპი ისეთი „დაჭმუჭნილია“ ძველ, დამაშრულ ქვევს ჰგავს. მოკლედ, ამ მასალას შევხედე და ვთქვი: მე ამისგან გავაკეთებ (როგორც „არაჩვეულებრივ გამოფენაშია“)... და კორპით ძველი ციხესიმაგრეები და ეკლესიები დავხატე. კორპს ფესხაცმლის მკერავებთან ვმოულობდი. ეს ნამუშევრები იაპონიაში, გამოფენაზე, ერთ ბიზნესმენს ისე მოეწონა, მ ნახატს ვიყიდო, მაგრამ რუსებმა თქვეს: მაგ თანხის 80% ჩვენ უნდა დავგიტოვოო. მასე არ უნდა-მეთქი და იმ კაცს ის ნახატები ვაჩუქე. გაოგნდა! პარალელურად, ტელევიზიით ბავშვებს სათამაშოების გაკეთებას ვასწავლიდი. ყველგან მცნობდნენ: აგე, წელი დეიდაო და ამიტომ, ტელევიზიიდან ნამოსვლას ვერაფრით შევეგუე; არ შემეძლო, ბავშვებთან ურთიერთობა გამეწყვიტა. ასე რომ, ავდექი და წიგნი გამოვეცი. იმ წიგნით შეიძლება, ათასი სათამაშოს აწყობა ისწავლო... ეს იმ დროს ხდებოდა, როცა აღარც შუქი იყო, აღარც სითბო და აღარც არაფერი. თან შვილიშვილისთვის გამოგონილი ზღაპრები დავასურათე, ყველას ერთად თავი

მოვუყარე, „ბუტია წრუნას და მისი მეგობრების თავგადასავალი“ დავარქვი და დასაბუქდად ერთი იაფ გამომცემლობაში მივიტანე (იაფს იმიტომ ვამბობ, რომ ნიგნს შავ-თეთრი ნახატები დაუფრთე, რადგანაც ფერადი ნახატებით ნიგნის დაბუქდვა ძვირი დაჯდება). სამაგიეროდ, ბევრმა ბავშვმა შეძლო მისი შეძენა და მაშინდელი მძიმე დღეების გალამაზება. ამასობაში, ჩემი შვილთაშვილები (სამი ბიჭი) დაიბადნენ. იმათთვისაც ვიგონებდი ზღაპრებს. უამრავი ნამუშევარი დამიგროვდა, რომლებიც ახლა ყურნალებში იბუქდება და რომელთაც თან ვასურათებ. ამასთან, არა მხოლოდ მათ, მსოფლიო ხალხების ზღაპრებსაც ვთარგმნი და ვხატავ...

— ქალბატონო ნელი, საოცარი ენერჯის პატრონი ხართ... მუდმივად ბავშვებზე ფიქრობთ და მათთვის იღვწით.

— მართალია... ბავშვზე ფიქრი სხვა ფიქრი და სხვა სიხარულია... გარდა


ბავშვზე ფიქრი სხვა ფიქრი და სხვა სიხარულია...



ამისა, სანამ შეგიძლია, სიკეთის ქმნაზე უნდა იფიქრო და ძალა მოგეცემა. დღეს, გარდა ბავშვებისა, ბევრია საპატრონო, განსაკუთრებით — ჩემი თაობა. ჩვენ ხომ ჩვენი ადგილი დავკარგეთ... არადა, ჩემს თაობაში ბევრი ნიჭიერი ადამიანია. ნიჭის დაკარგვა კი არ შეიძლება, ის მომავლისთვის არის საჭირო. ასე რომ, ამას ვილაცხმე უნდა მიხედოს. ახლა მეგობრებთან ერთად, ქალთა კლუბის გახსნას ვაპირებ. რაიონში მცხოვრებ მახატვრებს მივხედავთ, გამოფენებს და საღამოებს მოვუწყობთ, რათა მუშაობის სტიმული ჰქონდეთ...

— იცით, რა?.. სხვა ქვეყანაში რომ ცხოვრობდეთ, თქვენისთანა მზღაპრებს ხელისგულზე ატარებდნენ...

— აბა, როგორ გითხრათ?! ისე, სახალხო მხატვრის წოდება მეც მაქვს მონიჭებული. რასაც ვწერ, ბავშვებს რომ ახარებს და ახალისებს, ხელისგულზე ტარების ტოლფასია. თუ კარგი ზღაპარი დავეწერე, ბავშვებით მიხარია...



ჩემი გოგონას ამქვეყნად მოვლინებას, ერთი საკმაოდ ცნობილი თბილისელი გინეკოლოგის დაუდევრობის „წყალობით“, ლამის ვემსხვერპლე. უმძიმესი, 6-საათიანი ოპერაციის შემდეგ ამქვეყნად მობრუნებულს, სარეანიმაციო ოთახში თვალი ფანჯრის რაფისკენ გამექცა, რომელზეც წვეთოვნიდან მოხსნილი უამრავი, დანაყოფებიანი ბოთლი ჩაემწკრივებინათ.

— ეს სისხლი სულ შენ გადაგისხეს. გაინტერესებს, ვინ გადაგარჩინა? — და ანესთეზიოლოგი ჯერ ერთ ბოთლს დასწვდა, მერე — მეორეს, მესამეს... სხამაღლა კითხულობდა გვარ-სახელებს. სულ ახლობლები იყვნენ ჩემი გადამრჩენები, ნათესავები, მეგობრები, მათ შორის, ზაალ ქიქოძე...

# ზაალ ქიქოძე - ღონიერი, არსებობს, მანამდე...

## ელენე სალარიძე

— ზალიკოსაც გაუგია ჩემი ამბავი... — ჩავილაპარაკე და ცრემლი მომერია.

— ზაალ ქიქოძემ მართლა გადაგარჩინა. მარტო სისხლი კი არა, ბევრი ჟანგბადიც დაგჭირდა. ბალონები კი მხოლოდ სამხედრო ჰოსპიტლის სანყოფში ჰქონდათ — მაღალ, მესერემოვლებულ შენობაში. შაბათი იყო, თან ისე უცბად ვერც ვერავინ იპოვეს, ვინც სანყოფს გააღებდა. ზაალი მაშინვე მესერეზე გადამძვრალა, ბოქლომიც გაუტეხია და ისე

წამოუღია ჟანგბადის ბალონი. შენი „მამველები“ რომ წამოსულან, განგაში მერე ატეხილა ჰოსპიტალში. მოკლედ, შენი გადარჩენის ამბავი ნახევარმა თბილისმა გაიგო... — ჩემთან ერთად ტიროდა ჩემი ანესთეზიოლოგი.

ზალიკოზე პირველად, გაზეთ „ახალ მარნეულში“ მოვამზადე რეპორტაჟი, მერე — „ახალგაზრდა კომუნისტში“ (მაშინ შულავერის გათხრებზე მუშაობდა). ბავშვებით გაიხარა. აკადემიკოს სიმონ ჯანაშიას სახელობის მუზეუმში მუშაობისას, ჩემს მეუღლესთან, ეთნოგრაფ ნოდარ შოშიტაშვილთანაც მეგობრობდა. უამრავი მეგობარი ჰყავდა და როცა ცუდად გავხდი, ლამის მთელი სამეგობრო დაუყენებია რიგში, სისხლის ასაღებად.

...ოცი წლის შემდეგ, ზაალ ქიქოძე უშბაზე თავად ებრძოდა სიკვდილს! რატომღაც მჯეროდა, რომ აუცილებლად გადარჩებოდა. რამდენჯერ ასულა უშბაზე, რამდენი უფრო რთული მწვერვალი დაულაშქრავს, რამდენი განწირულისთვის უშველია და თავად როგორ უმტყუნებს ბედი-მეთქი?!

როგორ გავამხილო და მის დაკრძალვაზე ვერ მივედი... მინდოდა, ცოცხალი მხსომებოდა, მაგრამ ის ხომ ყოველთვის იცოცხლებს ჩემში: ჩემს ძარღვებში ხომ ზალიკოს სისხლიცაა!..

არადა, თურმე მხოლოდ მე არ მიფიქრია ასე: „...შევდივარ ოთახში, სადაც სახურავზე გამოსახული, წმინდა ნინოსჯვრიანი ყავისფერი სასახლე დგას. გარშემო უამრავი ყვავილია. ოთახი სავსეა შავებში ჩაცმული,



ზაალ ქიქოძემ მართლა გადაგარჩინა

რომკამი.  
2004 წელი  
(შოთა  
წიკლაურის  
ფოტო)



ნამტირალევი ქალებით. საბედნიეროდ, სასახლე დახურულია. ზალიკოს სახის ნახვა ყოველი ჩვენგანისთვის მეტიმეტად მძიმე იქნებოდა. მარინა ქანდაკებასავით დგას. თითქოს ასაკი მომატებია, მაგრამ მაინც მომხიბლავია. სახეზე ის ინტელექტი და გონიერება აწერია, რომელიც ოდესღაც ამოიცნო ზალიკომ და ქორწინებით დაისაკუთრა. მხოლოდ იმას ვახერხებ, რომ მაგრად ვართმევ ხელს, ლოყას ლოყაზე ვადებ და უსიტყვოდ გავდივარ ოთახიდან. ყველაფერი ეს მეტიმეტად საშინელია და უსამართლო“ (პიტერ ნეისმიტი, ინგლისელი მეცნიერი).

ზალიკოს ახლობლებმა და მეგობრებმა გამოსცეს წიგნი, რომელსაც „ზალიკოს საქართველო“ ჰქვია. ამ წიგნში ბევრი ტკივილია, ბევრი სიხარულიც — იმ დღეების გახსენების სიხარული, როცა ზალიკო ჩვენ გვერდით იყო, როცა მისი იმედი გვექონდა. პო, ასე იყო, ზალიკო ყველას გვეიმედებოდა და ისიც არ გვიცრუებდა იმედს. ამ წიგნში ზალიკოს ჩანაწერებიცაა. ჩვენ თვალწინ კიდევ ერთხელ

ცოცხლდება ზალიკო და კიდევ ერთხელ გვახსენებს, რომ ქვეყანას, რომელსაც „ზალიკოს საქართველო“ ჰქვია, მისნაირი გმირები სჭირდება...

ამაში თქვენც დარწმუნდებით, თუნდაც იმ ამონარიდებით, რომლებსაც ახლა გთავაზობთ: „ჩემი აზრით, ზალიკოს თავისი ქვეყანა ბევრად უფრო ღრმად და ბრძნულად უყვარდა, ვიდრე ქართველების უმეტეს ნაწილს. იგი გრძობდა, რომ ძალიან ბევრი ჰქონდა საერთო იმ ადამიანებთან,

„ზალიკომ უშბაზე სამჯერ დაიჩოქა: პირველად თავისი ბიჭების დალუპვისას 1984-ში. მეორედ, როდესაც მერაბს (თავის უახლოეს მეგობარს მერაბ ხაბაზს. — ავტ.) თვლები დაეხუჭა და მესამედ ველარ გაუძლო. რა დამთხვევაა! მერაბი უშბაზე სამჯერ მონყდა! სამი ტრავმა, ორი სერიოზული ოპერაცია, სამი შეხება სიკვდილთან. რამდენი უბედურება მოგვიტანა ამ მთამ, რამდენი ტკივილი მოგვაყენა, ვერც სიტყვით ვიტყვი, ვერც დავწერ. თვითონ მე ალბათ მეორედ დავიბადე ამ მწვერვალზე ასვლისას. მე და გია დვალი დღემდე სხვაგვარი გრძობით, მონინებით ვიხსენებთ მას, იმავე მარშრუტს, იმავე საბედისწერო ღარს. და რა საოცრებაა, რა უბედურებაა — ისევ

ან, რომელთაც მთაში დარჩენა არჩიეს. მას ხშირად უწევდა დასაფლავებაზე სვანეთში წასვლა. ბოლოს კი სვანები ჩამოვიდნენ, უკანასკნელ გზაზე მის გასაცილებლად. ერთხელ ვკითხე: არ გინდა, ცოტა ხნით ლონდონში ჩამოსვლა-მეთქი? რისთვის წამოვიდე, იქ რა დამრჩენიაო? — მიპასუხა. მაშინ ბრიტანეთის საელჩოში მივდიოდი საზეიმო შეხვედრაზე და კოსტიუმში ვიყავი გამოწყობილი, ჰალსტუხიც მეკვდა. ზალიკომ ჩაიცინა: ჭკვიანად იყავი, თორემ მაგ ჰალსტუხს მოგაჭრიო...“ (პიტერ ნეისმიტი).



არჩილი და ზალიკო კარსანში.

ყოველთვის მინდა იქ ასვლა. ახლა, მით უმეტეს, უფრო მეტად!“ (ბენო ქაშაკაშვილი, მთამსვლელი).

სახელგანთქმული, წნორის ოქროს ლომის პოვნა თოფის გასროლით აღუნიშნავთ ყორღანზე არქეოლოგებს. სიღნაღელეებს კიდევ, ეს ლომი ოქროს ძალაყინად აღუქვამთ და ქვეყანას მოსდეს თურმე, ზალიკომ ნახევარტონიანი ოქროს ლომი იპოვაო! ეს ძალზე ცნობილი ლომია, ეროვნული მუზეუმის განძთსაცავში ინახება, ხუთლარიან კუპიურაზეა გამოსახული, დიდ ივანე ჯავახიშვილთან ერთად (ხუთთეთერიანზეც!)...

„1967 წლის ზაფხულს გავიცანი სვანეთში, ალპინისტურ ბანაკ „აილამაში“, რომელსაც მთელ საქართველოში „ცხვირიანი“ ავტობუსით ხეტიალის დროს, ლამის გასათევად მივადექით. გოგოების დიდი ჯგუფი ვიყავით, უნივერსიტეტის კლასიკური ფილოლოგიის მეორე კურსი, პირველი კურსიდან კი — მე და მარინა

**მარინა სალუჟვაკი, ტელეწამყვანი:**

– ჩემი დაკვირვებით, ჟურნალი „გზა“ ბოლო დროს ძალიან დაიხვეწა. უფრო ეფექტური და საინტერესო გახდა. კარგი იქნება, თუკი თქვენი ჟურნალი კიდევ უფრო მრავალფეროვანი გახდება... ისე, „გზას“ მაინც გარეკანის მიხედვით ვყიდულობ: თუ მიმიზიდავენ ის რესპონდენტები, ვინც გარეკანზე არიან გამოსახული (ანუ ჩემთვის საინტერესო ტიპები), მაშინ ვყიდულობ... გისურვებთ ტირაჟის გაზრდას, გულახდილ რესპონდენტებს (რადგანაც რესპონდენტი თუ ყალბია, ეს იგრძნობა ხოლმე და მასალა ცუდი წასაკითხია). ასევე ვისურვებდი საინტერესო კროსგორდებსა და სკანგორდებს, რადგანაც ეს ის ჟანრია, რომელზეც მშვენივრად ვერთობი.



მაჭავარიანი. ჩვენი უფროსი, რისმაგ გორდუბიანი იყო. რეზო გაჩეჩილაძე, ვახტანგ როდონია და ლადო ურუშაძე გვახლდნენ, ალიკა ალექსიძე და ელგუჯა ხინთიბიძე, როგორც მახსოვს, მოგვიანებით შემოგვიერთდნენ, ბარში. ბნელოდა და ძალიან ციოდა. ალპინისტები ჩამწკრივდნენ და გვიყურებდნენ, ზალიკო მახსოვს, სანდლებით, მუხლებამდე შარვლით, გაღელი პერანგით, იმ სიცივეში. ჩვენ რამდენიმე ხანს, სანამ ახალგაზრდა ბატონი რისმაგი ბინის საკითხს აგვარებდა, მანქანიდან არ გადმოვიდიოდით. ბინის საკითხი შინაურულად მოგვარდა, სხვადასხვა ოთახში შეგვიფარეს და იატაკზე გვეძინა ჩვენს საძილე ტომრებში. მერე გავიგე, რომ ზალიკოს, თემურ ახალკაცს, ვიქტორ რიბინსკის, ვანო ყვავილაშვილს (ალბათ სხვებსაც) მთელი ღამე ჩვენი ოთახების კარებთან გაუტარებიათ, გვიცავდნენ. დილით კარგა მანძილზე გავგაცილეს. მერე, სექტემბერში, უნივერსიტეტის პირველი კორპუსის მეორე სართულის ფართო დერეფანში რომ დავინახე ზალიკო, დიდი მოწინებით მივესალმე. მომენტი იყო გადამწყვეტი. მერე ვხუმრობდი ხოლმე, — ზალიკომ ზრდილობის გულისთვის შემეიყვარა-მეთქი“ (მარინა თაბუკაშვილი, ზალიკოს მეუღლე).

„ზალიკო ძალიან სპორტული იყო და ბოლომდე ასეთად დარჩა. უკვე მერე მითხრა მამიდაჩემმა რუსუდანმა: სახე თავის ასაკზე უფროსისაც ჰქონდა, ტანი კიდეც — ისევ პატარა ბიჭისო. მამაჩემი კარგად ცურავდა, ცეკვავდა და იყო მაგარი მხედარი. როდესაც პირველად მოხვდა უცხოეთში (ეგვიპტეში) საბჭოთა ტურისტის სტატუსით (ამ სტატუსს ყოველთვის აღნიშნავდა, როდესაც ეგვიპტეში მოგზაურობაზე ჰყვებოდა), გადახურდავებული ფულის უმეტესი ნაწილი ცხენით ჯირითში დახარჯა — არაბული ცხენი ვიქირავე და პირამიდებში ვაჭენეო“ (არჩილ ქიქოძე, „მამაჩემის შესახებ“).

„ზალიკო იყო ის, ვისი იმედიც ყოველთვის მქონდა. ვიცოდი, თუ გამიჭირდებოდა, ზალიკო დამეხმარებოდა, ზალიკო და მარინა. მაგონდება — დიდი თოვლი მოვიდა თბილისში. ღამე იყო, ცივი, სუსხიანი ღამე. ჩემი პატარა შვილი ავად გამიხდა. სიცხემ 40 გრადუსამდე აუწია. ანგინა ჰქონდა. სუნთქვა უჭირდა. სახლში მარტონი ვიყავით. ძალიან შევშინდი, ბავშვი არ დამეხრჩოს-მეთქი, ვფიქრობდი. მარინამ დამირევა. როცა ვუთხარი, რაც გვჭირდა, არც დაფიქრებულა, მითხრა: ნუ გეშინია, ზალიკო მოვა და ექიმთან წავიყვანთო. ყურ-

მილი დავეკიდე. შუალამეს გადაცილებული იყო. ფანჯარაში გავიხედე. ისევ თოვდა. მოყინულ პროსპექტზე კანტიკუნტად მილასლასებდა მანქანები. ზალიკო მოვიდა, მეგობრისგან მანქანაც ეთხოვა. ბავშვი თბილად შევფუთნეთ და დილოში ექიმთან წავიყვანეთ. ექიმი, ცხადია, წინასწარ გვყავდა გაფრთხილებული. ზალიკოს ეჭირა ჩემი, სიცხისგან გათანგული 5



შვილიშვილებთან ერთად

წლის გოგონა, „უსაშველოდ“ შეფუთვნილი და ამის გამო, დამძიმებული. მშვიდად ვგრძობდი თავს — ზალიკო გვიშველიდა, მჯეროდა...“ (მანანა ჯიქია, „დამშვიდობება“).

იყო ასეთი სამაშველო სამსახური — „სანთელი“. ზალიკოც იყო მამ-

ველთა შორის, ვაჟიშვილ არჩილთან ერთად. 1993-ის იმ აგზად სექტემბერ-ოქტომბერში ლტოლვილებთან ერთად გადმოიარა ჭუბერის უღელტეხილი. ყველას მაშველი და დამხმარე იყო. „რომ ჩამოვიდა, ფეხგაუხდელი იყო ამდენი ხნის, ბოძებით ჰქონდა ფეხები დასივებული და ფეხსაცმელი გაუფიქრით, ისე ვერ გავხადეთ. ვერ იძინებდა... მერე დაიწყო დეენილმა ხალხმა აქ სიარული, გადაერთო იმათ ზრუნვაზე, მომჯობინდა“ (მარინა თაბუკაშვილი).

დაბოლოს, ერთი ახალგაზრდა არქეოლოგის — ჯიმშერ ჩხვიმარის სიტყვებიც მინდა შემოგთავაზოთ, ზალიკოს დაკრძალვის დღეს რომ წარმოთქვა, და იმაში დამარწმუნა, რომ ზალიკოსნაირი ბიჭები ისევ ჰყავს საქართველოს:

„არქეოლოგიის კურსს გვიკითხავდა. პირველსავე ლექციაზე დაგვიმეგობრდა. ზურგჩანთით შემოვიდა და ასე, ზურგჩანთაში დეგობული დაგვატარებდა ისტორიულ თუ პრეისტორიულ საქართველოში. არქეოლოგობა ბატონმა ზალიკომ გადამაწყვეტინა. მეორე ლექციიდან მეც რომ ზურგჩანთა მოვიკიდე, ახლაც იმ ზურგჩანთით დავდივარ, უკვე არქეოლოგი. ერთხელ იმ ზურგჩანთიდან თამარის დროინდელი მონეტა (სვანეთში მაჩუქეს და მუზეუმში მიმქონდა) ამომაცალეს, მაგრამ მაინც ვერ შეველიე... ერთხელ ძალზე გულგატეხილი მოვიდა ლექციაზე ზალიკო, იმდენად გულგატეხილი, რომ გვითხრა, ჩემსავით არქეოლოგობას არ გირჩევთო... მგონი, მაშინ მუზეუმშიც წამოვიდა... მაგრამ ამ სიტყვებმა ჩემზე საპირისპიროდ იმოქმედა...“

# ლონდონელი მაყურებელი თაგვაბა დააფრთხო

ლონდონური მიუზიკლის — „ბინძური ცეკვები“ ორგანიზატორთა მისამართზე უამრავი მაყურებლის საჩივარი შევიდა. მათი უკმაყოფილება „ოლდ-უიკის თეატრის“ დარბაზში მორბენალმა თაგვებმა გამოიწვიეს. რამდენიმე ადამიანი იძულებული გახდა, წარმოდგენის დროს დარბაზიდან გასულიყო, ერთ-ერთმა მაყურებელმა ბილეთის საფასურის დაბრუნებაც კი მოითხოვა. თეატრის თანამშრომლები ირწმუნებიან, რომ ბოლო 18 თვის განმავლობაში შენობაში თაგვები მხოლოდ 4-5-ჯერ შენიშნეს. შოუს ერთ-ერთი ორგანიზატორი კი აცხადებს, რომ ლონდონის მეტროში თაგვი მანაც დაინახა, მაგრამ ბილეთის საფასურის დაბრუნება არ უთხოვია! მიუზიკლი „ბინძური ცეკვები“ ამ თეატრის სცენაზე 2006 წლის შემოდგომიდანაა რეპერტუარში. მასზე დასასწრები ბილეთის ფასი 25-დან 60 გირვანჯა სტერლინგამდე (50-დან 120 დოლარი) მერყეობს.



# მსაზღვრეთათვის სტალინი

ბორის სოლოვიოვი, ჰელენი სუხოდაევი



დასაწყისი იხ. „გზა“ №44-18

„სამხედრო-ისტორიული ჟურნალის“ 1997 წლის ერთ-ერთ ნომერში ვკითხულობთ: „დიდ სამამულო ომში საბჭოთა კავშირის მიერ მოპოვებული გამარჯვების საფასურის განხილვისას აუცილებელია იმის გათვალისწინება, რომ საბჭოთა კავშირმა საკუთარ თავზე მიიღო გერმანიის ძირითადი დარტყმები. სწორედ საბჭოთა კავ-

შირ-გერმანიის ფრონტზე იქნა განადგურებული გერმანული არმიისა და მისი მოკავშირეების ძირითადი ძალები და საუკეთესო დივიზიები. დაზარალების ვერმახტის პირად შემადგენლობაში 4-ჯერ აღემატებოდა დასავლეთ ევროპისა და ხმელთაშუა ზღვის საომარ მოქმედებათა ფრონტებზე განეულ დანაკლისს. საბჭოთა არმიის წინააღმდეგ ერთდროულად მოქმედებდა ფაშისტური გერმანიისა და მისი სატელიტების 190-დან 270-მდე ყველაზე ბრძოლისუნარიანი დივიზია, — მაშინ, როდესაც ინგლისურ-ამერიკულ ჯარებს ჩრდილოეთ აფრიკაში წინ აღუდგა მონინალმდეგის 9-დან 26-მდე დივიზია, იტალიაში — 7-დან 26-მდე, დასავლეთ ევროპაში — 56-დან 75-მდე. მოკლულთა, დაჭრილთა და ტყვეთა საერთო რაოდენობიდან, რაც გერმანიამ მეორე მსოფლიო ომში დაკარგა, 72% აღმოსავლეთის ფრონტზე მოდის.“

აშშ-ის პრეზიდენტმა ფრანკლინ რუზველტმა 1942 წლის აპრილში რადიოით განცხადებისას სამართლიანად აღნიშნა: „რუსეთის არმიები ანადგურებდნენ და ანადგურებენ ჩვენი მტრების უფრო მეტ შეიარაღებულ ძალებს, ვიდრე ყველა სხვა გაერთიანებული ქვეყანა ერთად ალებული“. და ასე იყო მთელი მეორე მსოფლიო ომის განმავლობაში.

აი, კიდევ ერთი გამოთქვამი ამ საკითხთან დაკავშირებით. მოკავშირეთა საექსპედიციო ძალების უმაღლესი მთავარსარდალი დასავლეთ ევროპაში, გენერალი დუაიტ ეიზენჰაუერი 1944 წლის თებერვალში აღნიშნავდა: „მსოფლიო, საგმირო საქმეთა ისტორიაში ერთ-ერთი ყველაზე კეთილმო-

ბილური თავდაცვითი ომის მომსწრე გახდა, რომლის დროსაც, რუსული არმიის ჯარისკაცებმა საკუთარ თავზე მიიღეს ნაციტური სამხედრო მანქანის დარტყმების მთელი ძალა და საბოლოოდ გააჩერეს იგი.“

საბჭოთა კავშირ-გერმანიის ფრონტზე გაჩაღებული ბრძოლის ხასიათიც კი მკვეთრად განსხვავდებოდა საომარ მოქმედებათა სხვა თეატრებზე განვითარებული ბრძოლებისგან — გრანდიოზული მასშტაბებით, დაძაბულობითა და სისასტიკით. ამ ფაქტს ფაშისტური გერმანიის ხელმძღვანელებიც აღიარებდნენ. მესამე რაიხის პროპაგანდის მინისტრი იოზეფ ჰებელსი 1945 წლის 27 მარტს თავის დღიურში წერდა: „სამხედრო მოქმედებები დასავლეთში, მონინალმდეგისთვის ბავშვურ გართობას არ აღემატება. არც ჯარები, არც სამოქალაქო მოსახლეობა არ უნებს მას ორგანიზებულ და ვაკუატურ წინააღმდეგობას...“

იმავედროულად, საბჭოთა კავშირ-გერმანიის ფრონტზე ვერმახტი ომის უკანასკნელ დღემდე გააფთრებით ებრძოდა მონინალმდეგეს. მხოლოდ ბერლინის ოპერაციაში საბჭოთა ჯარების აუნაზღაურებელმა დანაკლისმა 78 ათასზე მეტი ადამიანი შეადგინა.

მაგრამ მხოლოდ საბჭოთა კავშირ-გერმანიის ფრონტზე ვერმახტის მთავარი ძალების თავმოყრითა და მათი გააფთრებული წინააღმდეგობით როდი აიხსნება ბრძოლის უმძიმესი პირობები და საბჭოთა ჯარების დიდი დანაკლისი. ამაში საბჭოთა კავშირის მოკავშირეებმაც შეიტანეს წვლილი, იმ საბოტაჟით, რომელიც ევროპაში მეორე ფრონტის გახსნისას ჩაიდინეს. მეორე ფრონტის გახსნის დაუსრულებლად გადადების საფუძველზე, აშშ-ისა და ინგლისის გავლენიანი წრეების საჭიხებით კონკრეტული მიზნები წარმოადგენდა. ეს მიზნები უკიდურესი ცინიზმით დასახელა სენატორმა მისურის შტატიდან, ჰარი ტრუმენმა, რომელიც შემდგომში აშშ-ის პრეზიდენტი გახდა: „თუ დავინახავთ, რომ გერმანია იგებს, მაშინ რუსეთს უნდა დაუფხმაროთ, მაგრამ თუ რუსეთი იგებს, მაშინ გერმანიას უნდა დაუფხმაროთ. ასე და ამგვარად — დაე, მათ რაც შეიძლება მეტი ხალხი დაუხოცონ ერთმანეთს, თუმცა მე არავითარ შემთხვევაში არ მსურს, რომ ჰიტლერმა გაიმარჯვოს.“

გათვლა ასეთი იყო: გერმანია და საბჭოთა კავშირი ერთმანეთს ბრძოლისას გამოფიტავენ, ხოლო ძალადაზოგილი აშშ ომის დასასრულს, მონინალმდეგეს საკუთარ პირობებს მოახვევს თავს. შეუძლებელი იყო, ამ ვერაგ ჩანაფიქრს არ მოეხდინა გავლენა საბჭოთა ხელმძღვანელთა დამოკიდებულებაზე დანაკარგების, ომში გამარჯვების საფასურის პრობლემისადმი.

მეორე ფრონტი არა და არ გაიხსნა არც 1941, არც 1942, არც 1943 წელს და არც 1944-ის პირველ ნახევარში. 1943 წლის 19 ივნისით დათარიღებული წერილის პასუხად, რომელშიც ჩერჩილი ატყობინებდა, რომ 1943 წელს ევროპაში მეორე ფრონტი არ გაიხსნებოდა, სტალინი წერდა: „უნდა განვიცხადოთ, რომ საქმე აქ ეხება არა მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების იმ-

## კალიფორნია

### ლაპატიმრება 32 წლის ლაპიახებით

53 წლის მერი უოლში 1976 წელს ციხიდან გაიქცა და მას შემდეგ პოლიციას ემალებოდა. ექსპატიმარი მხოლოდ 32 წლის შემდეგ დააკავეს. ამ ხნის განმავლობაში უოლშიმა 3 შვილი გააჩინა და 10 წლის წინ სან-დიეგოში დასახლდა. 1975 წელს მერი უოლში, რომელიც იმ დროს სიუზენ ლეფერის სახელით ცხოვრობდა, პოლიციამ ნარკოტიკების გავრცელების ბრალდებით დააკავა. სასამართლომ მას 20 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა, 10 წლის მოხდის შემდეგ, ვადამდელი გათავისუფლების შესაძლებლობით. მაგრამ ქალი 1 წლის შემდეგ, დეტროიტის ციხიდან გაიქცა და კალიფორნიაში ჩააღწია, სადაც გათხოვდა და 3 შვილი გააჩინა. ტელეინტერვიუში უოლში-ლეფერმა აღნიშნა, რომ განაჩენი მეტისმეტად მკაცრი იყო. „იქ მხოლოდ რამდენიმე ასეული დოლარის ნარკოტიკი იყო. გარიგებაში ჩემი მეგობარი მონაწილეობდა, მე კი უბრალოდ, მანქანაში ვიჯექი“, — ამბობს ქალბატონი და თავს იმით იმართლებს, რომ ახალგაზრდობაში „ცუდ წრეში“ მოხვდა. მერი უოლში მალე მიჩიგანის სასამართლოს წინაშე წარდგება. დამნაშავე შემწყნარებლობას ელის: „საზოგადოების წინაშე ვალს 30 წლის განმავლობაში ვიხდიდი. იმედი მაქვს, სასამართლო გაითვალისწინებს იმ ფაქტს, რომ მას შემდეგ ჩემი ცხოვრება ძირფესვიანად შეცვალა“. მაგრამ სასჯელალსრულების დეპარტამენტის წარმომადგენელი ქალის ვერსიას არ ეთანხმება და სასამართლოს შეახსენებს, რომ დამნაშავე პერიონის მსხვილი პარტის მრავალჯერ რელიზაციის გამო გაასამართლეს. ამჯერად უოლში 5-დან 9 წლამდე პატიმრობა ემუქრება, ვიდრე მისი ვადამდელი გათავისუფლების საკითხის განხილვა გახდება შესაძლებელი.

ედგაცრუებას, არამედ მოკავშირეებისადმი მისი ნდობის შენარჩუნებას, რომელიც მძიმე გამოცდის წინაშე აღმოჩნდა. არ შეიძლება იმის დავინწყება, რომ საუბარია მილიონობით სიცოცხლის გადარჩენაზე, დასავლეთ ევროპისა და რუსეთის ოკუპირებულ რაიონებში და საბჭოთა არმიის კოლოსალური მსხვერპლის შემცირებაზე, რომელთან შედარებითაც, ინგლისურ-ამერიკული ჯარების მსხვერპლი არცთუ ისე დიდია“.

დიდ სამამულო ომში საბჭოთა კავშირის დანაკარგების რაოდენობაზე უშუალო გავლენა იქონია იმ გარემოებამ, რომ გერმანია ჩვენ წინააღმდეგ აწარმოებდა ტოტალურ ომს — ომს, რომლის მიზანი, ხალხის ამონყვება გახლდათ. ჯერ კიდევ 1941 წლის 30 მარტს, როცა საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ შესაძლო ომზე ლაპარაკობდა, ჰიტლერმა განსაკუთრებით საზგასმით აღნიშნა: „საუბარია გამანადგურებელ ომზე“. გერმანელებს მიზნად ჰქონდათ დასახული წითელი არმიის სრული განადგურება, საბჭოთა ქვეყნის განადგურება, საბჭოთა ხალხის ამონყვება და დამონება. ამისთვის გერმანიის მმართველმა წრეებმა მოახდინეს მთელი ძალების მობილიზაცია, ენერჯის მაქსიმალური დაძაბვით გამოიყენეს ძაღობის, განადგურების ყველა საშუალება, ტერორის ყველანაირი ფორმა და მეთოდი, როგორც ჯარისკაცების მიმართ, ასევე მშვიდობიანი მოსახლეობის მიმართაც.

ფაშისტ მეთაურებს შემუშავებული ჰქონდათ საბჭოთა კავშირის დაშლის გეგმა. მის ოკუპირებულ ტერიტორიებზე ოთხი რაიხსკომისარიატი უნდა ჩამოეყალიბებინათ: ბალტიკური (ან ოსტლანდი), უკრაინა, კავკასია, რუსეთი (ან მოსკოვი). გათვალისწინებული იყო დაპყრობილი სივრცეების გადაქცევა კოლონიად, რომელზეც გერმანელი ახალმოსახლენი იბატონებდნენ, ხოლო დანარჩენი, „რასობრივად არასრულფასოვანი“ მოსახლეობა მონებად უნდა ქცეულიყო.

„თანამედროვე არამზადები, რომლებიც ექვემდებარებენ საბჭოთა კავშირის გამარჯვების მნიშვნელობას, — მიაჩნია აკადემიკოს ალექსანდროვს, — არ უფიქრდებიან იმას, თუ სად იქნებოდნენ ახლა თავად ისინი, ჩვენს ქვეყანას ფაშიზმისგან რომ არ ეხსნა მსოფლიო. ალბათ, სადმე გზად, გეტოდან — ბუხენვალდის ლუშლებამდე“.

1) გერმანელი ჯარისკაცის სამახსოვროში“ ეწერა: „გახსოვდეს და შეასრულე: ...2) შენ არ გაქვს გული და ნერვები, ომში ისინი საჭირო არაა. გაანადგურე საკუთარ თავში სიბრაღული და თანაგრძნობა, მოკალი ყველა რუსი, ნუ შეჩერდები, შენ წინ გინდ, მოხუცი იყოს, გინდ ქალი, გოგონა თუ ბიჭუნა. მოკალი — ამით შენ საკუთარ თავს იხსნი სიკვდილისგან, უზრუნველყოფ შენი ოჯახის მომავალს და სახელს გაითქვამ საშუალოდ. 3) ვერც ერთი ძალა მსოფლიოში წინ ვერ აღუდგება გერმანულ ზენოლას. ჩვენ მთელ მსოფლიოს დავაჩოქებთ. გერმანელი მსოფლიოს აბსოლუტური ბატონ-პატრონია. შენ გადანყვეტ ინგლისის, რუსეთის, ამერიკის ბედს. შენ გერ-

მანელმა — როგორც გერმანელს ეკადრება — გაანადგურე, მოსპე ყველაფერი ცოცხალი, რაც კი წინააღმდეგობას გინევს შენს გზაზე, მუდამ ამაღლებულზე იფიქრე — იფიქრე ფიურერზე და გაიმარჯვებ. შენ ვერც ტყვეა მოგერევა და ვერც მახვილი. ხვალ შენ წინაშე მთელი მსოფლიო დაიჩოქებს!“

დღეს უკვე გამოქვეყნებულია გერმანელ ჯარისკაცთა წერილები, რომლებსაც ისინი ფრონტიდან გერმანიის მიმართავდნენ. როდესაც აღნიშნავდნენ — „რუსები სასტიკი წინააღმდეგობას გვიწვევენ“, — ისინი გაბოროტებულები წერდნენ: „ჩვენ ვუჩვენებთ რუსებს, რას ნიშნავს გერმანული ცოცხი. იქ, სადაც გერმანელი ჯარისკაცი გაივლის, ბალახიც კი აღარ იზრდება“.

დასახული მიზნისკენ ფაშისტები რკინიგზებზე სიმტკიცით მიიწვედნენ, როგორც ფრონტზე, ასევე დაპყრობილ ტერიტორიაზე. აი, ფაქტები: დაახლოებით 11 მილიონი საბჭოთა მოქალაქე, რომელთაგან თითქმის 7 მილიონი მშვიდობიანი მცხოვრები იყო, მათ შორის მოხუცები, ბავშვები და ქალები, და 4 მილიონი სამხედრო ტყვე, ფაშისტების მიერ ჩადენილი მხეცობის შედეგად დაიღუპნენ.

მაგრამ ზოგიერთი ავტორი ცდილობს, დროებით ოკუპირებულ საბჭოთა ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობის საშინელი მდგომარეობის მიზეზად, სტალინი გამოიყვანოს. ამასთან, დამახინჯებულად ხსნიან ბელადის მოთხოვნას, რომელიც მან საბჭოთა ხალხს 1941 წლის 3 ივლისის გამოსვლისას წამოუყენა და იმავე წლის 17 ნოემბრით დათარიღებულ, უმაღლესი შტაბის მთავარი კომიტეტის ბრძანებაში ჩამოაყალიბა. ორივე ამ დოკუმენტში ლაპარაკია სურსათ-სანოვარის მთელი მარაგის განადგურებაზე, წითელი არმიის მიერ დატოვებულ მიწებზე — „რათა იგი მტერს არ ჩუვარდეს ხელში“; ასევე — სახლების დანვანზე, ფრონტის მოსაზღვრე ზონაში. როგორც წესი, გვრდს უფრო იხსენიებს დოკუმენტებს, როგორცაა, მაგალითად, სტალინის წერილი უკრაინის პარტიის ცვკას პირველი მდივნის, ნიკიტა ხრუშჩოვისადმი. ეს წერილი დათარიღებულია 1941 წლის 10 ივლისით და მასში მკაფიოდაა ჩამოყალიბებული მითითება: წითელი არმიის ნაწილების იძულებითი უკანდახევის დროს, „ფრონტიდან 70 კერსით დაშორებული ზოლიდან გაყვანილი იქნას მამრობი-

თი სქესის მთელი მოზრდილი მოსახლეობა, მუშა საქონელი, გატანილ იქნას მარცვლეული, ტრაქტორები, კომბაინები და ყველაფერი ეს წავილოთ აღმოსავლეთისკენ, ხოლო რისი გატანაც შეუძლებელია, განადგურებას არ ექვემდებარება: ფრინველი, სვრილფეხა რქოსანი პირუტყვი და სურსათ-სანოვარე, რაც აუცილებელია იქ დარჩენილი მოსახლეობისთვის...“

საჭიროა იმის გათვალისწინებაც, რომ ფაშისტები ოკუპანტები დაუწინებლად ანადგურებდნენ ყოველგვარ იარაღს, მასალას, ნედლეულს და სურსათ-სანოვარის მარაგს — ყველაფერს, რასაც უსარგებლოდ მიიჩნევდნენ და რისი გერმანიის მიმართ შეუძლებელი იყო.

დიდ სამამულო ომში ჩვენ წინაშე საკითხი ასე იდგა: ან გამარჯვება, ან — დაღუპვა. და ეს ცარიელი სიტყვები როდია. ამას ადასტურებს ის სისხლიანი ბაკქანალია, რომელსაც ფაშისტები მათ მიერ დროებით დაპყრობილ საბჭოთა ტერიტორიაზე მართავდნენ; ათასობით დოკუმენტი, ნაცისტ დამნაშავეთა გასამართლების მიზნით მოწყობილი ნიურნბერგის პროცესის მასალები. ამ საშინელი ქმედებების უგულვებლყოფა შეუძლებელია. შესაძლებელია მხოლოდ მისი დამახინჯება, თუკი უტყუარი ფაქტებისა და თვითმხილველების ჩვენებათა დაფარვას მივყოფთ ხელს.

გაგრძელება შემდეგ ნომერში



# „პრეზიდენტს პირადად შევხვდებით და ამ საძმის ასე არ დავტოვებთ“

## 26 წლის ახალგაზრდის საღიზიანო მავნებლობა და ბოროტმოქმედის საეჭვო მფარველები



2006 წლის 31

მაისს, დილით, თბილისში, ამერიკის საელჩოს მიმდებარე ტერორიზზე პისტოლეტით დაცხრილული ახალგაზრდა კაცის გვამი იპოვეს. 26 წლის თბილისელ პავლე (პალიკო) ჯაოშვილს ცეცხლსასროლი ჭრილობა თავის არეში ჰქონდა მიყენებული. ცხედარი სისხლში ცურავდა, სახე დასახიჩრებული ჰქონდა, შუბლის არეში კი საფეთქელთან ენ.

საკონტროლო გასროლის კვალიც ეტყობოდა... პავლე ჯაოშვილის გვამი ექსკავატორის ქვეშ, მუხლუხებს შორის, დილით ერთ-ერთმა მემანქანემ შენიშნა. გარდაცვლილი ნაცემი და ნაწამები იყო. განსაკუთრებით დასისხლიანებული, თავის არე ჰქონდა...

საზარელი მკვლელობის შემდეგ ზუსტად 2 წელი გავიდა, მაგრამ სასტიკი დანაშაულისთვის ჯერჯერობით პასუხი არავის უგია. ვერსიები, მონემები, მამხილებელი ჩვენებები, ნივთმტკიცებები — ეს ყოველივე გამოძიებას არც თავიდან აკლდა. დაზარალებული მხარე აღნიშნავს, რომ საქმის გასახსენლად და დამნაშავის (თუ დამნაშავეების) გამოსავლენად და დასაკავებლად, სამართალდამცველებს ყველანაირი პირობა და საფუძველი ჰქონდათ. მაგრამ მიუხედავად ამისა, გამოძიება შეფერხდა და დანაშაული ფაქტობრივად, გაუხსნელი დარჩა. კითხვაზე — რატომ დარჩა საქმე გაუხსნელი? — პასუხისას სამართალდამცველები მანაც მტკიცებულებების უკმარისობას უჩივიან. მოკლულის ოჯახის წევრები აქამდე, გამოძიების შედეგს ელოდნენ; დღეს კი უკვე, მკვლელის ირგვლივ გაჩენილ უამრავ კითხვაზე პასუხს კატეგორიულად მოითხოვენ...

საქმის მასალების მიხედვით, ან გარდაცვლილი იქვე, შპს „ჯიგილემის“ ფირმაში, ე.წ. კარიერის დაცვის თანამშრომლად მუშაობდა. ობიექტისა და იქ არსებული მანქანა-დანადგარების ყარაულობა ღამით უხდებოდა ხოლმე და მაშინაც, 30 მაისის საღამოდან 31 მაისის დილამდე ჩვეულებრივად, თავისი სამსახურებრივი მოვალეობა უნდა შეესრულებინა. ღამეს, პავლე ჯაოშვილი, ისევე, როგორც, დაცვის სხვა თანამშრომლები ტრაქტორის კაბინაში ათევდა. საქმის მასალების მიხედვით, შუალამეს მას ბოროტმოქმედები დაესხნენ თავს. ჯერ სცემეს, შემდეგ

„მაკაროვის“ სისტემის პისტოლეტით 2 ტყვია დაახალეს. ერთი შემავალი ჭრილობა კისრის უკანა მხარეს ფიქსირდება, რაც იმას ნიშნავს, რომ მას უწინიდან ესროლეს, მეორე — საკონტროლო იყო... სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნის თანახმად, გარდა ცეცხლსასროლი ჭრილობისა, თავის არეში დაფიქსირებული დაზიანებები მკვრივი, ბლაგვი საგნით, გარდაცვალებამდე იყო მიყენებული. გამოძიების ცნობით, დანაშაული ძარცვის მიზნით მოხდა. თავდამსხმელებმა ჯაოშვილს მობილური ტელეფონი ააცალეს, ოქროს ძეწკვი, ჯვარი და ბეჭედიც წააძვრეს ხელიდან და შემთხვევის ადგილიდან მიიმაღლნენ...

მომხდარის უშუალო თვითმხილველი არ არსებობს. დაცვის თანამშრომელი, რომელიც სხვებთან ერთად, შემთხვევის ადგილზე დილით მივიდა, წერს: „...კაბინაში დავრჩით მე და დათო (თანამშრომელი). დაახლოებით 10 წუთში დათოც თავის ობიექტზე წავიდა. ჩამეძინა. ღამის 2-3 საათი იქნებოდა, როცა ძაღლების ყეფამ გამაღვიძა. გარეთ გავედი და მსუბუქი ავტომანქანა დავინახე, „ფორდი“ ან „აოპელი“ იქნებოდა. ფურგონიანი იყო. ფერი ვერ გავარჩიე, რადგან ბნელოდა. მანქანაში სამი ახალგაზრდა (დაახლოებით 25 წლისანი იქნებოდნენ) ჩაჯდა. ერთს შავი მაისური ეცვა. მათ გარდა მანქანაში მძღოლიც იჯდა. მანქანა მუქი იყო, მაგრამ ფერი ვერ გავარჩიე, ძილ-ბურანში ვიყავი... შავ-მაისურიანმა მანქანაში ჩაჯდომამდე, ფიცრის ნაჭერი მოისროლა. ზურგიით

იყო, მისი სახე არ დამინახავს. ჩასხდნენ თუ არა, დაქოქეს ისე, რომ სინათლე არ ჩაურთავთ და წავიდნენ. ფარები მხოლოდ 3-4 მეტრის გავლის შემდეგ ჩართეს, ასე რომ, ნომრები ვერ დავინახე. ამის შემდეგ ისევ დავიძინე. დილით დათო მოვიდა და ყავა დავლიეთ. დანარჩენი ბიჭებიც მოვიდნენ. პავლე მოიკითხეს. მის ტელეფონზე ზარი გაუშვი, მაგრამ გამორთული იყო. მისი ობიექტისკენ წავედით. იქ აღმოვაჩინეთ ექსკავატორის ქვეშ მისი გვამი...“

მოკლულს თითები გადამტვრეული და ხელები მთლიანად მავნებელი ამოსვრილი ჰქონდა. ვარაუდობენ, რომ თავდამსხმელებმა მას ტრაქტორიდან ძვირად ღირებული ნაწილები ამოაღებინეს. თუმცა დამნაშავეებმა ნაწილები რატომღაც, იქვე დატოვეს. ამის გამო, დაზარალებულს ეჭვიც კი გაუჩნდა, რომ შესაძლოა, სინამდვილეში ძარცვა არც მომხდარა. „ისეთი ძვირად ღირებული ნაწილები იყო, რომ თუკი ძარცვას აპირებდნენ, იქ არ დატოვებდნენ. თანაც ჩანს, რომ მანქანებში კარგად ერკვეოდნენ და ძალიან კარგად იცოდნენ, თუ რა ნაწილი ფასობდა ყველაზე მეტად. არც ნაღება გაუჭირდებოდათ, რადგან საკმაოდ მსუბუქი იყო. ძნელი გადასატანი არ იქნებოდა, მით უმეტეს, რომ საქმეში არსებული ჩვენებების მიხედვით, ბოროტმოქმედნი სამნი თუ ოთხნი იყვნენ და ავტომანქანით მოძრაობდნენ“, — აღნიშნავს მოკლულის ბიძოლა, **ზუია არჩვაძე**.

თუმცა საქმეში, ძარცვის გარდა, სხვა მოტივი არ გამოიკვეთა. მოკლულის ოჯახის წევრების თქმით, პავლე ჯაოშვილს მტერი არასდროს ჰყოლია და არც უთანხმოება მოსვლია ვინმესთან. „საოცარი ბუნების ადამიანი იყო, უკონფლიქტო და უწყინარი. გამორიცხულია, ვინმესთან შელაპარაკება მოსვლოდა, თანაც ისეთი, რომ საქმე გარჩევამდე და შურისძიებამდე მისულიყო“, — ამბობს დაზარალებული.

საქმე მცხეთა-მთიანეთის სამხარეო პროკურატურაში 108-ე მუხლით აღიძრა, მაგრამ როგორც ჩანს, სამართალდამცველთა მთელი „შრომა“ ამით ამოიწურა: „მას შემდეგ 2 წელი გავიდა, დანაშაული კი კვლავ გაუხსნელია. უამრავი ვერსია, ეჭვი გაჩნდა. გამოძიებას ყოველთვის საქმის კურსში ვაყენებდით, მოდუნების საშუალებას არ ვაძლევდით, მაგრამ — უშედეგოდ. ერთი წელი ისე გავიდა, რომ ეჭვმიტანილს ვერ (ან არ) მიაგნეს, ხელჩასაჭიდი არაფერი ჩანსო, — ამბობდნენ. გამოძიება დანაშაულიდან დაახლოებით ერთი წლის შემდეგ, თითქოს დაიძრა, მაშინ, როცა მოულოდნელად, ცეცხლსასროლი იარა-

ლი, რომლითაც პალიკო მოკლეს, სულ სხვა საქმეში გამოჩნდა. იმედი მოგვეცა, რომ სამართალდამცველები ამის შემდეგ მაინც მიიღებდნენ რაიმე ზომებს სიმართლის გასარკვევად და დამნაშავეს გამოსავლენად, — აღნიშნავს მოკლულის ბიძოლა.

მართლაც, მკვლელობიდან რამდენიმე თვეში, 2006 წლის 22 ნოემბერს გამოძიებამ შსს-ს საქსპერტო-კრიმინალისტიკური სამმართველოდან წერილი მიიღო. წერილში ექსპერტები მიუთითებდნენ, რომ პავლე ჯაოშვილის მკვლელობის ადგილიდან ამოღებული მასრა პეტრე ჩიხიროვის, რუსლან რუსლოვის და ზურაბ ჟორჟოლიანის მიმართ აღძრულ საქმეში წარმოდგენილი, „მაკაროვის“ პისტოლეტიდან იყო გასროლილი. აღნიშნული იარაღი, ოფიციალური ცნობების თანახმად, პოლიციამ კონკრეტულად, ზურაბ ჟორჟოლიანისგან ამოიღო. ქეშმარიტების დადგენის მიზნით, გამოძიებამ დამატებითი ბალისტიკური ექსპერტიზა დანიშნა, რამაც ზემოთ ხსენებული ცნობა კიდევ ერთხელ დაადასტურა. გარდა ამისა, გამოჩნდა ჯაოშვილის მობილური ტელეფონიც. მცხეთა-მთიანეთის შს სამხარეო მთავარი სამმართველოს გამოძიებლის დადგენილების თანახმად, ტელეფონი „ნოკია 6670“ მოქალაქე გაიოზ ოჩხრიკიძეს აღმოაჩნდა. დაკითხვისას ოჩხრიკიძემ განაცხადა, რომ ტელეფონი ერთ-ერთი ბოლნისელი ხელოსნისგან — გიორგი კაკულიასგან შეიძინა. ეს დაკითხვისას კაკულიამაც დაადასტურა და თქვა — ტელეფონი ყუთისა და საბუთების გარეშე ნაცნობმა — ირაკლი ჟორჟოლიანმა მომიტანა და მისი გაყიდვა მთხოვაო. ირაკლი ჟორჟოლიანი კი ზურაბ ჟორჟოლიანის ძმა გახლავთ, ვისგანაც ჯაოშვილის მკვლელობის იარაღი ამოიღეს...

ირაკლი ჟორჟოლიანმა დაკითხვისას განმარტა, რომ ტელეფონი მას ნაცნობმა, ან გარდაცვლილმა ირაკლი ნონონავამ აჩუქა. ჯაოშვილის მკვლელობასთან კავშირი კატეგორიულად უარყო მისმა ძმამაც და იგივე პიროვნება დაასახელა. ზურაბ ჟორჟოლიანის თქმით, ცეცხლსასროლი იარაღი მას შესანახად, ირაკლი ნონონავამ გადასცა.

**ფაბიან კვარაცხელია**, დაზარალებულის ადვოკატი:

„ამაზე რეალური სამხილი და საფუძველი საქმის გასახსენლად, პირის მიმართ სისხლის სამართლებრივი დევნის დასაწყებად, პრაქტიკულად, წარმოუდგენელია. გამოჩნდა დანაშაულის იარაღი, ნაძარცვი ტელეფონი და მონშეები, რომელთა ჩვენებებს დამნაშავეთა კვალამდე მივყავართ. ის, რომ ძმები ჟორჟოლიანები გარდაცვ-

ლილ პიროვნებას აწმენდენ ხელს, ფაქტია. ზურაბ ჟორჟოლიანის აშკარად ცრუ და ურთიერთსაინიხაღმდეგო ჩვენებების რეალობაში ეჭვის შეტანა ძალიან იოლია, მაგრამ გამოძიებამ პირიქით, ჟორჟოლიანის სიტყვები რატომღაც, დაიჯერა და მთელი საქმე ამ დაბნეულ და ყოველგვარ ლოგიკას მოკლებულ ახსნა-განმარტებაზე აავსო. ბევრი მნიშვნელოვანი გარემოება დატოვეს უყურადღებოდ. მაგალითად, ის, რომ ირაკლი ნონონავას იმდენად უჭირდა მატერიალურად, სოციალური დაცვის პროგრამაშიც გახლდათ შეყვანილი. შესაბამისად, თუ მან ამ ტელეფონისთვის ადამიანი მოკლა, მას არ გააჩუქებდა, მით უმეტეს — ნაცნობზე. პირველ რიგში, ტელეფონის გაყიდვაზე იზრუნებდა, რადგან იმ დროისთვის ეს „ნოკია“ ბოლო მოდელი იყო, იშვიათი და ძვირად ღირებული. ამასთან, ირაკლი ჟორჟოლიანმა კარგად იცოდა ნონონავას გაჭირვების შესახებ და ბუნებრივია, უნდა დაინტერესებულიყო, თუ საიდან აღმოჩნდა ასეთი ნივთი მის ხელში, რატომ, რა მიზნით იმეტებდა მას გასაჩუქებლად. ყოველივე ეს და საქმეში არჩებული მონშეა ჩვენებები მიუთითებს, რომ ირაკლი ჟორჟოლიანი ისეთივე წევრია იმ დანაშაულებრივი ჯგუფისა, რომელმაც ჯაოშვილი გაძარცვა და მოკლა, როგორც ზურაბ ჟორჟოლიანი და ან გარდაცვლილი ნონონავა. ირაკლი ჟორჟოლიანი პასუხისმგებელი უნდა მიეცათ, მინიმუმ — განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის დაფარვისთვის და წინასწარი შეცნობით, დანაშაულებრივი გზით მოპოვებული ნივთის გასაღებისთვის. საქმეში იკვეთება კიდევ ერთი პირი — პაატა ზარქუა. გამოძიებით დადგენილია, რომ პავლე ჯაოშვილის მკვლელობის ღამეს, ზურაბ ჟორჟოლიანი, მისი მეგობარი გოგონა — ბელა კოვალევსკაია და პაატა ზარქუა თბილისში, აღმაშენებლის ხეივანის მე-12 კილომეტრზე, აგრარული უნივერსიტეტის დასახლებაში (მკვლელობის ადგილთან ახლოს) მცხოვრები გენადი ნონონავას ბინაში იმყოფებოდნენ და ქეიფობდნენ. იმ საღამოს მათთან ერთად იყო ნონონავას მეუღლე — ელისო გორგოძეც. ჩვენებებში გორგოძე აღნიშნავს, რომ როცა დასალევი შემოაკლდათ, ხსენებული მამაკაცები სასმლის საყიდლად გავიდნენ. როცა დაბრუნდნენ, ხელში მობილური ტელეფონი ეჭირათ, ის მანამდე არ შემინიშნავსო... გორგოძე იმასაც ამბობს, რომ მკვლელობის მეორე დღისა ისინი პოლიციამ აიყვანა და დაჰკითხა. დაკითხვის ოქმები რატომღაც გაქრა, არსად ჩანს. ისიც საგულისხმოა, რომ ჟორჟოლიანმა, როდესაც ის ნარკოტიკების გამო

დააკავეს და იარაღი აღმოუჩინეს, თქვა — პისტოლეტი ჩემიაო. მხოლოდ მას შემდეგ შეცვალა ჩვენება, რაც ჯაოშვილის მკვლელობა ამოტივტივდა. განმეორებითი დაკითხვისას ხელი უკვე ნონონავას დაადო. ეს უკანასკნელი ამ დროისთვის გარდაცვლილი გახლდათ, ის ავტოკატასტროფაში დაიღუპა. სხვათა შორის, დაკითხვამდე, საკმაოდ საეჭვო ვითარებაში გარდაიცვალა ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მონშეც — ბელა კოვალევსკაია. თვალში საცემია ზურაბ ჟორჟოლიანის ურთიერთგამომრიცხავი ჩვენებებიც. ერთ ჩვენებაში ის, ნონონავას ბინაში კოვალევსკაიას ყოფნას უარყოფს, მაშინ, როცა ზარქუა და გორგოძე ამას გარკვევით აფიქსირებენ. უფრო მეტიც, ჟორჟოლიანმა ზარქუას იქ ყოფნაც უარყო. ზარქუა მისი ძმის — ირაკლის ნათლიაა და აქედან გამომდინარე, გასაგებია, თუ რატომღაც ზარქუას ჩვენება ტენდენციური და რატომ არ ასახელებს მას თავად ჟორჟოლიანიც. ჩვენებაში ჟორჟოლიანი წერს, რომ მეორე დღით, ნონონავას მობილურის გასაყიდად გაჰყვა. ისინი ბელას დასთან — ტერეზასთან მივიდნენ. ტერეზა კოვალევსკაია ჩვენებაში აღნიშნავს, რომ „ნოკიის“ ფირმის ტელეფონი მას კონკრეტულად, ზურაბ ჟორჟოლიანმა მიუტანა და უთხრა, — ტელეფონი ჩემია, მაგრამ უნდა გაყვიდო, სასწრაფოდ ფული დამჭირდაო. ტერეზამ ტელეფონი ვერ იყიდა, რადგან საკმარისი თანხა არ ჰქონდა. ბოლოს, მისი რეალობაცა ირაკლი ჟორჟოლიანმა მოახერხა, რასაც მონშეებიც ადასტურებენ... სხვათა შორის, გამოძიებას თავიდანვე რომ მიეღო ზომები და იმეი-კოდის საშუალებით ჩაერთო ტელეფონი, დამნაშავეებს მაშინვე მიაგნებდნენ. ამ ღონისძიებას შემთხვევიდან მხოლოდ ერთი წლის შემდეგ მიმართეს. საერთოდ, საქმისადმი ზერეფე და მოკიდებულება თავიდანვე იგროძობოდა. მაგალითად, შემთხვევის ადგილიდან არ აიღეს ანაბეჭდები, სრულყოფილად არ დაჰკითხეს მონშეები და ა.შ. მოკლულის ტანსაცმელი და ბოტასები სველი იყო, როცა დალუქეს. მიუხედავად იმისა, რომ ეს ტანსაცმელი შესაძლოა, მნიშვნელოვანი ინფორმაციის მატარებელი ყოფილიყო, მისი გამოკვლევა არ იჩქარეს. ექსპერტიზაზე ის თვეების შემდეგ — აგვისტოში მოხდა. ექსპერტებმა თქვეს, რომ ტანსაცმელი დაობებულია და ის ბიოლოგიური კვლევისთვის აღარ გამოდგებაო... იმ დროიდან, რაც იარაღი გამოჩნდა და ყველაფერი გამოიკვეთა, გამოძიების ობიექტურობის და აქტიურობის იმედი მართლაც მოგვეცა. ჩვენებებში ისიც დაფიქსირდა, რომ შემთხვევის დღეს ზურაბ ჟორჟოლიანს შავი მაისური ეცვა. ერთ-




ერთი მოწმე სწორედ შავმაისურიანზე საუბრობს და ამბობს, დავინახე, ფიცრის ნაჭერი როგორ მოისროლაო... ვფიქრობდით, სიმართლეს ვერავინ გაექცეოდა, იმდენად აშკარა და ნათელი იყო ჩადენილი დანაშაული. ამის გამო, სხამალალი საუბრისგან თავს ვიკავებდით, არ გვინდოდა, ამ პირების დასახელებით და ფაქტების გამჟღავნებით გამოძიება დაგვეზარალებინა. დღეს უკვე თავის შეკავებას აზრი არა აქვს, პირიქით, ვგრძობთ, რომ ჩვენი სიჩუმე საქმის ჩაფარცხვას უფრო ემსახურება, ვიდრე ჭეშმარიტების დადგენას. მოტივს, თუ რატომ არ უყენებენ თუნდაც ზურაბ ჟორჯოლიანს ბრალს, როცა ამისთვის მასალები საკმარისზე მეტია, ვერ ასახელებენ. ეს გვაფიქრებინებს, რომ ამ პირებს პროკურატურაში აშკარა მფარველები ჰყავთ. მათ კარგად იციან, რომ ასეთი სადისტური მკვლელობის დადასტურების შემთხვევაში, უვადოდ თავისუფლების აღკვეთის საშიშროება იქმნება და ყველაფერს აკეთებენ ამის თავიდან ასაცილებლად. ნარკოტიკული დანაშაულისთვის ზურაბ ჟორჯოლიანი უკვე მსჯავრდადებულია. მას 11 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯეს. ამ საქმის გახსნით მდგომარეობის დამძიმება კი, რა თქმა უნდა,

არ სურს. მცხეთა-მთიანეთის პროკურატურის გამოძიებული გვეუბნებოდა, მასალები ბრალის წასაყენებლად მზად მაქვსო. ჩვენც ველოდით, რომ ეს მალე მოხდებოდა, მაგრამ მოულოდნელად საქმე თბილისის პროკურატურაში გადმოგზავნეს და ამის მიზეზად, ქვემდებარეობა დაასახელეს. საინტერესოა, თავიდანვე რატომ არ განიხილეს ქვემდებარეობის საკითხი, თუკი ასეთი მნიშვნელოვანი იყო. ფაქტია, რომ ამ პროცედურით საქმე გააჭიანურეს და ბრალის წაყენების პროცესი არათუ შეაფერხეს, არამედ თვეების განმავლობაში ეს საქმე თაროზეც შემოდეს“.

საქმეზე რეაგირების მიზნით, დაზარალებული მხარის ადვოკატმა თბილისის პროკურორს, გენპროკურორსა და პირადად პრეზიდენტს — მიხეილ სააკაშვილს წერილობით არაერთხელ მიმართა. მის თხოვნას, შეესწავლათ აღნიშნული საკითხი, რეალური შედეგი არ მოჰყოლია. ადვოკატი ეჭვობს, რომ განცხადებები ადრესატებამდე არც მისულა. „ოქმებზე, განცხადებებზე რეზოლუციების დადება და საქმის ჩაფარცხვა „ქვევით“ — ქვემდებარე განყოფილებების დონეზე ხდება. დარწმუნებული ვარ, პროკურორი არც არის საქმის კურსში. ბრძოლას, რა თქმა

„საკონტროლო გასროლა სხვა რით უნდა ახსნა? მით უმეტეს, როცა საქმეში არსებული ჩვენებები ამის საფუძველს იძლევა. ერთ-ერთი მოწმე — გორგოძე ჩვენებაში წერს: ამ უბანში (ობიექტთან ახლოს) ჟორჯოლიანი, წონონავა და სხვები ხშირად ვიკრიბებოდითო. სავსებით ლოგიკურია, ჩემს შვილს ისინი ნახაი ჰყოლოდა. ალბათ გარეგნულად მათ კარგად იცნობდა და ეს იმათაც იცოდნენ...“ — ამბობს მოკლულის დედა, **მანანა ჯაოშვილი**. მისი თქმით, შვილს ფირმა „ჯიგილემაში“ მუშაობა, უმძიმესი პირობების გამო, ძალიან უჭირდა. როცა მკვლელობა მოხდა, დედა საბერძნეთში იმყოფებოდა. შვილს ის მკვლელობამდე ცოტა ხნით ადრე ტელეფონით ესაუბრა...

„ჩვეულებრივ, კარგ ხასიათზე იყო. მისთვის ნერვიულობა ან უგუნებობა არ შემიმჩნევია. იქ მუშაობა 2006 წლის 4 მაისიდან დაიწყო. უბნელმა შესთავაზა და ისიც დათანხმდა. მორიგეობა ღამით უწევდა, თანაც მარტოს. ძალიან უჭირდა და ამბობდა, უნდა მივატოვო იქ მუშაობა, არ მიღირსო. უმაღლესი განათლება ჰქონდა, მაგრამ შესაფერისი სამსახური რომ ვერ იშოვა, გადაწყვიტა, იქ წასულიყო. წამოსვლა ვერ მოასწრო... მუშაობის დანაშაულებიდან ერთი თვეც არ იყო გასული, როცა ეს უბედურება ადრიალდა. საოცრად თბილი და მოსიყვარულე ადამიანი იყო. უბანში დღესაც ამბობენ, ოღონდაც პალიკოს არ დამართოდა ესო!.. ყველას დააკლდა, რადგან ძალიან ყურადღებიანი, მეგობრული იყო. ნათესავეებთან, მეგობრებთან — ყველასთან შესანიშნავი ურთიერთობა ჰქონდა. საკმარისი იყო, ვინმეს გაჭირვებაზე რაიმე შეეცყო, უმალ იქ გაჩნდებოდა ხოლმე... ამ ამბავმა სრულიად გამანადგურა და დამაუძლურა. ნუგუმს ვერასდროს, ვერაფრით ვიპოვი, მაგრამ როგორც ყველა გაუბედურებულ დედას, მეც მინდა, სიმართლე გაირკვეს და მკვლელმა პასუხი აგოს. ის, რომ ჩემს მდგომარეობას სამართალდამცველებიც აბუჩად იგდებენ და სატელეფონო ზარებსაც კი აღარ პასუხობენ, ცხოვრებას კიდევ უფრო მიმწარბებს. თანაგრძნობისა და მხარდაჭერის ნაცვლად, უსამართლობასა და სიცრუეს წავანყდი. თვალებში ნაცარს მაყრიან, მაგრამ არ გავჩერდები. წლები გადის და პასუხს არავინ მცემს — ახალგაზრდა, ჯერ კიდევ უცოლშვილო, სიცოცხლით სავსე შვილი რისთვის მომიკლეს და მისი მშობლები საშუალოდ გაგვაუბედურეს? რამდენი ჩივილი და ინსტანციაც უნდა დამჭირდეს, ამ კითხვაზე პასუხსა და დამნაშავეების დასჯას მაინც მოვიტოვო“.



უნდა, არ შეგწყვეტთ და ვეცდებით, მას როგორმე მივანვდინოთ ხმა. პრეზიდენტს პირადად შევხვდებით და ამ საქმეს ასე არ დავტოვებთ“, — აცხადებს ადვოკატი.

პავლე ჯაოშვილი თბილისში, თემქის დასახლების მე-3 მიკრორაიონში მშობლებთან და უმცროს ძმასთან ერთად ცხოვრობდა. კარიერაზე მუშაობა სულ ერთი თვის დანაშაული ჰქონდა. მიუხედავად იმისა, რომ დაცვის თანამშრომელი იყო, ობიექტის დასაცავად, არავითარი იარაღი არ ჰქონდა გადაცემული. ასე რომ, თავდამსხმელების წინაშე ის შიშველი ხელებით აღმოჩნდა. წინააღმდეგობის განწევა, შესაძლებელია, მაინც სცადა, მაგრამ ეს მისთვის საბედისწეროდ დასრულდა. დაზარალებული მხარე ვარაუდობს, რომ ჯაოშვილმა თავდამსხმელები იცნო და მათაც ამის გამო გაიმეტეს იგი სასიკვდილოდ.

# არველაძის გამოსათხოვარ შეხვედრაში თბილისს უსხოვლი პარსკვლავები ეწვევიან

ქართველი ესპანეთში უფრო მაღალ დონას ელოდა



საქართველოს ნაკრების ყოფილი ფორვარდი შოთა არველაძე, რომელიც ამჟამად, ესპანეთის „ლევანტეს“ რიგებში თამაშობს, სეზონის შემდეგ კარიერას დაასრულებს. ამასთან დაკავშირებით, 3 ივნისს თბილისში, ეროვნულ სტადიონზე მისი გამოსათხოვარი მატჩი გაიმართება, რომელშიც ფეხბურთის ცნობილი უცხოელი ვარსკვლავებიც მიიღებენ მონაწილეობას.

## ლამა თაბაბარი

18-წლიანი კარიერის განმავლობაში, „ლევანტეს“ გარდა, შოთა თბილისის „მართვეს“, „დინამოს“, „ტრაზზონსფორის“, ამსტერდამის „აიაქსის“, გლაზგოს „რეინჯერსისა“ და ჰოლანდიის „ალკმარის“ ღირსებას იცავდა. ის საქართველოს ხუთგზის, ჰოლანდიის ორგზის, შოტლანდიის ორგზის ჩემპიონია. ამასთანავე, საქართველოს, ჰოლანდიის და შოტლანდიის თასების ორგზის მფლობელია, ერთხელ კი თურქეთის თასსაც დაეუფლა. სულ კარიერის განმავლობაში, 556 შეხვედრა ჩაატარა და 348 გოლი გაიტანა. ეროვნული გუნდის ღირსება არველაძემ სულ 61-ჯერ დაიცვა და მეტოქის კარი 26-ჯერ აიღო. ამ მაჩვენებლით ის ნაკრების საუკეთესო ბომბარდირია. აღსანიშნავია, რომ ქართული ფეხბურთის ისტორიაში სხვადასხვა ტურნირში გამართულ ოფიციალურ მატჩებში შოთამ ყველაზე მეტი ბურთი გაიტანა.

ფეხბურთიდან არველაძის წასვლა არა მხოლოდ ქართული, არამედ რუსული მასმედიისთვისაც საყურადღებო აღმოჩნდა. ახლა სწორედ ერთ-ერთ იქაურ გამოცემაში გამოქვეყნებულ ინტერვიუს გადავზიარებთ:

— ძნელად დასაჯერებელია, რომ შოთა არველაძე კარიერას ასრულებს...

— 2007 წლის ივლისში ესპანეთის „ლევანტესთან“ ერთად, მოსამზადებელი პერიოდი დავიწყე. მაგრამ ორი კვირის შემდეგ, მუხლის ტრავმამ შემიწუხა და ოპერაცია გავიკეთე. ექიმებმა მითხრეს, რომ დროზე გამოვჯანმრთელდებოდი, მაგრამ ფეხი კვლავ ამტკიცდა და 5 სექტემბერს ქირურგიული ჩარევა მეორედ დამჭირდა. ვიდრე მეორე ოპერაციის გავიკეთებდი, საკუთარ თავს ვკითხე — შევძლებ კი კვლავ ფეხბურთის თამაშს?.. ალბათ მაშინ გადავწყვიტე, რომ კარიერა მალე უნდა დამესრულებინა.

— შარშან ზაფხულში, „ალკმარიდან“ „ლევანტეში“ თქვენს გადასვლას დღემდე უცნაურ გადამწყვეტილებად მიიჩნევენ. რაც არ უნდა იყოს, ჰოლანდიის წამყვანი გუნდი დატოვეთ და ესპანეთის ჩემპიონატის აუტსაიდერს მიაშურეთ...

— 35 წლის ასაკში მზიურ ესპანეთში თამაშის შანსი გამიჩნდა და მას ხელიდან ვერ გაუშვებდი. უკანასკნელი ათი წელი გავატარე ქვეყნებში, სადაც მზიანი ამინდი წელიწადში ორჯერაა, ხოლო დანარჩენი დროის განმავლობაში მოღრუბლულია და წვიმს. მსურდა, საკუთარი თვალთ მენახა, თუ რატომ უყვარს ყველას ესპანეთის ჩემპიონატი. ისიც გასათვალისწინებელია, რომ ესპანეთში კვირაში ერთი მატჩის ჩატარება მომიწევდა და არა — სამის. გასულ სეზონში, მარტო უეფას თასზე 14 შეხვედრა ჩავატარე. სამწუხაროდ, ჩემთვის ყველაფერი ისე კარგად არ წარიმართა, როგორც წარმომიგონებინა.

— „ლევანტეს“ სატურნირო ცხრილის ბოლო ადგილზე ყოფნა რამ განაპირობა?

— კლუბი ფაქტობრივად, დაიშალა. ფეხბურთელებს 8 თვის განმავლობაში ხელფასი არ აუღიათ. არ ვიცი, ჩემი თანაგუნდელები რით ცხოვრობენ, მაგრამ პირადად მე, ადრე გამომუშავებულ თანას ვხარჯავ.

— არსებობს იმის შესაძლებლობა, რომ ეს ფული არ გადაგინადონ?

— არ ვიცი, ამას

ადგოკატები გაარკვევენ. არ ველოდი, რომ ესპანეთში საქმე აქამდე მივიდოდა, რადგან პრიმერადივიზიონი მსოფლიოში ერთ-ერთი საუკეთესო ლიგაა.

— მიმდინარე სეზონში, ტრავმის გამო, მხოლოდ 3 მატჩი ჩაატარეთ და მოედანზე ყოფნა 10-10 წუთი გინეცდათ. შოთა არველაძე და ასეთი მაჩვენებელი — ნამდვილად შეუსაბამოა...

— საწყენია, რომ სეზონში მოედანზე გამოსვლა მხოლოდ სამჯერ მომიხდა. განვლილი პერიოდის განმავლობაში ძალიან ვიტანჯებოდი. მეორე ოპერაციის შემდეგ, საკუთარ თავს სიტყვა მივეცი, რომ ესპანეთიდან ისე არ წავიდოდი, რომ ერთი-ორი თამაში მაინც არ ჩამეტარებინა. მადლობელი ვარ ყველასი, ვინც ამის საშუალება მომცა — ოჯახის წევრების, ექიმების და „ლევანტეში“ ჩემი თანაგუნდელების.

— ესპანეთმა, როგორც ქვეყანამ, თქვენი იმედი გაამართლა?

— ესპანეთი მსოფლიოში საუკეთესო ადგილია საცხოვრებლად. ჩემი სახლი ზღვისპირას არ დგას, მაგრამ არც ძალიანაა დამორბეული. რაც შეეხება ჩემპიონატს, — ისეთი არ არის, როგორც შორიდან ჩვენს. დონე უფრო დაბალია, ვიდრე ყველანი. ახლა 25 წლის რომ ვიყო... საერთოდ, საწყენია, რომ ბევრმა ქართველმა ფეხბურთელმა სხვადასხვა მიზეზის გამო მალალ დონეზე ვერ ითამაშა და კარიერა ისე დაასრულა. ესპანეთში ისინი საუკეთესოთა შორის იქნებოდნენ.

— გამოსათხოვარი მატჩის ჩატარება 3 ივნისს გაქვთ გადამწყვეტილი...



— საქართველოს ეროვნულ გუნდში ბოლო ოფიციალური შეხვედრა 2008 წლის ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ ციკლში, შოტლანდიელების წინააღმდეგ ჩავატარე. სწორედ მაშინ ვთქვი, რომ ნაკრებში აღარ ვითამაშებდი. თუმცა ყოველთვის მსურდა, რომ ეროვნული გუნდის რიგებში უკანასკნელი თამაში თბილისში გამემართა. ამიტომ მაინტერესებდა, ექნებოდა თუ არა ნაკრებს ამხანაგური მატჩი თბილისში, რათა გულშემატიკურებს დავმშვიდობებოდი. იყო ვარიანტი, რომ საქართველოში მექსიკის ან პარაგვაის ნაკრებები მოგვეწვია, მაგრამ არ გამოვიდა. შემდეგ კი გადავწყვიტე, არა მხოლოდ სანაკრებო კარიერა დამესრულებინა, არამედ საერთოდ, ფეხბურთის თამაშისთვის დამენებებინა თავი. ამიტომ მოვიფიქრე, რომ ამხანაგური თამაში საქართველოს ნაკრებსა და ჩემს მეგობარ უცხოულ ფეხბურთელებს შორის ჩამეტარებინა.

— თქვენ მიერ მონეულ ფეხბურთელებს შორის — ანდრეი შევჩენკო, ლუმი ფიგუ და პაოლო მალდინი არიან. მათთან რამდენად ახლო ურთიერთობა გაქვთ?

— შევჩენკოს წინააღმდეგ რამდენჯერმე მითამაშია და მატჩის შემდეგ, მაისურებიც გაგვიცვლია. ფიგუმ ორჯერ, მის მიერ ორგანიზებულ საქველმოქმედო მატჩზე დამპატიჟა. მალდინის მილანში შევხვედრივარ, როდესაც კახა კალაძეს ვსტუმრობდი და ერთად არაერთხელ გვივახშმია.

— გამოსათხოვარი მატჩის ფორმატი როგორია?

— პირველ ტაიმს ჩემ მიერ მონეული უცხოელი მეგობრების წინააღმდეგ, საქართველოს ნაკრების ყოფილი ფეხბურთელები ითამაშებენ, ხოლო მეორე ტაიმში გუნდის ამჟამინდელი შემადგენლობა გამოვა მოედანზე. თავად თამაშს ორივე გუნდში ვაპირებ — როგორც ჩვენს ნაკრებში, ასევე ჩემს უცხოელ მეგობრებს შორის.

— თბილისში, უცხოელი მეგობრებიდან, კიდე ვინ მიიწვიეთ?

— რონალდ და ფრანკ დე ბურები, რომლებთან ერთადაც ამსტერდამის „აიაქსსა“ და „გლაზგოს რენჯერსში“ ვთამაშობდი. ასევე, მიქაელ ლაუდრუპი, რომელსაც ძალიან ვაფასებ, როგორც ადამიანსა და ფეხბურთელს. მას დავურეკე და ვუთხარი — თუ არ ჩამოხვალ, ამ თამაშს ჩემთვის არავითარი მნიშვნელობა არ ექნება-მეთქი... მისი ძმა — ბრაიან ლაუდრუპიც ჩამოვა. გარდა ამისა, არგენტინის ნაკრების ყოფილ თავდამსხმელ კლაუდიო კანიჯასაც დავურეკე და თბილისში სტუმრობას ისიც შემპირდა.

## „ევრო-2008“-ის ბურთი მზადაა




ვენაში, „ადიდასისა“ და უეფას სამუზეუმო კვარტალის ოვალურ დარბაზში, „ევრო-2008“-ის ფინალური ტურნირის ბურთი ოფიციალურად წარმოადგინეს. მას EUROPASS Gloria ჰქვია და ანრი დელონეს თასივით — ვერცხლისფერშია გადაწყვეტილი. ახალი ბურთის დიზაინში 12 შავი წრეა გამოყენებული, რაც თანამედროვეობისა და ტრადიციის სინთეზს უსვამს სახს. ბურთის სახელწოდებაში სიტყვა „გლორია“ დიდებასა და პატივისცემას გამოხატავს, რომელიც გამარჯვებულს ერგება. ხოლო სიტყვა EUROPASS სიმბოლური

და მრავლისმთქმელია: ეს პირველ რიგში, „ევრო პასია“, ჩემპიონატის ორ მასპინძელ ქვეყანას — ავსტრიასა და შვეიცარიას შორის. იგი აგრეთვე თითოეულ პასს გულისხმობს, რომელსაც ამ ქვეყნების საფეხბურთო მოედნებზე მოთამაშებები მიიღებენ ან გასცემენ. 12 წრიდან, თითოეულში, ანრი დელონეს თასისა და ევროპირველობის ფინალურ ეტაპებზე გამარჯვებული ქვეყნების აღმნიშვნელი, სიმბოლური გრაფიკული ნახატებია გამოსახული. ამ ბურთით ფეხბურთელებს უფრო მძლავრი და ზუსტი დარტყმების განხორციელება შეეძლებათ, თანაც ისინი ნებისმიერ ამინდში უკეთესად შეძლებენ მის დამორჩილებას.

## ჟიზელ ბიუნდჰენი ყველაზე მაღალანაზღაურებადი მოდელია

ამერიკული ფეხბურთის ნაციონალური ლიგის კლუბის — „ნიუ-ინგლენდ პეტროტისის“ წარმომადგენელ ტომ ბრედის მეგობარი გოგონა, ჟიზელ ბიუნდჰენი უურნალმა „ფორბსმა“ მსოფლიოში ყველაზე მაღალანაზღაურებად მოდელებად დაასახელა. გამოცემის მიერ გავრცელებული ცნობის თანახმად, მას 35 მილიონი დოლარი აქვს გამომუშავებული. ჟიზელს მიჰყვებიან: ჰაიდი კლუმი (14 მილიონით) და კეიტ მოსი, რომელმაც არაერთი ცნობილი მამაკაცი აცდუნა. მის მიერ გამომუშავებული თანხა 7,5 მილიონს აღწევს. „ბოროტი ენები“ ამტკიცებენ, რომ ჟიზელის კომერციული წარმატება არა იმდენად მისი ნიჭიერებითა განპირობებული, რამდენადაც ტომ ბრედისთან თავბრუდამხვევი რომანიტ, რომელსაც მოდელი თვითრეკლამისთვის იყენებს.



## კანალისა რეჯინალდო გამოიჭირა



როგორც ჩანს, კრისტიან ვიერის ყოფილმა საყვარელმა, ელიზაბეტ კანალისმა „კალჩოს“ სამყაროდან მორიგი კავალერი იშოვა. ესაა „პარმის“ ბრაზილიელი თავდამსხმელი რეჯინალდო. მისი კლუბი მიმდინარე სეზონში ნამდვილად, არ ბრწყინავს, მაგრამ ეს გარემოება წყვილისთვის ინტიმურ ურთიერთობაში ხელის შემშლელი არ გამხდარა. პაპარაცები ფეხბურთელისა და ვენებიანი ლამაზმანის ერთად გამოჭერას დიდხანს ვერ ახერხებდნენ, მაგრამ ამას წინათ მათ ეს მაინც შეძლეს, როდესაც ელიზაბეტი და რეჯინალდო ავტომობილში ხვეწნაკოცნით იყვნენ გართულნი. მოგვიანებით წყვილი, „პარმის“ კიდევ ერთი წარმომადგენლის, ბრაზილიელი ბერნარდო კორადის დაბადების დღეზე გამოჩნდა. ცოტა ხნის წინ, ამ გუნდის თავკაცმა ექტორ კუპერმა თავისი ფეხბურთელები საწვრთნელ ბაზაზე გამოკვტა და მათ მეგობარ გოგონებთან და ცოლებთან ურთიერთობა აუკრძალა. მიუხედავად ამისა, რეჯინალდოსა და კანალისის ურთიერთობა უფრო გამყარდა.



## „ჰონდა“ სიახლე

რომლითაც ასეთი მანქანები აღიჭურვება, 3,5-ლიტრიანი, V6 ტიპის, 273 ცხ.ძ. სიმძლავრის იქნება. შეიტანენ თუ არა აგრეგატთა პალიტრაში 3,7-ლიტრიან ძრავას, რომელიც „ლეგენდის“ ამერიკულ ვარიანტზეა დამონტაჟებული, ჯერჯერობით უცნობია. განახლებული „ჰონდა“ ევროპის ბაზარზე სავარაუდოდ, წლის დამლევს გამოჩნდება. მისი ფასის შესახებ არაფერია ცნობილი.

სამხრეთ კორეაში გამართულ მსოფლიო მსოფლიო კომპანია „ჰონდა“ განახლებული სედანი — Legend — წარმოადგინა. ამ მანქანის ამერიკული ვერსია, რომელიც აშშ-ში Acura RL-ის სახელითაა ცნობილი, პირველად წლეულს თებერვალში, ჩიკაგოს ავტოსალონზე უჩვენეს. გავრცელებული ფოტოების თანახმად, სიახლეს მცირედ შეცვლილი ექსტერიერი აქვს, რომელიც მოდელს — Accord — სტილშია შესრულებული. ავტომობილის დიზაინში ყველაზე თვალში საცემი ცვლილება — განსხვავებული წინა და უკანა მარუქები, აგრეთვე, რადიატორის ცხაური და წინა ბამპერია. ამ ეტაპზე, განახლებული Legend-ის შესახებ, კომპანიას ოფიციალური ინფორმაცია არ გამოუმუშეურებია, მაგრამ ზოგიერთი გამოცემის მიერ გავრცელებული ცნობის თანახმად, ორიდან ერთ-ერთი ძრავა,



## Nissan GT-R-მა რეკორდი დააყარა



სუპერავტომ — Nissan GT-R, რომელსაც მარკის მთავარი ტესტი-პილოტი ტოჩიო სუტუკი მართავდა, ნიურბურგრინგის „ჩრდილოეთ მარყუჟის“ ტრასაზე, სერიულ ავტომობილებს შორის ახალი

რეკორდი დაამყარა. მანქანამ ეს მონაკვეთი 7 წუთსა და 29 წამში დაფარა. გავრცელებული ინფორმაციით, ამ მიღწევამ 10 წამით გადააჭარბა დროს, რომელიც ტრეკზე შარშან GT-R-ის მიერ პირველი რეკორდის დამყარების მცდელობისას დაფიქსირდა. Renault-Nissan-ის აღიანისის ხელმძღვანელთა თქმით, აღნიშნულ ტესტში მონაწილეობდა GT-R-ის იაპონური ვერსია, რომელიც საბაზო მოდელისგან უმნიშვნელოდ განსხვავდება. უნდა აღინიშნოს აგრეთვე, რომ Nissan GT-R-მა ნიურბურგრინგის „ჩრდილოეთის მარყუჟი“ ისეთ ცნობილ სუპერმანქანებზე უფრო სწრაფად გაიარა, როგორებიცაა: Porsche 911 GT2, Koenigsegg CCR, Mercedes-Benz SLR McLaren, Pagani Zonda C12 S, Lamborghini Gallardo Superleggera და Bugatti Veyron. შეგახსენებთ, რომ Nissan GT-R 480 ცხ.ძ. სიმძლავრის 3,8-ლიტრიანი, V6 ტიპის, ორტურბინიანი მსოფლიოთა აღჭურვილი, რომელსაც ექვსსაფეხურიანი გადაცემათა კოლოვი აქვს. 100 კმ/სთ სიჩქარეს ასეთი მანქანა 3,5 წმ-ში ავითარებს, მისი მაქსიმალური სიჩქარე კი 310 კმ/სთ-ია.

## „აუდი“ ელექტრომობილს გამოუშვებს

კომპანია „აუდი“ უახლოეს ხანებში თავისი პირველი ელექტრომობილებს სერიულ წარმოებაში ჩაშვებას გეგმავს. ამის შესახებ გერმანული გამოცემისთვის — Welt am Sonntag — მიცემულ ინ-

ფორმაციაში მარკის ხელმძღვანელმა რუპერტ სტადლერმა განაცხადა. მისი თქმით, უახლოეს მომავალში დიზელსა და ელექტროენერგიაზე მომუშავე ავტომობილები ძალზე პოპულარული გახდება. მაშინ, როდესაც ასეთ მანქანებზე მოთხოვნილება გაიზრდება, „აუდი“ ბაზარზე თავის პირველ მოდელს გაიყვანს, რომლის მიერაც ატმოსფეროში მავნე ნივთიერებების გამონახობის რაოდენობა ნულის ტოლი იქნება. კომპანიას ახალი ავტომობილის შესახებ რაიმე სხვა ინფორმაცია არ გაუფრცხვლებია. გერმანულმა მწარმოებლებმა — „ბემვემ“ და „მერსედეს-ბენცმა“ ელექტროავტომობილის წარმოებასთან დაკავშირებული საკუთარი გეგმების შესახებ უკვე განაცხადეს. მიმდინარე წლის მარტში, ამ ფირმებმა თანამშრომლობის თაობაზე მოლაპარაკებები გამართეს ავსტრიულ კომპანიასთან — Magna Steyr. ადრე გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, „ბემვემს“ ელექტრომობილი კომპაქტური მანქანა უნდა ყოფილიყო, რომელიც პროექტის ხელმძღვანელ ფრიდრიხ აიხინერის თქმით, ძარინი მოტოციკლის მსგავსი იქნებოდა და წელიწადში მისი გაყიდვის რიცხვი 100 ათასს მიაღწევდა.

**აირჩიე და შეიძინე სახლიდან გაუსვლელად**  
 ინტერნეტ მაღაზია  
**www.elva.ge**  
 წიგნები და ჟურნალ-გაზეთები


გამოცემის დასახელება	1 კვ. ფაზი	6 თვე
1. МК-МОБИЛЬ	1.79	20.3
2. АВТОМОБИЛИ	8.40	50.4
3. АВТОСЕРВИС	73.85	443.1
4. АВТОМАГАЗИН	3.75	22.3
5. АВТОШОП ПРОФИ	63.70	191.0
6. АВТО - ОБЗРЕНИЕ	82.80	496.6
7. АВТОПАНОРАМА	8.55	51.2

პრების გავრცელების სააგენტო  
 ქ. თბილისი  
 თბილისის ქ. № 49  
 ტელ: 42-43-40;  
 38-26-73; 38-26-74.  
 ფაქსი: 38-26-74  
 E-mail: elva@kvispaltra.com



# როგორი ხასიათის პატრონი ბრძანდებით?


თვალი გადაავლეთ ტესტი მოყვანილ ფოტოსურათებს და ამოირჩიეთ იმ ბაბაჯვის ფოტო, რომელიც დანახვისთანავე ყველაზე მეტად მოგანეროთ. ადამიანის სივამთია ხომ მისივე ხასიათის უამრავ თავისაგებებაზე მეტყველებს.




პოლ ნიუმენია



კლინტ ისტუუდია



მონტგომერ კლიფტია



მარლონ ბრანდო



მონტგომერ კლიფტია



ფრენკ სინატრა



გარი კუპერია

## ტესტის შედეგები

**თუკი თქვენი რჩეული მონტგომერ კლიფტია:** რთული, წინააღმდეგობრივი, ინტროვერტული ხასიათის პატრონი ბრძანდებით. მეტისმეტად სერიოზულად აღიქვამთ ცხოვრებას; ამასთანავე, ფაქტებისა და მოვლენების უჩვეულოდ გაზვიადება და დრამატიზება გჩვევიათ. უკიდურესობა განასათებთ როგორც კარგში, ასევე ცუდში. კარგი იქნება, თუ ცხოვრების გზაზე არსებულ წარმატებას თუ მარცხს უფრო მშვიდად შეხვდებით.

**თუკი თქვენი რჩეული პოლ ნიუმენია:** მხიარული, ოპტიმისტი და კეთილი ადამიანი ბრძანდებით. ამა თუ იმ ცხოვრებისეულ მოვლენასა და ადამიანში ყოველთვის დადებით მხარესა და თვისების დანახვას ცდილობთ. ასევე განაგრძებთ, რადგან სულიერი სიმტკიცით, ენერგიულობითა და მომავლის რწმენით დაჯილდოებული ადამიანი ბრძანდებით.

**თუკი თქვენი რჩეული მარლონ ბრანდო:** მართალია, ირგვლივ მყოფები ცინიკურ, გულცივ და საკუთარ თავში ჩაკეტილ ადამიანად მიგიჩნევენ, მაგრამ სინამდვილეში ეს თქვენი დამცავი რეაქცია გახლავთ, რადგან შიშობთ, რომ გარშემო მყოფები ვერ გაგიგებენ.

**თუკი თქვენი რჩეული ფრენკ სინატრა:** საოცრად ცოცხალი, მოძრავი და სპორტული ადამიანი ბრძანდებით. ხართ როსკიანი, გზიბლავთ წინასწარ გაუთვალისწინებელი სიტუაციები და გამუდმებით თავგადა-

სავალს ეძებთ. არ გიყვართ ერთფეროვანი, რუტინული ცხოვრება. ცნობისმოყვარეობით გამოირჩევით და ყოველთვის ახლისა და უჩვეულოს ძიებაში ხართ.

**თუკი თქვენი რჩეული ჰამფრი ბოგარტია:** ირონიულობისა და განსაკუთრებული იუმორის გრძნობით ხართ დაჯილდოებული. ამასთანავე, მეზრძოლი, შეურთგებელი და დამოუკიდებელი ხასიათით გამოირჩევით. თქვენთვის უცხო არც სენტიმენტალიზმი გახლავთ, რადგან ზემოთ ჩამოთვლილ თვისებებთან ერთად, საოცრად მგრძნობიარე და სათუთი ბუნების ადამიანი ბრძანდებით.

**თუკი თქვენი რჩეული გარი კუპერია:** საოცრად თვინიერო, კეთილი, ყურადღებიანი, ნაზი და ქალური ხართ. პოეტური, მეოცნებე ბუნებით გამოირჩევით. ცოტა არ იყოს, მოწყვეტილი ხართ რეალობას, რადგან ოცნებებში გამუდმებით ზეცაში დაფრინავთ.

**თუკი თქვენი რჩეული ჯრეკ სინატრა:** რომანტიკული ადამიანი ხართ და ინფანტილიზმი განასათებთ. ქალსა და მამაკაცს შორის ნაზი, კორექტული ურთიერთობის მომხრე ბრძანდებით და ვერ იტანთ აგრესიულობასა და ძალმომრეობას. თქვენთვის დამახასიათებელი ბავშვური ტემპერამენტი გაიძულვთ, ექვბოთ ისეთი პარტნიორი, რომლის გვერდითაც თავს მაქსიმალურად დაცულად იგრძნობთ.

# შორისკობი

(8 - 14 მარტი)

## ვაჩე

მიუხედავად იმისა, რომ თქვენს ძირითად საფიქრალს ფინანსები წარმოადგენს, ნუ დაივიწყებთ, რომ მთავარი ცხოვრებაში სხვა რამაა. ამ პერიოდში განსაკუთრებულ მოგებას მოგიტანთ კომერცია. ასევე კარგად გამოგივათ საოჯახო საქმეები.

## კუჩი

თქვენ გარშემო სილაბაზე და ჰარმონია დაისადგურებს. მოსალოდნელია ახალი სასიყვარულო ურთიერთობის დაწყება ან არსებულის გაუმჯობესება. ახალი საქმეები და შემოთავაზებები გაზრდის თქვენს შემოსავალს. გააკონტროლეთ საკუთარი თავი, ნურაფერს იტყვიტ ისეთს, რომ ვინმეს აწყენინოთ.

## ტყუპი

შესაძლოა, იმოგზაუროთ და ახალი ნაცნობებიც შეიძინოთ. მოქმედებთ ადგილი, სადაც გადაღლილი პერიოდულად დაისვენებთ. სხვათა გასაჭირს გულთან ახლოს მიიტანთ და შესაძლოა, ფასდაუდებელი დახმარებაც გაუწიოთ ზოგიერთს. ეს კარგი დროა შემოქმედებითი სამუშაოსთვის, ხელოვნების ნიმუშების შექმნისა და ლიტერატურული საქმიანობისთვის.

## კიჩხობი

ძალზე აქტიური, ენერგიული და თავდაჯერებული იქნებით. მოგზაურობით ადრინდელი ცხოვრების წესი და მოგინდებათ მისი ახლით შეცვლა. მეგობრული ურთიერთობა შესაძლოა, ინტიმურში გადაგზარდოს. კამათს თავი დელიკატურად ააცილეთ, რათა არ მიგიხვდნენ ჩანაფიქრს და ყველაფერში თქვენ არ დაგადანაშაულონ.

## ღიმი

კარგი დროა ბიზნესისა და პროფესიონალური საქმიანობისათვის, დასვენებისა და მეგობრებთან ერთად მხიარულებისთვის, დიდი დღესასწაულებისა და პრეზენტაციების ჩასატარებლად. გამოიყენეთ საკუთარი მომხიბვლელობა და შეეცადეთ, რომელიმე თანამედროვე მიმდინარეობის წევრიც გახდეთ.

## უბედური

გაგიჩნდებათ ახალი ცოდნის მიღებისა და პროფესიონალური დონის ამაღლების საშუალება. უხოეთში გამგზავრება და უცხოელებთან ურთიერთობა დადებით შედეგს გამოიღებს. შესაძლოა, მიიღოთ მატერიალური დახმარება თაყვანისმცემლების ან შორეული ნათესავებისაგან. საწინააღმდეგო სქესის წარმომადგენლები შეგანუხებენ თავიანთი ყურადღებით.

## სასწიფი

თავბრუდამხვევა სასიყვარულო ურთიერთობამ და ეროტიკულმა ინტრიგებმა შესაძლოა, დაგინგრიოთ არსებული მყარი ურთიერთობა. შეგუქმნებათ ფსიქოლოგიური პრობლემები, რაც აისახება როგორც თქვენს საქმიანობაზე, ისე ჯანმრთელობაზე.

## ფორფი

მიზნის მისაღწევად ხალხთან ურთიერთობა მოგიწევთ. კარგი დროა, კონტრაქტის გასაფორმებლად, მოლაპარაკების საწარმოებლად და მომგებიანი სავაჭრო ხელშეკრულებების დასადებად. თუმცა საბუთები წესრიგში იქონიეთ, რადგან მოსალოდნელია შემოსება. ყურადღება მიაქციეთ ჯანმრთელობასაც.

## ფხვიდღისაზი

სანაქებო პრაქტიკულ შედეგებს მიიღებთ, თუ მეტ მოთმინებას გამოიჩენთ. ურთიერთობა გაგიუმჯობესდებათ ქალ კოლეგებთან, სამუშაო ადგილს მეტად კომფორტულს გახდით, თანამშრომელთან კი სასიყვარულო ურთიერთობა შეიძლება დაამყაროთ. ყურადღება მიაქციეთ იმიჯსაც, რადგან ამაზე იქნება დამოკიდებული ხელმძღვანელი პირების სიმპათია.

## თხის ჩუხ

მოიმატებს თქვენი სასიცოცხლო ენერჯია, გაგიუმჯობესდებათ ჯანმრთელობის მდგომარეობა და გუნება-განწყობილება. თქვენში იფეთქებს სიყვარულისა და ბედნიერების მოთხოვნილება და მიგიზიდავთ ყოველივე ლამაზი და ჰარმონიული. გაგიძაფრდებათ შეგრძნებები და როგორც არასდროს, გაგიადვილებთ სხვათა გულების დაპყრობა.

## ფიქსუფი

თქვენთვის აქტუალური გახდება ოჯახის, მშობლების სიყვარული. ეს დაგენმარებათ შემოქმედებითი შესაძლებლობების გამოვლენაში. შესაძლოა, შეიტყუოთ არასასიამოვნო ამბავიც, თუმცა ეს ნაკლებად შეეხება თქვენს განწყობილებას. მოგიწევთ თქვენი საქმეების ნაჩქარევად დასრულება, ამიტომ დიდია შეცდომების დაშვების ალბათობაც.

## თაფხუბი

ახალი ცოდნის შექმნა დიდ სიამოვნებას მოგანიჭებთ. გაიზრდება თქვენი ინტერესები, გაუმჯობესდება ურთიერთობა გარშემო მყოფებთან და თქვენ ირგვლივ ჰარმონიული ატმოსფერო დაისადგურებს. ხალხს მაგნიტივით მიიზიდავთ, რაც ახალი ცხოვრებისეული პერსპექტივების წინაშე დაგაყენებთ, თუმცა არჩევანის გაკეთებისას ნუ აჩქარდებით.

## იაპონური სენსაცია სუდოკუ

### წინა ნომრის სუდოკუს პასუხები

1	4	9	3	5	8	6	2	7
6	3	5	7	1	2	4	9	8
8	7	2	9	6	4	5	3	1
3	6	8	5	7	1	9	4	2
5	9	4	2	8	3	7	1	6
7	2	1	6	4	9	8	5	3
4	5	6	1	3	7	2	8	9
9	8	3	4	2	6	1	7	5
2	1	7	8	9	5	3	6	4
7	4	8	5	1	6	3	9	2
9	6	5	3	2	7	8	4	1
1	2	3	4	9	8	6	7	5
8	7	6	1	5	9	4	2	3
4	5	2	6	8	3	9	1	7
3	1	9	7	4	2	5	6	8
2	3	4	9	7	5	1	8	6
5	8	1	2	6	4	7	3	9
6	9	7	8	3	1	2	5	4
7	4	5	9	2	8	6	1	3
9	2	6	3	1	5	4	7	8
1	3	8	6	7	4	2	5	9
8	1	4	7	5	6	3	9	2
5	9	2	1	4	3	8	6	7
6	7	3	8	9	2	1	4	5
3	5	7	4	8	1	9	2	6
4	8	9	2	6	7	5	3	1
2	6	1	5	3	9	7	8	4

\* მარტივი

9	7		2	8		4	6
	4	1					8
6				5		2	
3				9			5
8	4		2	7		3	9
2				3			4
	1	7					3
4				2	8		
7	3		6	5		4	9

\*\* საშუალო

		3					8
		8		7		4	
	2		6				
	5				3		1
	9						7
6			1				5
					7		3
		4		2		8	
	8						6

\*\*\* რთული

		8					
		3		8		5	
	7		6				9
	9			2			7
	2						4
5			7				6
	1				9		7
		5		3		2	
							8

# ჟოკოკუჩიოზები



# საბა SABA

პრემიუმი ელიტური სახლი გუჩამიშვილი



ღმთაბერი

გუჩამიშვილი



ინდივიდუალური გადახდის სისტემა

 38-91-92 45-17-17 65-41-00  
877-77-70-77 899-35-90-00

გურამიშვილის 78 (მეტრო "გურამიშვილთან")

ბინა შედგება  
PASCHAI-ის (გერმანია)  
სამშენებლო ტექნოლოგიის  
სრული გამოყენებით

ბინები 65 მ<sup>2</sup> - დან  
თანამედროვე ლიფტი  
სუპერმარკეტი  
საბავშვო ბაღი  
აუთიაჟი  
სამედისინო ცენტრი  
მიწისქვეშა ავტოსადგომი  
დაცვა  
კაფე - ბარი  
იზოლირებული,  
კეთილმოწყობილი  
ფართ 5000 მ<sup>2</sup>  
მოპირკეთებული ქუჩა და  
მიმდებარე ტერიტორია  
თეთრი კარკასი

სიასტა!!! ხელშეკრულება გაბარდება სახელმწიფო რეესტრში